

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინგლისური ფილოლოგია

ლია რუხიაშვილი

იურიდიული ტერმინოლოგია ენობრივი და სოციოკულტურული თვალსაზრისით  
(ინგლისური, ფრანგული და ქართული საოჯახო სამართლის მასალაზე)

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის დოქტორი,  
ასოცირებული პროფესორი გიორგი ყუფარაძე  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ქეთევან ჯაში

თბილისი- 2019

## სარჩევი

შესავალი.....	4
<b>თავი 1. ტერმინის როგორც ლინგვისტური კატეგორიის შესწავლა ქართულ და უცხოურ ენათმეცნიერებაში.....</b>	<b>9</b>
1.1. საკითხის ისტორია.....	9
1.2. ტერმინის ანალიზის თეორიული საფუძვლები.....	13
1.3. ცნება “სპეციალური ენა“ უცხოურ ენათმეცნიერებაში.....	27
1.4. ტერმინი როგორც პროფესიული კომუნიკაციის ელემენტი.....	37
დასკვნები.....	45
<b>თავი 2. იურიდიული ლინგვისტიკა როგორც პროფესიული კომუნიკაციის საშუალება.....</b>	<b>48</b>
2.1 იურიდიული ლინგვისტიკის ჩამოყალიბება და განვითარება.....	48
2.2 კანონშემოქმედების პროცესი როგორც საზოგადოების ლინგვისტური კულტურის შემადგენელი ნაწილი.....	51
2.3 ოჯახის განვითარების ისტორია საქართველოში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში.....	54
2.4 სამართლის ენის კლასიფიკაციის პრობლემა და მისი ზოგადლექსიკური და სინტაქსური მახასიათებლები .....	65
2.5 საოჯახო სამართლის ტერმინების თავისებურებები.....	73
2.6 იურიდიული ტექსტის თარგმნის სპეციფიკა.....	80
დასკვნები.....	88

<b>თავი 3. საოჯახო სამართლის სფეროში იურიდიული საქმიანობის ლინგვისტური და სოციოლინგვისტური თავისებურებები .....</b>	<b>91</b>
3.1 ქორწინების ინსტიტუტი და ოჯახური ურთიერთობის დინამიკა როგორც საზოგადოებაში სოციალური ცვლილებების ასახვა.....	91
3.2 საოჯახო სამართლის ტერმინების ზოგადი დახასიათება სამივე ენაში .....	109
3.3 საოჯახო სამართლის ენაში სოციალური ცვლილებების დინამიკის ასახვა.....	116
3.4. საოჯახო სამართლის ტერმინების ფუნქციური ანალიზი სამივე ენაში.....	123
3.5. ტერმინოლოგიური ლექსიკის ფონური თავისებურებები სამივე ქვეყნის საოჯახო სამართლის მაგალითზე.....	133
3.6. მომავალი სამენოვანი საოჯახო სამართლის ლექსიკონის მოდელი სოციოკულტურული კომპონენტის გათვალისწინებით .....	139
დასკვნები.....	146
ზოგადი დასკვნა.....	151
ბიბლიოგრაფია.....	159
დანართი.....	174

## შესავალი

წარმოდგენილ დისერტაციაში განიხილება იურიდიული ტერმინოლოგიის კვლევა სოციოკულტურული თვალსაზრისით ინგლისური, ფრანგული და ქართული საოჯახო სამართლის მასალაზე.

გლობალიზაციის პროცესებმა არსებითი ზეგავლენა მოახდინა თანამედროვე საზოგადოებაში სოციოკულტურული სიტუაციის ფორმირებასა და კვლევის ახალი აქტუალური პრობლემების განვითარებაზე, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში სამეცნიერო-პროფესიული საქმიანობის სფეროებთან და კომუნიკაციის კვლევასთანაა დაკავშირებული. ხალხთა შორის არსებული კონტაქტების გაზრდამ, საზოგადოებრივმა ცვლილებებმა, რომლებიც მიგრაციის პროცესებს უკავშირდება, შერეული ქორწინების გახშირებამ, განაპირობა სოციოკულტურული ღირებულებების დინამიკა და ტრადიციული კულტურული სტერეოტიპები შეცვალა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქორწინო-საოჯახო პრობლემების განხილვა და შესწავლა თანამედროვე ინტერკულტურულ სივრცესა და იურიდიულ დისკურსში, რომლებიც ამ კუთხით არ შესწავლილა.

საოჯახო სამართლის პრობლემები ყოველთვის საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში რჩება, რადგანაც უშუალოდ თითოეულ ადამიანს ეხება. იურიდიული დისკურსი ტექსტების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც თანამედროვე სამართლებრივი სივრცის ჩამოყალიბების მიზნით იქმნება. ის პროფესიული კომუნიკაციისა და სამართლებრივი სისტემის მოვლენაა. მას სოციალური მნიშვნელობა გააჩნია და ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროსა და საქმიანობაზე ზემოქმედებას ახდენს, პირველ რიგში ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობის სფეროზე. საოჯახო სამართლის კოლიზიებში გარკვევა საკმაოდ მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნის ისტორიის გარდამავალ პერიოდში. XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და საქართველოში საზოგადოებრივი შეგნების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.

ესენია: ღირებულებების გადაფასება, საქმიანობასა და პროფესიულ კომუნიკაციაში ურთიერთობის, პრინციპულად ახალი ურთიერთობის მიებისაკენ სწრაფვა. პროფესიული აზროვნების კულტურაში ახალი სტილის საფუძვლები ჩამოყალიბდა. სხვადასხვა სფეროში მათი ინტერპრეტაციის დროს და, ასევე, ოჯახური ურთიერთობისას პიროვნულ კრიტერიუმებს მიენიჭა უპირატესობა. ზოგადად, ლინგვისტიკა ზოგადსაკაცობრიო და ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტაზეა ორიენტირებული, რაც ისტორიული განვითარების ამ ეტაპის მახასიათებელი ნიშნებია.

კომუნიკაციის პრობლემები, საოჯახო და ქორწინების საკითხებში ერთიანი ევროპული სივრცის საზღვრების ცვლილებებთან დაკავშირებით და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობით, მათ შორის საქართველოსთან მიმართებით, იურიდიულ პრაქტიკაში პროფესიული კონტაქტების განვითარებაზე ახდენს ზემოქმედებას. ამ მოვლენების შესწავლა ლინგვისტური კვლევების ერთ-ერთ განვითარებად მიმართულებას წარმოადგენს, რაზეც უამრავი ნაშრომი მეტყველებს, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხება. თუმცა, იურიდიული ტერმინოლოგიის ლინგვისტური მახასიათებლების ურთიერთმიმართება და მათი სოციოკულტურული პირობები საოჯახო სამართლის სფეროში სისტემურად არ არის შესწავლილი არც ქართულ და არც უცხოურ ლინგვისტიკაში. სწორედ, ეს განსაზღვრავს თემის შერჩევისა და კვლევის აქტუალობას.

**ნაშრომის მიზანია** იურიდიული ტერმინის კომპლექსურად შესწავლა და მისი როგორც პროფესიული კომუნიკაციის როლის განსაზღვრა ლინგვისტურ, სოციოლინგვისტურ და სოციოკულტურულ ასპექტებში. დასახული მიზნის განხორციელება შესაძლებელია კვლევის ამოცანების გადაწყვეტის მეშვეობით. ესენია:

-თანამედროვე ტერმინოლოგიური სისტემების როგორც ლინგვისტური კატეგორიის შესწავლა ქართულ და უცხოურ ლინგვისტიკაში;

-საოჯახო სამართლის ტერმინის სტატუსის განსაზღვრა ქართული იურიდიული ლინგვისტიკის ზოგადი საკითხების კონტექსტში;

-იურიდიული ტექსტის ლინგვისტური ანალიზის პრინციპების შემუშავება სამართლის ენაში მიმდინარე სოციალური ცვლილებების ფონზე(ინგლისური, ფრანგული და ქართული ენების მასალაზე დაყრდნობით);

-დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და საქართველოს საოჯახო სამართლის ტერმინების ლინგვისტური აღწერისა და ფუნქციონირების მეთოდოლოგიური და თეორიული მიდგომების შემუშავება;

-მომავალში ტერმინების აღწერის ხერხების სისტემატიზაცია სამენოვანი საოჯახო სამართლის იურიდიული ლექსიკონის შედგენის მიზნით.

**კვლევის ობიექტი** თანამედროვე იურიდიული დისკურსია. კვლევის საგანი საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიის ლინგვისტური სპეციფიკა და მისი სოციოკულტურული განზომილებაა. კვლევის მასალას წარმოადგენს 460 ქართული ტერმინი, ინგლისური და ფრანგული ეკვივალენტებით, რომლებიც მოვიძიეთ საქართველოს, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსებში და დიდი ბრიტანეთის პრეცედენტული სამართლის სახელმძღვანელოებში. გამოყენებულია ასევე ინტერნეტწყაროები.

**ნაშრომის მიზანმა და ამოცანამ** და ასევე გასაანალიზებელი მასალის ბუნებამ კვლევის კომპლექსური მეთოდიკა განსაზღვრა, რომელიც კონტექსტურ-სემანტიკურ, შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზის ფუნქციურ და დეფინიციურ სახეობებს ეფუძნება.

**ნაშრომის სამეცნიერო სიახლე** განპირობებულია თავად კვლევის შერჩევითა და მისი შესწავლის რაკურსით. უნდა ითქვას, რომ იგი საქართველოში პირველი ნაშრომია, სადაც ინტერდისციპლინარული კვლევა, კერძოდ, ლინგვისტიკის და სამართლის მიმართება განხილულია სამი ქვეყნისა და სამი ენის პლანში. ის განისაზღვრება იმით, რომ ნაშრომში პირველად ხდება საოჯახო სამართლის იურიდიული ტერმინების კომპლექსური შესწავლა სოციოლინგვისტურ კონტექსტში. დიდი

ბრიტანეთის, საფრანგეთის და საქართველოს საოჯახო სამართლის ტექსტები, ასევე ლექსიკონები, რომლებიც დისერტაციაშია განხილული, არასოდეს არ გამხდარა სპეციალური ლინგვისტური კვლევის საგანი. შერჩეული მეთოდის გამოყენება კვლევაში განსაზღვრულია იმ როლის სპეციფიკით, რომლის შესრულებაც იურიდიულ ტერმინს ენობრივი ცვლილებების სისტემაში შეუძლია. ის საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ ცვლილებებს საქორწინო და საოჯახო ურთიერთობების სამართლებრივი ველის აღწერისას ინტერკულტურულ კონტექსტსა და ექსტრალინგვისტურ რეალობასთან მიმართებით ასახავს, რომელიც იურიდიული დისკურსის სტრუქტურაში ვლინდება.

**კვლევის მეთოდოლოგია.** ნაშრომში გამოყენებულია აღწერისა და სინთეზის მეთოდი, სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის მეთოდი, შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდი, ინტერდისციპლინარული და ინტერკულტურული კვლევების მეთოდები.

**ნაშრომის თეორიული ღირებულება** ისაა, რომ მომავალში დისერტაციის ძირითადი დებულებები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას ენათა ზოგადლინგვისტური პრობლემატიკის აღწერის მიზნით, ენის, სამართლის და საზოგადოების ურთიერთქმედი პროცესების კვლევისას. თეორიულად დასაბუთებულია ლინგვისტურ და სოციოკულტურულ ასპექტებში ტერმინის, როგორც პროფესიული ურთიერთობის უმთავრესი კომპონენტის კომპლექსურად კვლევის მიზანშეწონილობა.

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა** ისაა, რომ დისერტაციის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას ენის სწავლების თეორიასა და პრაქტიკაში, ასევე ენათმეცნიერების, სოციოლინგვისტიკის, ლექსიკოლოგიის, სტილისტიკის, თარგმნის თეორიის, თარგმანთმცოდნეობის, სოციოლინგვისტიკის ლექციებსა და სემინარებზე და ასევე ლექსიკოგრაფიულ პრაქტიკაში.

**ნაშრომის სტრუქტურა.** დისერტაცია შედგება შესავლის, 3 თავის, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურისაგან, რომელიც 204 ერთეულს ითვლის, ასევე

დანართისაგან, რომელიც მომავალი სამეცნიერო საოჯახო ტერმინოლოგიის  
ლექსიკონის პროექტს წარმოადგენს.



## თავი 1. ტერმინის როგორც ლინგვისტური კატეგორიის შესწავლა ქართულ და უცხოურ ენათმეცნიერებაში

### 1.1 საკითხის ისტორია

თეორია ტერმინის შესახებ წარმოადგენს თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიულ-გამოყენებით დარგს და მას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. ტერმინთან დაკავშირებული იდეები ანუ ის ერთეული, რომელიც ასრულებდა ნომინაციურ ფუნქციას და გამოხატავდა ცნებათა სისტემაში ზოგად ცნებას ენათმეცნიერების ფარგლებში, საკუთარი თეორიის შექმნას ითხოვდა. თეორია ტერმინის შესახებ დაკავშირებულია მეცნიერების სხვადასხვა დარგთან. ესენია: სოციოლინგვისტიკა, ტექსტის სტილისტიკა, სემიოტიკა, ინფორმატიკა, სისტემათა ზოგადი თეორია და სხვა. ტერმინის პრობლემატიკაზე მუშაობდნენ ცნობილი მეცნიერები (ნ.ვასილიევა, ტ.კანდელაკი, დ.ლოტე, ა.სუპერანსკაია, ჟ.-კ. გუადეკი, ჯ.პირსონი, მ.ჰარველი და სხვ.).

თეორია ტერმინის შესახებ შეიქმნა ფილოლოგიის ფარგლებში, როგორც მისი ერთ-ერთი მიმართულება და დიდი ხნის განმავლობაში ენისაგან მოწყვეტით განიხილებოდა. დიდი აღმოჩენა იყო ის ფაქტი, როდესაც გაირკვა ტერმინის ენობრივი ბუნება. ვ. ლეიჩიკმა დაამტკიცა: „ტერმინი ჩნდება განსაზღვრული ბუნებრივი ენის საფუძველზე, ანუ ამ ენის ლექსიკური ერთეული ტერმინის სუბსტრატს წარმოადგენს“ (ლეიჩიკი 1986:88–89). ეს იდეა ტერმინოლოგიზაციის პროცესს ახასიათებს, რაც იმას გულისხმობს, რომ შემეცნებითი პროცესის შედეგად ტერმინის ნომინაციას საერთო ენის სიტყვა უდევს საფუძვლად.

XX საუკუნის 50-60 წლებში ტერმინოლოგიური ცნებების ფორმირებაში პრესკრიფციული ხაზი არსებობდა. ის გულისხმობდა იმას, რომ ტერმინი მონოსემანტური, სტილისტურად ნეიტრალური, კონტექსტისაგან დამოუკიდებელი, მოკლე სიტყვა იყო და არ გააჩნდა სინონიმები, სისტემურობა, დეფინიცია და ა.შ.

ათეული წლების განმავლობაში ლინგვისტები ხშირად აყენებდნენ საკითხს ლინგვისტური კატეგორიების რიგში ტერმინის ადგილის შესახებ. გასული საუკუნის

50-იან წლებში არსებობდა აზრი ტერმინისა და სიტყვის კავშირის შესახებ. ასე მაგალითად, რ. პიოტროვსკი საუბრობდა ტერმინის ორმაგი ბუნების შესახებ, ამტკიცებდა, რომ ტერმინოლოგიის განვითარება უცილობლად ასახავს ცოდნის ამა თუ იმ სფეროს განვითარებას. მეორე მხრივ, ახალი ტერმინები ძირითადი ლექსიკური ფონდის და ასევე საერთო სახალხო ენის ლექსიკური მარაგის საფუძველზე ჩნდება (პიოტროვსკი 1952: 61).

საქართველოში ტერმინოლოგიის ისტორია სათავეს ქართული მწერლობის შექმნის დასაწყისიდანვე იღებს. მისი აღმავლობა X-XII საუკუნეებიდან იწყება. მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში 1921-დან დაიწყო. ამ დროიდან ტერმინოლოგიური საკითხების შესწავლას ხელმძღვანელობდა განსახკომთან არსებული "სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო", 1926-წლიდან-"ცენტრალური სამეცნიერო ტერმინოლოგიური კომიტეტი", რომელიც 1936-წლიდან სპეციალური სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებად გადაკეთდა. ეს განყოფილება 1941-წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შემადგენლობაშია. 1985 წლის მონაცემებით მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამოქვეყნებულია 50-მდე ტერმინოლოგიური ლექსიკონი<sup>1</sup>.

ტერმინოლოგია მკაცრად განსაზღვრული ტერმინების ერთობლიობაა, რომელიც რომელიმე მეცნიერებას, ტექნოლოგიას, ადამიანის საქმიანობის განსაზღვრულ სფეროს ახასიათებს. ეს დიციპლინაა, რომლის კვლევის საგანი საგნებისა და კონცეპტების სახელდების თეორიული კვლევაა, რომელსაც ცოდნის ესა თუ ის სფერო იყენებს, ტერმინოლოგიური ერთეულების ენაში ფუნქციონირება, ასევე თარგმნის, კლასიფიცირებისა და დოკუმენტაციის პრობლემები გარკვეულ თემატიკას უკავშირდება. ISO 1087-ის ნორმა ტერმინოლოგიას განსაზღვრავს, როგორც „სპეციალობის ენებში გამოყენებული ცნებებისა და ტერმინების მეცნიერულ შესწავლას“. ტერმინოლოგიის განსაზღვრაში არსებობს ძირეული განსხვავება ცნებასა

<sup>1</sup><https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90> (11.01.2017).

და ტერმინს შორის. ფაქტობრივად, ექვენ ვიუსტერის მიხედვით, რომელიც მოცემული დისციპლინის ერთ-ერთი ფუძემდებელია, ტერმინი არის ერთეული, რომელსაც ორი მხარე აქვს და გულისხმობს სახელდებას (რომელიმე ენაში) და იმოწმებს ცნებას (ანუ კონცეპტუალური რიგის ერთეულს). მაგალითად, როდესაც ვიყენებ ტერმინს *ფლეშკა*, ინგლისურად *USB key*, ფრანგულად *clé USB*, სახელდება ინფორმატიკის ცნებას უკავშირდება, მის ასახსნელად გრძელი განმარტება იქნებოდა საჭირო.

ტერმინოლოგია, ტერმინების არჩევანისა და გამოყენების კვლევაში მდგომარეობს, რაც სპეციალური ლექსიკური მარაგის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ის შეიძლება შეგვხვდეს ცოდნის სხვადასხვა სფეროში: გრამატიკა, ლინგვისტიკა, მათემატიკა, ფილოსოფია, მედიცინა, მუსიკა და ან შეიძლება საერთო ენიდან გამომდინარეობდეს, ანუ ის შეიძლება ტერმინოლოგიის ბანკში არსებობდეს. ამაზე უკვე ტერმინოლოგები ზრუნავენ და მათი დაფიქსირება ლექსიკონში ლექსიკოგრაფების საზრუნავია. მაგალითად, ფრანგული ტერმინი *bureau* ნიშნავს *კაბინეტს*, *საწერ მაგიდას* და ასევე ინფორმატიკულ ტერმინს *desktop*.

XX საუკუნის 60-იან წლებში, სამეცნიერო ცოდნა განვითარდა და შესაბამისად, ბევრი ახალი ტერმინი გაჩნდა. ტერმინოლოგიის განვითარებაში მკვეთრი ნახტომი ქმნის პირობებს, რომ გათვალისწინებულ იქნას მზარდი, ლექსიკური ჯგუფი, რომელიც სპეციფიკური კანონზომიერების შესაბამისად იარსებებს. სპეციფიკურობის ცნება, რომელსაც ბევრ თანამედროვე ტერმინოლოგიურ კონცეფციებში ითვალისწინებენ, ტერმინის დეფინიციის ძირითადი კრიტერიუმი ხდება. XX საუკუნის 70-იან წლებში მეცნიერება ტერმინის შესახებ გახსნილია მრავალი პრინციპულად ახალი იდეებისათვის ძირითად ცნებებსა და კატეგორიებთან მიმართებით. ტერმინის ლინგვისტიკის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ტერმინის ფუნქციის ახალმა ინტერპრეტაციამ ითამაშა, რომელიც ვ.ლეიჩიკმა შემოგვათავაზა და რასაც ის ენის ასპექტში განსაკუთრებულ ფუნქციას ანიჭებს.

ვ. ლეიჩიკი ფიქრობდა, რომ სპეციალური ცნების აღნიშვნის ფუნქცია ცნებათა სისტემაში არ შლის სიტყვის ნიშან-თვისებებს. ტერმინის ფუნქციების კვლევამ ტერმინოლოგიაში ფუნქციური მიმართულებები ჩამოაყალიბა, რომელიც საშუალებას

იძლევა ენობრივი ერთეულის სტატუსში დავსვათ და გადავჭრათ ისეთი პრობლემები, როგორებიცაა ტერმინის წინააღმდეგობრივი ბუნება, ტერმინის სიტყვასთან მიმართება, ტერმინის კონკრეტულ ტექსტზე დამოკიდებულება, ტერმინის წარმოქმნის განპირობებულობა ენის კანონების ზემოქმედებით და სხვა.

XX საუკუნის 70-იან, 80-იან წლებში, მეცნიერება ტერმინების შესახებ რუსეთში დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ყალიბდება. ტერმინის ლიგვისტიკა ტერმინს, როგორც ენის კომპონენტს ისე განიხილავს, რომელიც სპეციალური მიზნებისათვის გამოიყენება. ის აღნიშნავს კონკრეტულს ან აბსტრაქტულს, ცოდნის ან მოქმედების განსაზღვრული თეორიის სპეციალური სფეროს ცნებას (ლეიჩიკი, ბიესეკირსკა 1998: 25).

მოცემული დეფინიცია ტერმინების შემდეგ ნიშან-თვისებებს ითვალისწინებს: 1)ტერმინებს გააჩნიათ ბუნებრივი ენების სიტყვებისა და სიტყვათა ჯგუფების ყველა სემანტიკური თუ ფორმალური ნიშან-თვისება; 2)ტერმინები სპეციალურ ენებში გამოიყენება და არა ამა თუ იმ ენის ლექსიკაში; 3)სპეციალურ ენებში ტერმინები სპეციალური საერთო ცნებების აღსანიშნავად გამოიყენება; 4)ტერმინები ტერმინოლოგიური სისტემების ელემენტებს წარმოადგენენ, რომლებიც იმ თეორიებს ასახავენ, რომლითაც სპეციალური ენების ობიექტების აღწერა ხდება<sup>2</sup>.

ვ. ლეიჩიკი ამბობდა, რომ ტერმინი ცოდნას დროსა და სივრცეში გადასცემს. ის ხაზს უსვამს ტერმინის მჭიდრო კავშირს თეორიასთან, რომელიც ცოდნას აყალიბებს. ამ თვალსაზრისით, ვ.ლეიჩკს იმ სადისკუსიო საკითხის გადაწყვეტაში შეაქვს წვლილი, რომელიც იმას ნიშნავს, რომ ტერმინის მნიშვნელობა „ღიაა“. ეს საკითხი ჯერ კიდევ თავის ნაშრომებში ვ. ნალიმოვმა წამოაყენა. ის ფიქრობს: „ტერმინები მეცნიერებაში მხოლოდ იმიტომ კი არ არსებობს, რომ მათი მეშვეობით ადრე შექმნილი კონცეფციები გამოვხატოთ, არამედ, მომავალში, ისინი ასევე გარკვეული მსჯელობის ფორმულირებისათვის უნდა გამოვიყენოთ. ამიტომაც, ტერმინები მეცნიერებაში უნდა იყოს „ღია“ (ნალიმოვი 1974: 139). ვ.ნალიმოვის აზრით, ეს ტერმინის ინტერპრეტაციის უნარს გულისხმობს. ნალიმოვი ფიქრობს,

<sup>2</sup> ლეიჩიკი და სხვ., იქვე.

რომ ტერმინის თითოეულ ცნებას მეცნიერების ენაში მნიშვნელობათა ველი შეესაბამება და ტერმინის საბოლოო განსაზღვრის მცდელობა დაკავშირებულია სემანტიკურ შეზღუდვებთან, რომელიც ამ ველს ეშრევება. შესაბამისად, ტერმინში ისეთი თვისებების აღმოჩენა, როგორებიცაა პოლიფუნქციურობა, სემანტიკა, ტერმინის კატეგორიის კონცეპტუალური შინაარსის შესახებ ტრადიციული შეხედულების გადააზრების უშუალო დასაბუთებას წარმოადგენს. საქმე უნდა ეხებოდეს ტერმინის შესწავლაში სხვადასხვა ასპექტისა და მიდგომის ფორმირებასა და მათ არსებით მახასიათებლებს. ტერმინოლოგიური კვლევების მომავალი, ტერმინოლოგიის შესახებ მეცნიერების მრავალ დისციპლინებად დაშლა კი არ არის, არამედ, მისი მთავრი ობიექტის ტერმინის შესწავლის პოლიასპექტურობაა (ტატარინოვი 1996: 146).

## 1.2 ტერმინის ანალიზის თეორიული საფუძვლები

ტერმინის დეფინიციისათვის, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომში ვეყრდნობით, შევარჩიეთ ის განსაზღვრება, რომელიც ა.სუპერანსკაიამ, ვ.პოდოლსკაიამ და ვ.ვასილევამ შემოგვათავაზეს. «ტერმინი-სპეციალური სიტყვა ან სიტყვათშეთანხმებაა, რომელიც მიღებულია პროფესიულ საქმიანობაში და განსაკუთრებულ პირობებში გამოიყენება. ტერმინი-ცნების სიტყვიერი გამოხატულებაა, რომელიც პროფესიული ცოდნის განსაზღვრული სფეროს ცნებათა სისტემის შემადგენლობაში შედის. ტერმინი-ენის ძირითადი ცნებითი ელემენტია, რომელიც სპეციალური მიზნებისათვისაა განკუთვნილი» (სუპერანსკაია, პოდოლსკაია, ვასილევა 2003: 14).

ტერმინის შესახებ არსებობს ორი ძირითადი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი: პირველის თანახმად, ტერმინი, როგორც განსაკუთრებული ერთეული უპირისპირდება სიტყვას, როგორც ენის ერთეულს; ტერმინოლოგიური ქვესისტემები კი ლიტერატურული ენის მიკროსისტემებს. მეორე, უფრო

გავრცელებული თვალსაზრისით, ტერმინი და ტერმინოლოგიური სისტემა განიხილება, როგორც ლიტერატურული ენის ერთეულები, რომლებსაც ყველა თვისება გააჩნია, რაც საერთოდ სიტყვებს ახასიათებს. ამ შემთხვევაში ტერმინი სიტყვას კი არ უპირისპირდება ზოგადად, არამედ ზოგადლიტერატურული ენის სიტყვას. ამგვარად, ტერმინოლოგია შედის ზოგადლიტერატურული ენის სისტემაში, მის ფარგლებში მოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი სექტორი, ამიტომაც ლიტერატურული ენის ყველა ტენდენცია ტერმინოლოგიისათვისაც მისაღებია. ეს მიდგომა დესკრიფციულია და მასში ჩადებულია ის აზრი, რომელიც პირველად გ.ვინოკურმა გამოთქვა, „ტერმინები განსაკუთრებული ფუნქციის მქონე სიტყვებია“ (ვინოკური 1939:5).

ტერმინი რთული მოვლენაა. მისი სპეციფიკა მის შინაარსშია, მისი მნიშვნელობის ხასიათში (გერდი 1980:7). ტერმინის, როგორც ენის ერთეულის თავისებურება ისაა, რომ არსებობს უწყვეტი კავშირი მის მიერ აღნიშნულ ცნებასთან. ტერმინი იწყება ცნებიდან და აუცილებელია, როგორც ცნების ობიექტივაციის საშუალება. ტერმინები, რომლებიც ცნებათა სისტემებს გამოხატავენ, ტერმინოლოგიურ სისტემას ქმნიან. დ. ლოტეს აზრით, ის ადგილი, რომელიც ტერმინს სისტემაში უკავია, მის სტრუქტურასა და შედგენილობაზე ზემოქმედებს (ლოტე 1961: 14).

არსებობს ტერმინოლოგიის კვლევის ორი მიდგომა: 1)ლოგიკის თვალსაზრისით, როგორც მეცნიერების მეთოდოლოგია; 2)ლინგვისტიკის თვალსაზრისით. ტერმინი სიმბოლოა, რომელიც ფიქსირებულ სისტემაში კოორდინატს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსაზღვრულ სამეცნიერო სფეროში ერთადერთ ობიექტს აღნიშნავს (გორსკი, ციტირებულია გრიშენკოვას მიერ 2006:19). ლოგიკაში ტერმინს განსაზღვრული მახასიათებელი გააჩნია და შეიძლება ნებისმიერი ობიექტის მიმართ გამოვიყენოთ, რომელიც ამ მახასიათებელს ფლობს. ლოგიკამ როგორც მეთოდოლოგიამ, დიდი ზეგავლენა მოახდინა ყველა სხვა მეცნიერების განვითარებაზე, ამიტომ გვერდი ვერ ავუარეთ ტერმინის დეფინიციას ლოგიკური თვალსაზრისით.

ლინგვისტიკაში არ არსებობს ტერმინოლოგიისადმი ერთგვაროვანი მიდგომა. ზოგიერთი ლინგვისტი ტერმინს განიხილავს როგორც სამეცნიერო სფეროს ცნებითი სისტემის ნაწილად, მეორენი, ტერმინში ხედავენ სიტყვას, რომელიც საერთო ენის ლექსიკის ნაწილია. დღეს, ლინგვისტები არ დაობენ იმაზე, რომ ტერმინი სიტყვაა ან შესიტყვება, რომელიც სპეციალურ ცნებას გამოხატავს. თუმცა საკითხი იმის შესახებ, მეტყველების რა ნაწილებით შეიძლება იქნას წარმოდგენილი ტერმინი, არაერთგვაროვნად წყდება. ასე მაგალითად, ზოგიერთი ლინგვისტი ფიქრობს, რომ ტერმინი შეიძლება გამოხატულ იქნას მეტყველების ნებისმიერი ნაწილით, უპირატესად ეს არსებითი სახელია (დანილენკო 1977: 50). ლინგვისტების უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ ტერმინების ენობრივი ფორმა, მხოლოდ არსებითი სახელის საფუძველზე შექმნილი შესიტყვება შეიძლება იყოს (ახმანოვა 1969: 11; მოისევი 1970: 135). ამ თეზისის დასაცავად შემდეგი დებულებები მოჰყავთ არგუმენტებად:

1. მეტყველების ყველა ნაწილი, არსებითი სახელის გარდა, თუ ისინი ტერმინის შემადგენელი ნაწილი არაა, ტერმინების სამეტყველო სუბსტიტუტებს წარმოადგენს და აუცილებელია მხოლოდ აზრის მეცნიერულად გადმოცემის პროცესში (ბურდინი 1958: 63).
2. რ. კობრინი სამართლიანად აღნიშნავს: „[...]ზედსართავი სახელები, მიმღობა, ასევე მეტყველების სხვა ნაწილები შეიძლება ტერმინის შემადგენელი ნაწილები იყოს, [...], თუმცა დამოუკიდებელი ტერმინოლოგიური მნიშვნელობა არა აქვთ, თუკი სუბსტანტივაციის შემთხვევებს გამოვრიცხავთ“ (კობრინი 1969: 19).
3. ევროპულ ენებში არსებითი სახელის სისტემა იმდენადაა განვითარებული, რომ „ამ ენების ტერმინოლოგიური სიის შემადგენლობის ძირითადი ნუსხა შეიძლება სრულად იქნას არსებითი სახელებით ამოწურული“ (ახმანოვა 1969: 11).
4. შესაძლებელია ტერმინოლოგიიდან ზმნიზედებისა და ზმნების გამორიცხვა. მათ მიერ გამოხატული პროცესებისა და თვისებების სპეციალური ცნებები შეიძლება არსებითი სახელებით იქნას გამოხატული (დანილენკო 1977: 38-51).

ეს თვალსაზრისი ტერმინოლოგიური სისტემის ყველაზე დასაბუთებულ ფორმას წარმოადგენს და ამ სისტემის თანამედროვე მდგომარეობას ასახავს. საქართველოს, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის საოჯახო სამართლის ტერმინები, რომლებიც ჩვენი დისერტაციის კვლევის საგანია, სავსებით ადასტურებს დასკვნას ტერმინების ენობრივი ფორმის შესახებ.

თუკი ტერმინის შესახებ ლიტერატურას თვალს გადავავლებთ, ტერმინის მრავალ დეფინიციას დავინახავთ. დეფინიციაში განსხვავება, მისი კვლევის განსხვავებული მიდგომით აიხსნება. ყველაზე ხშირად ტერმინი განიხილება, როგორც ფიქსაციის სფეროს სტატიკური ელემენტი(დანილენკო 1977:15), რის შედეგადაც მას სასურველ თვისებებს მიაწერენ.

ტერმინის თვისებების განხილვისას, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ სხვადასხვა ლინგვისტი ამ თვისებების სხვადასხვა ჩამონათვალს გამოყოფს. საკმაოდ მნიშვნელოვანია ტერმინის თვისებების განსაზღვრა, რადგანაც ტერმინის დეფინიციას მისი ძირითადი თვისებების მიხედვით აგებენ. მოვიყვანოთ სხვადასხვა თვალსაზრისი ტერმინის თვისებების შესახებ:

1. ა. გერდი, ს. გრინევი, ა. მოისევი ტერმინის შემდეგ თვისებებს გამოყოფენ:

- 1) ნომინაციურობა;
- 2) ცოდნის სპეციალური სფეროს ცნების გამოხატვა;
- 3) დეფინიციის არსებობა;
- 4) მნიშვნელობის სიზუსტე;
- 5) კონტექსტუალური დამოუკიდებლობა;
- 6) წარმოქმნის კონვენციური და მიზანმიმართული ბუნება;
- 7) მეტყველებაში გამოყენების სიმტკიცე;
- 8) სტილისტური ნეიტრალურობა.



2. ნორმატიული მიდგომის ჩარჩოში ტერმინის განმსაზღვრელი თვისებებია (ა. გერდი, ლ. კაპანაძე, დ. ლოტე და სხვ.) :

- 1) სიმოკლე;
- 2) მოტივირებულობა;
- 3) სიზუსტე;
- 4) მონოსემანტიკურობა;
- 5) ემოციური შეფერილობის არქონა;
- 6) სტილისტური ნეიტრალურობა;
- 7) კონტექსტისაგან ტერმინის დამოუკიდებლობა;
- 8) სინონიმების, ანტონიმების არქონა;
- 9) ტერმინის დანერგვის ხარისხი.

3. ტერმინის დესკრიფციული მიდგომის მომხრეები (გ. ვინოკური, ბ. გოლოვინი, ა.რეფორმატსკი) ფიქრობენ, რომ ტერმინისათვის ზემოჩამოთვლილი თვისებები სასურველია. განვითარების პროცესში, ტერმინებმა ის თვისებები მიიღეს, რომელიც ზოგადად, ლექსიკას ახასიათებს: პოლისემანტიკურობა, სინონიმია, ანტონიმია, მრავალკოპონენტურობა, ემოციურობა და სტილისტური შეფერილობა. ამის თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელი იყო, ვინაიდან მეცნიერების განვითარების პროცესს მუდამ ახლავს არსებული ცნებების შინაარსის დაზუსტება და გადახედვა. სწორედ ამ დროს, მათი ნომინაციისათვის ოპტიმალური და ზუსტი ნიშნების შერჩევა ხდება (გატაულინა, ციტირებულია გრიშენკოვას მიერ 2006:22).

4. ტერმინი შეიძლება სამ ასპექტში განვიხილოთ: სემანტიკურში (ტერმინის მნიშვნელობა, შინაარსი), სინტაქსურში (ტერმინის ფორმა) და პრაგმატისტულში (ტერმინის ფუნქციონირება). ამგვარად, ტერმინის თვისებების სისტემა შეიძლება

შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ (სერგეევა, ციტირებულია გრიშენკოვას მიერ 2006: 23):

1. სემანტიკური თვისებები:

- ცნების ნომინაციისას შინაარსობრივი სიზუსტე;
- დეფინიციის არსებობა, რომელიც ტერმინის ცნებას შლის;
- მონოსემანტიკურობა;
- კონტექსტიდან შედარებითი დამოუკიდებლობა.

2. ფორმალური თვისებები:

- ენის ნორმასთან შესაბამისობა;
- სიმოკლე: ლექსიკური და ფორმალური;
- სიტყვათწარმოებითი და დერივაციული უნარი;
- ინვარიანტულობა;
- მოტივირებულობა.

3. პრაგმატისტული თვისებები:

- საყოველთაოდ აღიარებული და ყოფაში გამოყენებული;
- აქტუალურობა და თანამედროვეობა.

ის საკითხი, რომ ტერმინი სპეციალურ სფეროს განეკუთვნება განპირობებულია იმით, რომ ტერმინი ცნებების ნომინაციისათვის გამოიყენება. ტერმინის ეს თვისება ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს და განაპირობებს იმას, რომ ის ცოდნის სპეციალურ სფეროს მიეკუთვნება. ცნობილია, რომ ცნებების აღნიშვნის ფუნქცია შეიძლება არა მარტო სპეციალურმა, არამედ საერთო ენის სიტყვებმა და მათმა შესიტყვებებმა შეასრულოს. გ. ვინოკური წერდა, რომ ტერმინები განსაკუთრებული სიტყვები კი არა, არამედ განსაკუთრებული

ფუნქციის მქონე სიტყვებია (ვინოკური 1939: 5). თუკი ტერმინს ფუნქციური თვალსაზრისით მივუდგებით, ის ენობრივი ნიშანია, რომლის ძირითადი ფუნქცია ადამიანის შეგნებაში მოცემულ ობიექტზე სრულ წარმოდგენას ქმნის, რომელიც მთელი მისი თვისებებით ცოდნის განსაკუთრებულ სფეროს განეკუთვნება (კაპანაძე 1965:79; მოსეევი 1970: 138; რეფორმატსკი 1961: 47-48).

ტერმინის მეორე მნიშვნელოვანი თვისებაა მისი სიზუსტე. ის გულისხმობს იმას, რომ სპეციალურ ცნებას გამოკვეთილი საზღვრები აქვს, რომლებიც ჩვეულებრივ მეცნიერული განსაზღვრებით ანუ დეფინიციით დგინდება. დეფინიცია ტერმინის აუცილებელი კუთვნილებაა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტერმინოლოგიური ლექსიკის ენის შემადგენლობიდან გამოყოფისას. განსხვავება ტერმინის დეფინიციას და სიტყვის საერთო გამოყენებას შორის განსხვავებას ასახავს, რომელიც არსებობს ცნებასა და მასზე წარმოდგენას შორის. განსხვავება ტერმინსა და სიტყვას შორის განპირობებულია იმით, რომ ისინი ასახავენ სხვადასხვა დონის აზროვნებითი ქმედების მოვლენებს, ცნებებით სამეცნიერო აზროვნებას და ყოფით გამოყენებას. ტერმინის დეფინიცია ისეთ თვისებებს განაპირობებს, როგორებიცაა კონტექსტიდან შედარებითი დამოუკიდებლობა და მონოსემანტიკურობა (გრინევი 1993: 32).

დღეს, მონოსემანტურობა ყველაზე სადავო საკითხია ტერმინოლოგიაში. ტერმინოლოგიის შემადგენლობაში ტერმინი შეიძლება იყოს პოლისემანტიკურიც, როდესაც საქმე ეხება ისეთ მოვლენას, როგორიცაა სისტემათაშორისი ან ინტერდისციპლინარული ომონიმია. სწორედ, ტერმინოლოგია ტერმინისათვის იმ „ველს“ წარმოადგენს, რომელიც მას სიზუსტეს და მონოსემანტიკურობას ანიჭებს, რომლის მიღმაც სიტყვა ტერმინისათვის მახასიათებელს ნიშნებს კარგავს. შესაბამისად, ტერმინს იმდენად როდი სჭირდება კონტექსტი, რაც სჭირდება ზოგადლიტერატურულ სიტყვას მისი მნიშვნელობის კონკრეტიზაციისათვის, ვინაიდან „ტერმინი დაკავშირებულია არა კონტექსტთან, არამედ ტერმინოლოგიურ ველთან, რომელიც თავისი ფორმით კონტექსტს ენაცვლება“ (რეფორმატსკი 1959: 9).

ფორმალური ნიშნების ჯგუფი ძირითადად, გრამატიკულ მახასიათებლებს ეხება. ამ ჯგუფში შედის ასევე ნომინაციური ან სახელადი მახასიათებლები. ეს იმას ნიშნავს, რომ ტერმინებად, როგორც ენის სპეციფიკური ერთეულები, არსებითი სახელები ან მათი მეშვეობით წარმოებული შესიტყვებები განიხილება (ახმანოვა 1969: 11).

რაც შეეხება ტერმინის პრაგმატიკულ თვისებებს, ისინი უმეტესად სემანტიკურ და სინტაქსურ თვისებებზეა დამოკიდებული. სწორედ, ნომინაციის წარმატება, სემანტიკური სიზუსტე და მონოსემანტიკურობა, სიმოკლე, მოტივირებულობა და დერივაციული უნარი ტერმინის სპეციალურ მეტყველებაში ჩართვას უზრუნველყოფს. დღევანდელი მოთხოვნები ისაა, რომ სპეციალისტები ახალ ტერმინებს ამკვიდრებენ, ვინაიდან ნომინაციის ობიექტის შესახებ ცნება იცვლება. მეტყველებაში ტერმინის წარმოქმნის თვისება დაკავშირებულია ცნებების დასახელების ფუნქციასთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევს ტერმინოლოგიურ შესიტყვებებს ტერმინის შემადგენლობაში შემავალი ელემენტებისაგან დამოუკიდებლად სინტაქსური ერთიანობა შეინარჩუნონ, რაც მათ სიმყარეს უზრუნველყოფს. ტერმინის ინტერნაციონალური დანერგვის ნიშანი მნიშვნელოვანია, ვინაიდან მან დადებითი როლი უნდა ითამაშოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შორის ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია ტერმინის ის დეფინიცია, რომელიც ეფუძნება შემდეგ ნიშნებს:

- 1) სპეციალური ცნების აღნიშვნა;
- 2) სპეციალურ სფეროში გამოყენება;
- 3) სისტემურობა;
- 4) მონოსემანტიკურობა და სიზუსტე;
- 5) სპეციალური სფეროს საგნის სახელდება;
- 6) ნომინაციური ფუნქცია;

- 7) სტილისტური (ექსპრესული, ემოციური, მოდალური) ნეიტრალურობა;
- 8) კონტექსტისაგან დამოუკიდებლობა;
- 9) განმსზაღვრელი ფუნქცია;
- 10) სამეცნიერო დეფინიციის არსებობა;
- 11) სიმოკლე, უბრალოება;
- 12) სიტყვათწარმოების უნარი.

ე. შულცე ასეთ დასკვნამდე მივიდა, რომ პირველივე ნიშანი საკმარისია, რომ ტერმინი სხვა ლექსემებისაგან გავმიჯნოთ. ამის დასამტკიცებლად მას შემდეგი არგუმენტები მოჰყავს: თუკი ტერმინი გამოხატავს სპეციალურ ცნებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მასში უკვე მისი გამოყენების სფეროა ჩართული (ციტირებულია ჰოფმანის მიერ 1987:173-174).

ვფიქრობთ, რომ ე. შულცეს დასკვნები ლოგიკურია და სხვა ზემოხსენებული ნიშნები ფაკულტატიური და ყველა ტერმინს როდი ახასიათებს. აღნიშნული მახასიათებლები შეიძლება ჩავთვალოთ არა ტერმინების თვისებებად, არამედ სასურველ ნიშნებად, იდეალურ ვარიანტებად, რომლებიც სპეციალისტების პროფესიული კომუნიკაციის მოთხოვნებს ოპტიმალურად აკმაყოფილებს.

ტერმინი პირველ რიგში სიტყვაა და მას ენის საერთო ფუნქციები უნდა ჰქონდეს. სხვადასხვა მკვლევარი ენის მიერ შესრულებული მრავალფეროვანი ამოცანების მიხედვით ენის ფუნქციების სხვადასხვა რაოდენობას გამოყოფს. თუმცა, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ ის ფუნქციები, რომლებიც საერთოა ენისა და კულტურისათვის, ვინაიდან ენას არ შეუძლია კონკრეტული კულტურის მიღმა იარსებოს და არ განიხილებოდეს როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. ენისა და კულტურის ფუნქციებს განეკუთვნება:

1. კოგნიტიური;
2. ინფორმაციული;

3. სემიოტიკური;
4. კომუნიკაციური;
5. აქსიოლოგიური (შეფასებითი);
6. ნორმატიული;
7. ექსპრესიულ-ემოციური;
8. ადამიანთა სოციალური, ნაციონალური;
9. სოციალიზაციიდან ინდივიდუალურამდე და პირიქით, გადასვლის ფუნქცია (ლეიჩიკი 2003: 17-28).

ჩვენი აზრით, ტერმინი ამა თუ იმ სახით ყველა ზემოხსენებულ ფუნქციას ფლობს. მისი კოგნიტიური ფუნქცია ისაა, რომ ტერმინების მეშვეობით ცოდნის ფუნქცია და სამყაროს შეცნობის ფუნქცია ხორციელდება. ტერმინი ადამიანის ცოდნის საცავია და სწორედ ესაა მისი ინფორმაციული ფუნქცია. ტერმინის სემიოტიკური ფუნქცია ტერმინის დონის მაჩვენებელი და მისი თვისებაა. ტერმინის კომუნიკაციური ფუნქცია წარმატებულ პროფესიულ კომუნიკაციას შესაძლებელს ხდის. ენის აქსიოლოგიური ანუ შეფასებითი ფუნქცია ისაა, რომ გავიგოთ, თუ რა არის კეთილდღეობა.

ერთი მხრივ, ზოგიერთი ტერმინი, სიტყვების მსგავსად ადამიანის ქცევის, საზოგადოებაში ურთიერთობის შეფასებას აფიქსირებს, მეორე მხრივ, ტერმინების შეფასებას განსაზღვრული სოციალური თუ პროფესიული ჯგუფები ახდენენ. ნორმატიული ფუნქცია უზრუნველყოფს სამეტყველო/ენობრივ წონასწორობას ადამიანური ერთობის შიგნით. ექსპრესიულ-ემოციური ფუნქცია ტერმინებისათვის ნაკლებად დამახასიათებელია, თუმცა ყოველთვის შეიძლება არსებობდეს ტერმინი, რომელშიც ექსპრესიულ-ემოციური შეფასებაა ჩადებული.

ადამიანთა საზოგადოების გამიჯვნის და ინტეგრაციის ფუნქციას უშუალო კავშირი აქვს ტერმინოლოგიასთან. ტერმინები, რომლებიც ძირითადად,

პროფესიული კომუნიკაციისათვის გამოიყენება, საშუალებას იძლევა გავმიჯნოთ ერთი პროფესიული ჯგუფი მეორისაგან. ასე, მაგალითად, ტერმინები, რომლებსაც ექიმები იყენებენ, ინჟინრების პროფესიულ საქმიანობაში არ გამოიყენება. სოციალიკაზიდან ინდივიდუალურობაში გადასვლის ფუნქცია ისაა, რომ ის საშუალებას აძლევს ადამიანს აითვისოს კულტურის ყველა მიღწევა თავისი ინდივიდუალურობის შენარჩუნებით. ეს ფუნქცია იმ ტერმინების მიმართ გამოიყენება, რომლებსაც არასპეციალისტები თავიანთ მეტყველებაში იყენებენ. ხდება მათ მიერ ახალი ცოდნის ათვისების პროცესი.

უნდა გამოვყოთ წმინდა ტერმინოლოგიური ფუნქციები. მეცნიერთა აზრი ტერმინების ფუნქციასთან მიმართებით განსხვავდება. ზოგი ფიქრობს, რომ ტერმინისთვის მნიშვნელოვანია ნომინაციური ფუნქცია (ვინოკური 1939; რეფორმატსკი 1986). სხვებისთვის მნიშვნელოვანია სიგნიფიკაციური ფუნქცია. ამასთან დაკავშირებით ვ.ლეიჩიკი აღნიშნავს, რომ ყველა ტერმინს როდი შეუძლია თანაბრად გამოხატოს ცნება, მაგრამ ყოველი ტერმინის მიღმა დგას სპეციალური ცნება (ლეიჩიკი 1989: 28). ტერმინი გამოხატავს სამეცნიერო ცნებას და თავისი არსით უნდა მკვეთრად განისაზღვროს მისი საზღვრები. ზოგიერთი მეცნიერი ხაზს უსვამს ტერმინის დეფინიციურ ფუნქციას (კაპანაძე 1965:54). დეფინიცია ეხმარება ერთი კლასიფიკაციის შიგნით ერთი ობიექტი მეორისაგან განასხვავოს. პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ტერმინოლოგიის მოწესრიგების შესახებ, გვიჩვენებს იმას, რომ არსებობს ტერმინების დიდი რაოდენობა, რომლებიც ფუნქციონირებენ ყოველგვარი დეფინიციის გარეშე, თუმცა ეს ხელს არ უშლის მათ გავრცელებას და გამოიყენებას სხვა ცნებების განსაზღვრისას (კანდელაკი 1977:45).

ზოგიერთი ლინგვისტი ფიქრობს, რომ მართებულია ვისაუბროთ ტერმინის მხოლოდ ერთიან ნომინაციურ-დეფინიციურ ფუნქციაზე, რადგანაც ტერმინები ასრულებენ იმ ნომინაციურ ფუნქციას, რომელიც სხვა სიტყვებსაც ახასიათებთ, მათგან კი [...] სამეცნიერო ცნებების განსაზღვრის ფუნქციით განსხვავდებიან (დანილენკო 1977: 7-8; კობრინი 1969: 63).

ტერმინები საერთო სიტყვებისაგან განსხვავდება. მათი გამოყენებისას არსებობს უამრავი მოთხოვნა. ეს მოთხოვნები უნდა განვასხვავოთ ტერმინების ნიშნებისაგან. შესაბამისი ლიტერატურის გაანალიზებით, გამოვყავით ის მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება აუცილებელ მოთხოვნებად ჩავთვალოთ. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ მონოსემანტიკურობა ტერმინის სემანტიკისთვის აუცილებელი პირობაა (კუტინა 1970:82). ზოგიერთი წერს, რომ ტერმინებისათვის არსებობს ნაწილობრივი მონოსემანტიკურობა ცოდნის ერთი სფეროს ფარგლებში (დანილენკო 1971:11; გრინევი 1993:35). სხვები კი ამტკიცებენ, რომ მონოსემანტიკურობა ტერმინის აუცილებელი თვისება არ არის (პროხოროვა 1981: 3).

ჩვენი აზრით, მეორე თვალსაზრისი უფრო თანმიმდევრულია, ვინაიდან ტერმინოლოგიაში არსებობს ტერმინი-სინონიმები და ომონიმები. მაგალითად: *ადვოკატი=ვექილი* ; *avocat=défenseur* ; *lawyer=attorney=barrister* და სხვა.

მეორე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა სისტემურობა. ტერმინმა შეძლებისდაგვარად, უნდა მიუთითოს ცნებებს შორის კავშირზე და დაგვეხმაროს განვსაზღვროთ მის მიერ გამოხატული ცნების ადგილი სხვა ცნებებს შორის. ტერმინის თვისებაზე მიუთითებდა დ. ლოტე: „სამეცნიერო ტერმინოლოგია უნდა წარმოადგენდეს არა უბრალო სიტყვების ერთობლიობას, არამედ სიტყვებისა და შესიტყვებების სისტემას, რომლებიც გარკვეულწილად ერთმანეთთანაა დაკავშირებული“ (ლოტე 1961: 72-73).

ამის დასტურად სამივე ენაში შეიძლება შემდეგი იურიდიული ტერმინები მოვიყვანოთ: *იურისტი*, *იურიდიული*, *იურისპრუდენცია*; *jurist-juristic-jurisprudence*; *juriste-juridique-jurisprudence* . ტერმინი მოდალურად, ექსპრესიულად და სტილისტურად ნეიტრალური უნდა იყოს. მაგალითად: *ვალდებულება-obligation-obligation*, *ორცოლიანობა-bigamy-bigamie*, *დავა-litigation-litige*, სტილისტურად აბსოლუტურად ნეიტრალურია და არ გააჩნია ექსპრესიულობა.

ზოგიერთი ავტორი ტერმინის ძირითად თვისებად სიზუსტეს, მნიშვნელობის განსაზღვრულობას მიიჩნევს. ეს მოთხოვნა შეიძლება გამოვრიცხოთ ტერმინის



არსებული განსაზღვრებებიდან. ასე მაგალითად, ა.რეფორმატსკი ტერმინებში სოციალურ სიტყვებს აერთიანებს, რომლებიც თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობით არის შეზღუდული: სიტყვები მონოსემანტურობისაკენ მისწრაფიან, როგორც საგნების ცნებებისა და სახელწოდებების ზუსტი გამოხატულება (რეფორმატსკი 1959:80). რ.ბუდაგოვი ტერმინებს განსაზღვრავს როგორც ისეთ სიტყვებს, რომლებსაც მკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობა აქვთ (ბუდაგოვი 1965:23). ჩვენი აზრით, ეს მოთხოვნა მნიშვნელობის მონოსემანტურობის მოთხოვნას ეხება და ამიტომ, ტერმინისათვის ის აუცილებელ მოთხოვნად შეიძლება არ ჩავთვალოთ.

ტერმინების მიმართ არსებობს ასევე სხვა მოთხოვნები: საყოველთაო აღიარება, სიმოკლე, დერივაციულობა, ლინგვისტური სიზუსტე, სტაბილურობა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

საყოველთაო აღიარება-ნიშნავს იმას, რომ ტერმინები უნდა გამოიყენებოდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში და არ უნდა ხდებოდეს მათი გამოგონება (პიგოლკინი 1968: 46).

ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციისა და მოწესრიგების ერთ-ერთ საშუალებას ინტერნაციონალიზმების ან კიდევ საერთაშორისო ბერძნულ-ლათინური ტერმინოლოგიური ელემენტების გამოყენება წარმოადგენს. მათი უპირატესობა ისაა, რომ ეს ტერმინები უფრო მოკლეა ქართულ ტერმინებთან შედარებით და ბერძნულ-ლათინური ტერმინოლოგიური ელემენტების წყალობით მათი გაგება შესაძლებელია ბევრი ევროპული ენის სისტემაში. მაგალითად: ქართულად *ალიმენტი*, ინგლისურად-*maintenance, alimony*; ფრანგულში-*pension alimentaire, aliments*; *უძრავი ქონება-immovable property-immobilier*; *საქორწინო კონტრაქტი-marriage contract-wedding contract-marriage settlement-contrat de mariage*. ენაში ერთსა და იმავე მნიშვნელობას გამოხატავენ, მათ აბსოლუტურ სინონიმებად განიხილავენ.

ტერმინი შეძლებისდაგვარად მოკლე უნდა იყოს, რადგანაც ეს უზრუნველყოფს მის დამახსოვრებას და ფართო გამოყენებას. ტერმინის

მრავალსიტყვაობა და სიდიდე სერიოზული ნაკლია, რადგანაც ის ენის ეკონომიის პრინციპს არღვევს. თუმცა სიმოკლის პრინციპი სისტემურობის პრინციპს ეწინააღმდეგება: რაც უფრო მეტი ნიშან-თვისებაა ასახული ტერმინში, მით უფრო სრულად გვამლევს წარმოდგენას ამ ცნების შესახებ, ამასთან ერთად ის ხდება მოუხერხებელი პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ჩვენს შემთხვევაში ინგლისურ და ფრანგულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში მოკლე სიტყვები გვაქვს. ქართულში კი შერეული. თუმცა მრავალსიტყვიანიც ბევრია, გააჩნია, სამართლის რომელ სფეროს მიეკუთვნება. ქართულ საოჯახო სამართალში გვაქვს მრავალი სიტყვისაგან შემდგარი ტერმინები. მაგალითად: *მეუღლეების ქორწინებამდე არსებული ქონება; ქორწინების ბათილად ცნობა; ქორწინების შემდეგ შექმნილი ქონება; მამობის პრეზუმფცია; თუმცა გვაქვს მოკლე ტერმინებიც: ქორწინება, უუნარობა; ინგლისურში გვაქვს: marriage; presumption of paternity; disability ; goods ; acquests ; annulment; ფრანგულში იგივე ტერმინები შემდეგი სიტყვებით გადმოიცემა: mariage ; aquêts ; biens ; annulation de mariage ; présomption de paternité ; invalidité და სხვა.*

ტერმინის დერივაციულობა ისაა, რომ ის უნდა იყოს მოსახერხებელი სხვა ახალი ტერმინების საწარმოებლად, ანუ მას უნდა ჰქონდეს სიტყვათწარმოების უნარი. ეს მოთხოვნილება სავალდებულოა ახალი ტერმინების შესაქმნელად, რაც შემდეგში ტერმინების სისტემურობას და სიმოკლეს უზრუნველყოფს. ტერმინის დერივაციულობა გულისხმობს ასევე იმას, რომ ის შეიძლება ერთფუძიანი ტერმინების წარმოსაქმნელად პროდუქტიული ბაზა გახდეს. ტერმინი *époux-épouse* აწარმოებს სიტყვათა ოჯახებს: *épouser-ქორწინება, გათხოვება; épousailles- ქორწილი; épousée-პატარძალი; épouseur-საქმრო.* ინგლისურში იმავე სიტყვებისათვის გვაქვს შემდეგი ტერმინები: *spouse; spouseless ; marry ; nuptials; married* და სხვა. თვალში საცემი ისაა, რომ ფრანგულში ერთი ფუძისგან წარმოქმნილი ტერმინები გვაქვს, ხოლო ინგლისურში თითქმის ყველა სიტყვა განსხვავებული ფუძისგან არის წარმოქმნილი.

ლინგვისტური სიზუსტის მოთხოვნის არსი ისაა, რომ ტერმინები უნდა შეესაბამებოდეს მოცემული ლიტერატურული ენის ნორმებსა და წესებს (ლექსიკურს, სიტყვათწარმოებითს, მორფოლოგიურს, ორთოგრაფიულს, სინტაქსურს, სტილისტურს).

ტერმინის სტაბილურობის მოთხოვნა ა.პიგოლკინმა ჩამოაყალიბა, რომელიც ამტკიცებს, რომ ტერმინოლოგია უნდა იყოს სტაბილური, დაუმუშავებელია უარი ვთქვათ ძველი, დამკვიდრებული ტერმინების გამოყენებაზე (პიგოლკინი 1968: 46). ალბათ, აქედან გამომდინარე ფრანგულ, ინგლისურ და ქართულ ენებში გამოიყენება ტერმინები: *lawyer ; offense ; maintenance ; alimony ; contract ; avocat ; délit ; aliments ; contrat*. ქართულში იყენებენ უცხოური წარმოშობის ტერმინებს: *ადვოკატი; დელიქტი; ალიმენტი; კონტრაქტი*. თუმცა, გვაქვს ასევე ქართული ეკვივალენტები. ესენია: *ვექილი; ხელშეკრულება; მსუბუქი დანაშაული*.

ჩატარებულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ ყველაზე დიდი მნიშვნელობა შემდეგ მოთხოვნებს ენიჭება: მონოსემანტიკურობა, სისტემურობა, მოდალურობა, ექსპრესიულობა, სტილისტური ნეიტრალურობა, სიზუსტე, მნიშვნელობათა განსაზღვრულობა. ისინი გათვლილია ტერმინთა გამოყენების ტიპურ სიტუაციაზე. თუმცა, არ შეიძლება დაგვავიწყდეს ტერმინის მიმართ დამატებითი მოთხოვნები, ვინაიდან ამ მოთხოვნათა შესაბამისობა არ ცვლის ტერმინოლოგიური ერთეულის შინაარსობრივ მხარეს, მხოლოდ საშუალებას გვაძლევს მეტი სიზუსტით გავმიჯნოთ ტერმინი არატერმინისაგან.

### 1.3 ცნება „სპეციალური ენა“ უცხოურ ენათმეცნიერებაში

ვ. ლეიჩიკი პირველი მეცნიერი იყო, ვინც დაიწყო ტერმინის დინამიკის კვლევა. მან აღნიშნა ის ფაქტი, რომ ტერმინი არ არის შეზღუდული თავის ფუნქციონირებაში. მისი განსაზღვრა შეიძლება სხვადასხვა თვისებით: 1.ენობრივი

ნიშნის თვისებით; 2.წარმოებული ერთეულის თვისებით; 3.ენის ერთეულის სპეციფიკური თვისებით. ამის მიხედვით, ტერმინი განისაზღვრება, როგორც დინამიკური ერთეული, რომელიც ბუნებრივი ენის ნიშნებს, ან კიდევ უკვე არსებული ლექსიკონის ნიშნებს იყენებს, რომელიც შემეცნებითი პროცესის საშუალება და შედეგია (ალექსევა, მიშლანოვა 2002: 40).

ტერმინის ტექსტში კვლევის ბუნება ტერმინოლოგიური კვლევის ჩარჩოებს ცდება, ვინაიდან დიდ მნიშვნელობას იძენს კითხვაზე პასუხის დროს, როგორი უნდა იყოს მეცნიერების, ტექნიკის, სამართლის ენა. ტექსტში ტერმინის კვლევა ხელს უწყობს ტერმინის კონტექსტზე დამოკიდებულების პრობლემის გადაწყვეტას. ადრე ფიქრობდნენ, რომ ტერმინი არაა დამოკიდებული კონტექსტზე და მისი გაგება ტექსტის გარეშე უნდა მოხდეს. თუმცა, ლ.ალექსევა სამართლიანად აღნიშნავს: „ტექსტი ერთგვარი პოლიგონია, სადაც მიმდინარეობს ტერმინოლოგიზაციის შესახებ არსებული სამუშაო და გამოიხატება ის კავშირი, რომელიც არსებობს ტერმინის წარმოქმნის საფუძველს და თავად ტერმინს შორის» (ალექსევა, მიშლანოვა 2002: 41).

იმ ცნებების ფორმირება, რომლებიც ტერმინს უკავშირდება, სპეციალური ცოდნის ჩამოყალიბების და განვითარების პროცესში ხორციელდება, ადამიანის საქმიანობის კონკრეტულ სამეცნიერო-ტექნიკურ და პროფესიულ სფეროებში. ტერმინი გამოხატავს სპეციალურ ცნებას. ის ინახავს და ატარებს ინფორმაციას, რომელსაც განსაკუთრებულ ცნებით სისტემაში თავისი ღირებულება გააჩნია.

ტერმინოლოგიური ინფორმაცია სემანტიკური ინფორმაციაა. ტერმინოლოგიური ინფორმაციის წყარო ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობა და საზოგადოებრივ-შემეცნებითი გამოცდილება ხდება. ამით აიხსნება ტერმინოლოგიური ინფორმაციის არსი, რომელშიც კონცენტრირებულია კოლექტიური პროფესიულ-სამეცნიერო მეხსიერება, რომელთა საბაზისო ერთეულად ცნებები გვევლინება. ზოგადენობრივი ინფორმაცია, რომელიც ადამიანთა ენობრივ შეგნებაში იბეჭდება და რომელიც ერთ ენობრივ კოლექტივს მიეკუთვნება, პროფესიულ-სამეცნიერო საქმიანობაში ასოციაციურ-ხატოვან გადააზრებას განიცდის, რითაც ტერმინოლოგიურ ინფორმაციად გარდაიქმნება. ასე მაგალითად, ზმნამ *to complaint-*

*se plaindre*-ჩივილი, დამდურება, წუხილი, ჭმუნვა, დრტვინვა, მიიღო ტერმინოლოგიური მნიშვნელობაც როგორც ინგლისურ ისე ფრანგულ ენაში და ნიშნავს *სასამართლოში ჩივილს*. სიტყვამ *complaint- plainte* ტერმინოლოგიური იურიდიული მნიშვნელობა მიიღო და *სარჩელს* ნიშნავს.

ტერმინოლოგიური ინფორმაცია „ობიექტების შესახებ ცოდნის საფუძველზე იქმნება, რომელთა კონდენსირება საყოველთაოდ ხმარებული სიტყვების მნიშვნელობაში ხდება„ (ვოლოდინა 2000: 23). ასე მაგალითად, სიტყვას *Family* აქვს როგორც ზოგადენობრივი, ისე ტერმინოლოგიური მნიშვნელობა 1. *a group of people who are related to each other, such as a mother, a father, and their children*. 2. *a large group of related types of animal or plant* (*Cambridge Advanced Learner's Dictionary*)- კემბრიჯის ლექსიკონის მიხედვით ტერმინი *ოჯახი* ნიშნავს: 1. ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. ესენია: დედა, მამა და მათი შვილები. 2. ცხოველთა და მცენარეთა ტიპების მონათესავე სახეობების დიდ ჯგუფს. ფრანგულში იგივე ტერმინის განსაზღვრება ასეთია: 1. *Groupe formé par le père, la mère et leurs enfants*. 2. *Ensemble de personnes unies par le sang*. 3. *Ensemble de choses unies par un point commun*. (*Le Petit Robert*)-რობერის მიხედვით: 1. ჯგუფია, რომელსაც ქმნის მამა, დედა და მათი შვილები; 2. სისხლით დაკავშირებული ადამიანების ერთობლიობა; 3. საგნების ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებულია საერთო მაიდენტის ფიცირებელი ნიშნებით.

თუკი ამ სიტყვას განვიხილავთ, როგორც იურიდიულ ტერმინს, მაშინ მისი შინაარსი შემდეგი ხასიათის იქნება: *La justice confond la famille (élargie et infinie), et le foyer nucléaire conjugal (parents + enfants). La famille n'est pas définie comme un groupe, mais comme un réseau flou (famille proche/éloignée) et infini d'individus liés par le sang et/ou le mariage, et plus ou moins liés par des droits et des devoirs mutuels. Le droit du sang est l'amalgame entre les liens du sang (arbre généalogique infini) et les liens sociaux (lien du sang = lien social). De même, la sexualité et les sentiments, puisque non légiférables, car relevant du domaine privé, ne peuvent définir la famille-მართლმსაჯულება ასხვავებს ოჯახს (ფართო და შეუზღუდავი მნიშვნელობით) და ჩვეულებრივ ოჯახს (მშობლები+შვილები). ოჯახი არაა განსაზღვრული როგორც ჯგუფი, არამედ ინდივიდთა ბუნდოვანი*

(ახლო/ შორეული სანათესაო) და უსასრულო ქსელი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სისხლით ან ქორწინებით და მეტ-ნაკლებად ერთმანეთის მიმართ უფლებებით და მოვალეობებით. სისხლით ნათესაობის უფლება არის სისხლით კავშირის ერთიანობა (უსასრულო გენეალოგიური ხე) და სოციალური კავშირები (სისხლით კავშირი=სოციალური კავშირი). ამგვარად, სექსუალურობის და გრძნობების მართვა კანონით შეუძლებელია, რადგანაც პირადულიდან გამომდინარეობს და არ შეუძლია ოჯახის განსაზღვრა.

ინგლისურში კი ტერმინი ოჯახი ასე განისაზღვრება: *Families can be the scenes of some of the greatest joys, as well as some of the greatest sadnesses, that life can bring...Human beings are social animals. They depend on others. Their family, or extended family, is the group on which many people most heavily depend, socially, emotionally and often financially. There comes a point at which, for some, prolonged and unavoidable separation from this group seriously inhibits their ability to live full and fulfilling lives-ოჯახები შეიძლება იყოს დიდი სიხარულის და დიდი მწუხარების ადგილი, რომელიც ცხოვრებას მოაქვს [...] ადამიანები სოციალური ცხოველები არიან. ისინი სხვებზე არიან დამოკიდებულნი. მათი ოჯახები ან გაფართოებული ოჯახები, ის ჯგუფია, ვისზეც ბევრი ადამიანი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოციალურად, ემოციურად და ხშირად ფინანსურად. დგება მომენტი, როდესაც ზოგიერთისათვის ამ ჯგუფისაგან ხანგრძლივი და უცილობელი მოშორება, იწვევს მისი უნარის შეზღუდვას იცხოვროს სრულყოფილი ცხოვრებით და განახორციელოს თავისი ოცნებები.*

ქართულ ენაში: ტერმინი ოჯახი თურქული წარმოშობისაა[...] თანამედროვე ქართულ ოჯახს სიყვარულის ნიადაგზე აღმოცენებული ქორწინება და ოჯახის წევრთა თანასწორობა უდევს საფუძვლად, რაც ქართული ოჯახის სიმტკიცის გარანტიას წარმოადგენს. ეს განპირობებულია ქართულ ოჯახში ისტორიულად ჩამოყალიბებული ზოგადსაკაცობრიო კულტურის ისეთი ელემენტების არსებობით, როგორცაა: სერიოზული დამოკიდებულება ოჯახის შექმნის საკითხისადმი, მშობლებისა და შვილების, ოჯახის სხვა წევრების მჭიდრო, მრავალმხრივი და

ტრადიციული კავშირი, ნათესაური გრძნობის სიძლიერე, განსაკუთრებული ზრუნვა ახალგაზრდა თაობის აღზრდისადმი (ჩიკვაშვილი 2004:46).

შეიძლება შევნიშნოთ, რომ ტერმინი „ოჯახის“, როგორც იურიდიული ტერმინის შინაარსი სამივე ენაში ოჯახის განსაზღვრებას ემთხვევა, რაც „მშობლებს და შვილებს“ გულისხმობს. თუმცა ფრანგულ საოჯახო სამართალში სიტყვას *famille* არა აქვს იურიდიული დეფინიცია სამოქალაქო კოდექსში. მას არ გააჩნია არავითარი იურიდიული და პოლიტიკური წარმომადგენლობითი ხასიათი.

ტერმინის არსი ისაა, რომ გადმოსცემს რა ზოგადენობრივ და სპეციალურ ინფორმაციას, როგორც წესი, ენობრივი და პროფესიულ-სამეცნიერო ცოდნის ერთეული ხდება.

ვინოგრადოვის აზრით „მეცნიერების ლექსიკურ შემადგენლობასა და ყოფას შორის მჭიდრო და პირდაპირი კავშირია. ყოველი მეცნიერება იწყება იმ შედეგებით, რომლებიც ხალხის აზროვნებითა და მეტყველებით არის მიღებული და შემდგომში თავისი განვითარებით ხალხის ენას არ სცილდება[...] (ვინოგრადოვი 1977: 106). ის ხაზს უსვამს, რომ დღემდე, ზუსტი მეცნიერებები საბაზისო ტერმინების სახით საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვებს იყენებენ.

სიტყვა-ტერმინის ინფორმაციული მოცულობა შეიძლება მისი ლექსიკური მნიშვნელობის აზრობრივ მოცულობას შევადაროთ, რომელიც თავისებურად მასზეა ორიენტირებული. ამასთან ერთად, კონკრეტულ ტერმინოლოგიურ ინფორმაციაზე მოთხოვნილება. პირდაპირ დამოკიდებულია კომუნიკაციურ სიტუაციაზე. კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა ინფორმაციის რეალიზება ხდება, რომელიც ტერმინის ცნებით-სემანტიკურ სტრუქტურაშია ჩადებული, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ობიექტის კომუნიკაციურ-რელევანტურ ნიშანთან. ერთი მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალიტი ან არასპეციალისტი შესაბამისს პროფესიულ-სამეცნიერო სფეროში, ერთსა და იმავე ტერმინს განსხვავებული ინფორმაციული მოცულობით აღიქვამს. კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციაში აუცილებელი ტერმინოლოგიური ინფორმაცია ადეკვატურად აღიქმება სპეციალური კონტექსტის

მეშვეობით (ვოლოდინა 2000:40). მაგალითად, ფრანგული სიტყვა *auxiliaire-დამხმარე*, სამართლის ენაში იღებს მნიშვნელობას *სასამართლოს საქმის წარმოების დამხმარე პერსონალი* ანუ *auxiliaires de la justice*, ინგლისურში მას შეესაბამება *barrister, registrars, bailiffs, attorney, solicitors, valuers, liquidators, law officers*. კონტექსტის მიხედვით გასაგები ხდება ამ ტერმინის მნიშვნელობა.

ცნება „სპეციალური ენა“ და მისი ლინგვისტური ბუნება დიდი ხანია ენათმეცნიერებაში დამკვიდრდა. ამ სფეროში პირველი ნაშრომები უცხოურ ლინგვისტიკაში XIX საუკუნეში გამოქვეყნდა. თუმცა ამ მოვლენის პირველი თეორიული ნაშრომი ლინგვისტიკაში XX საუკუნეში გაჩნდა. ეს დაკავშირებული იყო მეცნიერებისა და ტექნიკის ინტენსიურ განვითარებასთან, რომლის შედეგი ენობრივი საშუალებების გამოყენება იყო, რომელთაც ექნებოდა უნარი სამეცნიერო ცნებები ზუსტად გამოეხატა. ტერმინი „სპეციალური ენა“ ლინგვისტიკაში პრადის ლინგვისტური წრის წარმომადგენლებმა დაამკვიდრეს. მათ წარმოდგენაში ენა იყო ნიშანთა სისტემა, რომლისთვისაც მთავარია ენობრივი ფუნქციის ცნება. ლინგვისტურ ანალიზს ფუნქციურად უდგებოდნენ, რადგანაც ენას მათი აზრით, მიზანმიმართული მიმართულება აქვს (გრიშენკოვა 2006:41).

მათ გამოავლინეს ნაციონალური ენების სახესხვაობების სპეციფიკა და დაადგინეს, რომ ცალკეული ფუნქციური სახესხვაობების შედარება არ შეიძლება. ამან საშუალება მოგვცა გვესაუბრა „ფუნქციურ“ ანუ „სპეციალურ“ ენებზე. პრადის სკოლის წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ სპეციალური ენები ორი ტიპის ელემენტისაგან შედგება: მუდმივი და პოტენციური ელემენტებისაგან. მუდმივს განეკუთვნება ტერმინები და ფორმულები, რომლებიც სხვა ელემენტების მეშვეობითაა გაერთიანებული და ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ, როგორც სპეციალურ, ისე არასპეციალურ ენებს.

სპეციალური ენის ძირითადი ამოცანაა, სიტყვების გამოყენება საგნებისა და მოვლენების დეფინიციისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დეფინიციები უნდა იყოს ზუსტი და ეკონომიური. ამიტომ, სპეციალური ენები შეიძლება განვიხილოთ, როგორც გამოყენებითი დანიშნულების ენობრივი სისტემები. ასე უდგება ამ საკითხს



პრადის ლინგვისტური სკოლა. მათი გაგებით, „სპეციალური ენა“ შედგება საგნობრივ-პრაქტიკული და სამეცნიერო-თეორიული შრეებისაგან. ასეთი დეფინიცია არაა სრული, ვინაიდან სპეციალური ენები არსებობს არა მხოლოდ წერითი, არამედ ზეპირი ფორმითაც. ამგვარად, უნდა გავითვალისწინოთ ფუნქციურ-სტილისტური ასპექტიც. ყველა ეს ფაქტორი გააერთიანა ე. ბარტმა თავის თეორიაში სპეციალური ენების შესახებ. ის პროფესიულ ენას განიხილავს, როგორც ენობრივი სისტემის ტიპურ რეალიზაციას (ბარტი 1970: 211).

ეს სისტემა არსებობს არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ სოციალური წესებითაც. თუმცა ეს თეორია სადავოა, რადგანაც ძირითადი აქცენტი ლექსიკის სოციალურ ბუნებაზე კეთდება, თუმცა არ ხსნის, რითია განპირობებული ლექსიკური და სინტაქსური საშუალებების შერჩევა.

თანამედროვე ლინგვისტიკაში, დღეს, არსებობს რამდენიმე ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ტერმინი: „სპეციალური ენა“, „სპეციალური სფეროს ენა“, „სუბენა“, „სპეციალური დანიშნულების ენა“ და სხვა.

ა. სუპერანსკაია, ნ. პოდოლსკაია, ნ. ვასილევა „სპეციალურ ენას“ განიხილავენ, როგორც ხელოვნურად კულტივირებულს, თემატურად ორგანიზებულ სპეციალიზირებული ენობრივი საშუალებების ერთობლიობას, რომელიც მოცულობით ნაციონალურ ენაზე პატარაა და მასზეა დამოკიდებული (სუპერანსკაია, პოდოლსკაია, ვასილევა 2003: 8). სპეციალური ენის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ მასში გაერთიანებული ლექსიკური ერთეულები არაერთგვაროვანია, როგორც წარმოშობით, ისე კატეგორიების მიხედვით, რომლებსაც ისინი განეკუთვნებიან. ეს შეიძლება იყოს არსებული სფეროს სპეციალიზირებული და სხვა მეცნიერების ტერმინები, რომელთა გამოყენება თემატურად მოცემულ სფეროსთან მიმართებით შეზღუდულია, ასევე საკუთარი სახელები.

სპეციალური დანიშნულების ენა იმავე ნაციონალურ ენად რჩება, მხოლოდ კონკრეტულ პროფესიულ პირობებში ის შინაარსობრივად იცვლება მონოთემატური

ცოდნის სფეროსა და კომუნიკაციის საგნის შესაბამისად[...]მდიდრდება სპეციალური სიტყვებითა და გამოთქმებით, რომელთა გამოყენება იმავე აუცილებელ პროფესიონალიზმს, ანუ კომპეტენტურობას გულისხმობს (დანილენკო 1996: 138).

ამგვარად, სპეციალური დანიშნულების ენები თანამედროვე განვითარებული ნაციონალური ენების სახესხვაობებს წარმოადგენს და ამ ენების საფუძველზე იქმნება, იძენენ რა ზოგიერთ სპეციფიკურ ნიშნებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს, რომ პროფესიული კომუნიკაციის სფეროებს მოემსახუროს (ლეიჩიკი 1989: 12-13).

იმისათვის, რომ აღნიშნათ ცნება „სპეციალური ენა“ ინგლისურენოვან ლინგვისტურ ტრადიციაში XX საუკუნის 70-იან წლებში, გაჩნდა ტერმინი *languages for special purposes (LSP)*, ენები სპეციალური მიზნებისათვის, რომელიც ყველა სპეციალური ენის ერთობლიობას აღნიშნავს, ხოლო საფრანგეთში *FOS-Français sur objectifs spécifiques*<sup>3</sup>. სპეციალურ მიზნებში იგულისხმება საზოგადოებრივი ურთიერთობის სპეციალური სფეროები (მეცნიერება, ხელოვნება, სამართალი, ეკონომიკა, მედიცინა და სხვა (ჰოფმანი 1987: 168).

სპეციალობის ენა სპეციალურ ტერმინებს, თვით არაენობრივ სიმბოლოებსაც იყენებს იმ წინადადებებში, რომლებშიც მობილიზებულია ჩვეულებრივი ენის ბუნებრივი რესურსები, რათა გათვალისწინებულ იქნას ტექნიკურად სპეციალური ცოდნა. ფორმულირების უნარი იცვლება კომუნიკაციის მოთხოვნების მიხედვით. ამ უკანასკნელს შეუძლია მიგვიყვანოს იმ ენების შეზღუდულ გამოყენებამდე, რომლებსაც საერთაშორისო დონეზე არ გააჩნიათ „სამუშაო ენის“ სტატუსი. უნდა ვაღიაროთ, რომ „სპეციალური ენა“ პირველ რიგში, არის პროფესიული გამოყენების ენა (სპეციალური ენა-პრადის სკოლის ტერმინოლოგიით), თავად ენა ავტონომიური სისტემაა მთავარი ფუნქციის სამსახურში, რომელიც ცოდნის გადაცემას გულისხმობს.

---

<sup>3</sup> ჩანართი ჩვენია.

3. ლერა ამბობს, რომ „სპეციალური ენა“ ქვესისტემა კი არა[...], არამედ, მისი დეფინიციაა. როგორც ის თავად ამბობს, პრაგმატულია: «[...] (სპეციალური ენა) ბუნებრივი ენაა, რომელიც განიხილება როგორც სპეციალური ცოდნის ვექტორი. „სპეციალური ენა“ ერთგვარი კოდია, შექმნილია იმისათვის, რომ გააადვილოს ერთ სფეროში მომუშავე ადამიანებს შორის კომუნიკაცია[...], გრამატიკისა და ლექსიკური მარაგის იმავე ნორმების გარდა, ის იყენებს მოცემული სპეციალობის განსაკუთრებულ ტერმინოლოგიას (ლერა 1995:20). ამ კონტექსტში ჩვენ ყურადღებას სამართლის ენის სფეროზე გავამახვილებთ.

სამართალი არის ხანგრძლივი და ზოგჯერ ნელი ევოლუციის შედეგი. ის არის სოციალური წესრიგის ზოგიერთი კონცეფციის ანარეკლი. ამგვარად, ეს კონცეფცია იცვლება ერთი ქვეყნიდან მეორეში სხვადასხვა მიზეზის გამო, რომელიც მხოლოდ გეოგრაფიულს არ უკავშირდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სივრცის ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. პრობლემის არსი შემდეგ საკითხებშია: შეიძლება თუ არა ვისაუბროთ საერთო იურიდიულ სივრცეზე, როგორც საერთო ბაზარზე საუბრობენ? აღნიშნავს თუ არა ერთსა და იმავეს სპეციალური ტერმინები თითოეულ ქვეყანაში? ლინგვისტური ეკვივალენტი ყოველთვის უტოლდება იურიდიულ ეკვივალენტს, თუკი გავითვალისწინებთ არსებულ სივრცეს? სამართლის ენა გამოხატავს ცნებებს, ინსტიტუტებს და პროცედურებს, რომლებიც ამა თუ იმ ენას და კულტურას მიეკუთვნება, ამიტომ, რომ არ შეიძლება, არსებობდეს ყველა ქვეყნისთვის საერთო სამართლებრივი სისტემა.

«სპეციალური ენა-ყველა ენობრივი ერთეულის ერთობლიობაა, რომელიც სპეციალურ შეზღუდულ კომუნიკაციურ სფეროში იმ მიზნით გამოიყენება, რომ ურთიერთაგაგებას მივაღწიოთ ერთ სფეროში მომუშავე სპეციალისტებს შორის. ტერმინოლოგია, როგორც ნებისმიერი სპეციალური ენის ინფორმაციის მთავარი მატარებელი, შეიძლება განსაზღვრულ იქნას, როგორც ლექსემათა ერთობლიობა, რომელთა სიგნიფიკატები მოცემულ პროფესიულ სფეროში სისტემის შემქმნელ ცნებებზე გვევლინება (ჰოფმანი 1987: 170).

ენობრივი საშუალებების ერთობლიობაში ლ.ჰოფმანი გულისხმობს არა მხოლოდ ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და ლექსიკურ ელემენტებს და სინტაქსის წესებს, არამედ მათ ფუნქციურ ურთიერთქმედებას ნებისმიერი შესაძლო კომუნიკაციური აქტის დროს. ასეთ საშუალებებს მიეკუთვნება ყველა დონის ისეთი ელემენტები, როგორებიცაა ბგერები, წინადადებები, სტილისტური ხერხები, ტექსტის შექმნის მექანიზმები და ა.შ. ყველა ზემოხსენებული საშუალება საერთო ენას განეკუთვნება, თუმცა სპეციალურ ენებში ფუნქციურ ერთობლიობას ქმნის.

ლ. ჰოფმანმა ჩაატარა სხვადასხვა სპეციალური ენის ანალიზი და მოცემული ენობრივი ერთეულები სამ კლასად დააჯგუფა:

1. ენობრივი ერთეულები, რომლებიც ყველა სუბენაში გვხვდება;
2. ენობრივი საშუალებები, რომლებიც ყველა სპეციალურ ენაში გვხვდება;
3. ენობრივი საშუალებები, რომლებიც მხოლოდ ერთ სპეციალურ ენაში გვხვდება (ჰოფმანი 1987: 53-54).

ტ.ლევანდოვსკის რედაქციით შედგენილი ლინგვისტური ლექსიკონი სპეციალურ ენას განსაზღვრავს, როგორც პროფესიულ ენას, რომელიც სასაუბრო და საყოველთაოდ ხმარებული ლექსიკისაგან სპეციალური ლექსიკური მარაგით განსხვავდება და პრაქტიკულ მოთხოვნებს პასუხობს. სპეციალური ლექსიკური მარაგით შეიძლება აღვნიშნოთ არა მარტო საგნები, არამედ ასევე შესაბამისი სპეციალური საქმიანი სფეროს პროცესებიც (ლევანდოვსკი, ციტირებულია გრიშენკოვას მიერ 2006: 46).

ლინგვისტური ლიტერატურის ანალიზი მოცემულ პრობლემატიკის შესახებ საშუალებას იძლევა გამოვყოთ სპეციალური ენის შემდეგი არსებითი ნიშან-თვისებები:

1. განსაზღვრულ სამეცნიერო სფეროსთან მჭიდრო კავშირი;
2. ენობრივი ერთეულების სპეციალური ერთობლიობა;

3. კონკრეტული სამეცნიერო მოთხოვნებით საერთო ენის ლინგვისტური საშუალებების შერჩევა და გამოყენება სპეციალური ენის ფარგლებში;
4. სწრაფვა, რომ დაცულ იქნას საერთო ენის ნორმები მორფოლოგიის, ლექსიკის, სინტაქსის და ტექსტის სტრუქტურის სფეროში;
5. სპეციალური ენების ინტერრეგიონალური თავისებურებები;
6. წერითი და ზეპირი ფორმების არსებობა.

სპეციალური ენა იყენებს საერთო ენის ელემენტებს, თუმცა მის ბირთვს ტერმინოლოგია შეადგენს, რომელიც საერთო ენაში არ გამოიყენება.

#### 1.4. ტერმინი როგორც პროფესიული კომუნიკაციის ელემენტი

სპეციალური ენის განვითარების ტენდენცია უმეტესად განპირობებულია ტერმინოლოგიის თავისებურებებითა და განვითარების დონით, რომლებიც მათ სემანტიკურ ბირთვს ქმნის, თუმცა მხოლოდ ტერმინოლოგიური თავისებურებებით არ ამოიწურება ეს საკითხი. ნებისმიერი ენის ძირითადი ფუნქციით თუ ვიმსჯელებთ, [...] პროფესიული ურთიერთობის ენა [...], ბევრ შემთხვევაში მოცემულ სფეროში განვითარების იმ ტენდენციებს გაიმეორებს, რასაც ის ემსახურება. კავერბუხი სპეციალური ენის განვითარების 5 ტენდენციას გამოყოფს: ინტეგრაცია, დიფერენციაცია, ინტერნაციონალიზაცია, უნიფიკაცია, ეკონომია (ავერბუხი 2004: 27-47).

თანამედროვე მეცნიერების განვითარების არსი სამეცნიერო ცოდნის ინტეგრაციას და მასთან დაკავშირებული მრავალი სამეცნიერო დისციპლინის დაახლოებას განსაზღვრავს. ყველაზე საინტერესო და აქტუალური სამეცნიერო პრობლემები ჩნდება ორი ან მეტი მეცნიერების შესაყარზე. ასე ხდება, სამეცნიერო ცოდნის ინტეგრირება. ენის სფეროში ამის უშუალო ასახვა იმით ხდება, რომ

სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის ყველაზე აქტიური კონტაქტების ადგილას მათი ენები ერთმანეთს უახლოვდება. იყენებენ არა მარტო ამ თუ იმ მეცნიერების ტერმინოლოგიას, არამედ ისინი ერთმანეთს ავსებენ, ასევე ახალ სპეციფიკურ ტერმინებს წარმოქნილი კომპლექსური პრობლემისათვის ქმნიან. ამგვარად, სამეცნიერო დისციპლინების ინტეგრაცია ენათა ინტეგრაციას იწვევს. ინტეგრაციის პროცესები სამართალის ენასაც შეეხო.

სამართალი, მუდმივად ცოდნის მრავალი სფეროს ზეგავლენას განიცდის, თუმცა ყველაზე მეტი თანამშრომლობა სამართლის ენასა და ეკონომიკის ენას შორის არსებობს. ეკონომიკური საქმიანობა სამართლებრივ ჩარჩოში ხორციელდება, ამიტომ ზოგიერთი იურუდიული ტერმინი უშუალოდაა დაკავშირებული ეკონომიკის ენასთან, კერძოდ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეკონომიკური ტერმინი. მაგალითად: *loan-prêt-სესხი; contract-contract of service, contract of employment-contrat de travail-შრომითი ხელშეკრულება; annuity-rente-რენტა; mortgage, bond, pledge-hypothèque-იპოთეკა; redemption-rachat-ყიდვა, შესყიდვა; acceptance-acceptation-აქცეპტი; émission-issue, issuing, drawing-ემისია* და სხვა.

ამ ტერმინების არსებობა ეკონომიკისა და სამართლის ენების ლექსიკონებში სპეციალური აღნიშვნებითაა მოცემული. ტერმინები *აქცეპტი, იპოთეკა, ემისია* ერთდროულად არის როგორც ეკონომიკური, ისე სამართლის ტერმინები. მეცნიერებაში დიფერენციაცია ძირითადად ჩნდება იმ დროს, როდესაც სამეცნიერო დისციპლინების კონტაქტის ადგილებში ახალი მეცნიერებები გაჩნდა, როგორებიცაა: მათემატიკური ლინგვისტიკა, ბიონიკა<sup>4</sup>, გენეტიკა, კიბერნეტიკა და ა.შ. კომუნიკაციის სფეროში მისი რეალიზება ახალი ენების წარმოქმნით ხორციელდება, რომლებსაც მათთვის დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნია.

<sup>4</sup> ბიონიკა-მეცნიერებაა, რომელიც იკვლევს მცენარეებსა და ცხოველებში ტექნიკური რეალიზაციის მოდელებს. ის ეფუძნება ბიოლოგიური სისტემების კვლევას (კერძოდ, ბიომექანიკური) რათა განავითაროს ბიომიმეტიკა, (ინჟინერიის და ინოვაციის პროცესი) არაბიოლოგიური სისტემები, რომლებიც ტექნოლოგიური დანიშნულებით შეიძლება იქნას გამოყენებული <https://fr.wikipedia.org/wiki/Bionique>, (19.10.2017).

ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით შეიძლება ორი ასპექტი გამოვყოთ: 1.თავად ინტერნაციონალიზირებული, რომელიც ნომინაციის ერთეულების ფონდის შექმნასა და ათვისებასთანაა დაკავშირებული და რომელიც სხვადასხვა ნაციონალურ ენაში სპეციალური ცნებების ნომინაციის ერთეულებზე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს; 2.ინტერლინგვისტური, რომლის პლანში ხელოვნური ენების შესაქმნელად მუშაობა მიმდინარეობს. ის მოწოდებულია, რომ პროფესიული კომუნიკაციის პრობლემები საერთაშორისო დონეზე გადაწყვიტოს.

დღეს, სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის, ტექნიკისა და ინტელექტუალური საქმიანობის სხვადასხვა სფეროს არათანაბარი განვითარების პირობებში სხვადასხვა ქვეყანაში ისე ხდება, რომ ესა თუ ის სახელმწიფო, რომელსაც პრიორიტეტული ადგილი უჭირავს მოცემულ სფეროში, ინფორმაციას ამის შესახებ თავის ნაციონალურ ენაზე ავრცელებს, რაც ხელს უწყობს ამ ენის ტერმინების შეღწევას სხვა ენებში.

ინტერნაციონალიზაციის პროცესი ქართული, ინგლისური და ფრანგული სამართლის ენებში თავისებურად წარიმართა. ფრანგული სამართლის ენამ დიდი ზეგავლენა მოხდინა ინგლისური სამართლის ენაზე. ქართულში გვაქვს საერთაშორისო ტერმინები, თუმცა გვაქვს სუფთა ქართული სიტყვებიც. მაგალითად: *barrister, counsel, advocate, lawyer- ადვოკატი, ვეჟილი; ალიმენტო- maintenance; alimony- pension alimentaire; acceptance-acceptation- აქცეპტი და სხვა.*

იმ ფაქტმა, რომ ტერმინები საგნებისა და მოვლენების სპეციალური, პროფესიული საქმიანობის სახელდების ერთეულებია და ინფორმაციის უშუალო ინსტრუმენტებს წარმოადგენენ, მათ მიმართ მოთხოვნები გაზარდა. პირველ რიგში, მათი სიზუსტისა და მონოსემანტიკურობისადმი. კ.ავერბუხის აზრით (2004), ტერმინოლოგიური უნიფიკაციის მიღწევა სამის სახის საქმიანობის შედეგადაა შესაძლებელი: ტერმინოგრაფიის მეშვეობით, როდესაც სხვადასხვა ტერმინთა ლექსიკონი იქმნება; სამეცნიერო ტერმინოლოგიის მოწესრიგებით, რომლის შედეგადაც ეგრეთწოდებული რეკომენდებული ტერმინების კრებულები ჩნდება და სამრეწველო-ტექნიკური ტერმინოლოგიის სტანდარტიზაციით, რომლის

პროდუქტია მრავალრიცხოვანი ტერმინოლოგიური სტანდარტის შექმნა. თუ განვიხილავთ ყველა ჩამოთვლილ პროდუქტს, ტერმინების უნიფიცირებას გენეტიკურ ასპექტში, მაშინ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ყველა დასახელებული სახეობა, არსებითად, ტერმინოგრაფიის პროდუქტებია, ან კიდევ ტერმინების ლექსიკონის სახესხვაობას წარმოადგენს.

პროფესიული ურთიერთობის ენა მუდმივად მიისწრაფვის კომპაქტურობისაკენ, რაც ეკონომიის კანონის ჭეშმარიტებას ადასტურებს. კაცობრიობამ ხერხებისა და რაციონალური მეთოდების მთელი არსენალი შეიმუშავა, რომელიც საშუალებას გვაძლევს არსებითად შევამციროთ დრო და ადგილი, რაც მიღებული ინფორმაციის მიღებასა და აღქმაზე იხარჯება. კომპრესიის მეთოდებსა და ხერხებს მიეკუთვნება ტერმინების სინტაქსური შეკუმშვის მეთოდები (ელიფსი, აბრევიაცია, სიმბოლოების ხერხებით შეკვეცა), სპეციალურ ტექსტებში ენობრივ სისტემებთან ერთად არაენობრივი ნომინაციის ხერხების შემოყვანა, მაგალითად, ქიმიურ ტექსტებში ფუნქციონირებს ფორმულები, კომპაქტურობის ხერხებს შორის სემანტიკურად დატვირთულია გრაფიკული ინფორმაცია: სქემები, ნახაზები, გრაფიკული გამოსახულებები, რომლებიც შეტყობინების ფიზიკური განფენილობის ეკონომიურ ეფექტს, ასევე აღქმის უბრალოებას და თვალსაჩინოებას უზრუნველყოფენ.

ეკონომიის კანონის მოქმედება სამართლის ენაში შეიძლება აბრევიაციის მაგალითებზე განვიხილოთ. აბრევიაციას უმეტესად ნორმატიული აქტები და სამართლებრივი აქტები განიცდის. მაგალითად, ინგლისური აბრევიატურებია: *ABLE-Advocates for Basic Legal Equality- ადვოკატები ფუნდამენტური იურიდიული თანასწორობისათვის*; *All ER-All England Law Reports -ინგლისის სამართლის ყველა ანგარიში*; *CentCrimCt-Central Criminal Court- სისხლის სამართლის ცენტრალური სასამართლო*; *EWCA Civ-Court of Appeal of England and Wales-ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლო*; *EWHC (Fam)-High Court of England and Wales Decisions;- ინგლისისა და უელსის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებები*; *Adv.-*



ადვოკატი; *hcoj-high council of justice-სააპელაციო სასამართლო; Civ.Law-სამოქალაქო სამართალი* და სხვა.

ფრანგული შემოკლებებია: *BLD-Bulletin législatif Dalloz-დალოსის საკანონმდებლო ბიულეტენი; CA-Cour d'appel-სააპელაციო სასამართლო; TI-Tribunal d'instance-პირველი ინსტანციის სასამართლო; C. fam.-Code de la famille-საოჯახო კოდექსი; JAM-Juge aux affaires matrimoniales-საოჯახო საქმეების მოსამართლე; NCPC-Nouveau Code de procédure civile-ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.*

ქართული შემოკლებებიდან შეიძლება დავასახელოთ: *სსკ-სისხლის სამართლის კოდექსი; სსსკ-სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; სკ-სამოქალაქო კოდექსი; სსკ-სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; მუხ.-მუხლი; სსმ-საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; სსიპ-საჯარო სამართლის იურიდიული პირი და სხვა.* ქართული სამართლის ენა არც ისე ხშირად მიმართავს შემოკლებებს, როგორც ეს გვხვდება ინგლისურ და ფრანგულ ენებში.

დღეს, ტერმინოლოგია სხვადასხვა მიმართულებით ინტენსიურად ვითარდება (ონომასიოლოგიური, ტიპოლოგიური, შეპირისპირებითი, კოგნიტიურ-კომუნიკაციური) (ვოლოდინა 2000: 23).

ტიპოლოგიური და კომპარატივისტული მიმართულება შედარებით-ისტორიული (დიაქრონული ან ბერძნულ-ლათინური) მიმართულებიდან მომდინარეობს. ეს მიმართულებები ცდილობს სხვადასხვა ტერმინოლოგიური სისტემის პარამეტრები, სპეციფიკური ნიშან-თვისებები აღწეროს და ერთმანეთს შეადაროს.

კოგნიტიურ-კომუნიკაციური მიმართულება ტერმინოლოგიაში მჭიდროდ არის დაკავშირებული ონომასიოლოგიურთან, ვინაიდან: „თანამედროვე თვალსაზრისით ონომასიოლოგიური მიმართულება განხილულ უნდა იქნას, როგორც კოგნიტივიზმის საკმარისად ადრეული ვერსია“ (კუბრიაკოვა 1997:15). კოგნიტიურ-კომუნიკაციური პერსპექტივა საშუალებას აძლევს ტერმინოლოგიას

მრავალი ისეთი საკითხი მოიცვას, რომელსაც ადრე არ იხილავდნენ. კერძოდ, ნომინაციის დროს ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ კავშირს.

კოგნიტიურ-კომუნიკაციური ტერმინოლოგიისათვის ნაყოფიერი აღმოჩნდა კოგნიტიური მეცნიერების იდეები, რომლებმაც ჭეშმარიტად გლობალური ამოცანები დაისახა და მათ გადაწყვეტაში ლინგვისტები ჩართო, რომლებსაც თეორიული ლინგვისტიკის მიზნების და მისი მეთოდოლოგიური საფუძვლების გადახედვა და ადამიანის შემეცნებით საკითხებში თავად ენის და მისი როლის გაგებაც დასჭირდათ (კუბრიაკოვა 2002: 13).

თანამედროვე ენათმეცნიერება XX საუკუნის ბოლო ორი ათი წლის განმავლობაში, ენას იკვლევს. კონცეპტუალური და ლინგვისტური სტრუქტურების შექმნისას კოგნიტიურ მექანიზმებს ითვალისწინებს, აკავშირებს მათ ფუნქციონირების თავისებურებებთან ტექსტსა და დისკურსში, განიხილავს მოსაუბრე სუბიექტის უშუალო როლს, კომუნიკაციის სოციოკულტურულ და პრაგმატულ ფაქტორებს. ენის კვლევის მსგავსა რაკურსმა არსებითად იმოქმედა მეტალინგვისტური აპარატის, თეორიული პრინციპების და კოგნიტიური ლინგვისტიკის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებაზე (მანერკო 2003:123].

ლ. მანერკო კვლევის რამდენიმე ეტაპს გამოყოფს:

1. დისკურსის სამეცნიერო სახე პროცესუალური, ქმედითი და დინამიკური მოვლენაა. თანამედროვე გამოკვლევები ენაში ეყრდნობა ცნებას „ტექსტი“ და „დისკურსი“. კოგნიტიურ-კომუნიკაციური პარადიგმის პოზიციიდან მოცემული ცნებები კოგნიტიურ საქმიანობას და მის შედეგს უპირისპირდება. ეს კოგნიტიური პროცესია, რომელიც დაკავშირებულია რეალურ მეტყველებასთან, ტექსტი კი სამეტყველო საქმიანობის საბოლოო შედეგია და განსაზღვრულ დასრულებულ დაფიქსირებულ ფორმაში ვლინდება (კუბრიაკოვა 1997: 54).

2. ტერმინოლოგიის აღწერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ტერმინების ერთობლიობა, რომელთა სისტემურობა ექსტრალინგვისტურად განისაზღვრება, ანუ ცოდნის განსაზღვრული სფეროსადმი მიკუთვნებით. მეცნიერების

სტრუქტურირების პრინციპები ტერმინოლოგიის შიდა სტრუქტურაზე, ხოლო მსგავსი წესრიგი სპეციალური ტერმინოლოგიური სისტემების არსებობაზე მიუთითებს. ტერმინოლოგიური სისტემების გაფორმებაზე ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი-კატეგორიზაცია და კონცეპტუალიზაცია ზემოქმედებს. ისინი მაკლასიფიცირებელ საქმიანობას წარმოადგენენ, თუმცა ერთმანეთისაგან საბოლოო შედეგითა და მიზნით განსხვავდებიან. კონცეპტუალიზაციის პროცესი ადამიანის გამოცდილების მინიმალური შინაარსობრივი ერთეულების, ცოდნის სტრუქტურების გამოყოფისაკენაა მიმართული, ხოლო კატეგორიზაციის პროცესი კი მსგავსი და იდენტური ერთეულების უფრო მსხვილ კატეგორიებში გაერთიანებისაკენაა მიმართული (ბოლდირევი 2000: 22-23).

3. ტერმინოლოგიური სისტემის შიდა სტრუქტურა და მისი ქვესისტემები დონეების მიხედვით არსებული ურთიერთობის გამოყოფით განსხვავდება (სახეობის და გვარის, ინკლუზიური, ნაწილობრივი, მიზეზ-შედეგობრივი, სუბიექტურ-ობიექტური და სხვა). მსგავსი ურთიერთობები სპეციალური ცნებებისა და ერთეულების მკაცრ წესრიგზე მეტყველებს, რომლებიც მათ საფუძველზე, ტერმინოლოგიური სისტემის შიგნითაა გამოყოფილი.

4. ზოგიერთი სისტემა ნომინაციური ბირთვით განსხვავდება, რომელშიც ძირითად დატვირთვას მხოლოდ არსებითი სახელების განსაზღვრული სიტყვაწარმოებითი და ფრაზეოლოგიური მოდელები იღებს. მსგავსს ტერმინოლოგიურ სისტემებს შორის ხდება თანამედროვე ტექნიკის ენაც, კომპიუტერული და გამომთვლელი ტერმინოლოგია, პროგრამირების ტერმინოლოგია და ცოდნის ზოგიერთი სხვა სპეციალური სფეროები.

ტერმინის ძირითადი ამოცანა ისაა, რომ პროფესიულ-სამეცნიერო კომუნიკაციის ოპტიმიზაცია მოახდინოს. ამის შესაბამისად ტერმინები ზუსტად უნდა ასახავდნენ ადამიანთა გამოცდილებისა და პრაქტიკული საქმიანობის შედეგებს, აფიქსირებდნენ პროფესიულ-სამეცნიერო ცოდნას ტერმინით გამოხატული ობიექტების თვისებების შესახებ და შლიდნენ მათ არსებით მახასიათებლებს. როგორც ცნობილია, ახალი ცნებები ენის საშუალებებით უკვე

არსებული ცნებების საფუძველზე ფორმირდება, ხოლო ტერმინოლოგიური ინფორმაციის არსი ისაა, რომ ერთი ობიექტი მეორე ობიექტის შესახებ ინფორმაციას შეიცავს. ტერმინში ასეთი ტიპის ინფორმაცია არც თუ ისე იშვიათად ფიქსირდება „მოლაპარაკე“ ტერმინოლოგიური ელემენტის შიდა ფორმით, რომელიც შესაბამის ინფორმაციას ატარებს. ტერმინის შიდა ფორმის ინფორმაციულობა პირდაპირაა დამოკიდებული კომუნიკაციურ სიტუაციაზე, ვინაიდან მიღების პროცესი შიდა ფორმის აღქმის პროცესსაც წარმოადგენს, რომელიც შეტყობინებაში დევს (ვოლოდინა 2000: 33). იმისათვის, რომ პროფესიულ-სამეცნიერო კომუნიკაციის ოპტიმიზაცია მოხდეს, აუცილებელია მოტივირებული ტერმინების ფორმირება, რომელშიც გათვლილია სემანტიკა, სპეციალიზირებული ინფორმაციულად დატვირთული ტერმინოლოგიური ელემენტების გამოყენებით. დ.ლოტეს განმარტებით: „დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ტერმინოლოგიური ელემენტები ადვილად გამოსაცნობი სიტყვის ძირები და აფიქსებია, რომლებიც სწორად ორიენტირებული ტერმინების შექმნას უწყობენ ხელს“ (ლოტე 1982: 64).

სამართლის ენაში, რომელსაც ნომინაციური სტილი ახასიათებს, ჭარბობს არსებითი სახელები. თანაც მათი ფორმირება გარკვეული სიტყვათწარმოებითი მოდელების მიხედვით სხვადასხვა სუფიქსის დახმარებით ხდება. ინგლისურ ენაში ყველაზე გავრცელებული მოდელებია *-tion*, *-ment*, *-ty*, სუფიქსებით ნაწარმოები არსებითი სახელები. მაგალითად: *abolition*, *abrogation*, *abduction*, *agreement*, *jugment*, *enrichment*, *anomaly*, *apolicy*, *illegality* და სხვა. ფრანგულ ენაში ყველაზე გავრცელებული მოდელებია *-tion*, *-ment*, *-té*, სუფიქსებით ნაწარმოები არსებითი სახელები. ესენია: *arrestation*, *extradition*, *dissimulation*, *detention*, *divulgation*, *jugement*, *sécurité*, *inviolabilité*, *commandement*, *désarmement* და სხვა. ქართულ ენაში ყველაზე გავრცელებული სუფიქსია *-ებ*. მაგალითად: *ქორწინება*, *ბრძანება*, *განკარგულება*, *განჩინება*, *განთავისუფლება*, *განქორწინება*, *გარიგება* და ა.შ.

ტერმინოლოგიური ინფორმაცია, რომელიც კოდირებულია კონკრეტული ტერმინოლოგიური ელემენტების მეშვეობით, ინვარიანტული ინფორმაციაა, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ რომელ ტერმინოლოგიურ რიგს მიეკუთვნება ესა

თუ ის ტერმინი. ზოგიერთი ტერმინის ინფორმაციული დატვირთვა და პრაგმატისტული მიზანმიმართულება უშუალოდაა დაკავშირებული ცნებით-ტერმინოლოგიური რიგების კლასიფიკაციურ-კატეგორიულ ბუნებასთან, რომელთა შემადგენელ ელემენტებსაც ეს ტერმინები წარმოადგენს. შესაბამისად, ტერმინები, ენის ყველაზე ინფორმაციული ერთეულებია სიტყვებისა და შესიტყვებების დონეზე, რომელთაც განსაკუთრებული კოგნიტიურ-კომუნიკაციური მნიშვნელობა გააჩნიათ და რომლებიც სპეციალური კომუნიკაციის შუამავლებად გამოდიან (ვოლოდინა 2000: 35).

## დასკვნები

ტერმინოლოგიის სფეროში პირველი კვლევები XX საუკუნის 30-50-იან წლებში დაიწყო. იმ დროის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა იყო იმის დადგენა, თუ რა კავშირი არსებობს ტერმინსა და სიტყვას შორის. დღეს, ტერმინი განისაზღვრება, როგორც ლიტერატურული ენის ერთეული, რომელიც ფლობს ყველა მის თვისებას და ასევე სხვა თვისებებს, რომლითაც გამოყოფენ ტერმინს, როგორც განსაკუთრებულ სიტყვას ან სიტყვას განსაკუთრებული ფუნქციით. XX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო საუბარი ენის ასპექტში ტერმინის „განსაკუთრებული ფუნქციის“ შესახებ. ტერმინოლოგიის დამოუკიდებელ სამეცნიერო სფეროდ გამოყოფის შემდეგ, ტერმინს განიხილავდნენ სპეციალური დანიშნულების ენის კომპონენტად. ტერმინოლოგიაში არ არსებობს ტერმინის ერთგვაროვანი დეფინიცია, ისევე როგორც არ არსებობს იმაზე შეთანხმება, თუ მეტყველების რა ნაწილებით უნდა იყოს წარმოდგენილი ის. ჩვენ კვლევაში ტერმინს განვიხილავთ, როგორც სპეციალურ სიტყვას ან შესიტყვებას, რომელიც მიღებულია პროფესიულ საქმიანობაში და გამოიყენება განსაკუთრებულ პირობებში. ისაა ცნების სიტყვიერი გამოხატულება, რომელიც შედის პროფესიული ცოდნის განსაზღვრული სფეროს

ცნებათა სისტემაში. ის არის სპეციალური მიზნებისათვის ენის ძირითადი ცნებითი ელემენტი (სუპერანსკაია, პოდოლსკაია, ვასილევა 2003: 14).

ტერმინი ფლობს მთელ რიგ მახასიათებელს, რომელთა საფუძველზე შეიძლება აგებულ იქნას მისი დეფინიცია. ძირითადი თვისებაა სპეციალური ცნების აღნიშვნა. დანარჩენი თვისებები შეიძლება ჩაითვალოს არასავალდებულოდ, თუმცა, სასურველია წარმატებული პროფესიული კომუნიკაციისათვის. ტერმინის თვისებისაგან შეიძლება განვასხვავოთ ის მახასიათებლები, რომლებიც მნიშვნელოვანია ტერმინების წარმოქმნის თვალსაზრისით. ტერმინებს მრავალი ნიშან-თვისება აქვს, მაგრამ ყველაზე არსებითია: მონოსემანტიკურობა, სისტემურობა, მოდალობა, ექსპრესიულობა და სტილისტური ნეიტრალობა, სიზუსტე, მნიშვნელობის განსაზღვრულობა.

რა თქმა უნდა, ტერმინს აქვს ტექსტური ბუნება, ანუ ტერმინი ტექსტში ასრულებს დეფინიციის ფუნქციას. ამაზე დაყრდნობით, შეიძლება გადავწყვიტოთ საკითხი ტერმინის კონტექსტზე დამოკიდებულებისა თუ დამოუკიდებლობის შესახებ. ვინაიდან ტერმინი ტექსტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ის დამოკიდებულია მუდამ კონტექსტზე.

ტერმინოლოგიური ინფორმაცია ცნებითი სემანტიკური ინფორმაციაა, რომელსაც ენობრივი ბუნება აქვს. ტერმინოლოგიური ინფორმაციის ფორმირების წყაროდ გვევლინება ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობა, საზოგადოებრივ-შემეცნებითი გამოცდილება. ტერმინი ახდენს ზოგადენობრივი და სპეციალური ინფორმაციის აკუმულირებას და წარმოდგენს ენობრივი და პროფესიულ-სამეცნიერო ცოდნის ერთეულს. ტერმინი ერთ-ერთი მთავარი ელემენტია პროფესიულ კომუნიკაციაში, ამიტომაც პროფესიული კომუნიკაციის პროცესის ოპტიმიზაციისათვის აუცილებელია მოტივირებული ტერმინების ფორმირება წინასწარმეტყველური სემანტიკით. კ.ავერბუხის განსაზღვრების მიხედვით, „ტერმინები სპეციალური ტექსტების სემანტიკური ბირთვებია“ (ავერბუხი 2004: 23).

XX საუკუნის 70-იან წლებში ტერმინი დასავლურ ლინგვისტიკაში განიხილება სპეციალური მიზნებისათვის განკუთვნილი ენების ჩარჩოში. სპეციალური ენა განისაზღვრება, როგორც პროფესიული ენა, რომელიც ნაკლებად განსხვავდება სასაუბრო და ზოგადი ლექსიკისაგან გრამატიკული და სინტაქსური კანონზომიერებით, უფრო მეტად სპეციალური ლექსიკური მარაგით, რომელიც პრაქტიკულ მოთხოვნებს პასუხობს.

დღეს, შეიძლება გამოვყოთ სპეციალური მიზნებისათვის განკუთვნილი ენების განვითარების სულ ცოტა 5 ძირითადი ტენდენცია. ესენია: ინტეგრაცია, დიფერენცია, ინტერნაციონალიზაცია, უნიფიცირება და ეკონომია. ეს ტენდენციები შეიმჩნევა ასევე სამართლის პროფესიულ ენაშიც. სამართლის ენის ტერმინი განიხილება, როგორც პროფესიული კომუნიკაციის ელემენტი და წარმოადგენს ენის ინფორმაციულ ერთეულს სიტყვისა და შესიტყვების დონეზე, რომელსაც განსაკუთრებული კოგნიტიურ-კომუნიკაციური მნიშვნელობა გააჩნია და სპეციალური შეტყობინების შუამავლის როლს ასრულებს (ვოლოდინა 2000: 35).

## თავი 2. იურიდიული ლინგვისტიკა როგორც პროფესიული კომუნიკაციის საშუალება

### 2.1 იურიდიული ლინგვისტიკის ჩამოყალიბება და განვითარება

იურიდიული ლინგვისტიკა ენათმეცნიერების ახალი დარგია. ის არსებობს ენისა და სამართლის მიჯნაზე, რის გამოც მას ინტერდისციპლინარული ხასიათი გააჩნია. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ენისა და სამართლის ურთიერთკავშირით დაინტერესებულები არიან იურისტები და ლინგვისტები. ძველ რომში, იურისტები ფიქრობდნენ, რომ სამართალი უნდა იყოს გასაგები. მასში გადმოცემულია ის აზრი, რომ იურიდიული ტექსტი თავისი შინაარსით უნდა იყოს ზუსტი და ამავდროულად გასაგები.

იურიდიული ლინგვისტიკა მოწოდებულია იმისაკენ, რომ გადაჭრას ყველაზე რთული და მრავალფეროვანი პრობლემები, რომლებიც ლინგვისტურ-სამართლებრივ სივრცესთანაა დაკავშირებული. ასე მაგალითად, იურიდიული დოკუმენტების ექსპერტიზა, კანონებისა და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შედგენის პროცესში რეკომენდაციების შემუშავება, თეორიული და პრაქტიკული კვლევების ჩატარება იურიდიული ტექსტების თარგმნისას და სხვა. იურიდიული ლინგვისტიკით დაინტერესებულები არიან სხვადასხვა ქვეყნის ენათმეცნიერები და იურისტები, პირველ რიგში კი ჩვენთვის ის საინტერესოა ინგლისური, ფრანგული და ქართული ენების მასალების კვლევის და შედარება-შეპირისპირებისათვის.

ქართული სამართლის ენის კვლევა გასულ საუკუნეში დაიწყო. თუმცა, თავიდან სამართალმცოდნეობის ენის კვლევა მხოლოდ ფუნქციური სტილის თვალსაზრისით მიმდინარეობდა, რომელიც სპეციალურად სამართლებრივი ნორმების გადმოსაცემად იყო განკუთვნილი. ამ მხრივ, შემუშავებულ იქნა საერთო წესები, რომლებიც ნორმატიული სამართლებრივი ტექსტების შექმნას ანუ სიტყვათა წყობას, წინადადების სინტაქსურ სიღრმეს, მსაზღვრელი სიტყვის რაოდენობის განსაზღვრას საზღვრულთან, სამართლებრივი ნორმის სინტაქსურ სტრუქტურას და ა.შ. ეხებოდა. ამ წესებს არა მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ, ისინი ნორმატიული აქტების ლინგვისტური ექსპერტიზის საფუძველს



წარმოადგენს. ბოლო დროს, ითხოვენ, რომ გაფართოვდეს კანონპროექტების ლინგვისტური (ენობრივი) ექსპერტიზის თეორიული საფუძვლები: გამოყენებულ იქნას, არა მხოლოდ ტექსტის შეფასების ლოგიკური და ნორმატიულ-სტილისტური კრიტერიუმები, არამედ ზოგადი ენათმეცნიერების დებულებებიც რეფერენციის შესახებ (ენის ნიშნის მიმართება არაენობრივ რეალობასთან), ასევე გამოყენებულ იქნას ფსიქოლინგვისტიკისა და კომუნიკაციის თეორიის მონაცემები, ტექსტების აზრობრივი აღქმის კანონზომიერების თვალსაზრისით.

სამართლებრივი დოკუმენტების ლინგვისტური ექსპერტიზის პრობლემების შესახებ არსებულ თანამედროვე კვლევებს სხვადასხვა მიმართულება აქვთ. მაგალითად, იურიდიული ექსპერტიზის კომპონენტის სახით კომუნიკაციური, ფუნქციური მიდგომის გამოყენებას გვათავაზობენ. მისი არსი ისაა, რომ ტექსტში შეიძლება კომუნიკაციური მიზანი და კომუნიკაციური პერსპექტივა გამოვყოთ, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ ესა თუ ის კომუნიკაციური სტრატეგია გამოვავლინოთ. ამ თვალსაზრისით, ლინგვისტურ ექსპერტიზაში კომუნიკაციური მიდგომა ძალზე მნიშვნელოვანია კრიმინალისტიკისათვის, სადაც ანალიზისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო ტექსტი, როგორც ობიექტური ლინგვისტური მოცემულობა, არამედ კომუნიკაციური მახასიათებლები. ესენია: ავტორი, მკითხველი, კომუნიკაციური ტაქტიკა და სტრატეგია, ტექსტის მიზანი და პერსპექტივა, სამეტყველო სიტუაციის თავისებურებები. იურიდიული ლინგვისტიკის პრობლემებს კანონის ტექსტის ინტერპრეტაციის პრობლემა მიეკუთვნება. ამ მხრივ, უნდა გავარჩიოთ იურიდიული და საკანონმდებლო ხერხები. იურიდიული ტექნიკა კანონის ტექსტის წაკითხვის ხელოვნებას უდევს საფუძვლად. საკანონმდებლო ტექნიკა კი კანონის წერის ტექნიკაა (ორლოვა 2002: 54).

საინტერესოა რ. იაკობსონის სამართლებრივი კომუნიკაციის ცნება, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროსთან მიმართებაში გამოიყენება (იაკობსონი 1975: 198). ამერიკელი და ინგლისელი იურისტების და ლინგვისტების კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანია არასპეციალისტების მიერ იურიდიული ტექსტების ენისა და სტილის კვლევა.

ძირითადი თემებია: სასამართლო პროცესის ლინგვისტური ექსპერტიზა, კომუნიკაციის პრობლემა პოლიციაში მოკვლევის სტადიაზე, სადაც ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო კომუნიკაციური სტრატეგიები გამოიყენება, იურიდიული თარჯიმნის როლი სასამართლო და წინასწარი სტადიების პროცესების დროს, მოსამართლეთა მეტყველებისა და ინსტრუქციების გაგების პრობლემა ნაფიცი მსაჯულების მიერ. იურიდიული ლინგვისტიკა იურიდიულ საქმეებში განსაკუთრებულ ყურადღებას მთარგმნელის/თარჯიმნის როლს ანიჭებს, ვინაიდან მთარგმნელი ერთგვარი ხიდია არა მხოლოდ ორ ენას და კულტურას შორის, არამედ ორ სოციალურ სფეროს შორის. იურიდიული თარგმნის ადეკვატურობისა და ეკვივალენტობის პრობლემას ყურადღებას აქცევენ მთარგმნელები, ასევე პედაგოგები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სამართლის ენის ლინგვოდიდაქტიკური ასპექტებით, როგორც ენისა, რომელიც სპეციალური მიზნებისათვისაა განკუთვნილი (ლიუბიმოვი 2002: 24). როდესაც მთარგმნელებს არ აქვთ სათანადო ცოდნა, როგორც ლინგვისტური, ასევე სამართლებრივი, თავს იჩენს მთარგმნელობითი ნაკლოვანებები, კერძოდ, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება, ტერმინებისა და ოფიციალური-საქმიანი ლექსიკის საყოველთაოდ ხმარებული სიტყვებით ჩანაცვლება, სიტყვათა ნუსხის შეცვლა ერთი ზოგადი ტერმინით, სიტყვასიტყვითი და თავისუფალი თარგმანი, სიტყვათა ტრანსკრიფციის ბოროტად გამოყენება, რომელთაც უკვე გააჩნიათ ეკვივალენტები სათარგმნ ენაში, ენობრივი ტაბუს დარღვევა ევფემიზმების არცოდნის გამო. 2002 წელს გამოვიდა კრებული *Language in the Legal Process*, რომელიც ამერიკელი და ინგლისელი იურისტების, ლინგვისტების, მოსამართლეებისა და სასამართლოს თარჯიმნების სტატიებისაგან შედგება. ეს კრებული კარგად გვიჩვენებს ინგლისურენოვანი იურიდიული ლინგვისტიკის თანამედროვე მდგომარეობას და პერსპექტივებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული ლინგვიტიკა ლინგვისტური მეცნიერების შედარებით ახალგაზრდა სფეროა, უკვე არსებობს მთელი რიგი მნიშვნელოვანი კვლევები მისი პრობლემური საკითხების ანალიზის თვალსაზრისით.

დღეს, იურიდიული ლინგვისტიკა საკმაოდ აქტიური განვითარების ფაზაშია. ბოლო დროს, სამართლის ენის შესახებ არსებულ კვლევებში, წინა პლანზე გამოდის არა მხოლოდ სპეციალური ენის ფორმალური კვლევები ტერმინოლოგიური შემადგენლობისა და სინტაქსური სტრუქტურის თვალსაზრისით, არამედ ენობრივ კვლევებს ინტერდისციპლინარული კვლევები ენაცვლება. სამართლის ენას იკვლევენ, როგორც სოციალურ და სოციოკულტურულ მოვლენას. ამ თვალსაზრისით გაჩნდა იურიდიული მეტყველების გაგების სოციოლინგვისტური კვლევები, რომლებსაც არაიურისტები აწარმოებენ. ის საკითხები, რომლებსაც იურიდიული ლინგვისტიკა იკვლევს, მრავალწახნაგოვანი და რთულია. ზოგი მათგანი ერთდროულად იურიდიულ და ლინგვისტურ კომპეტენციებს ითხოვს, სხვა საკითხების გადასაჭრელად კი საჭიროა ღრმა თეორიული გააზრება და პრაქტიკული დამუშავება. უნდა ითქვას, რომ სამართლის ენის კვლევა ძალზე პერსპექტიულია, რადგანაც სამართალი, როგორც ენა, რომლითაც ის სარგებლობს, თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია(გრიშენკოვა 2006:67).

## **2.2 კანონშემოქმედების პროცესი როგორც საზოგადოების ლინგვისტური კულტურის შემადგენელი ნაწილი**

თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანებს და ადამიანთა ჯგუფებს მუდმივად აქვთ შეხება წესებთან (ნორმებთან), რომლებიც დაფიქსირებულია კანონებსა და ქვეაქტებში, მათი მოთხოვნებით, აკრძალვებითა და დაშვებებით, იმ აუცილებლობით, რომ ისინი უნდა დაცულ იქნას, ძალაში შევიდეს და შესრულდეს, ასევე იმ შედეგებით, რომლებიც მოჰყვება მათ შეუსრულებლობას. ნებისმიერი სახელმწიფო საზოგადოებრივ ურთიერთობებში გარკვეულ წესრიგს ადგენს, რომელიც კანონმდებლობითა და კანონიერებით მათ ფორმულირებას კანონიერ ნორმებში ახდენს, უზრუნველყოფს და იცავს.

კანონმდებლობა ადამიანის საქმიანობის უმეტესს სფეროს ფარავს, აფართოვებს თავის მარეგულირებელი ზემოქმედების საზღვრებს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სოციალური ყოფის გართულების შესაბამისად, ეხმარება ადამიანებს შორის ურთიერთობების მოგვარებას. კანონმდებლობის ასეთი მნიშვნელოვანი როლი პირველ რიგში იმის ცოდნას გულისხმობს, თუ როგორ იქმნება ის, ფორმირდება და ვითარდება, რა არის კანონმდებლობის არსი. ასეთი ცოდნის გარეშე გამორიცხულია წარმატებული საქმიანობა კანონებისა და ქვეექტების შექმნის თვალსაზრისით, რომლებიც მოწოდებულია პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფის ამოცანებსა და საზოგადოების პროგრესს ემსახუროს (სამართლის ზოგადი თეორია 1987:46).

კანონშემოქმედება, როგორც ყველანაირი შემოქმედება, იმას გულისხმობს, რომ კანონშემომქმედებს უნდა ჰქონდეთ არა მარტო ზოგადი კულტურა, არამედ სპეციალური ცოდნა, განსაზღვრული უნარები საკანონმდებლო აქტების ფორმირების და ფორმულირების ხელოვნების თვალსაზრისით. ეს ცოდნა წარმოადგენს ლინგვისტური და სამართლებრივი კომპეტენციის სინთეზს და მსოფლიო საკანონმდებლო იურიდიულ თეორიასა და პრაქტიკაში მას საკანონმდებლო ტექნიკას უწოდებენ. საკანონმდებლო ტექნიკა, მოთხოვნათა განსაზღვრული სისტემა ნორმატიულ-სამართლებრივი წესების, კანონების და კანონების ქვეექტების შექმნის და მათი სისტემატიზაციის თვალსაზრისით. ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს სამართალს, კანონმდებლობას და საკანონმდებლო ტექნიკას შორის ახალი როდია. სამართალი არის ყველა ის კანონი და საკანონმდებლო აქტი, რომლებიც სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ადამიანთა ურთიერთობის დასარეგულირებლად იქმნება და მათი დაცვა ხდება სახელმწიფოს იძულებითი საშუალებების გამოყენების გზით (ალექსევი 1987: 46-47). უნდა ითქვას, რომ კანონმდებლობისაგან განსხვავებით, სამართალი ობიექტური მოვლენაა, რომლის გამომუშავება ხდება ისტორიულად ზოგადი ადამიანური ურთიერთობის, შემეცნებისა და ქმედების პროცესში. ის გამომდინარეობს ადამიანებს შორის ურთიერთობების, დარეგულირების ობიექტური აუცილებლობით, მათი სტაბილურობით და გარკვეულობით. კანონმდებლობა კი სუბიექტურ კატეგორიას

წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოს უფლებამოსილი პირების და სახელმწიფოს კანონშემოქმედი ორგანოების მიერ იქმნება. აქედან შეიძლება ასეთი დასკვნა გაკეთდეს. თუკი სამართალი, პირველ რიგში ცხოვრებაა, და არა ფორმალურ-აბსტრაქტული ასახვა, მაშინ კანონები მხოლოდ იმდენად ხდება სამართლის სფერო, რამდენად ადეკვატურადაც ასახავენ ობიექტური განვითარების დინამიკას (ალექსეევა 1990: 49).

სამართლისა და კანონის კავშირის არსი ისაა, რომ კანონი, რომელიც სახელმწიფოს ნების გამოხატულებაა, მოწოდებულია, რომ იყოს ზუსტი და სამეცნიერო თვალსაზრისით უნაკლოდ ფორმულირებული, ჭეშმარიტი, ობიექტურად შექმნილი, საზოგადოებაში ფაქტობრივად არსებული და განვითარებული სამართლისა.

კანონმდებელმა სამართალი სინამდვილეში თავად უნდა დაინახოს, ვინაიდან კანონის შინაარსი, რომელიც სახელმწიფო აქტში უნდა გადმოიცეს, მოცემულია როგორც რეალური, საზოგადოებრივი ურთიერთობებით, კანონზომიერებით, მათი განვითარების ტენდენციებით. სხვა მხრივ, კანონშემოქმედება მოწოდებულია „საგნების სამართლებრივი ბუნება“ საკანონმდებლო ენაზე გადაიყვანოს. კანონში განასახიეროს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური მოთხოვნები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია გულდასმით, ღრმად და ყოველმხრივ შევისწავლოთ ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც საკანონმდებლო რეგლამენტაციას ექვემდებარება. კანონშემოქმედების წარმატებული საქმიანობა კანონების შექმნის თვალსაზრისით, დამოკიდებულია პირველ რიგში კანონმდებლის სამართლებრივ კულტურაზე, საკუთარი საქმისადმი შემოქმედებით დამოკიდებულებაზე, იურიდიული მეცნიერების და საკანონმდებლო ხერხების ტექნიკის ფლობაზე (სამართლის ზოგადი თეორია 1987:49).

ჩვენი კვლევის ობიექტი საოჯახო სამართლის ტერმინების შედარება-შეპირისპირებაა ინგლისურ, ფრანგულ და ქართულ ენებზე. იმისათვის, რომ ტერმინები შევადაროთ და შევაპირისპიროთ, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ მოკლედ, თუ როგორ განიხილავენ საოჯახო სამართალს ამ სამ ქვეყანაში.

### 2.3 ოჯახის განვითარების ისტორია საქართველოში, ინგლისსა და საფრანგეთში

ტერმინი „ოჯახი“ თურქული წარმოშობისაა. იგი კერას, სახლს ნიშნავს და შედარებით გვიანაა ფეხმოკიდებული საქართველოში. ისტორიულ დოკუმენტებში იგი პირველად „სამოქალაქო ჰსჯულდებაში“ (1799-1800წწ.) გვხვდება. ძველ ქართულში შესატყვისი იყო „სახლი“, რომელიც თავდაპირველად მთელ საგვარეულოს, გვარს ნიშნავდა. ისტორიული დოკუმენტებისა და კულტურული წყაროების ანალიზით ივანე ჯავახიშვილმა დაასაბუთა, რომ „უკვე V საუკუნეში საქართველოში „სახლი“ არა მარტო საგვარეულოსა და გვარს ნიშნავდა, არამედ ერთ ცოლქმრობაზე დამყარებულ ოჯახსაც. შემდგომში ხომ ამგვარი მნიშვნელობა უფრო და უფრო უნდა განმტკიცებულიყო. გარდა ამისა, „სახლი-ოჯახის, განსაკუთრებით ერთ ჭერქვეშ მცხოვრები სახლობის აღსანიშნავად და მოსახლეობის აღმნიშვნელ ტერმინად მიღებული იყო სიტყვა „კომლიც“ (ჩიკვაშვილი 2004:45).

თანამედროვე ქართულ ოჯახს სიყვარულის ნიადაგზე აღმოცენებული ქორწინება და ოჯახის წევრთა თანასწორობა უდევს საფუძვლად, რაც ქართული ოჯახის სიმტკიცის გარანტიას წარმოადგენს. ეს განპირობებულია ქართულ ოჯახში ისტორიულად ჩამოყალიბებული ზოგადსაკაცობრიო კულტურის ისეთი ელემენტების არსებობით, როგორცაა: სერიოზული დამოკიდებულება ოჯახის შექმნის საკითხისადმი, მშობლებისა და შვილების, ოჯახის სხვა წევრების მჭიდრო, მრავალმხრივი და ტრადიციული კავშირი, ნათესაური გრძნობის სიძლიერე, განსაკუთრებული ზრუნვა ახალგაზრდა თაობის აღზრდისადმი (ჩიკვაშვილი 2004:46).

საქართველოს კანონმდებლობა არ განასხვავებს ოჯახებს, რომლებშიც შვილები ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობენ და ე.წ. არასრულ ოჯახებს, სადაც ბავშვი მხოლოდ ერთ მათგანთან ცხოვრობს. იურიდიული თვალსაზრისით, არასრული ოჯახები შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაშიც, როდესაც შვილი ქორწინებაში არამყოფ დედას უჩნდება და იმ შემთხვევაშიც, როდესაც შვილი ერთ-ერთ გაცილებულ მშობელთან ან მეუღლესთან (მეორე მშობლის) სიკვდილის შედეგად მარტო დარჩენილ, მარტოხელა მშობელთან ერთად ცხოვრობს. ამასთანავე, შვილი და

მასთან მცხოვრები მშობელი ერთი ოჯახის წევრებად ითვლებიან, მეორე მშობელთან კი (თუ ის ცოცხალია და იურიდიულად დადგენილი) შვილს აკავშირებს არა ოჯახის წევრობა, არამედ სისხლისმიერი ნათესაობა და მის საფუძველზე წარმოშობილი ოჯახური უფლებებისა და მოვალეობების (საალიმენტო, სამემკვიდრეო და ა.შ.) კომპლექსი (ჩიკვაშვილი 2004: 53).

მოქმედი კანონმდებლობა არ აწესებს დაქორწინებისათვის საჭირო მაქსიმალურ ასაკს. კანონი არ ითვალისწინებს, თუ რა ასაკობრივი სხვაობა უნდა იყოს დასაქორწინებელ პირთა შორის. სრულწლოვან ქმედუნარიან მოქალაქეებს შეუძლიათ დაქორწინდნენ ყოველთვის, მიუხედავად ასაკისა. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ხელმეორედ დაქორწინებისას პირთა შეზღუდვას გარკვეული ვადით, მაშინ როცა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ვადა დადგენილია კანონმდებლობით (ჩიკვაშვილი 2004: 73-80).

ინგლისური კანონის მიხედვით, ქორწინება არის საჯარო და კანონიერი ურთიერთობა ქალსა და მამაკაცს შორის. ის გარკვეულ ვალდებულებებს მოიცავს: როგორცაა წვეულება, ქონება, ორმხრივი ზრუნვა, ფინანსური მხარდაჭერა და სექსუალური ურთიერთობა, ერთგულად თანაცხოვრება და ბავშვების ყოლა. სასურველია, რომ ორივე მხარე თანხმდებოდეს ყველაფერში. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ქორწინების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში უნდა მოხდეს და ოფიციალურად არქივში უნდა ინახებოდეს, რათა საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ. უნდა ჩატარდეს ასევე საქორწინო ცერემონია, სადაც ოფიციალური პირი, მოწმეების თანდასწრებით დააქორწინებს წყვილს, რომლებიც დადებენ პირობას მათ წინაშე. ქორწინება არის მნიშვნელოვანი მდგომარეობა. ის განსაზღვრავს ადამიანის მოქალაქეობას, ეროვნებას, ლეგიტიმურობას, მემკვიდრეობას, გადასახადებს, საზოგადოების კეთილდღეობასა და სხვა.

აღრე, ინგლისში ეს სიტუაცია აბსურდამდე იყო დაყვანილი: ქორწინების შემდეგ ქალი კანონის წინაშე ფიზიკურ პირად აღარ მიიჩნეოდა და ქმრის სრულ საკუთრებაში გადადიოდა. ეს მდგომარეობა ინგლისურ სამართალში ცნობილია, როგორც *კოვერტიურა* (გათხოვილი ქალის სტატუსი). ბნელ შუა საუკუნეებში ქალი

მთლიანად და უსიტყვოდ ემორჩილებოდა მამაკაცს. იგი სრულიად უუფლებო იყო და თავის დაცვა არ შეეძლო. ცოლების გაყიდვის ტრადიციას ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი და XVIII საუკუნეში უკვე ფართოდ გავრცელდა.

1753 წელს ინგლისელი მოსამართლე უილიამ ბლექსტონი წერს: „ქორწინების დროს ქალის სამართლებრივი ყოფა შეჩერებულია ან გაერთიანებულია მეუღლესთან, ვისი კალთის ქვეშ და მფარველობაში ასრულებს იგი ყველა მოვალეობას“. გათხოვილ ქალს საკუთრების უფლება არ ქონდა და პრინციპში, თავადაც ქმრის საკუთრება იყო. ზუსტად არ არის ცნობილი, საიდან იწყება ცოლების საჯარო ვაჭრობაზე გაყიდვის რიტუალური ჩვეულება, თუმცა სავარაუდოდ ეს XVII საუკუნის ბოლოს მოხდა. 1692 წლის ნოემბერში „ჯონმა, ნათან ვაითჰაუსის შვილმა, თიფთონში, თავისი ცოლი ბატონ ბრასერჰერდლუს მიყიდა“, თუმცა გარიგების მეთოდი აღწერილი არ არის. მტკიცებულებების უმრავლესობაში მითითებულია, რომ გაყიდვის შესახებ ადრევე ვრცელდებოდა ინფორმაცია, შესაძლოა ადგილობრივ გაზეთში გამოცხადების გზითაც. გაყიდვის პროცედურა დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის. მაგალითად, სთაფორდშირში ქმრები ბაზარში ვაჭრობის უფლებისთვის მოსაკრებელს იხდიდნენ და ქალი კისერზე, ხელებზე ან წელზე შემოხვეული თოკით ბაზარში მიჰყავდათ. მას გამოსაჩენ ადგილზე აყენებდნენ და აუქციონის წესით ყიდდნენ – აღწერდნენ ყველა მის ღირსებას და ვინც ყველაზე მეტს გადაიხდიდა, ქალიც მას ერგებოდა. ვაჭრობის დასრულების შემდეგ ქალი ახალი პატრონის, ანუ ახალი ქმრის სახლში მიდიოდა.

ცოლების გაყიდვის პრაქტიკა ფართოდ იყო გავრცელებული XVIII და XIX საუკუნეებში, რადგან მამაკაცებისთვის ეს წარუმატებელი ქორწინებისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება იყო. თუმცა ყოფილი ქმრისთვის გადახდილი თანხა ხშირად სიმბოლური იყო, რადგან ასეთი გარიგებები ფინანსური გამორჩენისთვის იშვიათად იდებოდა. ინგლისის ზოგიერთ ნაწილში ქმარი და მყიდველი გარიგებას უბრალო ხელის ჩამორთმევით ადასტურებდნენ, თანაც წინასწარ ხელისგულზე დაიფურთხებდნენ და გარიგების თანხას, როგორც წესი, 5–დან 10 შილინგამდე ხმამაღლა დაიყვირებდნენ. ამის შემდეგ გარიგების მონაწილეები



ტავერნაში ან ლუდხანაში მიდიოდნენ, სადაც ყოფილი ქმარი ყველასთვის სასმელს ყიდულობდა. ცოლი ყოფილ ქმარს ქორწინების ბეჭედს უბრუნებდა და გარიგების მომენტიდან ყოფილი ქმრის ფინანსური ვალდებულებები ცოლის მიმართ მოქმედებას წყვეტდა.

განქორწინება იმ პერიოდის ინგლისში სალაპარაკოდაც არ ღირდა, ეს სრულიად გაუგონარი საქმე იყო, განსაკუთრებით მოსახლეობის ნაკლებად შეძლებულ ფენაში. ეს არისტოკრატებისთვისაც კი ძნელი იყო. 1690 წელს ამოქმედდა კანონი, რომლის თანახმადაც ქორწინებაში მყოფ წყვილს განქორწინების მოთხოვნა, არც მეტი, არც ნაკლები – პარლამენტში უნდა შეეტანა. ბუნებრივია, ეს პროცედურა საკმაო ფულსა და დროს მოითხოვდა. სწორედ, ამ დროს, გამომგონებლობის ნიჭით დაჯილდოებულმა, მოხერხებულმა ინგლისელებმა ქორწინების შეწყვეტის თავისებური მეთოდი მოიფიქრეს, ცოლის გაყიდვის მეშვეობით. 1780–1850 წლებში, როცა ეს ტრადიცია ყველაზე პოპულარული იყო, ამ მეთოდით დაახლოებით 300 ქორწინება შეწყდა.

ცოლის გაყიდვის ტრადიცია ინგლისის კანონმდებლობაში არ დამკვიდრებულა, ამიტომაც კანონი დევნიდა ამ პრაქტიკას, განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დევნა მაინცდამაინც დიდი სისასტიკით არ ხდებოდა. უფრო მეტიც, თუ ორივე მხარე თანახმა იყო, ხელისუფლება თვალს ხუჭავდა. თუმცა XIX საუკუნეში გასაყიდად გამოყვანილი ცოლების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევებიც არის დაფიქსირებული.

ცოლების გაყიდვის ტრადიციას სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდა და ხშირად სასამართლო განხილვის საგანიც ხდებოდა, განსაკუთრებით XIX საუკუნის შუა წლებიდან. თუმცა ხელისუფლების დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი არაერთმნიშვნელოვანი იყო. წერილობით არის დაფიქსირებული XIX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ერთ–ერთი მოსამართლის სიტყვები, სადაც იგი ამტკიცებს, რომ ცოლის გაყიდვის აკრძალვის უფლებას თავს ვერ მისცემს. ცნობილია შემთხვევებიც, როდესაც

სამუშაო სახლის (*WorkHouse*)<sup>5</sup> რწმუნებულები მამაკაცებს აიძულებდნენ სახლის ტერიტორიაზე ცოლის შენახვაზე უარი ეთქვათ და იგი გაეყიდათ. ეს გარიგებები უმეტესად ორმხრივი თანხმობის საფუძველზე ხდებოდა, მეუღლეს ძალით ცოლის ბაზარში მითრევა და ვაჭრობის დაწყება არ შეეძლო. ეს უბრალოდ ორი უბედური პარტნიორისთვის ქორწინების შეწყვეტისა და ახალი ცხოვრების დაწყების მშვიდობიანი გზა იყო. უფრო მეტიც, ცოლის გაყიდვა საზოგადოებრივ ადგილას ხდებოდა, ყველას თვალწინ. ხშირად ქალმა წინასწარვე იცოდა, ვინ გადაიხდიდა მეტ თანხას, რადგან პოტენციური მყიდველი დიდი ხანია მისი საყვარელი იყო. ზოგიერთ შემთხვევაში კი ცოლი თავად ითხოვდა გაეყიდათ, წინასწარ სხვა მამაკაცთან (აუცილებელი არ იყო, ის საყვარელი ყოფილიყო) მოლაპარაკებას აწარმოებდა და მის გამოსასყიდად ფულსაც უხდიდა.

ცოლების გაყიდვის ბარბაროსული ტრადიცია ინგლისის ზოგიერთ რეგიონში XX საუკუნის დასაწყისამდე შემორჩა. 1913 წელს ქალბატონმა ლიდსამ (დიდი ბრიტანეთი) პოლიციაში უჩივლა ქმარს, რომელმაც იგი კოლეგას 1 ფუნტად მიყიდა. ესაა ინგლისში ცოლის გაყიდვის ყველაზე ბოლოს დაფიქსირებული შემთხვევა.

დღეს დიდ ბრიტანეთში განქორწინება სახლიდან გაუსვლელადაც კი შეიძლება, საკმარისია მრავალთაგან ერთ–ერთ ისეთ საიტს მიმართონ, რომელიც მოქალაქეებს განქორწინების მომსახურებას სთავაზობს<sup>6</sup>.

ბრიტანეთში დაქორწინება დამზებული იყო მამაკაცებისთვის 14 წლიდან, ქალებისთვის კი 12 წლის ასაკიდან, საქორწინო რიტუალი იმართებოდა ეკლესიაში სასულიერო პირისა და მოწმეების თანხლებით. დაქორწინების შემდეგ ქმრებს სრული ძალაუფლება გააჩნდათ ცოლებზე, ცოლის მოვალეობა იყო მეუღლის ხელშეწყობა, რათა ოჯახური შემოსავლები გაზრდილიყო. მაშინ, როცა ქმრები მთელი დღის განმავლობაში სამუშაოზე იყვნენ, ქალს უფლება ჰქონდა

<sup>5</sup> ადგილი, სადაც ღარიბები საკვებს და თავშესაფარს იღებდნენ მძიმე შრომის სანაცვლოდ.

<sup>6</sup><https://friday.ge/2013/06/29/%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A8/>, 2013 წელი (17.02.2017).

დაკავებულიყო მხოლოდ ოჯახური საქმით ან ემუშავა გამყიდვლად. ქალის როლი იმ დროინდელ ბრიტანულ საზოგადოებაში არც ისე მნიშვნელოვანი იყო. ქალთა უმეტესობა იმ პერიოდში მძიმე გენდერული დისკრიმინაციის მსხვერპლად შეიძლება მივიჩნიოთ, რაც არა მხოლოდ ოჯახური სიტუაციებიდან, არამედ საზოგადოების დამოკიდებულებიდან გამომდინარეობდა.

ბრიტანელი არისტოკრატების აზრით, ქალისა და კაცის თანასწორობა ყოველად დაუშვებელი იყო, რადგან კაცი იყო ქალის ბუნებრივი მფარველი და ყველანაირი უფლება გააჩნდა ქალზე. გარდა ამისა, ქალებს არ ჰქონდათ უფლება დაკავებულიყვნენ სასურველი საქმით. თუ თვალს გადავავლებთ მეთვრამეტე საუკუნის ბრიტანეთის ყველაზე ცნობილი ადამიანების გვარებს, მათ შორის ქალების რიცხვი ძალიან მწირია და აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესობა წარმატებული, ლიტერატურის სფეროში გახდა, ფერწერაში ქალის მხოლოდ ერთი სახელია შემორჩენილი, სამეცნიერო სფეროში არც ერთი. ასევე მუსიკაში, ქანდაკებასა და არქიტექტურაში არც ერთი ქალბატონი არ მოღვაწეობდა. თუმცა, სამსახიობო სფეროში მრავლად გვხვდებიან ქალბატონები, რაც ადასტურებდა იმას, რომ თეატრში ქალი და მამაკაცი თანასწორი იყო.

მაღალი ფენის წარმომადგენელთა ქალიშვილებს განათლების მიღების უფლება ჰქონდათ, თუმცა მათი განათლება მოიცავდა მხოლოდ შემდეგ საგნებს: მუსიკა, წერა, ფრანგული, ცეკვა, სახვითი ხელოვნება და საოჯახო საქმეების შესწავლა. ქალბატონების სამუშაო სფერო მე-18 საუკუნეში დამოკიდებული იყო მათ წოდებაზე, მდიდარ ოჯახთა წარმომადგენლების ძირითადი გასართობი კარტი იყო და ერთადერთი საზრუნავი კაბები და გარეგნობაზე ზრუნვა, ოდნავ უფრო დაბალი ფენის წარმომადგენელთათვის მთავარ სამუშაოს ქსოვა წარმოადგენდა და აბრეშუმისა და ბამბის ტანსაცმლის შექმნა, ქაღალდებისგან სხვადასხვა ნივთის, უმეტესად ბარათების დამზადება, რაც სამუშაო კი არა, არამედ უფრო გასართობი და დროის გასაყვანი საშუალება იყო.

მე-18-ე საუკუნის ბრიტანეთის საზოგადოების შეხედულებებით კაცი მხოლოდ მაშინ იყო ბედნიერი, როდესაც ქალისგან შორს იყო, ქალი კი მაშინ, როდესაც კარტის

თამაშით იყო დაკავებული. იმ პერიოდში ქალებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ რა იყო გენდერული თანასწორობა, მამაკაცებისთვის კი ეს დაცინვის საგანი იყო. კაცები შედარებით სრულყოფილად ცხოვრობდნენ. ქალბატონებს ქმრებთან შეხება მხოლოდ საღამოს საათებში ჰქონდათ, ისიც ვახშმის დროს. მათი ცხოვრება ერთფეროვანი და მოსაწყენი იყო. მამაკაცებს კი ოჯახის გარდა გააჩნდათ სამუშაო, მეგობრები და ხშირად საყვარლები. გარდა ამისა, მათი ძირითადი გასართობი მეგობრებთან ერთად სასმელის მიღება იყო.

დიდ ბრიტანეთში ძალიან იშვიათი იყო განათლებული ქალბატონი. ქალების უმეტესმა ნაწილმა წერა-კითხვაც კი არ იცოდა და მათ განათლების ძალიან დაბალი დონე ჰქონდათ. შეძლებული ოჯახის წარმომადგენლებს არანაირი საზრუნავი არ გააჩნდათ. გარე სამყაროსთან შეხება არ ჰქონდათ და არანაირ ინფორმაციას არ ფლობდნენ ბრიტანეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. XVIII საუკუნის ქალის ცხოვრება უაზრო, მოსაწყენი და ერთფეროვანი იყო, სადაც მათი ყველა ნაბიჯი გათვლილი იყო და მათ სურვილებს არა თუ არ ითვალისწინებდნენ, არამედ არაფრად აგდებდნენ.

ოცდამეერთე საუკუნეში ბრიტანეთში ქორწინება კვლავ არის ურთიერთობა და თანაცხოვრება ქალსა და მამაკაცს შორის. 2001 წელს 11.6 მილიონი დაქორწინებული წყვილი იყო დიდ ბრიტანეთში, 2.2 მილიონი კი ქორწინების გარეშე ცხოვრობდა ერთად. ეროვნული სტატისტიკის სააგენტო აცხადებს: „ტრადიციული ოჯახი რჩება კვლავაც იგივე, რომელიც შედგება დედის, მამის, ბავშვის ან ბავშვებისაგან“. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მონაცემებში არ არიან დაფიქსირებული ის ადამიანები, რომლებიც საზღვარგარეთ წავიდნენ და იქ დაქორწინდნენ. გარდა ამისა ბრიტანეთში ჩატარებული გამოკითხვებიდან ჩანს, რომ ერთად მცხოვრებთა 75 პროცენტს აქვს სურვილი ოფიციალურად დაქორწინდნენ. ყოველ მეორე ადამიანს სურს, რომ იცხოვროს ოფიციალურ ქორწინებაში<sup>7</sup>.

საფრანგეთში საოჯახო სამართალი რომაულ სამართალზე აღმოცენდა. რომაული სამართალი შეესაბამება კაცობრიობის ისტორიის ძალიან ხანგრძლივ

<sup>7</sup> ზემომოყვანილი საიტი.

პერიოდს. რომაული ცივილიზაცია ძირითადად სოფელთან იყო დაკავშირებული და დიდი ცვლილებები გაჩნდა მოგვიანებით დიდი ქალაქების გაჩენასთან ერთად. თავიდან, ოჯახი ადამიანთა ერთობლიობა იყო, რომლებიც ერთი და იმავე ღმერთის გარშემო იყვნენ გაერთიანებული. ისინი ფლობდნენ ერთობლივად რაღაც ქონებას. რომში, სახლს უწოდებდნენ *დომუს*, რომელიც იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ერთობლიობას ეკავა.

ოჯახი არის სახლის და სახლის გარშემო არსებული სივრცის მფლობელი. ოჯახი ინაწილებს ქონებას და ეს განაწილება ხორციელდება იმ მომენტში, როდესაც ახალგაზრდებს სურთ ცალკე წასვლა და საკუთარი ოჯახის შექმნა, ასევე გარდაცვალების დროს. საჭიროა იმის ცოდნა თუ როგორ მოხდეს განაწილება: ნათესაური კავშირით თუ ცოლ-ქმრული კავშირით. თავისი ტერმინოლოგიით, ოჯახი ძალიან ადრე დამკვიდრდა.

ოჯახი ინდივიდთა მონაცვლეობაა, პირთა ერთობლიობა, რომელთაც საერთო ხასიათი აქვთ. არსებობს ნათესაური კავშირი ოჯახის წევრებს შორის. ესაა ფიზიოლოგიური და კანონიერი კავშირი და უნდა შემოწმდეს ის, რომ ამ კავშირს სარგებლობა მოაქვს შვილებისათვის, მოცემული ჯგუფის წევრებისათვის. პოლიტიკური ხელისუფლება ცდილობს ხელი შეუწყოს ოჯახის განვითარებას, რადგანაც მასში თავის სარგებელს ხედავს.

ამჟამად, ოჯახური რესტრუქტურის ევოლუციის პერიოდია, თვით ქონების მართვის ევოლუციის თვალსაზრისითაც. შეიცვალა ოჯახური პრაქტიკა, ხოლო აზროვნება კი უცვლელი დარჩა. უნდა აღვნიშნოთ, რომ საგრძნობლად შემცირდა ქორწინების რიცხვი. ქორწინება უფრო გვიანდელ ასაკში ხდება. სუსტდება ცოლ-ქმრული კავშირი. პასუხისმგებლობის გრძნობა ერთმანეთის მიმართ სუსტდება. ბავშვის სამართლებრივ დაცვას ოჯახის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მშობლებმა პასუხისმგებლობა უნდა აიღონ შვილებზე აღზრდისა და განათლების კუთხით.

2005 წლის კანონით, კანონმდებელი ზრუნავს ნათესაურ კავშირზე. ეს კავშირი ანიჭებს პიროვნებას იდენტობას და ერთადერთ ადგილს გენეალოგიური რანგის შიგნით. კანონმდებელი ბოლოსდაბოლოს მიხვდა და შეეცადა დასკვნები ბავშვის დასაცავად გაეკეთებინა. ბიოლოგიური კრიტერიუმით, არსებობს შვილად აღიარების საკითხში სირთულეები. დღეს, მეცნიერების მიღწევებით შესაძლებელია დავადგინოთ, რომ ესა თუ ის ბავშვი კონკრეტული მამის შვილი არ არის.

საზოგადოებამ კავშირის ახალი ფორმები, მას შემდეგ შემოიღო, რაც ისინი გააკრიტიკა. ჰომოსექსუალები ითხოვენ შვილის აყვანის უფლებას, იციან, რომ თავად ასეთ წყვილს არ აქვთ შვილის ყოლის უნარი. მათ სურთ კანონიერად ჰყავდეთ ბავშვი. თუმცა ამის უფლება მათ არა აქვთ. ერთი მხრივ, სოციოლოგიური თვალსაზრისით, ბავშვს ესაჭიროება ჰარმონია. ნათესაობის ახალი ფორმა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ სისტემას, რომელიც ოჯახს კანონიერი კავშირებით წარმოგვიდგენს. ოჯახი სამი ელემენტით იქმნება:

- ჩვეულებრივი ოჯახი : ის მონოგამურია.

-არსებობს ოჯახური ქსელი ნათესაური კავშირებით, რომელიც შექმნილია სისხლის ნათესაობით და ასევე გარე კავშირებით. გაფართოებული ოჯახის ცნება, რომელიც სოლიდარობის და სიამოვნების მოვლენაა. დიდი ხნის განმავლობაში ერთ ჭერ ქვეშ ესა თუ ის დაგუფება ცხოვრობდა.

-სისხლით ნათესაობა არის ერთი ინდივიდის გარშემო არსებული ნათესაური ქსელი. როდესაც ბავშვი ასეთ ოჯახში იზადება, მისი აკვნის ირგვლივ მთელი ოჯახია თავმოყრილი. არის მეორე ეტაპი, როდესაც ბავშვია მთავარი ფიგურა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ქორწინება. ქორწინებით ბავშვი ოჯახს ენერგიას ანიჭებს.

ეს სამი ელემენტი მნიშვნელოვანი იყო ძველი რეჟიმის ტიპის საზოგადოებებისათვის. რელიგიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქორწინებაში. მონათვლაც მნიშვნელოვანია ქორწინებისკენ მიმავალ გზაზე. როდესაც ბავშვი იზადება, მამა ავტორიტეტი ხდება თავისი შვილებისათვის ისევე, როგორც ქმარი

ავტორიტეტია თავისი ცოლისათვის. ოჯახის მამის ცნება ჩადებულია 1804 წლის სამოქალაქო კოდექსში. ესაა ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსი.

1970 წელს მიღებულმა კანონმა გააუქმა მამის ბატონობა ოჯახში. ეს გახდა საზოგადოების ევოლუციის შედეგი. ამიერიდან საუბრობენ მშობლის ავტორიტეტზე. მშობლის ავტორიტეტის ცნება, უფლებებისა და ვალდებულებების ერთობლიობაა, რომლის საბოლოო მიზანს ბავშვის ინტერესის დაცვა წარმოადგენს. მამას აქვს უფლებები და ვალდებულებები და ის განსხვავდება მამის გაბატონებული მდგომარეობისაგან. კაცის უფლებების მიზანია ბავშვის დაცვა, მის ინტელექტუალურ, ფიზიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნვა. მამის გაბატონებული მდგომარეობა მხოლოდ ეკონომიკურ უზრუნველყოფას გულისხმობს. მშობლის ავტორიტეტი ეხება როგორც მამას, ისე დედას<sup>8</sup>.

ცოლ-ქმარი ერთად უძღვება ოჯახს. ერთობლივი ავტორიტეტი აქვთ და ამავე დროს კაცი და ქალი ერთობლივად მართავენ ოჯახს. მათ თანაბარი უფლებები გააჩნიათ. მშობლებმა ბავშვი მის სრულწლოვანებამდე უნდა დაიცვან ყველა სახის რისკისაგან. მეორე მიზანი ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვაა. გახშირდა სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე ადამიანების ქორწინება. მშობლები ცდილობენ უზრუნველყონ ბავშვის განვითარება და მისი განათლება.

მშობლების ავტორიტეტი შეიძლება შეწყდეს თავიდანვე ბავშვის სურვილით. მშობლის ავტორიტეტი არის ის ავტორიტეტი, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის ზოგად ცნებაში შედის, რადგანაც მშობლები ძალაუფლების ერთ-ერთი რგოლია. მშობლის ავტორიტეტი გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ. შესაძლებელია მოხდეს მისი კონტროლი ერთ-ერთი მშობლის ან ბავშვის თხოვნით. ვალდებულება კანონით არ წყდება, როდესაც ბავშვი სრულწლოვანი ხდება. ითვალისწინებენ მისი, როგორც სტუდენტის მდგომარეობას.

<sup>8</sup> <http://www.cours-de-droit.net/histoire-du-droit-de-la-famille-c27647228>, (10.10. 2016).

მშობლები უზრუნველყოფენ ოჯახის ზნეობრივ და მატერიალურ მართვას და ზრუნავენ ბავშვის მოთხოვნებზე, აღზრდასა და მომავლზე. ეს ევოლუციის პირველი ეტაპია. თითოეულ მშობელს შემოსავლის შესაბამისად თავისი წვლილი შეაქვს. ადრე, ეს ფუნქცია ქმარს ეკისრებოდა. მას უნდა ეზრუნა ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე, დღეს კი ცოლიც მონაწილეობს თავისი შემოსავლით და თუკი მას ქმარზე მეტი ხელფასი აქვს, მან ოჯახს უფრო მეტი თანხა უნდა დაახარჯოს.

ევოლუციის მეორე ეტაპი 1975 წლიდან დაიწყო. განქორწინება ორივე მხარის თანხმობით შემოიღეს. 1996 წლიდან, ქორწინების 38% განქორწინებით სრულდება. დღეს კი 40%-ზე მეტია. 1975 წლიდან, განქორწინების გამარტივებულმა პროცედურამ ერთმშობლიანი და ხელახლაშექმნილი ოჯახები წარმოშვა. წყვილები იქმნებიან ქორწინებამდე. ბავშვის დაბადებამდე ოჯახი თითქოს არ არსებობს. ადარ აკრიტიკებენ იმ წყვილებს, რომლებიც ქორწინების გარეშე ცხოვრობენ ერთად. ბავშვს სტატუსი ეძლევა მშობლების თანხმობით. იქმნება ოჯახური ქსელი: ქორწინდებიან, შემდეგ განქორწინდებიან, კვლავ ქორწინდებიან და მამასადაძემ, ბევრი ტიპის კავშირი არსებობს პირველი ოჯახის და ახლადშექმნილი ოჯახის წევრებთან. დღეს თავისუფლება არსებობს პარტნიორის შერჩევისას. ადრე, არსებობდა ეკონომიკური ინტერესები და ოჯახებს შორის შეთანხმება. ეს ყველაფერი სოციალურ ფენაში ხდებოდა. ქორწინებაზე უარის თქმის შემთხვევაში, პირს ოჯახი უნდა დაეტოვებინა და შეიძლებოდა მემკვიდრეობის გარეშე დარჩენილიყო. გრძნობებს განიხილავდნენ უარყოფითად და გამოსავალი მონასტერი იყო.

დღეს, გრძნობები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სოციალური შეთანხმება. თუმცა თითოეულმა ადამიანმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს იმის გამო, რომ არ დაარღვიოს სოციო-კულტურული თუ ეკონომიკური ზღვარი, რაც ასე მნიშვნელოვანია. შვილები უფრო მეტად თავისუფალნი არიან სექსუალური და გრძნობითი ურთიერთობის თვალსაზრისით. სიყვარული მოზარდებში დაშვებულია.

მშობლები იყენებენ დარწმუნების და არა ძალის და რეპრესიის მეთოდებს. ოჯახური გარემოს ევოლუცია იგივეა, რაც აღმზრდელით სფეროში. დღეს საუბარია ავტორიტეტის კრიზისზე: ის წარმოიქმნება ოჯახებში ურთიერთობების



ცვლილებებთან ერთად. სოციოლოგები, ფსიქოლოგები უჩივიან მამის უფლების გაქრობას. დღეს მამა, იმავე როლს აღარ ასრულებს. დღეს იმ ბავშვების 80%, რომელთა მშობლები ერთად არ ცხოვრობენ ან გაშორებული არიან, საკუთარ დედებთან ცხოვრობენ. ფრანგულ სამართალში, მამინაცვლებს და დედინაცვლებს მოიხსენიებდნენ ტერმინებით *parâtre* და *marâtre*, დღეს მათ უწოდებენ *beau-père* და *belle-mère*. ახალი ოჯახის შექმნის პროცესში, წყვილს შეიძლება შვილი შეეძინოს. დღეს ოჯახი აღარ არის საზოგადოების ძირითადი უჯრედი, არც სტაბილური საფუძველი. ის არის იმ კავშირების ერთობლიობა, რომლებიც მშობლებს მამისა და დედის მხრიდან ნათესავებთან აკავშირებს<sup>9</sup>.

## 2.4 სამართლის ენის კლასიფიკაციის პრობლემა და მისი ზოგადლექსიკური და სინტაქსური მახასიათებლები

სამართლის ენა უნდა იყოს ერთი მხრივ საერთო, რათა უზრუნველყოს სამართლებრივი სისტემის შიგნით ერთიანობა. მეორე მხრივ, მისი გამოყენება უნდა შეიძლებოდეს სხვადასხვა მიზნით, ანუ იურიდიული საქმიანობის განსხვავებულ სფეროებში. ამიტომაც, როდესაც აღვწერთ სამართლის ენას, საჭიროა გავმიჯნოთ ყველა ტექსტი, რომლებსაც საფუძვლად უდევს სამართლის ენის სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები. თუმცა სამართლის ენის სპეციფიკური აღწერა ძალზე რთულია, ვინაიდან ის ტექსტები, რომლებშიც მოცემულია სამართლებრივი ინფორმაცია, იქმნება მრავალი ინსტანციის მიერ. არსებობს ტექსტები, რომლებსაც ქმნის პარლამენტი, სასამართლო და ადმინისტრაცია. ამას დ.ბუსე უწოდებს ვერტიკალურ დაყოფას (ბუსე 1992: 79).

ვ.ოტო გვთავაზობს სამართლებრივი ტექსტების დაყოფას შემდეგ ჯგუფებად:

1.კანონის ენა;

<sup>9</sup> <http://www.cours-de-droit.net/histoire-du-droit-de-la-famille-c27647228>, (10.10.2016).

2. სასამართლოს ენა;
3. იურიდიული მეცნიერების ენა;
4. ადმინისტრაციული დოკუმენტაციის ენა:
  - იურისტებთან ურთიერთობისათვის;
  - მოქალაქეებთან ურთიერთობისათვის;
5. ადმინისტრაციული ჟარგონი;
6. სხვა ტიპის ტექსტები (ოტო 1981:51).

ამ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს „ინტენსიურობის ხარისხი“, სპეციალური საშუალებების გამოყენება, იქნება ეს ლექსიკური, გრამატიკული, სტილისტური და სხვა), ასევე მათი დამოკიდებულება გამოყენების მიზანსა და ადრესატზე. ზოგადად, სამართლის ენა ლინგვისტური თვალსაზრისით არაერთგვაროვანია. ს. შარშევიჩი ასხვავებს პრესკრიფციული/დესკრიფციული კრიტერიუმების მიხედვით ტექსტების სამ ტიპს:

1. პრესკრიფციული ტექსტები (კანონები, განკარგულებები, ხელშეკრულებები)
2. შერეული ტექსტები, რომლებიც პირველ რიგში დესკრიფციულია, რომლებიც პრესკრიფციულ ელემენტებსაც შეიცავს (სარჩელები, განცხადებები);
3. დესკრიფციული ტექსტები (სასწავლო ლიტერატურა და სხვა) (შარშევიჩი 1997: 9).

ა. პოდლეჰი გვთავაზობს სამართლის ენის კლასიფიკაციას „გაგების ხარისხის“ მიხედვით ჰორიზონტალურ დონეზე. ის გამოყოფს კანონების ენას, სასამართლო გადაწყვეტილებების ენას და ადმინისტრაციულ ენას. ვერტიკალური დაყოფა ეფუძნება გამოყენებულ ტერმინოლოგიაში განსხვავებას. ამის შესაბამისად, სამართლის ენაში, ის გამოყოფს სამართლის თეორიის ენას, რომელიც სამართალში სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომებს, პროფესიულ ჟარგონს აერთიანებს (პოდლეჰი 1975: 169).

სამართლის ენას, როგორც სხვა პროფესიულ ენებს, მთელი რიგი ლექსიკური თავისებურება გააჩნია, რომლის ცოდნაც საშუალებას იძლევა უკეთესად გავიგოთ ამ ენის სპეციფიკა და ვისწავლოთ მისი გამოყენება. სამართლის ენა ოფიციალურ-საქმიან სტილს განეკუთვნება და მისი დიპლომატიური სახესხვაობისათვის

დამახასიათებელია განსაკუთრებული ტერმინოლოგიის, უცხოური სიტყვების და გამოთქმების გამოყენება, რომლებსაც დიდი გავრცელება არა აქვთ საერთო ენაში. ასე მაგალითად: *ნოტა-note-note*; *მემორანდუმი-memorandum-mémorandum*, *ატაშე-attaché-attaché*, *კონსული-consul-consul*.

სამართლის ენაში გვაქვს არქაიზმები, ლათინური სიტყვები. მას ახასიათებს ასევე მყარი შესიტყვებები, რომლებსაც შაბლონის სტატუსი გააჩნია. მაგალითად: *სუვერენიტეტის პატივისცემა-a respect for sovereignty-respect de la souveraineté*; *ტერიტორიალური მთლიანობა-territorial integrity-intégrité territoriale*; *სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა-sovereign equality of states-égalité souveraine des états*; *საშინაო საქმეებში ჩაურევლობა-non-interference of internal affairs-non-ingérence des affaires intérieures*; *ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა-respect the human rights and fundamental freedoms-respecter les droits de l'homme et des libertés fondamentales*.

სამართლის ენას, როგორც პროფესიულ ენას განსაკუთრებული ლექსიკური მარაგი აქვს. ყველა სიტყვა და გამოთქმა, რომელიც ენას განეკუთვნება შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ (პიგოლკინი 1968: 45):

1. პროფესიული სიტყვები — ანუ სიტყვები, რომლებიც ამა თუ იმ პროფესიის ენას ახასიათებს და რომელთა უმეტესობა სხვა პროფესიის ადამიანებისათვის გაუგებარია. მაგალითად: *მხარეთა დავა პროცესზე-trial-plaidoiries*; *პირველი ინსტანციის სასამართლო-the trial court-le tribunal de première instance*; *შესაგებელი სარჩელი-counter-claim, cross-action-demande reconventionnelle*. როგორც წესი, პროფესიული სიტყვების შეცვლა ადვილად ხდება ყოველდღიური ენის სიტყვებითა და გამოთქმებით.

2. გამოთქმები, სიტყვები, რომლებიც ერთი მხრივ, სამართლის ენას და მეორე მხრივ, ყოველდღიურ ურთიერთობის ენას განეკუთვნება. მაგალითად: *ხელშეკრულება-convention-agreement-convention*; *მკვლელობა-murder-meurtre*; *საკუთრება-goods-biens*; *ბრალი-delict-délit*.

3. სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც მხოლოდ სამართალწარმოებაში შეიძლება შეგვხდეს. ამ ჯგუფს ლათინური წარმოშობის სიტყვები განეკუთვნება, რომლებიც

ამა თუ იმ იურიდიულ ფაქტს აღნიშნავენ. მაგალითად: *ინგლისურში* გვაქვს ტერმინები: *intestate-ანდერძის გარეშე*; ფრანგულში კი *ab intestate*; ქვემო-ჩამოთვლილი ლათინიზმები გვხდება, როგორც ინგლისურ, ისე ფრანგულ ენებში. ესენია: *ad probationem-როგორც მტკიცებულება*; *contra legem-კანონის საწინააღმდეგოდ*; *fraus omnia corrumpit-თაღლითობა ყველაფერს აფუჭებს*; *infans conceptus pro nato habetur quoties de commodis ejus agitur: ჩასახული ბავშვი განიხილება, როგორც უკვე დაბადებულ ბავშვად, როდესაც საქმე ეხება მის ინტერესებს*; *post nuptias: ქორწინების შემდეგ*; *ratio decidendi: გამონათქვამი, რომელიც აღნიშნავს იურიდიულ დასკვნას, რომელმაც მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებამდე მიიყვანა*; *adjurment sine die- სასამართლო სხდომის გადატანა დღის მითითების გარეშე*; *corpus juris-კანონების კრებული*; *dictum- ზემოხსენებული*; *fiat justitia et pereat mundus-სამართალი აღსრულდეს თუნდაც მსოფლიო განადგურდეს*; *ignorantia juris non excusat-კანონის არცოდნა გამართლება არაა*; *nemo debet esse judex in propria-არავის განსჯა არ შეიძლება საკუთარ საქმეში*; *vigilantibus non dormientibus aequitas subvenit-სამართლიანობა ფხიზლად ყოფნას ეხმარება და არა უმოქმედებას.*

ქართულ ენაშიც იყენებენ ლათინურ სიტყვებს და გამოთქმებს, მაგრამ მათი რაოდენობა მწირია. მაგალითად: *დე იურე, დე ფაქტო, სტატუს კვო, პერსონა ნონ გრატა, აპრიორი, კაზუს ბელი-საბაზი ომის დასაწყებად, კაზუს ფედერისი-ალიანსის კაზუსი. De jure, de facto, status quo, persona non grata, a priori, casus belli, casus federis.* ქართულში გამოყენებული ლათინური სიტყვები საერთოა სამივე ენისათვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საზღვარი ამ ჯგუფებს შორის მკაცრი არ არის. თუ რამდენად რთულია ამა თუ იმ ტერმინის გაგება, დამოკიდებულია კომუნიკაციაში მონაწილე პირების ცოდნაზე. მეორე და მესამე ჯგუფის სიტყვების ვერ გაგება მიუთითებს პროფესიულ ცოდნაში არსებულ ხარვეზებზე.

მორფოლოგიური თვალსაზრისით სამართლის ენა იმითაა საინტერესო, რომ სამართლის ტექსტებში, სხვა ტიპის ტექსტებთან შედარებით, ჭარბობს არსებითი სახელები. ამგვარად, ნომინაციური, სახელადი სტილი სამართლის პროფესიული

ენის ერთ-ერთი ნათელ ნიშანს წარმოადგენს. მაგალითისთვის ავიღოთ ინგლისური ტექსტი:

1. *Family law determines the legal rights and obligations of fathers or mothers to their children and of children to their parents. The legal relationship is distinguished from the natural relationship; for example, two persons may have a legal relationship of parent and child although there is no natural relationship, as in the case of an adopted child-საოჯახო სამართალი განსაზღვრავს მამების ან დედების კანონიერ უფლებებსა და ვალდებულებებს შვილების მიმართ და შვილების უფლება-ვალდებულებებს მშობლების მიმართ. სამართლებრივი ურთიერთობა განსხვავდება სისხლით ნათესაობისაგან. მაგალითად, ორ ადამიანს, მშობელსა და შვილს შორის შესაძლოა არსებობდეს მშობლისა და შვილის კანონიერი კავშირი, თუმცა არ არსებობდეს მათ შორის სისხლით ნათესაობა, იგულისხმება ნაშვილები ბავშვი (ოლდჰემი 2015:9).*

2. *As a rule parents are the legal as well as natural guardians of their child. They have the right to name the child and are entitled to custody.[...] Parents must provide for their children such necessities of life as food, clothing, shelter, education, and medical care; if they cannot or will not, the laws authorize intervention by designated authorities to ensure that children's needs are met- როგორც წესი, მშობლები არიან შვილების კანონიერი და ბუნებრივი მეურვეები. მათ აქვთ უფლება დაარქვან სახელები ბავშვებს და მათზე იზრუნონ. მშობლებმა უნდა უზრუნველყონ შვილები ისეთი აუცილებელი ნივთებით, როგორებიცაა საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, განათლება და სამედიცინო დახმარება. თუ მათ ამის გაკეთება არ შეუძლიათ ან არ აკეთებენ, კანონი ჩარევის უფლებას აძლევს უფლებამოსილ ორგანოს, რათა მან ბავშვის მოთხოვნების დაკმაყოფილება უზრუნველყოს (ოლდჰემი 2015:10).*

3. *[...] Parents' rights to custody of their children may be limited or, in extreme cases, terminated because of failure to provide adequate care. Laws require a father to support his minor children if he is able to do so, whether or not he has ever been married to their mother. Failure to provide support may result in civil or criminal proceedings against him. If paternity has been admitted or established, laws permit children to inherit from their father's estate unless specifically excluded in his will-მშობელთა უფლებები შვილებზე ზრუნვის თვალსაზრისით შეიძლება შეიზღუდოს ან უკიდურეს შემთხვევაში შეწყდეს იმის*

გამო, რომ მათ არ შეუძლიათ სათანადოდ ბავშვებზე ზრუნვა. კანონის მიხედვით, მამამ უნდა ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს მის მცირეწლოვან შვილებს, იმის მიუხედავად იმყოფებოდა თუ არა ბავშვების დედასთან ქორწინებაში. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, შესაძლოა მის მიმართ სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პროცესი აღიძრას. თუ მამობის უფლება აღიარებული ან დადგენილი იქნება, კანონი შვილს მამისგან მემკვიდრეობის მიღების უფლებას აძლევს. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი შვილი მამის სურვილით არ იქნება სპეციალურად ანდერძიდან ამოღებული (ოლდჰემი 2015:14).

ფრანგული ტექსტი:

Art. 371. *L'enfant, à tout âge, doit honneur et respect à ses père et mère*-ბავშვმა, ნებისმიერ ასაკში პატივი უნდა სცეს თავის დედ-მამას.

Art. 371-1. *Il reste sous leur autorité jusqu'à sa majorité ou son émancipation*-ის მათი ავტორიტეტის ქვეშაა სრულწლოვანებამდე ან ემანსიპაციამდე.

Art. 371-2. *L'autorité appartient aux père et mère pour protéger l'enfant dans sa sécurité, sa santé et sa moralité. Ils ont à son égard droit et devoir de garde, de surveillance et d'éducation*-ავტორიტეტი დედას და მამას ეკუთვნის, რათა უზრუნველყონ თავიანთი შვილის უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და ზნეობა. მათ მისი დაცვის, ზედამხედველობის და აღზრდის უფლება და ვალდებულება გააჩნიათ.

Art. 371-3. *L'enfant ne peut, sans permission des père et mère, quitter la maison familiale et il ne peut en être que dans les cas de nécessité que détermine la loi*-ბავშვს არ შეუძლია მშობლების ნებართვის გარეშე დატოვოს ოჯახი, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, რომელიც კანონითაა განსაზღვრული<sup>10</sup>.

ქართულ სამოქალაქო კოდექსში ტექსტი ასეა წარმოდგენილი:

მუხლი 1197. მშობელთა თანასწორუფლებიანობა შვილების მიმართ

<sup>10</sup> იურიდიული დისკურსები, ამოღებულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსიდან.

შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში.

მუხლი 1198. მშობელთა მოვალეობანი შვილების მიმართ (18.12.2007 N 5624 ამოქმედდეს 2008 წლის 1 მაისიდან).

1. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.
2. მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება.
3. მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა.
4. მშობლებს ევალებათ, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას.
5. მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან, განსაზღვრონ თავიანთ შვილებთან მესამე პირთა ურთიერთობის უფლება.
6. მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოდიან, მათ შორის, სასამართლოში (თავი მეორე, გვ. 241-242).

როდესაც სამართლის ენას და კანონის ენას, როგორც ოფიციალურ-საქმიანი სტილის სახესხვაობად ვიხილავთ, მასში მთავარია სინტაქსური სტრუქტურის სირთულე. მასში დომინირებს მარტივი გავრცობილი წინადადებები, ასევე რთული თანწყობილი და რთული ქვეყწობილი წინადადებების ფორმები. ასეთი ტიპის ტექსტები მდიდარია იურიდიული ტერმინოლოგიით, ერთგვაროვანი წევრებით. ინგლისურში და ფრანგულში უფრო ხშირად იყენებენ მარტივ წინადადებებს, ვიდრე ქართულ ენაში, რადგანაც რთული წინადადების შექმნის ტენდენცია ქართული ენისთვისაა დამახასიათებელი. ეს განსხვავება კარგად ჩანს სწორედ საოჯახო

სამართლის საკანონმდებლო ტექსტებში. თუ შევადარებთ სამივე ენის სამოქალაქო კოდექსში საოჯახო სამართლის ტექსტებს, დავინახავთ, რომ სახელადი ფორმები სამივე ენაში ჭარბობს, თუმცა სინტაქსური თვალსაზრისით მათი ფორმულირება სხვადასხვა ენაში, სხვადასხვაა. მაგალითად, ინგლისურ ენაზე: *Parents' rights to custody of their children may be limited or, in extreme cases, terminated because of failure to provide adequate care.* ფრანგულად: *L'enfant ne peut, sans permission des père et mère, quitter la maison familiale et il ne peut en être que dans les cas de nécessité que détermine la loi.* თუკი საქართველოს სამოქალაქო კოდექსს მივმართავთ: *მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.* თუ სამივე კონტექსტს შევადარებთ, გამოჩნდება, რომ ინგლისურსა და ფრანგულში გვაქვს შერწყმული წინადადება, ხოლო ქართულში რთული, მიუხედავად იმისა, რომ მაქვემდებარებელი კავშირი *რომ* გამოყენებული არაა. პირველ ორ შემთხვევაში, კონტექსტებში აზრი კომპაქტური და მშრალია, ხოლო ქართული კონტექსტი უფრო გავრცობილია. იგრძნობა ის, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართველი კანონმდებლები ოჯახის ცნებას. ასეთი დამოკიდებულება ოჯახის მიმართ საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში XX საუკუნის 60-იან წლებში იყო. მოცემული კონტექსტებით კარგად ჩანს ის განსხვავება, რაც სამი ქვეყნის საოჯახო სამართლის ენის სპეციფიკას უკავშირდება.

ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა, რომ კანონის ენას, რომელიც სამართლის ენის სახეობაა გააჩნია მთელი რიგი თავისებურება, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ სპეციალური იურიდიული ტერმინების არსებობით, თუმცა რა თქმა უნდა, იურიდიული ტერმინი სამართლის ენის საფუძველს, საბაზისო ელემენტს წარმოადგენს, რომლის გარეშე სრულყოფილი პროფესიული კომუნიკაცია შეუძლებელია.



## 2.5. საოჯახო სამართლის ტერმინების თავისებურებები

ლ.ჰოფმანის აზრით, სპეციალური ენა, ის ენაა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ყველა ენობრივი საშუალების ერთობლიობა, რომელიც ამა თუ იმ სფეროში მომუშავე სპეციალისტების მიერ წარმატებული კომუნიკაციის მიზნით მოცემულ სფეროში გამოიყენება.

თუკი სამართლის ენას გავანალიზებთ, შეიძლება გამოვყოთ მისი რამდენიმე ნიშანი:

1. სპეციალური ტერმინოლოგიის არსებობა;
2. სპეციალური სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენება;
3. გამოხატვის კომპაქტური ხერხის გამოყენება;
4. განსაზღვრული სინტაქსური ხერხების არსებობა (ჰოფმანი 1987: 87).

ზემოჩამოთვლილი ნიშნები ვარგისია ინგლისური და ფრანგული ენებისათვის, რაც შეეხება ქართულ ენას, 4 ნიშნიდან სამში დამთხვევაა და მხოლოდ მესამე ნიშანი განსხვავდება იმით, რომ ქართულში გვაქვს რთული კონსტრუქციები, რთული დაქვემდებარებული წინადადებები, რაც ქართული ენისთვისაა დამახასიათებელი.

ჩვენს მიერ განხილული სამართლის ენის მახასიათებლები გვიჩვენებს, რომ სამართლის ტერმინოლოგიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. იურიდიული ტერმინები ლექსიკის განსაზღვრულ პლასტს წარმოადგენს, რომლებიც გაგების სირთულეს უქმნის ადამიანს, რომელიც პროფესიულად არაა დაკავშირებული იურისპრუდენციასთან. ეს სირთულე შეიძლება სამი დებულების სახით ჩამოვაცალიბოთ:

1. იურიდიული ტერმინი სპეციალური სიტყვა ან შესიტყვებაა, რომელიც იურიდიულ საქმიანობაში გამოიყენება განსაკუთრებული პირობების დროს.
2. იურიდიული ტერმინი, ცნების სიტყვიერი აღნიშვნაა, რომელიც იურისპრუდენციის სფეროს განეკუთვნება;
3. იურიდიული ტერმინი სამართლის ენის ძირითადი ცნებითი ელემენტია. (გრიშენკოვა 2006: 94). უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინების ჩამოყალიბებას აქვს, როგორც ლინგვისტური, ისე სოციოლინგვისტური ხასიათი. იურიდიული

ტერმინოლოგიის სტანდარტიზაცია საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში კანონმდებლის საქმეა. ამას ვერ ვიტყვით საქართველოს შემთხვევაში. ჩვენთან ტერმინების ჩამოყალიბებამ რთული გზა განვლო, ჯერ რუსული სამართლის ენის გავლენა განიცადა, შემდეგ კი ინგლისური, თუმცა შეიძლება ის ფაქტიც აღვნიშნოთ, რომ სამოქალაქო სამართალში ძველი ქართული ტერმინების აღდგენა მოხდა. ტერმინების ჩამოყალიბების პროცესში თავს იჩენს პრინციპული საკითხები. დასაშვებია თუ არა სინონიმების არსებობა, თუ თითოეულ ცნებას რაიმე კონკრეტული მოვლენა, ან საგანი უნდა დავუკავშიროთ.

სამწუხაროდ, დღეს არ არსებობს იურიდიული ტერმინების ლოგიკური სპეციფიკაციის მკაფიო, მეცნიერულად დამუშავებული პრინციპები და კრიტერიუმები, მათი პრაქტიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით, სამართლებრივი ურთიერთობის ამა თუ სფეროში, რის გარეშეც ნებისმიერი კლასიფიკაცია საკმაოდ პირობითად, სქემატურად და არასრულყოფილად გამოიყურება. აშკარაა, რომ იმ ტერმინოლოგიის კლასიფიკაცია, რომელიც კანონმდებლობაში გამოიყენება შესაძლებელია ვერტიკალური და ჰორიზონტალური პრინციპებით განხორციელდეს (სამართლის ზოგადი თეორია 1987:111).

ვერტიკალური ტერმინოლოგიის მწვერვალზე იქნება ტერმინოლოგია, რომელიც დაფიქსირებულია კონსტიტუციაში და დარგობრივ კოდექსებში. არსებითად ესაა, ზოგადსამართლებრივი ტერმინოლოგია, რომელიც სისტემურად აერთიანებს ტერმინებს, რომლებიც ასე თუ ისე ფუნქციონირებენ კანონმდებლობის ყველა სფეროში. ისინი გამოხატავენ განზოგადოებულ ცნებებს. მაგალითად: *სამართლებრივი სახელმწიფო*-*rule of law-état de droit*; *სახელმწიფო ორგანო*-*state organ-organe étatique*; *პასუხისმგებელი პირი*-*responsible-responsable*; *საზოგადოებრივი ორგანიზაცია*-*public organisation-organisation publique*; *კომპეტენცია*-*skill-compétence*; *უფლებამოსილება*-*responsibility-responsabilité*; *კანონმდებლობა*-*legislation-législation*; *კანონი*-*law-loi*; *გადაწყვეტილება*-*judgment- jugement*; *პიროვნების ხელშეუხებლობა*-*personal immunity-immunité personnelle*; *კანონიერი ინტერესები*-*legitimate interests-intérêts légitimes* და ა.შ.

ჰორიზონტალური ტერმინოლოგია მოიცავს დარგებს შორის არსებულ სხვადასხვა ფორმებს. დარგებშორისი ტერმინოლოგია ის ტერმინოლოგიაა, რომელიც კანონმდებლობის რამდენიმე სფეროში გამოიყენება. მაგალითად: *მატერიალური პასუხისმგებლობა-material responsibility-responsabilité materielle*; მნიშვნელოვანი ზარალი-*major damage, serious damage-dommage important*; დისციპლინარული გადაცდომა-*disciplinary offense-infraction disciplinaire*. დარგობრივი ტერმინოლოგიის განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ ის ეფუძნება საგნობრივ-ლოგიკურ კავშირებს და შესაბამისი ცნებების ურთიერთობებს, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობების კონკრეტული სფეროს სპეციფიკას ასახავს. შესაბამისად, დარგობრივი ტერმინოლოგია კანონმდებლობის განსაკუთრებულ სფეროს ემსახურება, ანუ დარგობრივ ტერმინოლოგიურ ველს ქმნის, უფრო ფართოს შინაარსობრივ და ფუნქციურ მიმართებებში. მაგალითად: *გარიგება-transaction-transaction*; *ხანდაზმულობა-limitation period-délai de prescription*; *განქორწინება-divorce-divorce* და ა.შ.

კანონმდებლობაში გამოყენებული ტერმინების კლასიფიცირება შეიძლება სხვა ხერხების საშუალებით. არსებობს ტერმინები:

- 1) საყოველთაოდ გამოყენებული;
- 2) საყოველთაოდ გამოყენებული რომლებიც ნორმატიულ აქტებში უფრო ვიწრო, სპეციალური მნიშვნელობით გვხვდება;
- 3) წმინდა იურიდიული;
- 4) ტექნიკური (სამართლის ზოგადი თეორია 1987: 206).

საყოველთაოდ გამოყენებული ტერმინები, ჩვეულებრივი, ფართოდ გავრცელებული საგნების, ნიშან-თვისებების, მოვლენების, ქმედებების სახელდებებია, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთნაირად გამოიყენება, მხატვრულ და სამეცნიერო ლიტერატურაში, საქმიან დოკუმენტებში, კანონმდებლობაში. ასეთი ტერმინები მარტივი და ყველასათვის გასაგებია. კანონმდებლობაში ისინი საყოველთაო მნიშვნელობით გამოიყენება და არავითარ სპეციალურ აზრს არ შეიცავს. მაგალითად: *განძო-treasure-trésor*; *მასობრივი მოწამვლა-mass poisoning-intoxication massive* და ა.შ.

ჩატარებულმა ლინგვისტურმა კვლევებმა ქართული სამართლის ენაში დაგვანახა, რომ სიტყვების 80% საერთო გამოყენებისაა. აშკარაა, რომ აქტებში, რომლებიც სასამართლო საქმიანობის სფეროს არეგულირებს, უფრო ხშირად საყოველთაოდ გამოყენებული სიტყვები გვხვდება, ვიდრე იმ აქტებში, რომლებიც სამეურნეო ურთიერთობებს არეგულირებს, სადაც სპეციალური ტექნიკური ტერმინები გაცილებით ხშირად გვხვდება. თუმცა, იქაც, საყოველთაოდ ხმარებული სიტყვები ძირითად ენობრივ პლასტს შეადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ საყოველთაოდ გამოყენებული სიტყვები ყოველთვის მოსახერხებელი არაა. მათი შინაარსი ხშირად პოლისემანტიკურია და სხვადასხვა ინტერპრეტაციას უშვებს. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ერთი, ისე მეორე მნიშვნელობით. ამიტომ, ასეთი ტერმინების გამოყენება მიზანშეწონილია, თუკი მათი მნიშვნელობა გასაგებია ყველასთვის და ეჭვს არ იწვევს კონტექსტში. როდესაც ნორმატიულ აქტებში საყოველთაოდ გამოყენებული სიტყვები გამოიყენება, კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს მათი ამა თუ იმ ფორმით ინტერპრეტაცია, იმისათვის, რომ აზრი გასაგები გახდეს. როგორც ნებისმიერი საზოგადოებრივი ცხოვრების ესა თუ ის ფორმა, იურისპრუდენციაში გამოიყენება ტერმინოლოგია, რომელიც კანონმდებელმა საზოგადოებრივი ურთიერთობების დასარეგულირებლად შეიმუშავა. სპეციალური იურიდიული ტერმინები, როგორც წესი ლაკონურად და შედარებით ზუსტად აღნიშნავენ ცნებებს, რომლებიც სამართალმცოდნეობაში გვხვდება. მაგალითად: *მოსარჩელე-petitioner-applicant demandeur-requérant-plaintiff*; *მოკვლევა-investigation-inquiry enquête*; *პირგასამტებლო-forfeit-dédit* და ა.შ.

საკანონმდებლო ტექსტში ხშირად გვხვდება სპეციალური იურიდიული ტერმინები, რომელთა მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ ლინგვისტური თვალსაზრისით შეუძლებელია. ასე მაგალითად, ტერმინი *იურიდიული პირი-juridical person-legal person-legal entity-corporation-personne morale*. სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით სიტყვა პირი, ადამიანს ეხება და არა რომელიმე ორგანიზაციას ან ასოციაციას. თუმცა ასეთი ტერმინების გამოყენება გამართლებულია და აუცილებელი, ვინაიდან პრაქტიკული კონვენციური გამოყენების თვალსაზრისით,

მათ აქვთ უპირატესობა, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად კონკრეტულ იურიდიულ ცნებებს განსაზღვრავს. საჭიროა მათი მრავალსაუკუნოვანი გამოყენების ტრადიციის გათვალისწინება.

კანონმდებლობაში სპეციალური იურიდიული ტერმინების რაოდენობა არც ისე დიდია. მათ იყენებენ განსაკუთრებული ცნებების აღსანიშნავად. როგორც წესი, სპეციალური იურიდიული ტერმინი კანონმდებლის მიერ იქმნება, როდესაც საერთო ლიტერატურულ ენაში არ არსებობს შესაბამისი სიტყვა შესაბამისი ცნების აღსანიშნავად. მაგალითად: *აქცეპტი-accept-acceptation*; *ალიმენტი-maintenance, alimony-pension alimentaire*.

ქართულ სამართალში, ძირითადად, სპეციალური ტერმინები ეროვნული ენის ფუძეებით იქმნება. მაგალითად: *დანაშაული; სასამართლო; კანონი*. ფრანგულ ენაშიც იგივე მდგომარეობაა. მაგალითად: *crime-délinquance ; tribunal-cour; loi*. ინგლისურში, კერძოდ, დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში, ძირითადად, რომაული სამართლიდანაა ნასესხები სიტყვები, თუმცა არის ნაციონალური წარმოშობის სიტყვებიც. მაგალითად: *crime-felony; court-tribunal; law*.

ბევრი ტერმინი, რომელიც კანონმდებელმა შექმნა და თავიდან მოიაზრებოდა, როგორც იურიდიული ტერმინი, შემდეგში ყოფა-ცხოვრებაში, მხატვრულ ლიტერატურაში გავრცელდა და აქტიურად გამოიყენება იურისპრუდენციის საზღვრებს მიღმა. მაგალითად: *დამნაშავე; კანონი; ალიმენტი*. ეს სიტყვები მხოლოდ იურიდიული როდია.

ნორმატიულ აქტებში მრავალი ტერმინია, რომელიც ნასესხებია მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სფეროდან. ლიტერატურაში მათ „ტექნიკურ ტერმინებს“ უწოდებენ. მაგალითად: *სლაიდი-diapo-slide; ფონოგრამა-phonogram-phonogramme*. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, სამართლის ნორმების გამოყენების პროცესში სპეციალური ტექნიკური ტერმინების არგამოყენება თითქმის შეუძლებელია. ტექნიკური ტერმინები უნდა იქნას გამოყენებული იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მათ ცოდნის მოცემულ სფეროში აქვთ.

სპეციალური იურიდიული და ტექნიკური ტერმინები ძალზე მოსახერხებელია. ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ საჭირო ცნებას, ხელს უწყობენ

ნორმატიული აქტის უფრო მკაფიოდ გადმოცემას, რითაც მათ სწორ გაგებას და გამოყენებას უწყობენ ხელს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი საკანონმდებლო აზრის გადმოცემის საშუალებების ეკონომიას ახდენენ. ასეთი ტერმინების საშუალებით, შესაძლებელია მიღწეულ იქნას მონოსემანტიკურობა, სემანტიკური კონკრეტულობა, იურიდიული ფორმულირების სისრულე. მიზანშეწონილი არაა, სპეციალური ტერმინების აღწერითი ფორმებით ჩანაცვლება, ვინაიდან ეს დაამძიმებდა ნორმატიულ აქტებს, გაართულებდა მათ გამოყენებას. რა თქმა უნდა, სპეციალური ტერმინების გამოყენება აზრობრივი და საინფორმაციო აუცილებლობის ფარგლებში უნდა მოხდეს ისე, რომ არ გადაიტვირთოს ნორმატიული აქტები. ასეთი ტიპის ტერმინების გამოყენება მისაღებია სპეციალური დანიშნულების აქტებში, სპეციალისტების ვიწრო ჯგუფისათვის და მიუღებელია ისეთ აქტებში, რომლებიც გათვლილია მოქალაქეების ფართო წრეზე.

შესაძლებელია ასევე გამოვყოთ კონკრეტული მნიშვნელობის სიტყვები და ტერმინები, რომლებიც შეფასებით ცნებებს გამოხატავენ. კონკრეტული მნიშვნელობის სიტყვები დამოკიდებულია კანონზე და განისაზღვრება კანონით. განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებები მათ შინაარსზე არ მოქმედებს. მაგალითად: *პენსია-long service pension, service retirement benefit-pension d'ancienneté de service; განქორწინება-divorce-divorce ; გამოსახლება-expulsion-explusion*. გამოხატავენ რა ამა თუ იმ ცნებას, ისინი სინამდვილის ობიექტურ კავშირებს და იმ ორგანოს როლს ასახავენ, რომელიც სამართლის ნორმებს იღებს. ასეთი ტერმინები იმაზე მიუთითებს, რომ ხდება მათი შინაარსის გარკვევა, მათ მიერ აღნიშნული ცნებების და განსაზღვრული ფაქტების, მოვლენების შესაბამისობის კონსტატაცია.

იმ ტერმინების მნიშვნელობა, რომლებიც შეფასებით ცნებებს გამოხატავენ, დაკავშირებულია განსახილველი საქმის კონკრეტულ გარემოებებთან. მაგალითად: *უმწიკვლო საცოლე-an innocent fiancée-fiancée innocente*. ასეთი ტერმინის მეშვეობით, სამართალდამცავი ორგანო არა მარტო კონსტატაციას, არამედ ამა თუ იმ განსახილველი ფაქტის, მოვლენის შეფასებითი ცნების ნიშნების შესაბამისობის დადგენას ახდენს.

კანონის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში, კანონმდებელი, თავად ახდენს შეფასებითი ცნების შინაარსის ფორმულირებას, თუმცა ყოველთვის მისი შინაარსის კონკრეტული ნიშნები განსახილველი შემთხვევის ნიშნებზე დამოკიდებულებით განისაზღვრება.

ჩვენ სამივე ენის იურიდიული ტერმინები შეიძლება იმის მიხედვით დავაჯგუფოთ, თუ რამდენად ესმის მოსახლეობის ამა თუ იმ ფენას ეს ტერმინები. პირველ ჯგუფს განეკუთვნება ისეთი სიტყვები, რომლებიც გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში და ყველასათვისაა გასაგები. ასეთი ტერმინებია: *პასუხისმგებლობა-responsability-responsabilité; გადაწყვეტილება-judgement-jugement; სასჯელი-conviction, condemnation-condamnation.*

თუკი საოჯახო სამართლის სფეროს განვიხილავთ, ასეთი ტერმინები იქნება: *ოჯახი-family-famille; ქორწინება-marriage-mariage; საქორწინო ხელშეკრულება-wedding contract-contrat de mariage; ნათესაური კავშირი-relationship-lien de parenté.* მეორე ჯგუფს განეკუთვნება სპეციალური იურიდიული ტერმინები. მაგალითად: *შესაგებელი სარჩელი-counter-claim, cross-action-requête reconventionnelle, reconvention; სამოქალაქო სარჩელი-civil suit -poursuite(action)civile; უფლებათუნარიანობა-legal capacity-capacité juridique, compétence légale; ნასამართლეობა-criminal record-casier judiciaire; ხანდაზმულობის ვადა-limitation period-délai de prescription.*

ამ ტერმინების თავისებურება ისაა, რომ მათ გააჩნიათ სამართლებრივი შინაარსი და მათი გაგება, მხოლოდ სამართლის მოცემული სფეროს სპეციალისტებს შეუძლიათ.

საოჯახო სამართალთან მიმართებაში, მეორე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი ტერმინები: *ბიგამია-bigamy-bigamie; ცოლ-ქმარს შორის ქონებრივი უფლებამოსილების რეჟიმი-matrimonial property regime-régime matrimonial; ქორწინების შემდეგ შეძენილი ქონება-community of goods, acquets-acquêts; პირდაპირი ნათესაობა- relatives in direct line-la parenté en ligne directe; გამავალი ნათესაობა-relatives in the collateral line-la parenté collatérale; მამობის პრეზუმფცია-paternity presumption-présomption de paternité.*

მესამე ჯგუფი, სპეციალური ტექნიკური ტერმინებია, რომლებიც ტექნიკის, ეკონომიკის, მედიცინის და ა.შ. სპეციალური ცოდნის სფეროს ასახავენ, რომლებიც სამართლებრივ კონტექსტში მათი ძირითადი სპეციფიკური შინაარსის მიღმა დამატებით იურიდიულ შინაარსობრივ დატვირთვას იღებენ. მაგალითად: *უხარისხო პროდუქცია-substandard warren-produits de qualité inférieure; უსაფრთხოების ტექნიკა-occupational safety-sécurité au travail; შეურაცხადობა-irresponsibility-irresponsabilité.*

როგორც ვხედავთ, სამივე ენაში იურიდიული ტერმინოლოგია საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვებზე დაყრდნობით იქმნება. სპეციალური იურიდიული ტერმინები კანონმდებლის მიერ სამართლის სპეციალური ცნებების აღსანიშნავად გამოიყენება და იქმნება, როდესაც საერთო სალიტერატურო ენაში შესატყვისი ცნების გამოსახატავად შესაბამისი სიტყვა არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ ტერმინთა რაოდენობა დიდი არაა, მათ მეტად მნიშვნელოვანი თვისება გააჩნიათ. ისინი ღერძის როლს ასრულებენ, რომლის გარშემოც სხვა დანარჩენი ერთეულების კონცენტრაცია ხდება. ეს ერთგვარი ჩონჩხია, რომლის დაფარვაც ლიტერატურულ ენაში არსებული სიტყვიერი ქსოვილით ხდება, ხოლო იურიდიული ტექსტის სპეციფიკა მათ ეფუძნება, როგორც სახელმწიფოს მხრიდან კანონმდებლის მიერ სამართლებრივი მითითება (გრიშენკოვა 2006:103).

## 2.6 იურიდიული ტექსტის თარგმნის სპეციფიკა

სამართლის ენა სიტყვებისაგან შედგება, რომლებიც იურიდიულ ენას შეადგენენ. სამართლის ლექსიკა ასახავს იმ ცივილიზაციას, რომელსაც ის წარმოქმნის. რაც უფრო პროგრესულია ის, მით უფრო მდიდარი, რთული და მრავალფეროვანია. ის ენების მიხედვით იცვლება. ენებში მოცემულია ტერმინოლოგია, რომელსაც სპეციალიზირებული მნიშვნელობა აქვს. აზრი, კონოტაცია, სემანტიკური ღირებულებები და თავისებურებები, რომლებიც მათ



გააჩნიათ, არის დიდი ტრადიციის შედეგი და ათასწლოვანი კულტურის ანარეკლი (ქემარი 1998 :5).

ლაზარ ფოქსეანუ ხაზს უსვამს იურიდიული ენის თავისებურებას, რომელმაც შექმნა საკუთარი ტერმინოლოგია და ფრაზეოლოგია შექმნა (ფოქსეანუ 1971:262). თავად სიტყვას *სამართალი* უამრავი დეფინიცია გააჩნია ქვეყნებისა და სისტემების მიხედვით, ზოგჯერ ერთი ქვეყნის შიგნით, აზროვნების სკოლების, დოქტრინებისა და იდეოლოგიების მიხედვით. სამართლის ენა გვერდს ვერ უვლის პოლისემიას. ფრანგული ენა ამ მხრივ გამონაკლისს ქმნის. ფრანგულში სიტყვა *droit*-ს ორი მნიშვნელობა აქვს. ის ნიშნავს *სამართალს* და *უფლებას*. ინგლისურში ორი ტერმინია *law*-სამართალი, *rights*-უფლება, ისიც მრავლობით რიცხვში.

იურიდიული თარგმანი ტექნიკური საქმიანობაა, ამ თვალსაზრისით მან წარმოქმნა სპეციალიზირებული ენის ცნება, რომელიც ყოველდღიური ენისაგან და სხვა სფეროებისაგან განსხვავდება (ლერა 1995:34).

თარგმნის პროცესი მთარგმნელს განსაკუთრებულ სირთულეს უქმნის, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამართლის ენას. სამართლის ენაში გვხვდება ცნებები, რომლებიც დაკავშირებულია რაღაც ტრადიციასთან, კულტურასთან და წარმოქმნის ხშირად ტექსტებს. მათ გააჩნიათ იძულებითი წესები და ნორმები, რომელთაც იურიდიული ეფექტი აქვთ. იურიდიულ თარგმანში, სირთულე ორმაგდება, რადგანაც კონცეპტები ენების მიხედვით განსხვავდება. იურიდიული ნორმა იურიდიულ ტექსტს სპეციფიკურ ხასიათს ანიჭებს, ისევე როგორც მის თარგმანს. ბ. ჰერბოსთვის, განსხვავება იურიდიულ თარგმანსა და „ზოგადად თარგმანს შორის ისაა, რომ სათარგმნ ტექსტს, იქნება ეს იურიდიული კანონი, სასამართლოს გადაწყვეტილება თუ იურიდიული აქტი, კანონიერი შედეგი აქვს, რომლის მიღწევაც სურთ“ (ჰერბო 1987: 814).

იურიდიულ თარგმანში ტექსტების ეკვივალენტობა არ იფარგლება დოკუმენტის თარგმანით. სამართლის ტექსტს კანონიერი ძალა აქვს. ის ეკვივალენტური უნდა იყოს ორივე ტექსტში, წინააღმდეგ შემთხვევაში მთარგმნელი

თავის ამოცანას ვერ განახორციელებს. თარგმნა ალბათ რთული ხელოვნებაა, მაგრამ იურიდიული ტექსტების თარგმნა კიდევ უფრო რთულია. ჟ. პ. ვილნემ და ჟ.დარბელნემ პოსტულატი შეიმუშავეს: მხოლოდ აზრია მნიშვნელოვანი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, შედეგი, ვინაიდან იმიტომ კი არ თარგმნიან, რომ გაიგონ, არამედ იმიტომ, რომ გააგებინონ (ციტირებულია ჟემარის მიერ 1995 : 14).

იმ ტექსტის კანონიერი ზემოქმედების ეკვივალენტობა, რომელსაც ის თარგმნის, ერთნაირ პრობლემებს არ ქმნის მთარგმნელისა და იურისტისათვის. იურიდიული თარგმნის მთელი დილემა სწორედ ამ ფუნდამენტურ არჩევანშია. მთარგმნელი ემსახურება ერთდროულად ორ ბატონს, ისე, რომ არც ერთი არ დააზარალოს მისთვის დამახასიათებელი რისკით. ამის შესახებ მოსამართლე ი.პიჟონი წერდა: „ერთი მხრივ, ეკვივალენტობა ისეთი უნდა იყოს, რომ არ დაამახინჯოს ენა უნებლიე კალკით, რომელიც არ იცავს მის სტრუქტურას, მეორე მხრივ, შეტყობინების აზრი არ უნდა დამახინჯდეს ამ სახის ეკვივალენტობის დამახასიათებელი ნაკლით“ (პიჟონი 1982: 279).

ორ უკიდურესობას შორის, რასაც სიტყვასიტყვითი თარგმანი და თავისუფალი თარგმანი წარმოადგენს, ალბათ, არსებობს კონტექსტის მიხედვით სხვა დამაკმაყოფილებელი და მისაღები გადაწყვეტილება. ამგვარად, იურიდიული სისტემები ისეა შექმნილი, რომ დავის შემთხვევაში, ისინი მხოლოდ მოსამართლეს უტოვებენ საზრუნავს, რომ დაადგინოს წესები. ხოლო მთარგმნელმა კი უნდა ტექსტი თარგმნოს. როდესაც ეს ორი მხარე ჰარმონიაშია, სამართალი თვალსაჩინო მაგალითი ხდება და შემდეგ იხვეწება.

ლაზარ ფოქსეანუს აზრით: „იურიდიული თარგმანი, ალბათ, ვერასოდეს ვერ შეძლებდა მკაცრად ზუსტი ყოფილიყო. ესაა მიახლოებითი ოპერაცია, სადაც უნდა განისაზღვროს შეცდომის ზღვარი. ზოგადად, იურიდიული თარგმანი უბრალო ვარაუდია, რომლის გაპროტესტება ყოველთვის უნდა შეძლონ დაინტერესებულმა პირებმა ავთენტურ ტექსტზე დაყრდნობით“ (ფოქსეანუ 1971: 262).

იურიდიული ტექსტი სამი ნიშნით ხასიათდება. ის არის ნორმატიული (კანონი, განაჩენი, კონტრაქტი), ფლობს ორიგინალურ ლექსიკურ მარაგს და მისთვის დამახასიათებელ სტილს: საკანონმდებლო, სასამართლო, ხელშეკრულებითი, სანოტარო და ა.შ. (ყემარი 1995:2). იურიდიულ ტექსტს კულტურული დატვირთვა მეტ-ნაკლებად რთული აქვს, როცა კანონმდებელი ქმნის (კონსტიტუციას, ქარტიას, კანონს), მოსამართლე (გადაწყვეტილებას) ან იურისტი (ზოგადად იურიდიულ აქტს და კერძოდ, კონტრაქტს). ჟ.-ვ. ჟემარმა ამ ცდომილებას „კულტურული ასიმეტრია“ უწოდა (ყემარი 2003: 67).

ჟან-კლოდ ჟემარი აღნიშნავს, რომ იურიდიული თარგმანის ჭეშმარიტი პრობლემა არ მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ ჩვენ გვაქვს ორი განსხვავებული ენა, ასევე ორი განსხვავებული იურიდიული სისტემა. ჩვენი მიზანია გამოვააშკარავოთ პრობლემის ზოგიერთი ლინგვისტური და მთარგმნელობითი ასპექტი, მაგალითების ფონზე, რომელთა თარგმნაც ევალება მთარგმნელს ინგლისური, ფრანგული და ქართული ტერმინოლოგიის, კერძოდ, საოჯახო სამართალთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის გამოყენებით. განვიხილოთ ოთხი განსხვავებული კატეგორია:

- 1) ორიგინალის ენის ერთი ტერმინი მეტ-ნაკლებად შეესაბამება სათარგმნი ენის ერთ ტერმინს, თუმცა მათი გავრცელება განსხვავებულია.
- 2) ორიგინალის ენის ტერმინი სათარგმნი ენის მრავალ ტერმინს შეესაბამება.
- 3) ორიგინალის ენის მრავალი ტერმინი სათარგმნი ენის მრავალ ტერმინს შეესაბამება.
- 4) ორიგინალის ენის ტერმინი სათარგმნი ენაში არც ერთ ტერმინს არ შეესაბამება. (რადიმსკი 2004 : 39).

ამ მხრივ, საინტერესოა საოჯახო სამართლის ტერმინები სამივე ენაში: *მოტყუებული მამები-circumvented fathers- les pères circonvenus, pères trompés; სინჯარის ბავშვები- the test tube baby-les bébés-éprouvettes; საშვილოსნოს თხოვება-the uterus ready-les prêts d'utérus; ალიანსი, კავშირი-alliance-alliance; მეუღლეებს შორის*

ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი-*matrimonial regime-régime matrimonial*;  
 მემკვიდრეობა- *succession-inheritance-succession*; უანგარო გარიგება-*liberality-libéralité*.  
 ხელშეკრულების დადება- *conclusion of the contract- conclusion du contrat*; საქორწინო  
 ასაკი-*the age of marriage-l'âge du mariage*; განქორწინება-*divorce-divorce*; შვილება-  
*adoption-adoption*; მეურვეობა-*guardianship-tutelle*; მემკვიდრე-*inheritor-héritier*;  
 ანდერძი- *will-testament*; ალიმენტი- *aliments-pension alimentaire* და სხვა.

1) პირველი კატეგორია ნაკლებად საინტერესოა მთარგმნელისათვის, ვინაიდან მას მხოლოდ ერთი არჩევანი აქვს. სამაგიეროდ, ადრესატმა უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ არსებობს ცდომილება ნათარგმნ ტერმინსა და ორიგინალის ტერმინს შორის. ამის მაგალითად გამოგვადგება ტერმინი *სამკვიდრო-patrimoine-heritage*; *სანივთო სამართალი- le droit patrimonial-property law*.

2) მეორე კატეგორია ძალზე საინტერესოა მთარგმნელისათვის, რადგანაც სწორედ მან უნდა შეარჩიოს სწორი ეკვივალენტი სათარგმნ ენაში. მაგალითად ქართულ ტერმინს *სასამართლო* ფრანგულ ენაში შეესაბამება ორი ტერმინი: *le tribunal* და *la cour*. ინგლისურში-*court* და *tribunal*, მაგრამ ეს ორი ტერმინი განსხვავდება ფრანგული ტერმინისგან და გამოიყენება უფრო საარბიტრაჟოს მნიშვნელობით. ფრანგულ ენაში *tribunal*-ს უწოდებენ პირველი ინსტანციის სასამართლოს, ხოლო *cour* გამოიყენება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიმართ. ქართულში სიტყვა *ტრიბუნალი*, სამხედრო სასამართლოს აღნიშნავს. მთარგმნელმა ხშირად თავისი არჩევანი უნდა გააკეთოს ორი იურიდიული სისტემის შესახებ არსებული ცოდნისა და კონტექსტის შესაბამისად.

3) მესამე კატეგორია მოიცავს სიტუაციას, როდესაც მრავალი თითქმის სინონიმური ტერმინი სამივე ენაში ერთმანეთს შეესაბამება. ეს არც ისე ხშირია სპეციალურ ენებში. თუმცა, მაინც შეგვიძლია დავასახელოთ ერთი მაგალითი, რომელიც ძალზე მდიდარია ელემენტებით. ინგლისური ტერმინები: *agreement, pact, treaty, contract, convention*; ფრანგულში *accord, pacte, traité, contrat convention*; ქართულად შეიძლება შესაბამისად ითარგმნოს შემდეგი ტერმინებით: *შეთანხმება, პაქტი, ხელშეკრულება, კონტრაქტი, კონვენცია*. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული თეორია განასხვავებს

ზოგჯერ ამ ტერმინებს, ისინი თითქმის სინონიმებად აღიქმება სამართლის პროფესიონალების მიერ. თუმცა, თარგმანმა უნდა დაიცვას ტრადიცია და დოკუმენტების ოფიციალური სახელები.

4) მეოთხე კატეგორია აერთიანებს ისეთ ცნებებს, რომელთაც არ გააჩნიათ ეკვივალენტები სათარგმნ ენაში, რაც საკმაოდ ხშირი მოვლენაა იურიდიულ სფეროში. ამ დროს, მთარგმნელი იძულებულია მიმართოს პერიფრაზს ან შექმნას ნეოლოგიზმები, მიმართოს კალკს, რთული გამონათქვამის სიტყვასიტყვით თარგმანს, მოტივირებულ ფორმალურ ნეოლოგიზმს და ა.შ. ზოგ შემთხვევაში, მთარგმნელმა შეიძლება მიმართოს გამოთქმებს, რომლებიც იურიდიულ დოქტრინასა და სამართლის ისტორიაშია გამოყენებული. ასე მაგალითად, ფრანგულ ენაში გვაქვს გამოთქმა *délai de viduité*, ინგლისურში *period of waiting*, ქართულად ითარგმნება კალკით *ქვრივობის პერიოდი*. ასეთი ცნება ქართულ საოჯახო სამართალში არ არსებობს, ვინაიდან ასეთი შეზღუდვა არ არსებობს. ტერმინი *Cour de cassation*, ინგლისურად *Supreme Court*, ითარგმნება ტერმინით *საკასაციო სასამართლო*. ტერმინები *უკანონო ნათესაური კავშირი-natural filiation-filiation naturelle*; *კანონიერი ნათესაური კავშირი-legitimate filiation-filiation légitime*, შეიძლება გასაგებად ვთარგმნოთ, მაგრამ ქართული სამართალმცოდნეობა ასეთ ტერმინებს არ იცნობს, ის არ ასხვავებს *კანონიერ შვილებს-legitimate children-les enfants légitimes* და *უკანონო შვილებს-natural children-les enfants naturels, adultérins incestueux*; სხვა შემთხვევაში, მთარგმნელი იძულებულია სათარგმნ ენაში ახალი სიტყვა შექმნას. იმისათვის, რომ ქართულად თარგმნოს ტერმინი *კონფლიქტების მოგვარების ტრიბუნალი-court of conflicts-tribunal des conflits*, ის იძულებულია გამოიყენოს სიტყვათა ჯგუფი, რაც მოტივირებული ნეოლოგიზმი ხდება.

იმისათვის, რომ ზემოთქმული ნათელი და გასაგები იყოს, შეიძლება მოვიყვანოთ სამივე ქვეყნის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსებიდან საოჯახო სამართლის მუხლები.

*Livre I, Chapitre I- De l'adoption plénière.*

*Article 345. L'adoption n'est permise qu'en faveur des enfants âgés de moins de quinze ans, accueillis au foyer du ou des adoptants depuis au moins six mois. Toutefois, si l'enfant a plus de quinze ans et a été accueilli avant d'avoir atteint cet âge par des personnes qui ne remplissaient pas les conditions légales pour adopter ou s'il a fait l'objet d'une adoption simple avant d'avoir atteint cet âge, l'adoption plénière pourra être demandée, si les conditions en sont remplies, pendant la minorité de l'enfant et dans les deux ans suivant sa majorité. S'il a plus de treize ans, l'adopté doit consentir personnellement à son adoption plénière. Ce consentement est donné selon les formes prévues au premier alinéa de l'article 348-3. Il peut être rétracté à tout moment jusqu'au prononcé de l'adoption.*

*მუხლი 345. შვილება ნებადართულია მხოლოდ 15 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მშვილებელის ან მშვილებლების ოჯახებში 6 თვის განმავლობაში. თუმცა, თუკი ბავშვი 15 წელზე მეტი წლისაა და თუკი ის ამ ასაკის მიღწევამდე ცხოვრობდა იმ ადამიანებთან, ვინც კანონის მიხედვით არ აკმაყოფილებს შვილად აყვანის პირობებს ან კიდევ, მოხდა შვილების მარტივი პროცედურის გამოყენება 15 წლის ასაკამდე, შვილების სრული პროცედურის განხორციელება სავალდებულოა, თუ პირობები დაცულია ბავშვის მცირეწლოვანების პერიოდში ან კიდევ მისი სრულწლოვანებამდე 2 წლის განმავლობაში. თუ ბავშვი 13 წელზე მეტი წლისაა, ნაშვილებმა პირადად უნდა განაცხადოს თანხობა შვილებაზე. ეს თანხობა უნდა განხორციელდეს იმ ფორმების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია 348-3 მუხლის პირველ პარაგრაფში. ის შეიძლება ნებისმიერ წუთს იქნას უარყოფილი შვილების გამოცხადებამდე.*

*UK-Under Section 16(1) of Adoption Act 1976, no adoption order shall be made unless each parent or guardian of a child freely and with full understanding of what is involved, agrees unconditionally to the making of an adoption order. In England an adoption order results in the adoption(s) and the adopted child assuming the same legal relationship as if the child had been born to the adopter(s) within marriage. It's easier for relatives to adopt a child. That is because Section 11(1) of the adoption Act allows them to make arrangements for adoption of a child without the intervention of an adoption agency. A relative, for the purpose of this provision, means a grandparent, brother, sister, uncle, aunt, whether of full blood or half blood.*

თარგმანი-1976 წლის, შვილად აყვანის 16(1) მუხლის თანახმად, არ მოხდება გაშვილება იქამდე, სანამ თითოეული მშობელი ან მეურვე უპირობოდ არ დათანხმდება სააგენტოს მიერ დადგენილ წესებს. ურთიერთობა მშვილებელსა და ნაშვილევს შორის, ისეთივე ურთიერთობად ითვლება, რაც მშობელსა და ღვიძლ შვილს შორის. 11(1) მუხლის თანახმად, უფრო მარტივია ნათესავის შვილად აყვანა, რადგან მათ არ უწევთ შვილად აყვანის სააგენტოებთან ურთიერთობა. ამ შემთხვევაში ნათესავად ითვლება ბებია, ბაბუა, ძმა, და, ბიძა, დეიდა ან რომელიმე სისხლით ნათესავი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი- წიგნი V, საოჯახო სამართალი, თავი VI

მუხლი 1239.1. შვილება (შვილად აყვანა) დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუკი მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვა ისეთივე ურთიერთობა, როგორცაა მშობელსა და შვილებს შორის. 2. სრულწლოვანი პირის შვილება შესაძლებელია, თუ მშვილებელსა და შვილად აყვანას შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია.

ზემომოყვანილი მუხლების შედარებით, კარგად ჩანს ის განსხვავება, რაც მათ შორის არსებობს. ინგლისურ ტექსტს აქტის ფორმა აქვს. უპირატესობას სისხლით ნათესავებს ანიჭებს. ფრანგული ტექსტი შვილების ყველა ნიუანსს ითვალისწინებს, რომლებიც კარგადაა ფორმულირებული და გაერთიანებული ერთი და იმავე მუხლში. ქართული ტექსტი ორი ნაწილისაგან შედგება და ის იმ ნიუანსებს არ მოიცავს, რაც ფრანგულ და ინგლისურ ტექსტებშია მოცემული. ენა საკმაოდ მძიმეა და მისი შევსება მისი შემდგომი მუხლებით ხდება.

## დასკვნები

სამართლებრივი ტერმინოლოგიის ლინგვისტური ანალიზის პრინციპები, რომლებიც სამართლებრივი იურიდიული ლინგვისტიკის ფარგლებში გამოიყენება, როგორც ენისა და სამართლის ურთიერთქმედების კვლევაში ახალი მიმართულება, საშუალებას იძლევა იურიდიული ტერმინის კვლევის მეცნიერული მეთოდოლოგია შევიმუშავოთ და ფორმირების და აღწერის ძირითადი ტენდენციები მისი განვითარების სოციოკულტურული ფაქტორების გათვალისწინებით გამოვყოთ.

სამართლებრივი ლინგვისტიკის ასეთი მახასიათებლები, როგორც ინტერდისციპლინარულობა (სხვადასხვა სფეროების ურთიერთქმედება), ინტერკულტურულობა (კულტურული მემკვიდრეობა უმეტეს წილად გადაეცემა ენის მეშვეობით და განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში, მით უმეტეს, ერთი სამართლებრივი სისტემიდან მეორეზე გადასვლისას) და კონტრასტულობა (როდესაც ენათა და სამართლებრივი სისტემების შედარებისას ხდება საკუთარი და სხვისი სამართლებრივი კულტურის შეცნობა), საშუალებას იძლევა აღვწეროთ სამივე ენის, ქართული, ინგლისური, ფრანგული სამართლის და იურიდიული ტერმინების სოციოკულტურული თავისებურებები.

სამართლის ენა, რომელსაც იურიდიული ლინგვისტიკა სწავლობს, ლექსიკური და სინტაქსური თავისებურებებით ხასიათდება, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ ის როგორც ლიტერატურული ენის ცალკე სფერო განვიხილოთ, რომელიც იურიდიულ სფეროში პროფესიული კომუნიკაციისათვის გამოიყენება.

იმ პრობლემების რიცხვი, რომელსაც იურიდიული ლინგვისტიკა შეისწავლის, ფართოა. კვლევის ძირითადი საგანი სხვადასხვა დონის იურიდიული დოკუმენტების ენა და სტილია. სამართლის ენის მკვლევრები დიდ ყურადღებას უთმობენ კანონშემოქმედებით, როგორც საზოგადოების ლინგვისტური კულტურის შემადგენელი ნაწილის პროცესს, ვინაიდან სამართლის ენის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ ის ადამიანური საქმიანობის სხვადასხვა სფეროზე ვრცელდება და მხოლოდ ვიწრო სპეციალურ სფეროს არ ემსახურება.



იურიდიული ტერმინების არსებობა სამართლის ენის ლინგვისტურ თავისებურებას წარმოადგენს, რომელიც განისაზღვრება როგორც პროფესიული ენა ანუ ადამიანთა ჯგუფის ენა, რომელთაც ერთი პროფესია აერთიანებს. ის განიხილება როგორც სპეციფიკური საგნების, ცნებების განსაზღვრისათვის საერთო ენის ვარიანტი, რომელიც კომუნიკაციას ერთი პროფესიული ჯგუფის შიგნით აღწერს.

იურიდიული ტერმინი არის სიტყვა ან შესიტყვება, რომელსაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს და სამართლებრივ ცნებას გამოხატავს, რომელიც სინამდვილის შემეცნების და ათვისების პროცესში სამართლის თვალსაზრისით გამოიყენება.

სამივე ენის შედარებისას ნათელი გახდა, რომ ინგლისურ ენაში ბევრი ტერმინი ფრანგულიდან იქნა ნასესხები და ეს ისტორიული პროცესია. ქართული ენა სრულიად განსხვავდება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ენის იურიდიულ ტექსტებში არსებითი სახელები ჭარბობს. სინტაქსური თავისებურებებიდან უნდა გამოვყოთ ის, რომ ქართულში ჭარბობს დაქვემდებარებული წინადადებები, რაც მის ბუნებას ახასიათებს.

ენისა და სამართლის ურთიერთკავშირი აშკარაა: ერთი მხრივ, სამართლის ტექსტებს ბევრი საერთო აქვს ლიტერატურულ ნაწარმოებებთან (გრამატიკული წყობა, ლექსიკური მარაგი, სტილისტური საფუძვლები), მეორე მხრივ, სამართლის ტექსტებში სპეციალური ენობრივი საშუალებები გამოიყენება, რომლებიც სამართალშემოქმედებითი სფეროსათვისაა (სპეციალური კომპოზიციური და სტილისტური საშუალებები, სპეციალური ტერმინები) დამახასიათებელი.

ამგვარად, სტუქტურული მახასიათებლების აღწერა იურიდიული ტექსტების კლასიფიკაციის საფუძველია. იურიდიული ლინგვისტიკა საშუალებას იძლევა ჰორიზონტალური დანაწევრების პრინციპით ყოველ დონეზე სამართლის ენის განსაკუთრებული მახასიათებლების დიდ ან მცირე რაოდენობით გამოყოფას (სამართლებრივი ტერმინოლოგიის, პროფესიული ჟარგონის, სპეციალური სინტაქსის მოცულობა). გარდა ამისა, სამართლის ენა შეიძლება განვიხილოთ ვერტიკალური დანაწევრებითაც, რომელიც განსხვავებული დონის მქონე სამართლის ტექსტებს (მაგალითად, კანონის ენა, სასამართლოს გადაწყვეტილებების ენა, სამართლის მეცნიერების ენა და ა.შ.) ეფუძნება.

იურიდიული ლინგვისტიკის კონტექსტში იურიდიული ტერმინის სტატუსი შეიძლება ორი არსებითი ტენდენციის ურთიერთქმედებაზე დაყრდნობით განვსაზღვროთ: ერთი მხრივ, მეცნიერება მთელ მსოფლიოში ინტერნაციონალიზაციის და უნიფიკაციისაკენ მიისწრაფვის, მეორე მხრივ, სამივე ენის პროფესიულ კომუნიკაციაში არსებობს ნაციონალური ენის უნიკალური ნიშანთვისებების შენარჩუნების ტენდენცია, რაც ამ ენების ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში უშუალოდ ნაციონალური ენის ფუძით ვლინდება. ამ ტენდენციაში თავის ასახვას მოცემული ენის სამართლის ტერმინოლოგიური თავისებურებები პოულობს.

იურიდიული ლინგვისტიკა, როგორც ენისა და სამართლის ურთიერთქმედების კვლევის ახალი რაკურსი, საშუალებას გვაძლევს იურიდიული ტექსტების და იურიდიული ტერმინოლოგიის შექმნა და ფუნქციონირება სოციუმთან და ლინგვისტურ მახასიათებლებთან ურთიერთკავშირში განვიხილოთ. ეს კი გვებმარება, რომ ტერმინის შესწავლას, არა მარტო როგორც ლინგვისტურ კატეგორიას, არამედ ასევე როგორც სოციოკულტურულ ფენომენს მივუდგეთ.

დღეს, სამოქალაქო სამართლის მრავალი წესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდთა მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ზოგად მდგომარეობაზე, საზოგადოების აწმყოსა და მომავალზე. იურიდიული ტერმინები არ შეიძლება ითარგმნოს ასი პროცენტით ერთი ენიდან მეორეზე, იურიდიული სისტემების შეუთავსებლობის გამო, საიდანაც ისინი სათავეს იღებენ. სამივე ქვეყნის იურიდიული სისტემისა და კონტექსტის კარგი ცოდნით, იურიდიული თარგმანი შესაძლებელი ხდება იმ პირობით, რომ თარგმნილი ტექსტის ადრესატმა უნდა გააცნობიეროს, რომ საქმე აქვს ტექსტთან, რომლის ტერმინოლოგია უცხოა და განსხვავდება მისი ქვეყნის იურიდიული სისტემის ტერმინოლოგიისაგან. იურიდიული თარგმანი მიახლოებითი ოპერაციაა, როგორც ნებისმიერი სამეტყველო აქტი და უფრო ხშირად მცდარი. უკეთესს შემთხვევაში ნათარგმნი ტექსტი მხოლოდ კომპრომისია, „უბრალო ვარაუდი“ .

## თავი III. საოჯახო სამართლის სფეროში იურიდიული საქმიანობის ლინგვისტური და სოციოლინგვისტური თავისებურებები

### 3.1 ქორწინების ინსტიტუტი და ოჯახური ურთიერთობის დინამიკა როგორც საზოგადოებაში სოციალური ცვლილებების ასახვა

ზოგადად, საოჯახო სამართალი ყველგან არეგულირებს მოქალაქეობრივ-სამართლებრივ ურთიერთობებს ქორწინების თუ განქორწინების თვალსაზრისით. ადგენს როგორც პირად, ისე ცოლ-ქმრის ქონებრივ უფლებებს და მოვალეობებს. განსაზღვრავს მშობლების უფლებებს და ვალდებულებებს სრულწლოვანი და არასრულწლოვანი შვილების მიმართ. არეგულირებს საალიმენტო ვალდებულებებს, შვილების, მეურვეობის და მზრუნველობის საკითხებს. ჩვენი კვლევა სამი ქვეყნის, საქართველოს, საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიის ანალიზს ეყრდნობა. ზემოთ, სამივე ქვეყანაში ისტორიულად მიმოვიხილეთ ოჯახი.

ოჯახს ხანგრძლივი და მრავლისმომცველი ისტორია აქვს. XIX საუკუნის დიდი მკვლევარი ლუის მორგანი აღნიშნავდა, რომ „არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ ჰქონია ისეთი მდიდარი და შინაარსიანი ისტორია, არც ერთ მათგანს არ განუხორციელებია უფრო ხანგრძლივი და მრავალმხრივი ცვლის შედეგები, როგორც ოჯახს, რომელმაც თანამედროვე სახის მიღებამდე განვითარების დიდი გზა განვლო; ოჯახი აქტიური ელემენტია, რის გამოც იგი არასდროს არაა ერთ ადგილზე გაქვავებული, არამედ დაბალი ფორმიდან გადადის უმაღლესში, იმ ზომით, რა ზომითაც საზოგადოება დაბალი საფეხურიდან ვითარდება უმაღლესი საფეხურისაკენ“ (ციტირებულია ჩიკვაშვილის მიერ 2004: 37).

საქორწინო კავშირი მყარდება ქალსა და მამაკაცს შორის. ის ნებაყოფლობითია. ის არის მთელი სიცოცხლის მანძილზე და არ შეიძლება მისი შეწყვეტა თვითნებურად რომელიმე მხარის მიერ. ეს სამი ნიშანი გახდა ქორწინების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის გაგების საფუძველი შემდგომ საუკუნეებში.

საფრანგეთსა და დიდ ბიტანეთში ეკლესიას დიდი გავლენა ჰქონდა საქორწინო ურთიერთობების სამართლებრივი დარეგულირების თვალსაზრისით. საქართველოში, საბჭოთა წყობილების დროს ეკლესიამ თავისი ფუნქცია დაკარგა. ეკლესია, განსაკუთრებით გავლენიანი გახდა XXI-ე საუკუნეში. დღეს, თითქმის ყველა წყვილი ჯვარს იწერს.

სამოქალაქო კოდექსის ძირითადი ინსტიტუტებია: ფიზიკური და იურიდიული პირები. ხელშეკრულებები, ვალდებულებები. ქონების უფლება და ფლობა (სანივთო სამართალი); ქორწინება და ოჯახი; სამემკვიდრეო სამართალი. დაწვრილებით განვიხილოთ სამოქალაქო კოდექსში ქორწინების და საოჯახო ურთიერთობებისადმი მიდგომა სამივე ქვეყანაში.

მუხლი 1106. *ქორწინების ცნება* (28.12.2006 N 2626). *ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (შემდგომში – სააგენტოს ტერიტორიული სამსახური).*

მუხლი 1107. *დაქორწინების პირობები დაქორწინებისათვის აუცილებელია: ა.საქორწინო ასაკი; ბ.დასაქორწინებელ პირთა თანხმობა<sup>11</sup>.*

მუხლი 1108. *საქორწინო ასაკი 1. საქორწინო ასაკად დაწესებულია თვრამეტი წელი. 2.გამონაკლის შემთხვევებში თექვსმეტი წლის ასაკიდან დაქორწინება დაიშვება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების წინასწარი წერილობითი თანხმობით. 3. თანხმობაზე მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლების უარის შემთხვევაში პატივსადები მიზეზების არსებობისას დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორწინების ნებართვა შეუძლია გასცეს სასამართლომ.*

<sup>11</sup> წიგნი მეხუთე, საოჯახო სამართალი, კარი პირველი, ქორწინება, თავი პირველი დაქორწინების წესი და პირობები.

მუხლი 1109. დასაქორწინებელ პირთა თანხმობა. ნიშნობა 1. დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას. 2. ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი. 3. ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში ეს სხვაგვარადაა წარმოდგენილი.

Chapitre III : Des actes de mariage.

Article 63. Avant la célébration du mariage, l'officier de l'état civil fera une publication par voie d'affiche apposée à la porte de la maison commune. Cette publication énoncera les prénoms, noms, professions, domiciles et résidences des futurs époux, ainsi que le lieu où le mariage devra être célébré-ქორწინებამდე, სამოქალაქო რეესტრის პასუხისმგებელი პირი საჯაროდ მერიის შესასვლელში აქვეყნებს ქორწინების შესახებ განცხადებას. ამ განცხადებაში მითითებულია მომავალი მეუღლეების სახელები, გვარები, პროფესია, მომავალი მეუღლეების საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ასევე ის ადგილი, სადაც ქორწინება გაიმართება.

Chapitre Ier : Des qualités et conditions requises pour pouvoir contracter mariage.

Article 143 Le mariage est contracté par deux personnes de sexe différent ou de même sexe-ქორწინება ფორმდება ორი განსხვავებული ან ერთი და იმავე სქესის პირს შორის.

Article 144 Le mariage ne peut être contracté avant dix-huit ans révolus-ქორწინების გაფორმება არ შეიძლება 18 წლის ასაკამდე.

Article 145 Néanmoins, il est loisible au procureur de la République du lieu de célébration du mariage d'accorder des dispenses d'âge pour des motifs graves-თუმცა, შესაძლებელია რესპუბლიკის პროკურორმა, რომელიც იქ არის დანიშნული, სადაც უნდა გაიმართოს ქორწინება, განსაკუთრებულ შემთხვევებში ქორწინებაზე ნება დართოს ასაკის გაუთვალისწინებლად.

Article 146 *Il n'y a pas de mariage lorsqu'il n'y a point de consentement*-თანხმობის გარეშე ქორწინება არ შედგება.

Article 165 *Le mariage sera célébré publiquement lors d'une cérémonie républicaine par l'officier de l'état civil de la commune dans laquelle l'un des époux, ou l'un de leurs parents, aura son domicile ou sa résidence à la date de la publication prévue par l'article 63, et, en cas de dispense de publication, à la date de la dispense prévue à l'article 169 ci-après*-ქორწინება ჩატარდება საჯაროდ, ცერემონიის შესაბამისად სამოქალაქო აქტების სამსახურის მოხელის მიერ იმ კომუნაში, რომელშიც ერთ-ერთ მეუღლეს ან მის მშობელს აქვს ბინა ან სახლი იმ თარიღისათვის, როდესაც გათვალისწინებული იყო ქორწინება 63-ე მუხლის თანახმად, ქორწინების გაცხადებისაგან განთავისუფლების შემთხვევაში იმ თარიღისათვის, რომელიც გათვალისწინებულია 169-ე მუხლის შესაბამისად.

Article 166 *La publication ordonnée à l'article 63 sera faite à la mairie du lieu du mariage et à celle du lieu où chacun des futurs époux a son domicile ou, à défaut de domicile, sa résidence*-63-ე მუხლით გათვალისწინებული ქორწინების შესახებ ინფორმაცია გაკეთდება იმ მერიაში, სადაც ჩატარდება ქორწინება და ასევე იქ, სადაც მომავლი მეუღლეების საცხოვრებელია, ამ საცხოვრებლის არქონის შემთხვევაში მუდმივ საცხოვრებელ ადგილას.

დიდ ბრიტანეთში: Marriage (Wales) Act 2010<sup>12</sup>.

*This act applies only to parishes in the area subject to the welsh Church Act 1914 and accordingly any reference to a “parish” is to a parish within that area.*

(1) *A person intending to be married shall have the like, but no greater, right to have the marriage solemnized in a parish church of a parish with which he or she has a connection specified in subsection as that person has to have the marriage solemnized in the parish church of the parish in which he or she resides or which is his or her unusual place of worship.*

(2) *Where a church or other building is licensed for the solemnization of marriages under section 21(1) of the 1949 act this section shall apply to such church or other building, while the designation is in force, as it applies to a parish church.*

<sup>12</sup> დიდი ბრიტანეთის საოჯახო სამართლის მუხლები აღებულია სპეციალური სახელმძღვანელოდან: Oldham, M., Blackstone's Statutes on Family Law, 2015-2016, 24th edition, Oxford: Oxford University Press, 2015.

(3) For that purposes of this section a person has a qualifying connection with a parish in which the marriage is to be solemnized if-

- a) That person was baptized in that parish or is a person whose confirmation has been entered in the register book or confirmation for any church or chapel in that parish;
- b) That person has at any time had his or her usual place or residence in that parish for a period of not less than six months;
- c) That person has at any time habitually attended public worship in that parish for a period of not less than six months;
- d) A parent or grandparent of that person has been married in that parish-

ქორწინება ტარდება ეკლესიაში. ეს კანონი გამოიყენება იმ სამრევლოს მიმართ, რომლებიც ტერიტორიის მიხედვით ექვემდებარება უელსის 1914 წლის კანონს ეკლესიის შესახებ და ნებისმიერი სამრევლო იმ ოლქში მდებარეობს.

ა)პირს, ვისაც დაქორწინება სურს, უფლება აქვს იმ სამრევლოს ეკლესიაში დაიწეროს ჯვარი, რომელთანაც მას კავშირი აქვს, რომელიც ქვეთავშია მითითებული, ვინაიდან ეს პირი ვალდებულია საზეიმოდ აღნიშნოს ქორწილი იმ სამრევლოს ეკლესიაში, რომელიც მის საცხოვრებელთან ახლოს მდებარეობს ან სადაც დადის წირვაზე.

2) იმ შემთხვევაში, თუკი ეკლესიას ან სხვა შენობას გააჩნია ნებართვა ქორწინების ცერემონიის ჩასატარებლად 1949 წლის კანონის 21-ე ნაწილის შესაბამისად. ეს ნაწილი მოქმედებს იმ დანიშნულების მიხედვით, რაც სამრევლო ეკლესიას გააჩნია.

3)თავისი მიზნების განხორციელებისათვის, ქორწინების მსურველ პირს იმ ეკლესიასთან უნდა ჰქონდეს კავშირი, სადაც ქორწინების საზეიმოდ ჩატარება სურს-

ა)პირი უნდა იყოს მონათლული აღნიშნულ ეკლესიაში, რის შესახებაც ინფორმაცია არსებობს სარეგისტრაციო წიგნში ან ეკლესიაში, ან კიდევ იმ ოლქის ნებისმიერ ეკლესიასა თუ სამრევლოში.

ბ) მისი საცხოვრებელი ადგილი იმ რეგიონში იყო ან არის სულ ცოტა ექვსი თვის წინ;  
 გ) ეს პირი იმ ეკლესიაში დადიოდა წირვა-ლოცვაზე სულ ცოტა ექვსი თვის წინ;  
 დ) მის მშობელს, ბებიას ან ბაბუას ჯვარი უნდა ჰქონდეს დაწერილი იმ ეკლესიაში  
 (ოლდჰამი 2015: 650).

*The relevant protected characteristics are-Age; Disability; Gender reassignment; Race; Religion or belief; Sex; Sexual orientation-არსებობს შესაბამისი მახასიათებლები, რომლებიც ქორწინების დროს ითვლება კანონით დაცულად: ასაკი-უუნარობა-სქესის შეცვლა-ქორწინება და სამოქალაქო პარტნიორობა-რასა-რელიგია და რწმენა-სქესი-სექსუალური ორიენტაცია (იქვე გვ. 652).*

*Marriages of persons under sixteen. A marriage solemnized between persons either of whom is under the age of sixteen shall be void-ქორწინება 16 წლამდე. ქორწინებას აღიარებენ მაშინ, თუ ერთ-ერთი პირი 16 წლისაა.*

*Marriages of persons under eighteen*

*(1) Where the marriage of a child not being a widower or widow or a surviving civil partner is intended to be solemnized on the authority certificates issued by the superintendent registrar under part III of this act, the consent of the appropriate persons shall be required:*

*Provided that-*

*(a) If the superintendent registrar is satisfied that the consent of any person whose consent is so required can't be obtained by reason of absence or inaccessibility or by reason of his being under any disability, the necessity for the consent of that person shall be dispensed with, if there is any other person, whose consent is also required; and if the consent of no other person is required, the registrar general may dispense with the necessity of obtaining any consent, or the court may, an application being made, consent to the marriage, and the consent of the court so given shall have the same effect as if it had been given by the person whose consent can't be so obtained;*

*ქორწინება 18 წლამდე*

*(1) იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანის ქორწინება, რომელიც არაა ქვრივი ან არ იმყოფება სამოქალაქო ქორწინებაში პარტნიორთან, მისი*



ქორწინების საზეიმოდ აღნიშვნა უნდა მოხდეს სარეგისტრაციო ბიუროს ხელმძღვანელის მიერ გაცემული დოკუმენტებით წინამდებარე კანონის მე-3-ე ნაწილის თანახმად, ამ შემთხვევაში შესაბამისი პირების თანხმობა სავალდებულოა:

იმ შემთხვევაში, როცა

ა) სარეგისტრაციო ბიუროს ხელმძღვანელი დარწმუნდება, რომ ნებისმიერი პირის თანხმობა, რომელიც სავალდებულოა ასეთი წესით, არ შეიძლება მიღებულ იქნას მისი არყოფნის ან მიუწვდომლობის ან მისი არაშრომისუნარობის გამო, მაშინ ასეთი პირის თანხმობა სავალდებულო აღარ არის თუკი სხვა სავალდებულო ნებისმიერი პირი გასცემს ასეთ თანხმობას. სარეგისტრაციო ბიუროს ხელმძღვანელმა შეიძლება უარი თქვას თანხმობის მიღების აუცილებლობაზე ან კიდევ სასამართლომ თანხმობა განაცხადოს ქორწინებაზე განცხადების შეტანის შემთხვევაში, სასამართლოს თანხმობას ექნება იგივე ძალა, რაც შეიძლება დამდგარიყო პირისაგან თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში.

## 5 Methods of authorizing marriages

(1) A marriage according to the rites of the Church Of England may be solemnized-

- (a) After the publication of banns of matrimony;
- (b) On the authority of a special licence of marriage granted by the Archbishop of Canterbury or any other person by virtue of the Ecclesiastical Licences Act 1533
- (c) On the authority of a licence of marriage granted by an ecclesiastical authority having power to grant such a licence.
- (d) On the authority of certificates issued by a superintendent registrar under part III of this act (P.13)

ქორწინების ნებართვის 5 წესი

(1) ქორწინება შეიძლება ჩატარდეს ინგლისის ეკლესიის წესების მიხედვით -

(ა) დაგეგმილი ქორწინების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გაცხადების შემდეგ<sup>13</sup>.

(ბ) ქორწინების სპეციალური ლიცენზიის ნებართვით, რომელიც მინიჭებული აქვს კანტერბერის არქიეპისკოპოსის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ 1533 კანონის საეკლესიო ლიცენზიების შესახებ საფუძველზე.

გ) საეკლესიო ავტორიტეტის მიერ მინიჭებული ქორწინების ლიცენზიის უფლებამოსილებით, რომ გასცეს ამგვარი ლიცენზია.

(დ) ამ კანონის III ნაწილის მიხედვით სარეგისტრაციო ბიუროს ხელმძღვანელის მიერ ნებართვაზე გაცემული სერტიფიკატის საფუძველზე (იქვე გვ.13).

რაც შეეხება განქორწინებას, ანუ როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ამზობენ ქორწინების შეწყვეტას:

ქორწინების შეწყვეტა.

მუხლი 1122. ქორწინების შეწყვეტის საფუძველები.

ქორწინება წყდება:

ა. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით;

ბ. კანონით დადგენილი წესით ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადებით;

გ. განქორწინებით.

მუხლი 1123. განქორწინების დაუშვებლობა.

1. განქორწინება ხდება სასამართლო წესით, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა, სხვა შემთხვევაში – სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (28.12.2007 N5672).

2. ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე საქმე აღძრას განქორწინებაზე.

მუხლი 1124. სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში განქორწინების წესი.

(28.12.2007 N5672).

1. თუ მეუღლეებს შორის არ არსებობს დავა, განქორწინება ხდება სააგენტოს

<sup>13</sup> ქორწინების შესახებ წინასწარი გაცხადებით, დიდ ბრიტანეთში არსებული სიტუაცია საფრანგეთში არსებულ მდგომარეობას ჰგავს.

ტერიტორიულ სამსახურში ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ერთობლივი განცხადების საფუძველზე. (28.12.2007 N5672).

2. მეუღლეები ვალდებული არიან განქორწინების შესახებ განცხადებაში დაადასტურონ ურთიერთთანხმობა. (28.12.2007 N5672).

3. განქორწინება შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის დაუსწრებლად, თუ მას (მათ) საპატიო მიზეზით არ შეუძლია გამოცხადდეს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში და თუ მისი (მათი) სახელით წარმოდგენილია სათანადოდ დამოწმებული განცხადება განქორწინებაზე მისი თანხმობის დასადასტურებლად. (28.12.2006 N 2626).

4. განქორწინება ხდება მეუღლეთა მიერ განქორწინების შესახებ განცხადების შეტანის დღიდან 15 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის 1110-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. (11.07.2009 N 1393).

5. ქორწინება შეწყვეტილად ითვლება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან. (28.12.2006 N 2626).

ფრანგულ სამოქალაქო კოდექსში:

Chapitre VII : De la dissolution du mariage.

Article 227

*Le mariage se dissout:*

1° *Par la mort de l'un des époux-ქორწინება გაუქმებულია ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების გამო;*

2° *Par le divorce légalement prononcé-კანონიერად გაცხადებული განქორწინებით.*

Article 229-1

*Lorsque les époux s'entendent sur la rupture du mariage et ses effets, ils constatent, assistés chacun par un avocat, leur accord dans une convention prenant la forme d'un acte sous signature privée contresigné par leurs avocats et établi dans les conditions prévues à l'article 1374-როდესაც ცოლ-ქმარი ქორწინების გაუქმებასა და მის შედეგებზე მორიგდება, ისინი საკუთარი ადვოკატების დახმარებით აფორმებენ თანხმობას კონვენციის სახით, რომელსაც აქტის ფორმა აქვს, ორივე მხარე ხელს აწერს, დამოწმებულია ადვოკატების მიერ და შედგენილია 1374 მუხლის პირობების შესაბამისად.*

*Cette convention est déposée au rang des minutes d'un notaire, qui contrôle le respect des exigences formelles prévues aux 1° à 6° de l'article 229-3. Il s'assure également que le projet de convention n'a pas été signé avant l'expiration du délai de réflexion prévu à l'article 229-4. Ce dépôt donne ses effets à la convention en lui conférant date certaine et force exécutoire*--ეს შეთანხმება ინახება ნოტარიუსის დედნებთან ერთად, ვინც ამოწმებს იმ ფორმალური მოთხოვნების დაცვას, რაც 229-3 მუხლითაა გათვალისწინებული. ნოტარიუსი რწმუნდება იმაში, რომ შეთანხმების პროექტზე მოფიქრების ვადის გასვლამდე არ არის ხელი მოწერილი, რაც გათვალისწინებულია 229-4 მუხლით. შეთანხმების ასეთი სახით შენახვას თავისი შედეგი აქვს, მასში განსაზღვრულია ზუსტი თარიღი და დოკუმენტს კანონიერ ძალას ანიჭებს.

#### Article 247

*Les époux peuvent, à tout moment de la procédure :*

*1° Divorcer par consentement mutuel par acte sous signature privée contresigné par avocats, déposé au rang des minutes d'un notaire ;*

*2° Dans le cas prévu au de l'article 229-2, demander au juge de constater leur accord pour voir prononcer le divorce par consentement mutuel en lui présentant une convention réglant les conséquences de celui-ci.*

*მეუღლეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ:*

- 1. განქორწინდნენ ორმხრივი შეთანხმებით ხელმოწერილი აქტით, რომელიც დამოწმებულია ნოტარიუსების მიერ;*
- 2. 229-2 1° მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიმართონ მოსამართლეს, რომ დაადგინოს მათი თანხმობა და ორმხრივი შეთანხმებით მათი განქორწინება განაცხადოს, წარუდგინონ შეთანხმება, რომელიც განქორწინების შედეგებს არეგულირებს.*

დიდ ბრიტანეთში ქორწინება წყდება, თუ ორივე მხარე თანხმდება განქორწინებაზე, რასაც მხარს უნდა უჭერდეს სამოქალაქო საბჭო და სასამართლო.

#### *Divorce on breakdown of marriage*

- (1) Subject to section three below, a petition for divorce may be presented to the court by either party to a marriage on the ground than the marriage has broken down irretrievably.*

- (2) *The court hearing a petition for divorce shall not hold the marriage to have broken down irretrievably unless the petitioner satisfies the court of one or more the following facts, that is to say-*
- (a) *That the respondent has committed adultery and the petitioner finds it intolerable to live with the respondent ;*
  - (b) *That the respondent behaved in such a way that the petitioner can't reasonably be expected to live with the respondent;*
  - (c) *That the respondent has deserted the petitioner for a continuous period of at least two years immediately preceding the presentation of the petition;*
  - (d) *That the parties to the marriage have lived apart for a continuous period of at least two years immediately preceding the presentation of the petition ( hereafter in this Act referred to as "two years" separation) and the respondent consents to a decree being granted;*
  - (e) *That the parties to the marriage have lived apart for a continuous period at least five years immediately preceding the presentation of the petition(hereafter in this act referred to as "five years" separation).*
- (3) *On a petition on divorce it shall be the duty of the court to inquire, so far as it reasonably can, into the facts alleged by the petitioner and into any facts alleged by the respondent.*
- (4) *If the court is satisfied on the evidence fact as is mentioned in subsection (2) above, then unless it is satisfied on all the evidence that marriage has not broken down irretrievably, it shall, subject to section 5 below, grant a decree of divorce.(იქვე გვ.77).*

(1) *ქვემოთ მოყვანილი მესამე პუნქტის თანახმად, განქორწინების განცხადება შეიძლება წარდგენილი იქნას სასამართლოში იმ დროს, როცა განქორწინება გარდაუვალია.*

(2) *სასამართლო მოსმენისას ვერ დაკმაყოფილდება მოთხოვნა განქორწინების შესახებ მანამ, სანამ შემდეგი წესები არ იქნება დაკმაყოფილებული-*

(ა) *როდესაც ერთი მხარე მეორეს ბრალს დებს ცოლ-ქმრულ ღალატში და მასთან ცხოვრებას აუტანლად მიიჩნევს;*

(ბ) *თუ ერთი მხარე ისე იქცევა, რომ შეუძლებელია მეორე მხარის მასთან ცხოვრება.*

(გ)რომ მოპასუხებმ მიატოვა მოსარჩელე საჩივრის წარდგენამდე სულ ცოტა ორი წლით ადრე.

(დ)რომ ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე ცხოვრობს ორი წლის განმავლობაში განცხადების შეტანამდე.

(ე)რომ მხარეები ცხოვრობენ ცალ-ცალკე უშუალოდ თხოვნის წარდგენამდე 5 წლის განმავლობაში.

(3) სასამართლოს ვალია გამოიკვილოს შუამდგომლობა განქორწინების შესახებ, რამდენადაც ეს შესაძლებელია მოსარჩლის და მოპასუხის მიერ წარდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით.

(4) თუ სასამართლო არ დაკმაყოფილდება ყველა ზემომოყვანილი მტკიცებულებებით, ხელმძღვანელობს (2) ქვეპუნქტით, ხოლო თუკი დაკმაყოფილდა მე-5-ე ქვეპუნქტით და მაშინ გამოაქვს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ.

საინტერესოა თავად ოჯახის იურიდიული განმარტება სამივე ქვეყანაში. ქართულ სამართალში: ოჯახი არის ურთიერთობათა ისტორიულად კონკრეტული სისტემა ცოლ-ქმარს, მშობლებსა და შვილებს შორის, როგორც მცირე ჯგუფისა, რომლის წევრებიც ურთიერთდაკავშირებული არიან საქორწინო ან ნათესაური კავშირებით, საერთო ოჯახური ყოფით, ურთიერთმორალური პასუხისმგებლობით და რომლის სოციალური აუცილებლობა განპირობებულია საზოგადოების ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილებით<sup>14</sup>.

საფრანგეთის სამართალმცოდნეობაში ოჯახი ასეა განმარტებული: *C'est une définition difficile. On peut proposer celle-ci, juridique c'est un groupement de personne qui sont relié entre elle par un engagement de vie commune ou par la filiation. L'engagement de vie commune, c'est le mariage ou le PACS (pacte civil de solidarité introduit par une loi du 15 novembre 1999 et profondément réformé par la loi du 23 juin 2006)*<sup>15</sup>-რთული ასახსნელია. შეიძლება ასეთი იურიდიული განმარტება შემოგთავაზოთ. ესაა ადამიანთა ჯგუფი,

<sup>14</sup> <http://www.qwelly.com/group/sociology/forum/topics/ojaxis-cneba>, (17.06. 2017).

<sup>15</sup> <http://www.cours-de-droit.net/definition-de-la-famille-a121609182>, (17.06. 2017).

რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ცხოვრების ან ნათესაური კავშირით. ერთად ცხოვრების ვალდებულება ქორწინება ან სოლიდარობის სამოქალაქო პაქტია, რომელიც საფრანგეთში 1999 წლის 15 ნოემბრიდან დამკვიდრდა და რომელიც მნიშვნელოვნად შეიცვალა 2006 წლის 23 ივნისიდან.

დიდ ბრიტანეთში ოჯახი ასე განმარტა 2008 წელს ლეიბორისტულმა მთავრობამ: *Families are the bedrock of our society. They nurture children, help to build strength, resilience and moral values in young people, and provide the love and encouragement that helps them lead fulfilling lives*<sup>16</sup>. *In the UK no legal definition of “family” exists-ოჯახები ჩვენი საზოგადოების ფუნდამენტია. იქ იზრდებიან ბავშვები, ხელს უწყობენ მათ ძალების მოკრებაში, სიმტკიცესა და ახალგაზრდებისთვის ზნეობრივი ღირებულებების ჩანერგვაში, უზრუნველყოფენ სიყვარულს და წახალისებას და ეხმარებიან, რომ მათ სრულყოფილი ცხოვრებით იცხოვრონ. გაერთიანებულ სამეფოში ცნების „ოჯახი“ იურიდიული განმარტება არ არსებობს.*

ოჯახურ-სამართლებრივი ლიტერატურის და ასევე დისკურსის ანალიზის შედეგად, გამოვყავით ის ლექსემები, რომლებიც ასახავენ ცნებებს „ოჯახი და ქორწინება“. ეს ტერმინებია: *civil marriage-mariage civil-სამოქალაქო ქორწინება; marital cohabitation-cohabitation conjugale-ცოლ-ქმრული თანაცხოვრება; registered partnership-partenariat civil enregistré-რეგისტრირებული ქორწინება; cérémonie de mariage civil- civil wedding ceremony-სამოქალაქო ქორწინების ცერემონია.*

არსებობს ტერმინები, რომლებიც პარტნიორების არარეგისტრირებულ თანაცხოვრებას აღნიშნავს: *de facto marriage-mariage de facto-ფაქტობრივი ქორწინება; cohabitation-cohabitation-თანაცხოვრება; live-in partnership-common-law marriage-living together-concubinage-არარეგისტრირებული თანაცხოვრება; consensual union-partenariat hors mariage-თანაცხოვრება ქორწინების გარეშე.*

<sup>16</sup> [http://catalogue.pearsoned.co.uk/assets/hip/gb/hip\\_gb\\_pearsonhighered/samplechapter/1408255529.pdf](http://catalogue.pearsoned.co.uk/assets/hip/gb/hip_gb_pearsonhighered/samplechapter/1408255529.pdf), (17.06.2017).

ტერმინები, რომლებიც ასახავს ერთსქესიან პარტნიორთა თანაცხოვრებას: *same-sex community-communauté de même sexe-ერთსქესიანთა თანაცხოვრება; homosexual partnership-partenariat homosexuel-ჰომოსექსუალთა პარტნიორობა (თანაცხოვრება); gay marriage - mariage homosexuel-ჰომოსექსუალთა ქორწინება.*

ამგვარად, სოციალური მოვლენები, რომლებიც გამოხატულია ზემოხსენებული ტერმინებით ნათლად გვიჩვენებს თანამედროვე ოჯახის მშენებლობის მოდელების სრულ პალიტრას. სოციალური ცვლილებების გათვალისწინებით ახალი საკანონმდებლო აქტები ჩნდება, რომლებიც მოწოდებულია ჩამოყალიბებული ფაქტობრივი ოჯახური ურთიერთობები, ოფიციალური ქორწინების გარეშე დაარეგულიროს, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ სამი ქვეყნის საოჯახო სამართლის შედარებისას თავს იჩენს მკვეთრი განსხვავებები. ერთსქესიანთა ქორწინება საქართველოში აკრძალულია, საფრანგეთში დაშვებულია, თუმცა შვილის აყვანის უფლება მათ არა აქვთ. რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს იურიდიული თვალსაზრისით ეს ურთიერთობა ასე რეგულირდება:

*1 Extension of marriage to same sex couples*

*(1) Marriage of same sex couples is lawful.*

*(2) The marriage of a same sex couple may only be solemnized in accordance with-*

*(a) Part 3 of the Marriage Act 1949,*

*(b) Part 5 of the Marriage Act 1949,*

*(c) the marriage (Registrar General's Licence) Act 1970, or*

*(d) an Order in Council made under Part 1 or 3 of schedule 6.*

*(3) No canon of the Church of England is contrary to section 3 of the Submission of the Clergy Act 1533 (which provides that no Canons shall be contrary to the Royal Prerogative or the customs, laws or statutes of this realm) by virtue of its making provision about marriage being the union of one man with one woman.*

*(4) Any duty of a member of the clergy to solemnize marriages (and any corresponding right of persons to have their marriages solemnized by members of the clergy) is not extended by this Act to marriages of same sex couples.*

*(5) A "member of the clergy" is-*

*(a) a clerk in Holy Orders of the Church of England, or*



(b) a clerk in Holy Orders of the Church in Wales.

ქორწინების დაშვება ერთსქესიანებში

(1) ჰომოსექსუალთა ქორწინება კანონიერია.

(2) ერთსქესიანთა ქორწინება შეიძლება აღინიშნოს მხოლოდ

ა) 1949 წლის კანონის ქორწინების შესახებ მე-3-ე ნაწილის შესაბამისად

ბ) 1949 წლის კანონის ქორწინების შესახებ მე-5-ე ნაწილის შესაბამისად

გ) 1970 წლის კანონის ქორწინების შესახებ შესაბამისად (საერთო რეესტრის ლიცენზით) ან

დ) დეკრეტის 1 და მე-3-ე ნაწილების საფუძველზე, დანართი 6.

(3) ინგლისის არც ერთი საეკლესიო წესდება არ ეწინააღმდეგება წინამდებარე 1533 კანონის მე-3-ე მუხლს სამღვდელოების შესახებ, (რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ არც ერთი კანონი არ იქნება სამეფოს კარისა და მისი წესჩვეულებების, კანონებისა და წესდებების საწინააღმდეგო) ქორწინებასთან დაკავშირებული დებულების საფუძველზე, რომელიც ნიშნავს კავშირს კაცსა და ქალს შორის.

(4) სამღვდელოების თითოეული წევრის ვალია ჯვარი დაწეროს წყვილებს (თითოეულ ადამიანს აქვს უფლება ქორწინებისათვის მიმართოს სამღვდელო პირს) და მოცემული კანონით არ გადადოს ერთსქესიანთა ქორწინება.

(5) „სამღვდელოების პირი“ არის-

ა) ინგლისის ეკლესიის წმინდანთა ორდენის სასამართლოს მდივანი.

ბ) უელსის ეკლესიის წმინდანთა ორდენის სასამართლოს მდივანი.

Religious protection-საეკლესიო მფარველობა

2 Marriage according to religious rites: no compulsion to solemnize etc[...] (ოლდჰამი 2015: 683).

2.ქორწინება ხორციელდება საეკლესიო რიტუალების მიხედვით: არანაირი შეზღუდვა არ არსებობს ჯვრისწერის მხრივ.

8 Power to allow for marriage of same sex couples in church in Wales-8. ერთსქესიანთა უფლება ჯვარი დაიწერონ უელსის ეკლესიაში[...] (იქვე: გვ. 685).

## 11 Effect of extension of marriage

- (1) *In the law of England and Wales marriage has the same effect in relation to same sex couples as it has in relation to opposite sex couples.*
- (2) *The law of England and Wales (including all England and Wales legislation whenever passed or made) has effect in accordance with subsection (1).*
- (3) *Schedule (3) interpretation of legislation) has effect.*
- (4) *Schedule (4) (effect of extension of marriage: farther provision) has effect.*
- (5) *For provision about limitations on the effects of subsection (1) and (2) and schedule 3, see part 7 of schedule 4.*
- (6) *Subsections (1) and (2) and schedule 3 do not have any effect in relation to-*
  - (a) *Measures and canons of the church of England (we never passed or made),*
  - (b) *Subordinate legislation (whenever made) made under a measure or canon of the church of England, or*
    - (a) *Other ecclesiastical law (whether or not contained in England and Wales legislation, and if contained in England and Wales legislation, whenever passed or made.*

## 11 ქორწინების გავრცობის შედეგი

- (1) *ინგლისისა და უელსის კანონს ქორწინების შესახებ იგივე შედეგი აქვს ერთსქესიანი წყვილებისათვის, როგორც საწინააღმდეგო სქესის მქონე წყვილებისათვის.*
- (2) *ინგლისის და უელსის კანონი (ინგლისის და უელსის ყველა კანონის ჩათვლით, როდესაც ის იქნა მიღებული ან განხორციელებული) მოქმედებს პარაგრაფის 1 შესაბამისად.*
- (3) *კანონის დანართის (3) ინტერპრეტაციას აქვს კანონიერი ძალა.*
- (4) *დანართს (4) (შედეგი ქორწინების გავრცობის შედეგი: დამატებითი პირობა) აქვს კანონიერი ძალა.*
- (5) *იმ დებულებებისათვის, რომლებიც ეხება პარაგრაფების (1) და (2) და დანართის 3 მოქმედებას, იხილეთ ნაწილი 7, დანართი 4.*
- (6) *პარაგრაფებს (1) და (2) და დანართს 3 არავითარი ძალა არა აქვთ:*
  - (a) *ინგლისის ეკლესიის ზომებთან და კანონებთან მიმართებაში [...]*

(ბ)დაქვემდებარებულ კანონმდებლობასთან მიმართებაში, როდესაც ის მოქმედებს ინგლისის ეკლესიის კანონის და განკარგულებით ან

(გ)სხვა საეკლესიო კანონებთან მიმართებაში (რომლებიც ჩაწერილია ან არაა ინგლისის და უელსის კანონმდებლობაში, ან რომლებიც მიღებულია და მოქმედებს ინგლისისა და უელსის კანონმდებლობით. (იქვე 685).

ერთსქესიანთა ქორწინებამ ახალი ტერმინები წარმოქმნა ფრანგულ საოჯახო სამართალში. ამჯერად, თავად ოჯახს და ქორწინებას სხვანაირად ახასიათებენ. ახალი ლექსიკური ერთეულები ჩნდება სამართლის ენაში, ნაწილი გადადის კანონის ენაში, ზოგი განაგრძობს საერთო ენასა და სამართლის ენაში ფუნქციონირებას. პირველ რიგში, ეს სიტუაცია შეიძლება ავხსნათ იმით, რომ კანონმდებლობა, რომელიც ოჯახურ-სამართლებრივ მიმართებებს ასახავს, ზოგჯერ ჩამორჩება დროში ამ სფეროში არსებულ საზოგადოებრივ ცვლილებებს. საფრანგეთში ცვლილება სამოქალაქო კოდექსში ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ შევიდა 2013 წლის 17 მაისის n° 2013-669 გადაწყვეტილებით. უნდა აღინიშნოს ერთი რამ, რომ დიდ ბრიტანეთში ერთი სქესის მქონე პირებმა შეიძლება ჯვარი დაიწერონ ეკლესიაში, ხოლო საფრანგეთში, კათოლიკური ეკლესია ამას კრძალავს, პროტესტანტული ეკლესია<sup>17</sup> კი ნებას რთავს. ეს შესაძლებელი გახდა 2015 წლიდან. ამან კიდევ უფრო გააღრმავა დაპირისპირება კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებს შორის.

*SUR LE MARIAGE : ქორწინების შესახებ*

*En ce qui concerne le paragraphe I de l'article 1er : რაც შეეხება I პარაგრაფის I მუხლს:*

*17. Considérant que l'article 1er de la loi rétablit un article 143 du code civil dans le chapitre Ier du titre V du livre Ier du code civil, consacré aux qualités et conditions requises pour pouvoir contracter mariage ; qu'aux termes de cet article : « Le mariage est contracté par deux personnes de sexe différent ou de même sexe » -17. ითვალისწინებს რა კანონის I მუხლს, აღადგენს 143 მუხლს სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნის მე-5-ე ნაწილის პირველ თავში, რომელიც ეხება ქორწინების ხელშეკრულების დასადებად*

<sup>17</sup> [http://www.lepoint.fr/societe/l-eglise-protestante-de-france-dit-oui-au-mariage-gay-17-05-2015-1928961\\_23.php#](http://www.lepoint.fr/societe/l-eglise-protestante-de-france-dit-oui-au-mariage-gay-17-05-2015-1928961_23.php#), 2015, (16.11.2017).

სავალდებულო წესებს და პირობებს ეხება; ამ მუხლის თანახმად: „ქორწინება დასაშვებია ორი განსხვავებული სქესის ან ერთი სქესის მქონე პირებს შორის“.

22. *Considérant, [...] qu'en ouvrant l'accès à l'institution du mariage aux couples de personnes de même sexe, le législateur a estimé que la différence entre les couples formés d'un homme et d'une femme et les couples de personnes de même sexe ne justifiait plus que ces derniers ne puissent accéder au statut et à la protection juridique attachés au mariage ; qu'il n'appartient pas au Conseil constitutionnel de substituer son appréciation à celle du législateur sur la prise en compte, en matière de mariage, de cette différence de situation -ითვალისწინებს, [...] იმ ფაქტს, რომ ერთსქესიანთა ქორწინების ნების დართვით, კანონმდებლები ფიქრობენ, რომ განსხვავება ცოლ-ქმრულ წვილებს, რომლებიც ქალის და მამაკაცისაგან შედგება და ერთი სქესის წყვილებს შორის, ისაა, რომ ამ უკანსკნელთ არ აქვთ წვდომა იურიდიულ სტატუსსა და დაცვაზე, რომელიც ქორწინებასთანაა დაკავშირებული; საკონსტიტუციო სასამართლოს არ ძალუძს შეცვალოს კანონმდებლის ასეთი დამოკიდებულება ქორწინების მიმართ განსხვავებული მდგომარეობის გათვალისწინებით.*

27. *Considérant qu'aux termes du premier alinéa de l'article 202-1 du code civil : « Les qualités et conditions requises pour pouvoir contracter mariage sont régies, pour chacun des époux, par sa loi personnelle » ; que le second alinéa du même article prévoit : « Toutefois, deux personnes de même sexe peuvent contracter mariage lorsque, pour au moins l'une d'elles, soit sa loi personnelle, soit la loi de l'Etat sur le territoire duquel elle a son domicile ou sa résidence le permet»-იმ შემთხვევაში, თუკი სამოქალაქო კოდექსის 202-1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: „ქორწინებისათვის სავალდებულო ნიშნები და პირობები, იმართება თითოეული მეუღლისათვის პირადი კანონით“, იმ დროს, როდესაც იმავე მუხლის მეორე პუნქტში გათვალისწინებულია შემდეგი: „ერთი სქესის მქონე ადამიანები შეიძლება იმ შემთხვევაში დაქორწინდნენ, როდესაც ეს შესაძლებელია ერთ-ერთი მათგანის პირადი უფლებით, ან იმ სახელმწიფოს უფლებით, რომელ ტერიტორიაზეც მდებარეობს მისი საცხოვრებელი ან აქვს ცხოვრების უფლება<sup>18</sup>.*

<sup>18</sup> <https://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=JORFTEXT000027414806&categorieLien=cid>, (31.10.2017).

### 3.2 საოჯახო სამართლის ტერმინების ზოგადი დახასიათება სამივე ენაში

საოჯახო სამართლის ტერმინები შეიძლება პირობითად დავყოთ 4 ჯგუფად:

1. ტერმინები, რომლებიც აღნიშნავენ პირებს საოჯახო სამართალში. მაგალითად: *adulteress- femme adultère-ცოლ-ქმრული ერთგულების დამრღვევი ქალი; wife-épouse -მეუღლე ქალი; husband-mari-ქმარი, child- enfant-ბავშვი* და სხვა;
2. ტერმინები, რომლითაც გამოხატავენ ცოლ-ქმრული ურთიერთობის ქონებრივ ურთიერთობებს. მაგალითად: *original assets(property)-la fortune initiale-ქორწინებამდე არსებული ქონება; capital final-assets, property rights of spouses- droit de propriété des époux-ცოლ-ქმრის ქონებრივი უფლება; acquests-acquêts-ცოლ-ქმრის საერთო ქონება* და ა.შ.;
3. ტერმინები, რომლებიც უცილობლად მხოლოდ საოჯახო სამართლის სფეროს განეკუთვნება. მაგალითად: *spouses-époux-მეუღლეები; civil marriage- mariage civil-სამოქალაქო ქორწინება; bigamy- bigamie-ორცოლიანობა; religious marriage- mariage religieux-საეკლესიო ქორწინება; nullity of marriage-nullité du mariage-ქორწინების ანულორება; adultery- une adultère-ცოლ-ქმრული დალატი* და სხვა;
4. სამართლის სხვა სფეროდან აღებული ტერმინები, რომლებიც მნიშვნელოვანია საოჯახო სამართლისთვის, ჩვენ შემთხვევაში ესაა შრომის და მემკვიდრეობითი სამართლის სფეროები. ასე მაგალითად: *obligation to cooperate spouse-obligation de coopération du conjoint-მეუღლის თანამშრომლობის ვალდებულება; right of women to lead the family- droit de la femme de diriger la famille-ქალის უფლება ოჯახს წარუძღვეს; degree of relationship- degré de parenté-ნათესაობის ხარისხი* და სხვა.

საინტერესოა საოჯახო სამართლის ტერმინთა სტრუქტურა. შედარებით ადრინდელ ტერმინებში გამოიყენება მარტივი სიტყვები. თუმცა გვაქვს ასევე სამივე ენაში ორსიტყვიანი ან მრავალსიტყვიანი ტერმინები, წინდებულით დაკავშირებული არსებითი სახელები ან კიდევ ზედსართავით და არსებითი სახელით წარმოდგენილი ფორმები.

საოჯახო სამართლის ტერმინები სამივე ენაში ძირითადად ერთსიტყვიანია, ვგულისხმობთ ოჯახს და მასთან დაკავშირებულ ნათესაურ ურთიერთობებს, თუმცა გვაქვს რთული ტერმინები, რომლებიც ორზე მეტი სიტყვისაგან შედგება. სამივე ენაში გვაქვს სიტყვათწარმოება, აფიქსალური სიტყვათწარმოება, კომპოზიტები, წინდებულიანი და ზედსართავით წარმოდგენილი ფორმები, სიტყვათა ოჯახები. მაგალითად ფუძისეული სიტყვებია: *wife-femme-ცოლი*; *husband-mari-ქმარი*; *child-enfant-ბავშვი*; ორსიტყვიანი ტერმინებია: *wedding contract-contrat de mariage-საქორწინო კონტრაქტი*, *matrimonial regime-régime matrimonial-ცოლ-ქმარს შორის ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი*; *common property-propriété commune-საერთო ქონება*.

ჩვენ შევძელით შეგვედგინა საოჯახო სამართლის ტერმინების პირველი სამენოვანი ლექსიკა, ამოსავალი ქართული ენით, რადგანაც ის უფრო საინტერესო იქნება და გამოსადეგი ყველა დაინტერესებული პირისათვის. ჩატარებული ანალიზით გამოგვყავით სიტყვათა ჯგუფები, რომლებიც ტერმინების შექმნაში მონაწილეობენ. ესენია:

1.წინდებულიანი არსებითი სახელებისაგან შემდგარი ტერმინები. მაგალითად: *დედობის აღიარება-recognition of motherhood-reconnaissance de maternité*; *განქორწინების შედეგები-consequences of divorce-conséquences du divorce*; *სასამართლოში გამოძახება განქორწინებისათვის-divorce assignment-assignation en divorce* და სხვა.

2.არსებითი სახელისა და ზედსართავისაგან შემდგარი ტერმინები. მაგალითად: *ბავშვის აღიარება მამის მიერ მშობიარობამდე-prenatal paternal recognition-la reconnaissance paternelle prénatale*; *ბავშვზე უარის თქმა-parental neglect-le délaissement parental*; *გენეტიკური კოდი-genetic code-code génétique*; *კანონიერი ბავშვი-legitimate child-enfant légitime*; *მამობის პრეზუმფცია-the presumption of paternity-la présomption de paternité*; *სამოქალაქო ქორწინება-civil marriage-mariage civil*; *ცოლ-ქმრული ერთგულება-marital fidelity-la fidélité conjugale* და სხვა. ინგლისურ და ფრანგულ ენებში ტერმინები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რასაც ვერ ვიტყვით ქართულთან

შეპირისპირებისას. მხოლოდ ერთ ტერმინს *გენეტიკური კოდი* მსგავსი ჟღერადობა აქვს, ვინაიდან მოცემული ტერმინი უცხოური სიტყვებისაგან შედგება.

3.იდენტური ტერმინები გვაქვს ორივე ენაში. მაგალითად: *ანდერძი-testament-testament*; *აპატრიდი-apatride-apatride*, *განქორწინება-divorce-divorce*, *კოჰაბიტაცია-cohabitation-cohabitation*; *შვილება (ჩვეულებრივი)-simple adoption-adoption simple*; *ჩასახვა-conception-conception*. ტერმინი *აპატრიდი* ქართულში უცხო ენიდანაა ნასესხები, ამიტომ ამ ტერმინის შემთხვევაში სამივე ენაში სრული დამთხვევაა.

4.იდენტური ტერმინები განსხვავებული ორთოგრაფიით. ზოგიერთი ტერმინი ინგლისურ და ფრანგულ ენებში იდენტურია, თუმცა განსხვავებაა ორთოგრაფიაში, რომ არაფერი ვთქვათ წარმოთქმაზე. მაგალითად: *ბიგამია-bigamy-bigamie*; *გაყრა-separation-séparation*; *ემანსიპაცია-emancipation-émancipation*; *ლესბოსელი-lesbian-lesbienne*; *პოლიგამია-polygamy-polygamie*; *მამკვიდრებელი-testator-testateur*; *მამათმავლობა-pederasty-pédérastie*; *მამათმავალი-pederast-pédéraste*; *ინცესტი-incest-inceste*; *პედოფილია-pedophilia-pédophilie*; *რეპროდუქცია-procreation-procréation*; *მშვილებელი მშობლები-adoptive parents-parents adoptifs*; *ფიქტიური ქორწინება-putative marriage- mariage putatif*; *ქორწინება (უკვე ფაქტობრივად თანცხოვრებაში მყოფ წყვილს შორის)-subsequent marriage-mariage subséquent*; *შერიგება-reconciliation-réconciliation*; *შუამავლობა-mediation-médiation*; *ცოლ-ქმრული დალატი-adultery-adultère*; *ხელოვნური განაყოფიერება-artificial insemination-insémination artificielle*; *ხელახალი ქორწინება-remarriage-le remariage*; *ჰომოსექსუალი-the homosexual-l'homosexuel*; *შეთანხმება მეუღლეებს შორის ქორწინების შემდეგ-post-nuptial contract-contrat post-nuptial*. ქართული ტერმინები *ბიგამია*, *პოლიგამია*, *ნასესხები* ტერმინებია, თუმცა გვაქვს მათი შესატყვისი ქართული ტერმინებიც: *ორცოლიანობა*, *მრავალცოლიანობა*. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ინგლისური და ფრანგული ტერმინების შედარებისას, ზუსტი მსგავსებაა, განსხვავება მხოლოდ ზედსართავის და არსებითი სახელის ადგილით ვლინდება. ინგლისურში გვაქვს პრეპოზიცია, ფრანგულში კი პოსტპოზიცია, რაც ენების სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

5. ზმნისაგან და არსებითი სახელისგან შედგენილი ტერმინები. მაგალითად: განქორწინების შედეგების მორიგებით მოგვარება- *resolve the consequences of divorce amicably-régler les conséquences du divorce à l'amiable*; კანონიერი შვილის ყოლის აღიარება- *have possession of status of legitimate child-avoir la possession d'état d'enfant légitime*; ორივე მხარის დანაშაულის და პრეტენზიის გამოხატვა- *state the wrongs and grievances of the parties-énoncer les torts et griefs des parties*; მეუღლის გვარის გამოყენების უფლების დაკარგვა- *lose the use of the name of spouse- perdre l'usage du nom du conjoint*; საგვარეულო ქონების გაზრდა- *to grow its heritage-faire fructifier son patrimoine*.

6. აბრევიატურა. ესაა: ლგბტ-*LGBT-LGBT* და ისიც ფრანგულსა და ინგლისურში ემთხვევა ასოები შემოკლებებს. ქართულმა ენამ კი ის ინგლისურიდან ისესხა. ფრანგულში უნდა აღვნიშნოთ აბრევიატურა *PACS*. ეს აბრევიატურა ნაცნობია ყველა ფრანგისათვის, რაც შემდეგნაირად იშიფრება *Pacte civil de solidarité-სოლიდარობის სამოქალაქო ხელშეკრულება*. ზემოთ ამ აბრევიატურის შესახებ ვისაუბრეთ. ქართულში მას შესატყვისი არა აქვს. ინგლისურში არსებობს *civil partnership agreements*. აღსანიშნავია ის, რომ მოცემულმა აბრევიატურამ ფრანგულ ენაში წარმოქმნა ზედსართავები-*pacsé; pacstable; pacstage* და ზმნები-*pacser; se pacser*. შეიძლება ითქვას, რომ სუფიქსაციის მეშვეობით სიტყვათა ოჯახი შეიქმნა.

7. მთარგმნელის “ცრუ მეგობრები“. „თარგმანის განხორციელების სფერო ენა კი არა, არამედ მეტყველებაა. თარგმნის ‘მინიმალური ერთეული’ წინადადებაა. უნდა ვერიდოთ სიტყვასიტყვით თარგმანს. ეს გახლავთ დამწყები მთარგმნელების ‘საყმაწვილო სენი’, რომელსაც გვერდს ვერ უვლიან, თუკი ადგილი აქვს უცხო და მშობლიურ ენებში სიტყვების ფონეტიკურ მსგავსებას. მათ მთარგმნელის ‘ცრუ მეგობრებს’ უწოდებენ“ (მ.ჯაში, ქ. ჯაში 2003: 7). მთარგმნელებისათვის ეს კარგად ნაცნობი ტერმინია, რაც იმას ნიშნავს, რომ ორ ენაში ტერმინები ფონეტიკურად ჰგავს, თუმცა მნიშვნელობები განსხვავებულია. მაგალითად: ფრანგულად ტერმინი *mariage blanc*, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს *თეთრ ქორწინებას*, ითარგმნება, როგორც ფიქტიური ქორწინება, ხოლო ინგლისურში არსებობს აღნიშნული ტერმინის მსგავსი



გამოთქმა *white wedding*, ის ითარგმნება, როგორც *საეკლესიო ქორწინება*, როდესაც პატარმალ თეთრ კაბაშია გამოწყობილი.

8. სპეციფიკური ტერმინები. ინგლისურ და ფრანგულ ენებში ისეთი ტერმინები გვაქვს, რომლებიც მხოლოდ ამ ენებისათვისაა დამახასიათებელი. მაგალითად: *შოტლანდიური ქორწინება-Gretna-Green marriage*, რაც ნიშნავს ისეთ ქორწილს, როდესაც ქორწინებისათვის მხოლოდ წყვილის თანხმობაა საკმარისი. ამ ხერხს ხშირად მიმართავდნენ ინგლისელები, როდესაც გარბოდნენ შოტლანდიაში, რომ ადვილად დაქორწინებულიყვნენ. ეს ფრანგებისათვის უცხო მოვლენაა. ფრანგულად შეიძლება ასე ვთარგმნოთ: *mariage à Gretna Green*, თუმცა ის ფრანგებისათვის გაუგებარი იქნება დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე. ფრანგული ტერმინი *mariage à l'anglaise*, სიტყვასიტყვით „ქორწინება ინგლისურად“, რომლის დროსაც მეუღლეები შენობის საკუთარ ნახევარში ცხოვრობენ. ამ ტერმინს ინგლისური ეკვივალენტი არა აქვს და საჭირო იქნება მისი ახსნა-განმარტება. დაბოლოს, *თავისუფალი ქორწინება-open marriage-mariage libre*. ინგლისურ ენაში გამოყენებული ზედსართავი *open* ნიშნავს *ღიას*, ხოლო ფრანგულში მას შეესატყვისება ზედსართავი *თავისუფალი*, რაც ყურადსაღებია, რომ თარგმნის დროს თავიდან ავიცილოთ ინტერფერენცია.

9. განსხვავებული სინტაგმის მქონე სტრუქტურები. ტერმინები, რომლებიც ინგლისურად ერთი სიტყვით გამოიხატება, ფრანგულში კი ორი ან მეტი სიტყვა გვაქვს ან პირიქით. მაგალითად: *კავშირი (ნათესაური)-the filiation-le lien de filiation*, თუმცა ფრანგულშიც შეიძლება მარტო *filiation* გამოვიყენოთ; *მეჯვარე-best man-témoin*; *აფიდევიტი-affidavit-déclaration sur l'honneur*; *ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები-impediment-empêchements à mariage*.

10. ფრანგულიდან ნასესხები სიტყვები: *საქმრო, საცოლე-fiancé, fiancée-fiancé, fiancée* მოცემულ შემთხვევაში აბსოლუტური დამთხვევაა ინგლისურსა და ფრანგულში, არა მარტო ორთოგრაფიის თვალსაზრისით, არამედ წარმოთქმის თვალსაზრისითაც.

აღსანიშნავია ერთი ფაქტი, რომ როგორც ინგლისურ, ისე ფრანგულ საოჯახო სამართალში გვაქვს ტერმინი *სექსუალური განათლება*, რაც ინგლისურად გადმოიციმა *sexual education*, ხოლო ფრანგულად *éducation sexuelle*, რაც ქართულ საოჯახო სამართალში არ არის გათვალისწინებული. ჩვენ ვფიქრობთ, ეს დიდი შეცდომაა, რადგანაც ეს ხარვეზი გარკვეულ ასახვას პოულობს საზოგადოების, კერძოდ, ახალგაზრდების ცხოვრებაში. ამ თვალსაზრისით ახალგაზრდების სწორი აღზრდა და განათლება, ბევრ რამეს შეცვლის ჩვენ საზოგადოებაში.

ამგვარად, საოჯახო სამართლის ტერმინების ზოგადი მახასიათებლების სტრუქტურაში მოქმედებს ერთი მხრივ, შიდასისტემური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ, როგორც ზოგადი, ისე საოჯახო სამართლის ტერმინების სპეციფიკურ თვისებებს, მეორე მხრივ, ამ მახასიათებლების ურთიერთქმედების დინამიკა განპირობებულია ექსტრალინგვისტური დონის მიზეზთა ზემოქმედებით, რომლებიც სამივე ქვეყნის საზოგადოებებში ოჯახის ინსტიტუტისა და ოჯახური ურთიერთობების სოციოკულტურული სიტუაციის განვითარების თავისებურებებთანაა დაკავშირებული.

ლინგვისტურ ლიტერატურაში ტერმინები მკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობების მქონე სიტყვებია, რითაც ისინი საერთო ენის სიტყვებისაგან განსხვავდება, რომლებსაც პოლისემანტიკურობა ახასიათებს. თუმცა, ეს კრიტერიუმი ზოგიერთ იურიდიულ ტერმინთან მიმართებაში სადავოა.

არსებობს ტერმინების მთელი რიგი, რომელიც პოლისემანტიკურობით ხასიათდება. მათი ინტერპრეტაცია ინტერკულტურულ კომუნიკაციაში ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ხასიათის ფაქტორების კომპლექსურად დამოკიდებული, რომლებიც თარგმნის სხვადასხვა ვარიანტებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. ინტერკულტურულ კომუნიკაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ტერმინის თარგმნის ადეკვატური ხერხების ძიებას აქვს, რამაც იურიდიულ დისკურსში მისი პოლისემანტიკურობა უნდა გაითვალისწინოს.

იურიდიული ლიტერატურის ანალიზმა დაგვანახა, რომ ერთი და იგივე ცნება კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა მნიშვნელობის რეალიზებას ახდენს, რაც სრულყოფილი გაგებისათვის გარკვეულ სირთულეს ქმნის. ასე მაგალითად, ტერმინს *დანაშაული* ინგლისურ და ფრანგულ ენებში შეიძლება სხვადასხვა ეკვივალენტი შეესაბამებოდეს. მაგალითად, ფრანგულ ენაში: *crime, délit, infraction, forfaiture-სამსახუროებრივი დანაშაულია; delict; crime; abuse of power, infraction, official malfeasance, malfeasance in office*; იმისათვის, რომ მსუბუქი და მძიმე დანაშაული განესხვაგვებინა, ქართულში ტერმინი *დელიქტი* დამკვიდრდა. თუმცა, თარგმნის დროს ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ ტერმინის სპეციფიკა. თუკი ასეთი მრავალფეროვნება არ იწვევს გაუგებრობას, მაშინ საჭირო არ არის იურიდიული ტერმინის სტანდარტიზაციის პროცესს მივმართოთ. ასევე, უნდა აღინიშნოს საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიაში სინონიმების არსებობა. ასხვაგვებენ როგორც აბსოლუტურ, ისე ნაწილობრივ სინონიმებს, ხოლო ფუნქციური მახასიათებლების მიხედვით იდეოგრაფიულ და სტილისტურ სინონიმებს.

თუ გადავხედავთ სამივე ენის საოჯახო სამართლის ტერმინებს, განსაკუთრებულ როლს მათ კვლევაში ინტერკულტურული პერსპექტივის თვალსაზრისით სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების სოციოკულტურული კონტექსტი ასრულებს. მაგალითად: *საქორწინო ასაკი-nubility, marriageability-âge légal du mariage, l'éligibilité au mariage, âge nubile*. საქორწინო ასაკად საქართველოში მიჩნეულია 18 წელი, როგორც ქალებისათვის, ისე მამაკაცებისათვის. თუმცა, მშობლების ნებართვით შეიძლება ეს ასაკი 16 წლამდე შემცირდეს. 18 წლის ასაკში ნებარდართულია ქორწინება დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში. საქართველოში, თუკი მშობლები შვილების ასაკის გამო ქორწინების წინააღმდეგები არიან, საპატიო მიზეზების გამო, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე ქორწინების ნებართვა შეიძლება სასამართლომ გასცეს.

აბსოლუტური სინონიმია გვაქვს ინგლისურ და ფრანგულ ენებში თუკი ტერმინს *საქორწინო ხელშეკრულება* განვიხილავთ, ინგლისურში *wedding contract*, ფრანგულში *contrat de mariage*. დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში საქორწინო

ხელშეკრულება სავალდებულოა. საქართველოში მეუღლეებმა შეიძლება დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. უნდა ითქვას, რომ ასეთი ტრადიცია ჩვენ ქვეყანაში არ არის, რის გამოც ბევრი ადამიანი, კერძოდ, ქალი დაუცველია და განქორწინების შემთხვევაში ქონების გარეშე რჩება, თუკი მას შვილები არ ჰყავს.

### 3.3. საოჯახო სამართლის ენაში სოციალური ცვლილებების დინამიკის ასახვა

სამივე ქვეყნის სამოქალაქო კოდექსებში მათი შექმნის დღიდან უამრავი ცვლილება შევიდა, მათ შორის საოჯახო სამართლის თვალსაზრისით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამ მხრივ ყველაზე ახალია. ამ ცვლილებებმა თავისი ასახვა ჰპოვა იურიდიული დოკუმენტების ენაში. საზოგადოებრივი აზრის ცვლილება, საოჯახო სამართლის ამა თუ იმ პრობლემისადმი დამოკიდებულებას უცილობლად მოჰყვება ენობრივი ცვლილებები.

სამართლის ენის განვითარების კულტურულ-ისტორიული ცვლილებები და იურიდიული ტექსტების დიაქრონიული შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ და აღვწეროთ სამივე ქვეყნის ოჯახური სამართლის ენობრივი ფაქტები, რომლებიც იურიდიული ტერმინოლოგიის შესწავლისას ლინგვისტური და სოციოკულტურული ასპექტების ურთიერთკავშირს გვიჩვენებენ. არსებული მდგომარეობა ჩვენი აზრით ორი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითის მეშვეობით გავშალეთ. ესენია: 1. ენაში სამართლებრივი ნორმების ასახვის აქსიოლოგიური ასპექტი; 2. სამართლის ენაში საოჯახო ურთიერთობის განვითარების ახსნა.

1. ენაში სამართლებრივი ნორმების ასახვის აქსიოლოგიური ასპექტი. საოჯახო-სამართლებრივი ნორმები, პრაგმატული განწყობის მსგავსად ფუნქციონირებენ,

რომელთა გარეშეც ძნელია საზოგადოებრივი ღირებულებების ახსნა და კულტურულ-ისტორიული კონოტაციების სამართლებრივი ნორმების საშუალებებზე ზემოქმედების გააზრება. ამ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ ინგლისური ტერმინი *illegitimate child* და ფრანგული ტერმინი *enfant illégitime*. ქართული სამართალი არ განასხვავებს კანონიერ და უკანონო შვილებს, რაც მას მკვეთრად გამოარჩევს საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის საოჯახო სამართლისაგან. რომაულ სამართალში თუკი ბავშვი იბადებოდა კანონიერი ქორწინების გარეშე, ეს ხელს არ უშლიდა, რომ მომხდარიყო ხელოვნურად მისი შვილება. შვილება შესაძლებელი იყო ნებისმიერ ასაკში. ქრისტიანულმა ეკლესიამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ოჯახის გარდაქმნაზე. ქორწინების გარდა, არსებობდა თანაცხოვრება, რომელიც აღიარებული იყო რომაული სამართლის მიერ. შვილების ყოლა არ შეიძლებოდა, მაგრამ თუკი ბავშვები ჩნდებოდნენ, მათზე ამბობდნენ, რომ ისინი გარყვნილების გზით არიან ჩასახულები. მათ მიჩნევდნენ უმამო ბავშვებად. თუნდაც მამა უცნობი ყოფილიყო, ადვილი იყო მისი პოვნა, რადგანაც სწორედ ის ცხოვრობდა ბავშვების დედასთან ქორწინების გარეშე. ქორწინებისათვის, მამა ისაა, ვინც დედის იურიდიული მეუღლეა. როდესაც ქორწილი არ ტარდება, მამა ისაა, ვინც ჩვეულებრივ ცხოვრობს ბავშვების დედასთან. შეიძლება ბავშვმა მოითხოვოს მისი იურიდიულად აღიარება. მამამ შეიძლება ინსტიტუტურად აღიაროს ბავშვი. თანაცხოვრება შვილების გაჩენის საშუალებას იძლევა.

ეს არ არის სრულიად უკუგდებული რომაული საზოგადოების მიერ, თუმცა ხდება იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ესაა კავშირი კაცსა და ქალს შორის, რომლებიც განსხვავებულ სოციალურ და ეკონომიკურ დონეს განეკუთვნებიან. შეთანხმების ეს მოთხოვნა ოჯახებს შორის ჯერ კიდევ ადრე არსებობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეუღლეებს შორის ბალანსი დაირღვეოდა.

სამოქალაქო დონეზე:

–უკანონო შვილს არ ჰქონდა იურიდიული უფლება. ის ნათესაურ კავშირში არ ითვლებოდა. ეს კი ქმნიდა სირთულეს. ვის უნდა განეხორციელებინა უკანონო ბავშვზე ზეგავლენა? პრაქტიკაში, ის მამის ძალაუფლების ქვეშ ექცეოდა. ის ოჯახის ეკონომიკურ ჩარჩოში ჯდებოდა და არა კანონიერ ჩარჩოში.

–უკანონო შვილს არ ჰქონდა უფლება მემკვიდრეობა მიეღო, თუმცა ზოგიერთი წეს-ჩვეულებით მას შეეძლო დედის ქონება მემკვიდრეობით მიეღო. ზოგიერთი წესის თანახმად მშობლებს, სიკვდილის წინ შეეძლოთ შვილების სასარგებლოდ განეხორციელებინათ ჩუქება.

–უკანონო ბავშვს არ შეეძლო თავისი ქონების მემკვიდრეობით გადაცემა. უკანონო შვილების უფლებობა ხელს აძლევდა მემამულეს. ის საბოლოოდ 1791 წლის 13 აპრილს გაუქმდა. ნელ-ნელა თანხმდებოდნენ, რომ უკანონო შვილებს შეეძლოთ ესარგებლათ ჩუქების უფლებით ან ჩუქებით მემკვიდრეობის გადაცემის უფლებით. ქონებას მიიღებდნენ მისი კანონიერი შთამომავლები, თუკი უკანონო შვილი ამისათვის ყველა ზომას მიიღებდა.

–კანონიერი ბავშვის ალიმენტის მიღების უფლება: “ვინც ბავშვი გააკეთა, იმან უნდა გამოკვებოს კიდეც”. ეს მშობლების პასუხისმგებლობის პრობლემაა, რომელიც ისჯება და შეიძლება მათ შვილიც კი ჩამოართვან. ალიმენტის უფლება იმას გულისხმობს, რომ ბავშვი მშობლების ხარჯზე (მამის ხარჯზე) უნდა იკვებებოდეს. ბავშვმა უნდა იპოვოს მამა, რომ შვილი მამამ გამოკვებოს და კერძოდ, აღზრდის უფლება ჰქონდეს. ქმედება შეიძლება მამის წინააღმდეგ განხორციელდეს<sup>19</sup>.

ინგლისში წარსულში, უკანონოდ შობილ ბავშვთა რიცხვი 2%-ზე ნაკლები იყო. 1690-1610 წლებში ის 3%-მდე გაიზარდა. 1840 წლისათვის კი 7 %-ს მიაღწია. უკანონო ბავშვების მონათვლა ჩვეულებრივად ხდებოდა, ხოლო მათი რეგისტრაცია სამრევლოს რეესტრში, ანუ ბავშვის დაბადების ადგილის მიხედვით, მხოლოდ

<sup>19</sup> <http://www.cours-de-droit.net/histoire-du-droit-de-la-famille-c27647228>, (10.10. 2016).

სავარაუდო მამის გვარის დაფიქსირებას არ ახდენდნენ. ზოგჯერ ეს შემთხვევით ხდებოდა. XVIII საუკუნის შუა წლებიდან ასეთი ჩანაწერი გაჩნდა: „უილიამ სმიტის და მერი ჯონსის ნაბიჭვარი“. სავარაუდოდ, მამის სახელი არ იყო უილიამ სმიტი.

შესაძლებელი იყო, რომ ბავშვის ნათლობის შემდეგ ქალს ექორწინა იმ მამაკაცზე, რომელიც ბავშვის მამად იყო მიჩნეული. ზოგჯერ, მამობის ჰიპოთეზა ეწინააღმდეგებოდა სხვა წყაროებს. 1840 წლამდე ამოწმებდნენ ჩანაწერებს იმ სამრევლოს რეესტრში, სადაც ბავშვი იყო დაბადებული. მოტყუებულ ახალგაზრდა ქალს არ შეეძლო უზრუნველყო ბავშვის შენახვა. ოჯახის დაჟინებული მოთხოვნით მამას პოულობდნენ და ქორწინების საკითხს აგვარებდნენ. მრევლი თავად იხდიდა ქორწინების უფლების გადასახადს, თუ ამის გადაუდებელი აუცილებლობა იყო. ყველა ხარჯი აღნუსხული იყო, ხოლო არსებული მდგომარეობა ახსნილი. თუკი ქორწინება საჩქარო არ იყო, მამა, ბაბუა ან ბებია იძულებული იყო გირაო გადაეხადა ტყუილისათვის და ბავშვის შემდგომი შენახვისათვის. ასეთი კავშირის შესახებ არსებული საქმე ინახებოდა მრევლის ზედამხვედველის სპეციალურ სკივრში. ეს იყო ოჯახიდან მამის ჩამოშორების პრაქტიკა, რამდენადაც ამის შესაძლებლობა იქმნებოდა<sup>20</sup>.

საქართველოს შემთხვევაში, შვილის წარმოშობა ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან დგინდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში მშობლების მიერ ერთობლივი განცხადების შეტანით. ერთობლივი განცხადების არასარსებობის შემთხვევაში მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის ან იმ პირის განცხადებით, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი. [...] მამობის დადგენისას მშობლებისა და მათი ნათესავების მიმართ ბავშვებს აქვთ ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც დაქორწინებული პირებისაგან დაბადებულ ბავშვებს<sup>21</sup>.

<sup>20</sup> [https://www.familysearch.org/wiki/en/Illegitimacy\\_in\\_England](https://www.familysearch.org/wiki/en/Illegitimacy_in_England), (10.10.2017).

<sup>21</sup> <https://ru.scribd.com/doc/239904668/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1->

ამასთან დაკავშირებით, ინგლისურ და ფრანგულ ენებში გვაქვს ფორმები *bastard child*, *enfant bâtard* ან მოკლედ *bâtard*, რასაც ქართულში შეესაბამება ტერმინი *ნაბიჭვარი*. ეს ტერმინი უხეში ფორმაა და ამიტომ მხოლოდ სასაუბრო ენაში იყენებენ მას.

2. სამართლის ენაში საოჯახო ურთიერთობის განვითარების ახსნა. მოხდა ტერმინის „მამის მზრუნველობა“ მშობლების მზრუნველობით შეცვლა. რომაულ სამართალში ჩვ. წთ-მდე VIII-ე საუკუნეში, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება ოჯახის მამას (*Pater familias*) ეკუთვნოდა. მამრობითი სქესის რომის მოქალაქე, ვისაც არ ჰყავდა მამრობითი სქესის ცოცხლად დარჩენილი წინაპარი, ოჯახის მეთაური ხდებოდა, ანუ იმ ადამიანთა ჯგუფის მეთაური, რომელიც მასთან ლოგიკურად ან იურიდიულად იყო დაკავშირებული და რომელიც მისი ავტორიტეტის ქვეშ ერთი და იმავე სივრცეში, *დომუსში* ანუ სახლში ცხოვრობდა.

ოჯახის მამა, ის იყო, ვინ თავის უფლებას დომუსზე ახორციელებდა.[...] ოჯახის მამა იყო ის, ვინც რაიმეს ხელში იგდებდა. მამასადამე, მფლობელს ჰქონდა დომინიუმი და მას თავად ერქვა დომინუსი. ულპიენი<sup>22</sup> წერდა, რომ ოჯახის მამა არის ის, ვისაც სახლის ჰემმარიტი მართვა ან ჰემმარიტი ძალაუფლება ეკუთვნის, რაც მის ვაჟიშვილს არ გააჩნია. ტერმინი *პატერი* უფრო მეტად უკავშირდება ავტორიტეტს, ვიდრე გენეალოგიას.

-ტერმინი *პატერი* უპირისპირდება შემქმენლს. ოჯახის უფროსი თავის ავტორიტეტს ავრცელებს იმათზე, რომლებსაც არ გააჩნიათ უფლება მისი სრული მნიშვნელობით, ისინი, ვინც ემორჩილება ოჯახის მამას. უფრო ფართო გაგებით, საუბარია ოჯახში ძალაუფლებაზე.

[%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%92%E1%83%9C%E1%83%98-v-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%9D-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-2000, \(11.10.2017\).](#)

<sup>22</sup> ულპიენი, რომელიც პოლიტიკოსი და იურისტი იყო, რომელიც III საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა.



-პატრონს ემორჩილება ცოლი. ქალს იურიდიულად არ აქვს უფლება, რადგანაც ყველა მამაკაცი თავის ცოლის ფიზიკური და კანონიერი მფლობელია.

-ის ბატონობს საკუთარ მონებზე. სანამ მამა ცოცხალი იყო, ბავშვებს განიხილავდნენ ყოველთვის როგორც იურიდიული უფლების არქმონე პირებს, თუნდაც ისინი სრულწლოვანები ყოფილიყვნენ. იმ მომენტიდან, როდესაც მამა კვდება, უფროსი ვაჟი ხდება უფლების მქონე და დედამისი მას ემორჩილება, თუნდაც ვაჟი არასრულწლოვანი იყოს. უფროსი და უმცროსი მამით ობოლი შვილები მეურვის ავტორიტეტს ემორჩილებიან და დედაც იმავე მეურვეს უნდა დაემორჩილოს.

საფრანგეთში 1804 წელს, ნაპოლეონს ჰქონდა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც მამა უნდა ყოფილიყო ოჯახის ავტორიტეტი. მამა ოჯახის თავია და ის თავისი ოჯახისათვის ავტორიტეტია და იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას. მეფე ზემოქმედებს უშუალოდ ოჯახის მეთაურზე. ოჯახის ფორმირებასთან ერთად, მოხდა საფრანგეთში მმართველობის სისტემის ცვლილება. ქმარი ავტორიტეტით სარგებლობს თავის ოჯახში. ქმარმა უნდა დაიცვას თავისი ცოლი, ცოლი ემორჩილება თავის ქმარს. ოჯახს უნდა ჰქონდეს სახლი და ქალი ვალდებულია იცხოვროს თავის ქმართან ერთად. ეს გახლავთ საქორწინო კონტრაქტის შედეგი. ამ ვალდებულების მიზანია, რომ სახლი და ოჯახი ერთ სივრცეში მოათავსოს. ოჯახი მატერიალურად უნდა იმყოფებოდეს ერთ კონკრეტულ ადგილას. ქმარმა საკუთარ სახლში უნდა მიიღოს ცოლი. მას ეკისრება ეკონომიკური პასუხისმგებლობა, რადგანაც მან უნდა მოამარაგოს ყველაფრით, რაც მისი ცხოვრების მოთხოვნებისათვის აუცილებელია მისი უნარისა და პიროვნების შესაბამისად. ცოლს უფლება არა აქვს სარჩელი შეიტანოს სასამართლოში ქმრის ნებართვის გარეშე, სისხლის სამართლის საქმის გარდა.

სამოქალაქო კოდექსში აისახა მხოლოდ ის, რაც დამკვიდრებული იყო პარიზში. სამოქალაქო კოდექსში ერთგვარი პროგრესი იყო ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა შეზღუდულად. ქალი მამას ემორჩილებოდა ისევე, როგორც ტრადიციულ რომაულ სამართალში არსებობდა<sup>23</sup>. დღეს, ორივე მშობელი ზრუნავს

<sup>23</sup> <http://www.cours-de-droit.net/histoire-du-droit-de-la-famille-c27647228>, (11.10.2017).

შვილზე. გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობა. შვილებზე ზრუნვა და მათი აღზრდა მშობლების მოვალეობაა, თუმცა შვილებიც ვალდებულები არიან მშობლებს მიხედონ, რაც ხშირ შემთხვევაში არ ხდება. საფრანგეთში ამის მაგალითი იყო 2003 და 2015 წლები. ზაფხულის ცხელ დღეებში 2003 წელს 15 000 მოხუცი გარდაიცვალა დეჰიდრატაციით, ამათგან უმეტეს მათგანს შვილები ჰყავდა და ეს საფრანგეთში დაფიქსირდა როგორც სამარცხვინო ფაქტი, ხოლო 2015 წელს კი 3 300 მოხუცი გარდაიცვალა იმავე მიზეზით.

დიდ ბრიტანეთშიც შეიცვალა ურთიერთობები. ქალი აღარ არის დამოკიდებული ოჯახზე. ზოგიერთ მიმომხილველს სჯერა, რომ 21 საუკუნის დასაწყისში ჩვენ გავხდით ოჯახებში მომხდარი ფუნდამენტური ცვლილებების მოწმენი. ადამიანები დღესდღეობით უფრო გვიან ქორწინდებიან. ქორწინების რიცხვის მაჩვენებელი დაეცა. გაიზარდა იმ წყვილთა რიცხვი, ვინც დაუქორწინებლად ცხოვრობს ერთად. განქორწინების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. იმატა ერთმშობლიანი ოჯახების რიცხვმა. იკლო შობადობამ. უფრო მეტი და მეტი ადამიანი ცხოვრობს ისევ მშობელთან 18 წლის შემდეგაც კი. 2006 წელს ინგლისში მამაკაცთა 58% და ქალები 39% 20-24 წლის ასაკში ისევ მშობლებთან ცხოვრობს. 2009 წლის მონაცემებით, გაერთიანებულ სამეფოში შვიდ მილიონზე მეტი ადამიანი (მოსახლეობის 12%) მარტო ცხოვრობს<sup>24</sup>.

საქართველოს კანონმდებლობა არ განასხვავებს ოჯახებს, რომლებშიც შვილები ორივე მშობელთან ერთად ცხოვრობენ და ე.წ. არასრულ ოჯახებს, სადაც ბავშვი მხოლოდ ერთ მათგანთან ცხოვრობს. იურიდიული თვალსაზრისით, არასრული ოჯახები შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაშიც, როდესაც შვილი ქორწინებაში არამყოფ დედას უჩნდება და იმ შემთხვევაშიც, როდესაც შვილი ერთ-ერთ გაცილებულ მშობელთან ან მეუღლესთან (მეორე მშობლის) სიკვდილის შედეგად მარტო დარჩენილ, მარტოხელა მშობელთან ერთად ცხოვრობს. ამასთანავე, შვილი და მასთან მცხოვრები მშობელი ერთი ოჯახის წევრებად ითვლებიან, მეორე

<sup>24</sup> [http://catalogue.pearsoned.co.uk/assets/hip/gb/hip\\_gb\\_pearsonhighered/samplechapter/1408255529.pdf](http://catalogue.pearsoned.co.uk/assets/hip/gb/hip_gb_pearsonhighered/samplechapter/1408255529.pdf), p.51, (28.10.2017).

მშობელთან კი (თუ ის ცოცხალია და იურიდიულად დადგენილი) შვილს აკავშირებს არა ოჯახის წევრობა, არამედ სისხლისმიერი ნათესაობა და მის საფუძველზე წარმოშობილი ოჯახური უფლებებისა და მოვალეობების (საალიმენტო, სამემკვიდრეო და ა.შ.) კომპლექსი (ჩიკვაშვილი 2004: 53).

ამ მოვლენების მიმოხილვის შემდეგ, საინტერესოა ის ტერმინები, რომლებიც ზემოხსენებულ ცნებებს და ადამიანებს შორის ურთიერთობებს აღნიშნავენ: *მამობა-paternity-paternité; მშობლის ზრუნვა-parent care-soin du parent; მოკრძალებული შიში მშობლის მიმართ- reverential fear ascending-crainte révérencielle envers un ascendant; მამობის პრეზუმფცია-the presumption of paternity-la présomption de paternité; მშობლის ავტორიტეტის მფლობელი- the holder of the parental authority-le détenteur de l'autorité parentale; მშობლის ავტორიტეტის სრული ან ნაწილობრივი გადაცემა-total or partial delegation of the exercise of parental authority- la délégation totale ou partielle de l'exercice de l'autorité parentale; მშობლების ორი გვარის გადაბმა- parents two names joined - deux noms accolés des parents; მეურვე- trustee, guardian-tuteur (trice), curateur (trice); მეურვეობა- guardianship-curatelle, tutelle.*

### 3.4. საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიის ფუნქციური ანალიზი სამივე ენაში

საოჯახო სამართლის იურიდიული ტერმინები ზეპირ და წერით მეტყველებაში იმავე ფუნქციას ასრულებენ, რაც ზოგადად ტერმინებს ახასიათებთ. სამივე ენაში არსებული ტერმინები ცნებებს ასახელებენ. ამ თვალსაზრისით მათთვის დამახასიათებელია ნომინაციური ფუნქცია. თუმცა, ეს ფუნქცია საერთო ენის უმეტესს სიტყვას ახასიათებს.

ამ თვალსაზრისით, ვ.დანილენკო და რ.კობრინი წერენ, რომ უფრო სწორია ვისაუბროთ ტერმინების ერთიან ნომინაციურ-დეფინიციურ ფუნქციაზე (დანილენკო 1977:7-8; კობრინი1987:63). ტერმინის დეფინიციური ფუნქცია გვეხმარება განვასხვავოთ ერთი ობიექტი მეორისაგან, ვინაიდან დეფინიციის

დახმარებით განისაზღვრება სამეცნიერო ცნება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ტერმინს, მათ შორის საოჯახო სამართლის ტერმინებსაც არ გააჩნიათ დეფინიცია, უფრო სწორად საერთო დეფინიცია. ამ მხრივ, თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ტერმინი *ოჯახის* განმარტება.

ჩვენ უკვე ვახსენეთ, რომ სამივე ენაში განსხვავებული დეფინიცია გვაქვს. თავად ცნება *ოჯახის* მოცულობა დამოკიდებულია იმ სამართლებრივ სფეროზე, რომელშიც ეს ტერმინი გამოიყენება და ასევე, ამ საკითხისადმი კონკრეტული იურისტების შეხედულებაზე. მით უფრო, რომ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში ერთსქესიანთა თანაცხოვრებამ და ქორწინებამ, სრულიად შეცვალა ტერმინის *ოჯახი* განსაზღვრება.

საქართველოში სიტუაცია სხვაგვარია და ტერმინი *ოჯახი* კვლავ ტრადიციული მნიშვნელობით განისაზღვრება ანუ თანამედროვე ქართულ ოჯახს სიყვარულის ნიადაგზე აღმოცენებული ქორწინება და ოჯახის წევრთა თანასწორობა უდევს საფუძვლად, რაც ქართული ოჯახის სიმტკიცის გარანტიას წარმოადგენს. ეს განპირობებულია ქართულ ოჯახში ისტორიულად ჩამოყალიბებული ზოგადსაკაცობრიო კულტურის ისეთი ელემენტების არსებობით, როგორცაა: სერიოზული დამოკიდებულება ოჯახის შექმნის საკითხისადმი, მშობლებისა და შვილების, ოჯახის სხვა წევრების მჭიდრო, მრავალმხრივი და ტრადიციული კავშირი, ნათესაური გრძნობის სიძლიერე, განსაკუთრებული ზრუნვა ახალგაზრდა თაობის აღზრდისადმი. თუმცა, ბოლო დროს, საქართველოშიც დაიწყო საუბარი ერთსქესიანთა თანაცხოვრებაზე, მათ შევიწროვებასა და დევნაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს თავს მოხვეული აზრია და საქართველო არასოდეს არ იქნება ერთსქესიანთა ქორწინების მომხრე, ვინაიდან ჩვენთვის ოჯახი საკრალურია. ოჯახი გულისხმობს მომავალი თაობის აღზრდას და ჩვენ არ გვაქვს იმის „ფუფუნება“, რომ უარი ვთქვათ გამრავლებაზე. თვით საფრანგეთშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შვილის აყვანა ერთსქესიანი წყვილის მიერ კანონით აკრძალულია და ფრანგებმა ამ კანონს მხარი დემონსტრაციების ორგანიზებით დაუჭირეს.

ოჯახის ცნებებს შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ ოჯახი ეს არის პირთა ნებაყოფლობითი და თავისუფალი კავშირი,

რასაც საფუძვლად უდევს ქორწინება, ნათესაობა, შვილად აყვანა; მიუთითებენ აგრეთვე მოზარდი თაობის აღზრდაზე, როგორც ოჯახის მთავარ ამოცანაზე, სახელმწიფოსა და საზოგადოების როლზე ოჯახის დაცვაში და მისი წევრების განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებზე. თუ ყველა ამ ნიშანს განზოგადებული სახით განვიხილავთ, შგვიძლია დავასკვნათ, რომ ოჯახი არის ქორწინებაზე, ახლო ნათესაობაზე, შვილად აყვანისა და კანონში მითითებულ სხვა ფაქტებზე დამყარებული პირთა ერთობლივი თანაცხოვრება, რომელსაც მიზნად აქვს ბავშვების დაბადება და აღზრდა, მოდგმის განგრძობის, მეურნეობის ერთობლივად წარმართვის უზრუნველყოფა, სულიერი სიახლოვის დადგენა და აქედან გამომდინარე, ოჯახის წევრთა პირადი და ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების მოწესრიგება.

ოჯახის წევრთა რიცხვს, პირველ ყოვლისა, მეუღლეები მიეკუთვნებიან. საქართველოს მოქმედი საოჯახო კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად ადგენს იმ სუბიექტთა წრეს, რომელთაც შეიძლება მეუღლეები ეწოდოს. ეს არის განსაზღვრულ ასაკს მიღწეული მამაკაცი და ქალი, რომელთაც სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის ორგანოებში გააფორმეს ქორწინება.

საქორწინო კავშირი მყარდება ქალსა და მამაკაცს, ანუ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებს შორის. ბოლო დრომდე ეს გარემოება არავითარ ეჭვს არ ბადებდა. ერთი სქესის პირთა სექსუალური ურთიერთობა, როგორც ადამიანური კულტურის ელემენტი, უძველესი დროიდანაა ცნობილი, თუმცა ერთსქესიანი მოქალაქეების კავშირის საკანონმდებლო აღიარების საკითხმა მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულებში იჩინა თავი. (დანია, ნორვეგია, შვედეთი, საფრანგეთი). საზღვარგარეთის ბევრი ქვეყნის სამეცნიერო ლიტერატურაში ეს პრობლემა მეტად აქტიური მსჯელობების საგანს წარმოადგენს, რადგანაც მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა მაინც არ ცნობს მსგავსი სახის კავშირების ლეგიტიმურობას (ჩიკვაშვილი 2004: 50).

ზოგადად, ტერმინს სიგნიფიკატიური ფუნქცია აქვს. ტერმინის სიგნიფიკატიური ფუნქცია ისაა, რომ ის ცნებას გამოხატავს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ტერმინს არ შეუძლია თანაბრად გამოხატოს ცნება. უფრო სწორი იქნება

ვისაუბროთ ტერმინის ფუნქციაზე, ვინაიდან ყოველი ტერმინის მიღმა სპეციალური ცნება დგას. თუკი გამოვხატავთ ტერმინის მეცნიერულ ცნებას, მაშინ, მან ზუსტად უნდა დაადგინოს მისი საზღვრები. ამით, კვლავ ვუბრუნდებით ტერმინის დეფინიციურ ფუნქციას.

ს.გრინევი გვთავაზობს ტერმინის გნოსეოლოგიური ფუნქციის გამოყოფას, რომელიც კომპლექსურ ხასიათს ატარებს. გნოსეოლოგიური ფუნქცია პირველ რიგში ევრისტიკულ ფუნქციას, ახალი ცოდნის აღმოჩენის ფუნქციას, მეთოდოლოგიურ, დიაგნოსტიკურ ფუნქციას გულისხმობს. მოცემული კონკრეტული მაგალითი მიუთითებს, რომ კანონიერი ოჯახური ურთიერთობის გარდა, არსებობს ოჯახური ურთიერთობის ახალი ფორმა, რომელიც ყალიბდება მამაკაცსა და ქალს შორის შიდა ურთიერთობების საფუძველზე, რომელიც სტაბილურობით ხასიათდება და შინაარსით ქორწინების კოპირებას წარმოადგენს. მას ქორწინების გარეშე თანაცხოვრება ჰქვია. ფრანგულ და ინგლისურ ენებში ის გამოიხატება სიტყვით *cohabitation-cohabitation*. ის ფაქტი, რომ ეს ტერმინი ლექსიკონში მოხვდა, იგულისხმება ინგლისური და ფრანგული ენები, იმაზე მეტყველებს, რომ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში დაშვებულია „ქორწინების“ ასეთი ფორმა. ასეთი სახით საოჯახო სამართალმა ერთგვარი განვითარება ჰპოვა. ამ ტერმინის სისტემატიზირებული ფუნქცია ისაა, რომ ის განეკუთვნება საოჯახო სამართლის სფეროს. დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კანონმდებლები დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში არსებულ მდგომარეობას ითვალისწინებენ და არარეგისტრირებულ თანაცხოვრებას სხვადასხვა ტერმინით გადმოსცემენ. მაგალითად: *cohabitation, marital cohabitation, conjugal cohabitation, common-law marriage, non-marital relationship, extra-marital cohabitation, cohabiting union, consensual union-cohabitation, union matrimoniale, régime conjugal, communauté conjugale, concubinage, mariage en détrempe, mariage du côté gauche, union de fait, partenariat non matrimonial, situation familiale extra-conjugale, communauté de vie non maritale, vie commune hors du lien du mariage, un pacte de vie non maritale-ქორწინების გარეშე თანაცხოვრება*. როგორც

ვხედავთ, ეს ცნება სინონიმური რიგებითაა გადმოცემული, როგორც ინგლისური, ისე ფრანგული სამართლის ენაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გნოსეულოგიური ფუნქცია გულისხმობს ცოდნის დაფიქსირებას, რომელიც ფორმალურად განსაზღვრავს მოცემულ ობიექტზე, საგანსა თუ მოვლენაზე ცოდნის დონეს. ცოდნის დონე კი ასახულია ენციკლოპედიურ ლექსიკონში.

გნოსეულოგიური ფუნქცია გულისხმობს ასევე ცოდნის დიდაქტიკური და ინფორმაციული ფუნქციების გადმოცემას. ტერმინის დიდაქტიკური ფუნქცია ისაა, რომ შეიძლება გამოვიყენოთ სამართლის სწავლების დროს, რომელიც საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებს მოიცავს.

გვაქვს ასევე ინფორმაციული ფუნქცია, რაც დეფინიციის შინაარსის გადმოცემას შედარებით მოკლე ტერმინის მეშვეობით ნიშნავს. როდესაც თანაცხოვრებაზე ვსაუბრობთ, ვცდილობთ ინფორმაციის ეს ერთობლიობა სხვადასხვა ზემოხსენებული ტერმინით გადმოვცეთ. ქართულ რეალობაში გვაქვს ტერმინი *დაუქორწინებელი წყვილის თანაცხოვრება*. ქართული რეალობისათვის ის არც ისე ჩვეული ფორმაა, თუმცა ბოლო დროს უფრო ხშირია ახალგაზრდებს შორის ასეთი კავშირები. ამ შემთხვევაში, ერთი ტერმინი კი არა, არამედ სიტყვათა მთელი ჯგუფი გამოიყენება.

ქართულ რეალობაშიც არსებობდა ტერმინი *კოჰაბიტაცია*, *cohabitation-cohabitation*, რომელიც თავის დროზე ფრანგებმა ინგლისელებისაგან ისესხეს. ამასთან დაკავშირებით გვინდა მარიან ლედერერის განმარტება მოვიყვანოთ. “Webster -ის ლექსიკონის მიხედვით, *cohabitation* ნიშნავს ‘*live together as husband and wife*’-ცოლისა და ქმრის ერთად ცხოვრებას. 1993 წლის მარტში, BBC-მ ეს მნიშვნელობა, სიტყვასიტყვით თარგმნა და საფრანგეთის პრეზიდენტის მიტერანისა და მისი პრემიერ მინისტრის ბალადურის მისამართით გამოიყენა: ‘*The problem is that powersharing which the French call cohabitation since with them everything partakes of the pleasures of the flesh, even in politics*’-*Il s’agit du partage du pouvoir que les Français appellent cohabitation puisque pour eux tout participe des plaisirs*

*de la chair, même la politique*-საქმე ეხება ხელისუფლების გადანაწილებას, რომელსაც ფრანგები თანაცხოვრებას უწოდებენ, რადგანაც მათთვის ყველაფერი მონაწილეობს ხორციელის სიამოვნებაში, თვით პოლიტიკაც კი. ცნობილია, რომ ბრიტანელები ფრანგებს ადანაშაულებენ იმაში, რომ ისინი სასიყვარულო თავგადასავლების მოყვარულები არიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ფრანგული ტერმინის *cohabitation* ინგლისური მნიშვნელობით გამოყენება მეტისმეტი იყო (ლედერერი 2013: 214-215)<sup>25</sup>.

ქართულ ენაში ტერმინი *კოჰაბიტაცია* მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობით გვხდება და არანაირი კავშირი არა აქვს ცოლ-ქმრის თუ დაუქორწინებელი წყვილის თანაცხოვრებასთან. ასეთი წყვილები ხელშეკრულებასაც დებენ ერთმანეთთან. დიდ ბრიტანეთში კანონის ენით ის ასე გამოიხატება:

### 73. *Civil partnership agreements unenforceable*

(1) *A civil partnership agreement does not under the law of England and Wales have effect as a contract giving rise to legal rights.*

(2) *No action lies in England and Wales for breach of a civil partnership agreement, whatever the law applicable to the agreement.*

(3) *In this section and section 74 “civil” partnership agreement means an agreement between two people-*

*a) to register as civil partners of each other-*

*(i) in England and Wales (under this Part),*

(4) *This section applies in relation to civil partnership agreements whether entered into before or after this section comes into force, but does not affect any action commenced before it comes into force.*

<sup>25</sup> Marianne Lederer, *La traduction aujourd’hui, le modèle interprétatif, nouvelle édition*, Caen : lettres modernes minard, 2006, თარგმანი ქართულად ქეთევან ჯაშის, თარგმანი-ინტერპრეტაციული მოდელი, თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2013.



*73. სამოქალაქო პარტნიორობის ხელშეკრულება ვერ განხორციელდება*

*(1) ხელშეკრულება სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ არ მოქმედებს ინგლისისა და უელსის კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც ხელშეკრულება, რომელიც იურიდიულ უფლებებს უზრუნველყოფს.*

*2) ინგლისსა და უელსში არანაირი ქმედება არ ხორციელდება სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების დარღვევისას, როგორც არ უნდა იყოს კანონი, რომელიც ამ ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება.*

*3) მოცემულ ნაწილში და ნაწილში 74 "სამოქალაქო" შეთანხმება პარტნიორობის შესახებ გულისხმობს შეთანხმებას ორ ადამიანს შორის-*

*ა) რომლებიც დარეგისტრირდნენ როგორც სამოქალაქო პარტნიორები*

*ბ) ინგლისსა და უელსში (მოცემული ნაწილის ფარგლებში);*

*4) მოცემული ნაწილი გამოიყენება სამოქალაქო ხელშეკრულების მიმართ პარტნიორობის შესახებ, რომლებიც დადებულ იქნა მოცემული ნაწილის ძალაში შესვლამდე ან მის შემდეგ, თუმცა არ ეხება რაიმე ქმედებას, რომელიც დაწყებულ იქნა მის ძალაში შესვლამდე (ოლდჰამი 2015: 575-576).*

*The fact that a notice of proposed civil partnership has been given must not be recorded in the register unless the registration authority-*

*(a) is satisfied by the production of evidence that both the proposed civil partners have reached 21, and*

*(b) has received a declaration made by each of proposed civil partners-*

*(c) specifying their affinal relationship, and*

*(d) declaring that the younger of them has not at any time before reaching 18 been a child of the family in relation to the other.*

*ის ფაქტი, რომ ინფორმაცია სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ არ უნდა იყოს რეგისტრირებული რეესტრში, თუკი მარეგისტრირებელი ორგანო-*

ა) დაკმაყოფილდება იმ მტკიცებულებით, რომ ორივე სამოქალაქო პირი 21 წლისაა.

ბ) მიღებული განცხადება ორივე სამოქალაქო პირისგან იქნა გაკეთებული.

გ) მითითებულია მათი ახლო ურთიერთობა.

დ) და რომ მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა 18 წლამდე იყო ოჯახში და არ ჰქონდა კავშირი რომელიმე სხვა პირთან.

*A declaration under sub-paragraph (1)(b) must contain such information and must be signed and attested in such manner as may be prescribed by regulations.*

*The fact that a registration authority has received a declaration under sub-paragraph (1)(b) must be recorded in the register.*

1(ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას და უნდა იქნეს ხელმოწერილი და დამოწმებული კანონის მიხედვით ან დადგენილი წესით.

ის ფაქტი, რომ სარეგისტრაციო ორგანომ მიიღო განცხადება (1)(ბ) ქვეპუნქტით, რეესტრში უნდა იქნას გატარებული.

ზემოთ ვახსენეთ ტერმინი PACS<sup>26</sup>, სოლიდარობის სამოქალაქო კონტრაქტია საფრანგეთში. იურიდიულად ის ნიშნავს შემდეგს:

*Deux personnes physiques majeures résidant sur le territoire français (au départ uniquement en France métropolitaine et dans les DOM, le Pacs adopté en 1999 n'ayant pas été étendu automatiquement aux autres collectivités d'outre-mer avant consultation de leurs assemblées respectives) qui souhaitent organiser leur vie commune peuvent conclure un Pacs quel que soit leur sexe-ორ სრულწლოვან პირს, რომელიც ცხოვრობს საფრანგეთის ტერიტორიაზე(თავიდან მხოლოდ საფრანგეთის, მეტროპოლიის ტერიტორია იგულისხმებოდა, შემდეგ ზღვისგადაღმა ტერიტორიებზეც. ეს ხელშეკრულება არ იქნა ავტომატურად მიღებული ზღვისგადაღმა სხვა საკრებულოების მიერ, სანამ*

<sup>26</sup> [https://fr.wikipedia.org/wiki/Pacte\\_civil\\_de\\_solidarit%C3%A9#cite\\_note-JUSX1515639L-10](https://fr.wikipedia.org/wiki/Pacte_civil_de_solidarit%C3%A9#cite_note-JUSX1515639L-10), (1.11.2017).

შესაბამის წარმომადგენლებთან კონსულტაცია არ გაიარეს), ვისაც სურს ერთად ცხოვრება, შეუძლია დადოს ხელშეკრულება სქესის მიუხედავად.

*La loi impose :* კანონი მოითხოვს:

- *Une convention signée des deux partenaires, par acte sous seing privé ou authentique, c'est-à-dire signée devant notaire.*-გაფორმდეს ხელშეკრულება ორ პარტნიორს შორის, ნოტარიუსის მიერ დაუმოწმებელი ხელმოწერით ან ავთენტურად ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერით.
- *Pour les Français résidant à l'étranger, une déclaration conjointe enregistrée par l'agent diplomatique ou consulaire français du lieu de la résidence commune. En effet, en cas de résidence à l'étranger (dans les États où l'ordre public ne prohibe pas, de manière législative ou réglementaire, toute vie de couple hors mariage) il est possible de contracter un Pacs si au moins l'un des deux partenaires est de nationalité française*- იმ ფრანგებისათვის, ვინც საზღვარგარეთ ცხოვრობენ ერთობლივი განცხადება საკმარისია, თუკი ის რეგისტრირებულია დიპლომატიური კორპუსის მოხელის ან საფრანგეთის საკონსულოს მოხელის მიერ საერთო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ფაქტობრივად, იმ შემთხვევაში, როდესაც საცხოვრებელი სახლი საზღვარგარეთაა (იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებრივი წესრიგი კანონმდებლობით ან წესდებით არ კრძალავს წყვილის თანაცხოვრებას ქორწინების გარეშე), შესაძლებელია, რომ დაიდოს სოლიდარობის სამოქალაქო ხელშეკრულება, როდესაც ერთ-ერთი პარტნიორი მაინც საფრანგეთის მოქალაქეა.
- *Lorsque le Pacs est conclu sous signatures privées, il doit être impérativement enregistré au greffe du tribunal d'instance dans le ressort duquel les partenaires ont leur résidence commune, à défaut il n'entre pas en vigueur. Cet enregistrement est gratuit.[...] Le Pacs, contrairement au mariage, ne peut être juridiquement « célébré » en mairie. Légalement, le seul acte autorisé est l'enregistrement de la convention au tribunal d'instance*- როდესაც ეს ხელშეკრულება ხელმოწერილია კერძო პირების მიერ, ის აუცილებლად უნდა იქნას გატარებული იმ კომპეტენციის საინსტანციო სასამართლოს კანცელარიაში, სადაც მდებარეობს მათი მუდმივი

საცხოვრებელი ადგილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ძალაში არ შევა. ეს რეგისტრაცია უფასოა[...]. ხელშეკრულების ამ ფორმის აღნიშვნა ქორწინებისაგან განსხვავებით არ შეიძლება „იურიდიულად“ ჩატარდეს მერიაში. ერთადერთი ნებადართული კანონიერი აქტია აღნიშნული ხელშეკრულების საინსტანციო სასამართლოში გატარება.

- *Cependant, certains maires organisent une fête à l'occasion des Pacs.[...] Comme le mariage, le Pacs institue sans les énoncer certaines priorités : la situation de détresse matérielle à l'origine du pacs, résultant de ruptures soudaines sans recours possible, transparaissent dans l'article 515-4, qui organise un devoir d'aide mutuelle-თუმცა ზოგიერთი მერი საზეიმოდ აღნიშნავს ამ მოვლენას[...]* ქორწინების მსგავსად, ეს ხელშეკრულება ადგენს ჩამოთვლის გარეშე ზოგიერთ პრიორიტეტს: ამ ხელშეკრულებით გამოწვეული მატერიალური ზარალი, რომელიც მოყვება ურთიერთობის უეცარ შეწყვეტას ყოველგვარი შესაძლო გასაჩივრების გარეშე, მოცემულია 515-4 მუხლში, რომელიც არეგულირებს ურთიერთდახმარებას.
- *Les partenaires s'engagent à vivre en commun, et à s'apporter une aide matérielle l'un à l'autre. Cette aide est quantifiée, sauf dispositions contraires de la convention de Pacs, à proportion de leurs facultés respectives. Les partenaires sont donc libres de la minimiser ou l'augmenter au maximum par contrat, le juge éventuellement saisi devant appliquer la convention.[...]-პარტნიორები იღებენ ერთად ცხოვრების და მატერიალური ურთიერთდახმარების ვალდებულებას. ეს დახმარება განსაზღვრულია რაოდენობრივად, გარდა ხელშეკრულებაში მოცემული დებულებებისა, პარტნიორების მატერიალური შესაძლებლობის პროპორციულად, ისინი თავად წყვეტენ მინიმუმამდე შეამცირონ ან გაზარდონ ის მაქსიმალურად კონტრაქტით, შესაძლებელია მოსამართლემ გამოიყენოს კონვენცია.*
- *À la différence, majeure, du mariage, le Pacs est sans effet sur les règles de la filiation et de l'autorité parentale. Il ne confère pas le droit d'adopter ensemble un enfant ou de recourir à une procréation médicalement assistée. [...]Chaque partenaire conserve la propriété exclusive. [...] Les biens acquis pendant la durée du pacte sont indivis, ce qui signifie qu'ils appartiennent par moitié à chacun des partenaires.[...] -ქორწინებისაგან განსხვავებით, ხელშეკრულებას ძალა არა აქვს შვილებისა და მშობლის*

ავტორიტეტის თვალსაზრისით. ის არ აძლევს ბავშვის ერთად შვილების უფლებას ან იმას, რომ მიმართონ ხელოვნური რეპროდუქციის ხერხს.

- *Pour son Pacs, le couple a le choix entre un régime de séparation des biens, et un régime d'indivision.[...] Le Pacs est un contrat que le couple peut librement modifier ou rompre, à la différence du mariage qui ne peut être modifié ou rompu que par ou avec l'accord d'un juge.[...] Les partenaires sont libres de rompre le Pacs à tout moment- ხელშეკრულებით, წყვილს არჩევანის გაკეთების უფლება აქვს ქონების გაყოფის რეჟიმსა და ქონების განუყოფელობის რეჟიმს შორის. ეს ხელშეკრულება არის წყვილებს შორის გაფორმებული კონტრაქტი, რომლის ცვლილება და დარღვევა შესაძლებელია თავისუფლად, ქორწინებისაგან განსხვავებით, რომელშიც ცვლილების შეტანა ან შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მოსამართლის თანხმობით [...]. პარტნიორებს ნებისმიერ დროს თავისუფლად შეუძლიათ დაარღვიონ სოლიდარობის სამოქალაქო ხელშეკრულება.*

ამ ბოლო დროს, საფრანგეთში სულ უფრო ხშირად მიმართავენ ურთიერთობის ამ ფორმას, რადგანაც სამართავად უფრო მარტივია და ნაკლებ თავსატეხს უჩენს წყვილებს.

### 3.5. ტერმინოლოგიური ლექსიკის ფონური თავისებურებები სამივე ქვეყნის საოჯახო სამართლის მაგალითზე

ტერმინის აღწერის შესაძლებლობა, რომლითაც კულტუროლოგიური ინფორმაციის აღწერა ხდება, ყველასათვის ცნობილია. პირველად თეზისი ტერმინოლოგიური ლექსიკის ფონური თავისებურებების შესახებ თეორიულად ე.ვერეშჩაგინის და ვ.კოსტომაროვის მიერ (ვერეშჩაგინი, კოსტომაროვი 1977:63-69; 2005:94-97) იქნა დასაბუთებული. მათ შემოგვთავაზეს დებულება იმის შესახებ, რომ

კატეგორია „ლექსიკური ცნება“ და „ლექსიკური ფონი“ ეხება არა მარტო საერთო ლექსიკას, არამედ ტერმინებსაც.

ტერმინების ანალიზის შედეგად მათ დაადგინეს, რომ ტერმინების დიდი ნაწილი საერთო ენის შემადგენლობაში შედის და ამიტომ საერთო ენის ფარგლებში ისინი ჩვეულებრივი სიტყვებით იქცევიან (ვერშჩაგინი, კოსტომაროვი 2005:95). მოცემული თეზისის განვითარების მიზნით შევიმუშავეთ იურიდიული ტერმინების ფონური თავისებურებების ანალიზის პრინციპები.

განვიხილოთ ტერმინი *ქორწინება*. *ქორწინება* შესაბამისად ინგლისურში *marriage*, ხოლო ფრანგულში *mariage*, რომელიც საოჯახო სამართალს ეხება, აღიარებულია კანონის და ეკლესიის მიერ, გულისხმობს მამაკაცისა და ქალის ნებაყოფლობით თანაცხოვრებას, ასევე მასთან დაკავშირებულ სიტყვათა ჯგუფებს *ქორწინება (ვაქტობრივი)-valid marriage-mariage valable; ქორწინება(უკანონო)-void marriage-mariage nul; ქორწინება(იძულებითი)-forcible marriage-mariage forcé; ქორწინება(გარიგებით)-arranged marriage-mariage arrangé; ქორწინება(ვისიმე ჯიბრით)-spite marriage-mariage de dépit; ქორწინება(ანგარებით)-marriage of convenience- mariage de convenance, mariage de raison; ქორწინება(ღია)-open marriage-mariage libre; ქორწინების გარეშე თანაცხოვრება-common-law marriage-concubinage, mariage en détrempe, mariage du côté gauche.*

ამგვარად, სიტყვა *ქორწინება* სამივე ენის საერთო ლექსიკურ მარაგში მოქმედებს, როგორც ჩვეულებრივი სიტყვა. აქ არ არის მოცემული მისი ისეთი ნიშნები, რომელიც იურისტის აზრით მნიშვნელოვანია ქორწინებისათვის (დროებითი დახასიათება, ქორწინების საფუძველი-საქორწინო ხელშეკრულება და ქორწინების ფორმა და პროცედურა).

*ქორწინების* ცნება იურიდიული თვალსაზრისით უკვე ავხსენით მესამე თავის პირველ პარაგრაფში. ამიტომ, ამაზე აქ აღარ შევჩერდებით. მიუხედავად მათი სხვაობისა, სიტყვასა და ტერმინს შორის არსებობს მნიშვნელოვანი მსგავსება, რაც გულისხმობს კანონის შესაბამისად ქალისა და მამაკაცის კავშირს. ამდენად, სიტყვა და ტერმინი სემანტიკური თვალსაზრისით თანაბარია: ორივე ფლობს ცნებას და

ფონს, თუმცა სიტყვის შინაარსი და ფონი მკვეთრად განსხვავდება ცნების შინაარსისა და ფონისაგან (ვერეშაგინი, კოსტომაროვი 2005: 96).

წარმოშობის მიხედვით ტერმინები ლექსიკის ორ ჯგუფში შედიან- ტერმინირებული (საერთო ენიდან ტერმინების შემადგენლობაში გადასულები) და ტერმინოლოგიური წარმოშობის (ტერმინებიდან საერთო ენაში გადასული) (ვერეშაგინი, კოსტომაროვი 2005:96). ტერმინირებული ლექსიკა, როგორც წესი არ კარგავს თავის ცოცხალ შინაგან ფორმას, არც ხატოვნებას, არ წყვეტს ურთიერთობას იმ კულტურულ-ისტორიულ ასოციაციებთან, რომლებიც საწყის სიტყვას გააჩნია. (ვერეშაგინი, კოსტომაროვი 2005: 96).

ასე მაგალითად იურიდიული ტერმინი: *ნათესაური კავშირი- filiation- filiation*, ინგლისურსა და ფრანგულში იდენტური სიტყვებია. ფრანგულში არსებობს ასევე *parenté*, ინარჩუნებს საერთო ენის ასოციაციებს მის „ნეიტრალურ გამოყენებასთან“. მაგალითად: *la filiation des sens des mots — სიტყვათა მნიშვნელობების განვითარება; la filiation des idées — იდეების განვითარება; la filiation des événements — მოვლენების თანმიმდევრობა; filiations from a common stock — ერთი ენის განშტოება; filiation-ფილიალი, განყოფილება.*

ტერმინოლოგიური წარმოშობის ლექსიკას ასევე ეროვნულ-კულტურული სემანტიკა გააჩნია. რა თქმა უნდა, ტერმინების დიდი ნაწილი, რომლებიც კონკრეტულ მეცნიერებაში შეიქმნა, ამ სფეროს არ სცდება. მიუხედავად ამისა, ენის მატარებელთა განათლების ხარისხის გაზრდამ ხელი შეუწყო მათ საერთო ენაში მოხვედრას, ისე, რომ „ტერმინოლოგიურ“ სემანტიკას ინარჩუნებენ და ავითარებენ მეორეულ ლექსიკურ მნიშვნელობებს (ვერეშაგინი, კოსტომაროვი 2005:96).

საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სამივე ენის იურიდიული ტერმინების სისტემატური შედარება-შეპირისპირებისას თავს იჩენს ლაკუნები, „თეთრი ლაქები“, რომლებიც ეკვივალენტების არქონის გამო გვხვდება.

ლაკუნები ის სიტყვები და შესიტყვებებია, რომელთა თარგმნაც შეუძლებელია სხვა ენაზე ერთი სიტყვით ან მყარი შესიტყვებით. თარგმანი ხორციელდება

თავისუფალი შესიტყვებების მეშვეობით ან ახსნა-განმარტებით. ეთნოფსიქოლოგიაში გამოყოფენ ლაკუნების შემდეგ ტიპებს (ეთნოფსიქოლოგია 1988:125).

-ენობრივი(ლექსიკური, სტილისტური და გრამატიკული). ასეთი ლაკუნები შეიძლება იყოს აბსოლუტური და ნაწილობრივი;

-კულტუროლოგიური ლაკუნები (ეთნოგრაფიული, ფსიქოლოგიური, ქცევასთან დაკავშირებული ანუ ბიჰევიორული და კინესთეტიური);

- ტექსტური ლაკუნები.

ენობრივი ლაკუნებიდან ყველაზე მეტი და მრავალფეროვანი ლექსიკური ლაკუნებია. პრაქტიკულად არ არსებობს არც ერთი სიტყვა, რომელსაც შეიძლება სხვა ენაში ისეთივე მოცულობის მნიშვნელობები ჰქონდეს, რაც საწყისს ენაში და ასევე სხვა სიტყვებთან ისეთივე კავშირების დამყარების უნარი გააჩნდეს, რაც ერთ ენაში აქვს.

ქართული ენისათვის აბსოლუტური ლაკუნებია ისეთი ტერმინები, რომლებიც დამახასიათებელია ინგლისის და საფრანგეთის ყოფა-ცხოვრებისათვის. მათი გადმოცემა შესაძლებელია თავისუფალი შესიტყვებებით ან ახსნა-განმარტებებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გაუგებარი იქნება:

*ლეგატარი –legatary –légataire-ლეგატის (საანდერძო დანაკისრის) მიძღები;*

*ნათესავები დადმავალი ხაზით-descending-descendant;*

*ნათესავები აღმავალი ხაზით-enscending-ascendant;*

*პატარძლის მეგობრები- bridesmaid-demoiselle d'honneur;*

*საანდერძო დანაკისრი (ლეგატი)-legate-legs;*

*სამკვიდრო წილი-heirdom-héritage, succession;*

*ქორწინება(შოტლანდიური)-Gretna-Green marriage;*

*ქორწინება (ინგლისურად)-mariage à l'anglaise;*

*შვილება(სრული)-(როდესაც ბავშვი წყვეტს ყოველგვარ ურთიერთობას თავის ოჯახთან) – full adoption-l'adoption plénière.*



საინტერესოა კულტურული ლაკუნები. ამ მხრივ შეიძლება მოვიყვანოთ მარიან ლედერერის მოსაზრება. თარგმნის სირთულეებს შორის ყველაზე ხშირად ეგრეთწოდებულ კულტურასთან დაკავშირებულ პრობლემებს ასახელებენ. ერთ რომელიმე მოცემულ კულტურასთან დაკავშირებულ საგნებსა და ცნებებს არ აქვთ ლექსიკური შესატყვისები სათარგმნი ენის ცივილიზაციაში და თუ კი მაინც მოვახერხებთ მათ გამოხატვას, შეუძლებელია იმედი გვქონდეს, რომ თარგმანის მკითხველი ზუსტად გაიგებს ამ საგნებისა და ცნებების ბუნებას; ორიგინალში ნახსენები ტანსაცმლისა თუ კვებითი, რელიგიური თუ ტრადიციასთან დაკავშირებული ჩვევები, აშკარად გაუგებარია თარგმანის მკითხველისათვის. საუბარია არა მხოლოდ იმის ცოდნაზე, თუ სათარგმნი ენაში რომელი სიტყვით ჩავანაცვლოთ ორიგინალში მოცემული სიტყვა, არამედ, განსაკუთრებით უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ გავიგოთ მაქსიმალურად ის იმპლიციტური აზრი, რომელსაც უცხოური ენა შეიცავს.

პირველ რიგში შევთანხმდეთ თავად სიტყვის «კულტურა» მნიშვნელობაზე. ფრანგებისათვის, კულტურა გულისხმობს ხელოვნებას, ლიტერატურას, მუსიკას, რასაც ადასტურებს კულტურის სამინისტროს ფუნქციები ან კიდევ ის თემები, რომელსაც იუნესკო იხილავს მეცნიერებასთან ერთად. თავად სიტყვა «კულტურა» ინგლისურში, სხვადასხვა ელემენტებზე მიგვანიშნებს, როგორებიცაა ჩვევები, საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, ტრადიციები. რადგანაც ტერმინის ინგლისური მნიშვნელობა დამკვიდრდა ტრადუქტოლოგიაში<sup>27</sup>[...].

უცხო გარემოს ხელახალი გამოხატვის პრობლემა ხშირად იყო ეპისტემოლოგიური დისკუსიის საგანი, რაც ჩვენი აზრით პრობლემის მნიშვნელობას ზედმეტად გასცდა. ყურადღება იმას უნდა მივაქციოთ, რომ თითოეული ენა სამყაროს თავისებურად ყოფს. დადგინდა ის, რა არის სწორი და რა არის მცდარი. თითოეული ენა თავის განსაკუთრებულ ხედვას თავს ახვევს ყველა იმას, ვინც ამ ენაზე საუბრობს.

ამგვარად, ერთი დაბრკოლება გადავლახეთ. ერთი რომელიმე ენა, რომელსაც არ შეუძლია თავისი ლექსიკითა და სტრუქტურებით მოცემული სამყაროს ფაქტები

<sup>27</sup> ტრადუქტოლოგია ნიშნავს თარგმანმცოდნეობას. ის, ფრანგულ ენაში კანადელებმა დაამკვიდრეს.

და ცნებები ასახოს, ალბათ, უუნარო იქნება, რომ ეს ყველაფერი საკუთარ სამყაროში გადაიტანოს. ალბათ, ასეთი მიდგომა სწორი იქნებოდა, თარგმანი რომ ტრანსკოდირება<sup>28</sup> იყოს. ტექსტების თარგმნის დონეზე ეს ასე არ არის. თარგმანისადმი თერიული მიდგომა იმ პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ მთარგმნელი ავტორის მიერ დამუშავებული თემატიკის საქმის კურსშია, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ ხალხთა «კულტურას» იცნობს, რომლის ენაც განიხილება (ანდა, თუკი მას გარკვეული ხარვეზები აქვს ამ კუთხით, მათ გაიაზრებს და იცის როგორ შეიძინოს საჭირო ცოდნა მათ დასაძლევად). ბილინგვი მთარგმნელი ორი კულტურის მატარებელია. მას შეუძლია ორ განსხვავებულ ენაზე დაწერილი ტექსტების მიერ აღწერილი სამყარო დაინახოს თავისი ლინგვისტური ცოდნისა და «სამყაროს» შესახებ მისი ცოდნის წყალობით. მას უცხო სამყაროს დანახვის, გამოხატვისა და სხვებისათვის ამ უცხო სამყაროს აღწერის უნარი აქვს. ადამიანს იმის დანახვისა და გაგების უნარი რომ არ ჰქონდეს, რაც წინასწარ იცის, შეუძლებელი იქნებოდა იმ ცოდნის შეძენა, რომელიც ენისა და მისი მნიშვნელობების შესწავლას სცილდება.

ნებისმიერ მკითხველს უცხოური ლიტერატურის გაგების უნარი აქვს, რომელიც ადამიანის უნივერსალურობაზე მიუთითებს. როცა ლიტერატურაში საუბარია ჩვევებზე, ტრადიციებზე, მკითხველს იშვიათ შემთხვევაში შეიძლება საკმარისი ცოდნა ჰქონდეს, რომ უცხოური კულტურის ფაქტებს სიტყვასიტყვითი თარგმანის მეშვეობით ჩაწვდეს. ამ საკითხის გადაჭრა მთარგმნელს ევალება, რომ უცხოელ მკითხველს მინიმალური, მაგრამ საკმარისი დამატებითი ცოდნა მიაწოდოს, რომ შეძლოს «იმ კარის შეღება», რასაც სხვისის შეცნობამდე მივყავართ. თარგმანის მკითხველი შეიძლება უცხოურ კულტურას არ იცნობდეს, მაგრამ ის სულელი როდია. თავად ტექსტის წყალობით სწრაფად იძენს ცოდნის იმ ნაწილს, რომელიც მას დასაწყისში არ ჰქონდა. მთარგმნელი მკითხველს ორიგინალის ზოგიერთი იმპლიციტური მნიშვნელობის ახსნითა და საკმარისი ენობრივი საშუალებების გამოყენებით ეხმარება იმ რეფერენტების გამოსახატავად, რომელთათვისაც მის მშობლიურ ენაში პირდაპირი შესატყვისები არ არსებობს. თარგმანის მკითხველს

<sup>28</sup> ტრანსკოდირება ნიშნავს ლექსიკონისეულ თარგმანს.

არასოდეს არ ეცოდინება იმდენი, რაც ორიგინალის მკითხველმა იცის, მაგრამ არც საკითხის უცოდინარი დარჩება.

კულტურული მოვლენის ერთი ენიდან მეორეში გადასატანად არ არსებობს ზოგადი და ერთადერთი გადაწყვეტა. მოცემულ შემთხვევაში რელევანტური გადაწყვეტა სათარგმნი ნაწყვეტის ფუნქცია იქნება [...] (ლედერერი 2013:177-179).

### **3.6.მომავალი სამენოვანი საოჯახო სამართლის ლექსიკონის მოდელი სოციოკულტურული კომპონენტის გათვალისწინებით**

ლექსიკონი, შეუფასებელი დამხმარე საშუალებაა ყოველი ცალკეული ერის და ზოგადად კაცობრიობის კულტურის წვდომის თვალსაზრისით. ნებისმიერ ლექსიკონში შეიძლება ასახვა ჰპოვოს ხალხის კულტურამ, თუმცა სხვადასხვა მოცულობით, ვინაიდან კულტუროლოგიური ინფორმაციის სისრულე ცნობარის დანიშნულებაზე, მისი შესაძლებელი მომხმარებლის წრეზე და ნორმირების კრიტერიუმებზეა დამოკიდებული. ცნობარის გადმოცემის მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნები არსებობს, რომელიც განკუთვნილია პროფესიული კომუნიკაციისათვის. სოციოკულტურული ინფორმაციის ლექსიკოგრაფიული ხერხების სისტემატიზაცია არა მარტო პრაქტიკული ლექსიკოგრაფიული გამოცდილების განზოგადობას, არამედ ასევე ასეთი პრობლემების გადაჭრის ხერხების და ასევე მისი ოპტიმიზაციის გზების შერჩევას მოითხოვს.

თანამედროვე ლექსიკოგრაფიის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ლექსიკონების შექმნა, რომელიც მომხმარებელთა ინტერკულტურული კომპეტენციის ფორმირებას ახდენს, რომელიც აღიარებულია პიროვნების პროფესიული ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში, როგორც კომუნიკაციური კომპეტენციის განუყოფელი ნაწილი.

ლექსიკონი, რომელიც ინტერკულტურულ პერსპექტივას ითვალისწინებს, სხვადასხვა სოციოკულტურული საზოგადოების წარმომადგენელთა ცოდნაზე ორიენტაციას გულისხმობს. როდესაც ადამიანი ენის მატარებელი არ არის, მის ცოდნაზე ორიენტაციამ უნდა მოგვეცეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა იცის ენის მატარებელმა და არ ახსნას ის, რაც მომხმარებლის ცოდნას ემთხვევა. ეს უკანასკნელი მასალის შერჩევის კონტრასტულ პრინციპზე უნდა აისახოს, ანუ ინფორმაციის ნაციონალური სპეციფიკა საგნის შესახებ, უნდა შეფასდეს სხვა საზოგადოების სოციოკულტურული თავისებურებების ფონზე.

ლექსიკოგრაფიის საგნის და გზების განსაზღვრა, შეიძლება, თუკი აღვნიშნავთ პოტენციური მომხმარებლის მოთხოვნებს. ჩვენ შემთხვევაში ჩვენი მომავალი ლექსიკონი უნდა იყოს სამენოვანი, ორიენტირებული სხვა სოციოკულტურული საზოგადოების წარმომადგენლების ცოდნაზე. ამოსავალი ენა ქართული იქნება, რათა უფრო მეტ ადამიანს შეეძლოს მისი გამოყენება. იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვა მოცემული საზოგადოებისათვის სპეციფიკურ რეალიას ან გამოთქმას აღნიშნავს, საჭირო იქნება დამატებითი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც შეიძლება კომენტარის სახით სათარგმნ ეკვივალენტთან ერთად იქნას წარმოდგენილი.

ჩვენი ლექსიკონის პროექტი ეფუძნება თეორიულ თეზისს, რომლის შესაბამისად იურიდიული ტერმინი შეიცავს მის შინაარსობრივ სტრუქტურაში ელემენტს, რომელიც ფართო სოციოკულტურულ კონტექსტთანაა დაკავშირებული.

ლექსიკოგრაფიული ინფორმაციის ოპტიმიზაციის პრობლემა უნდა გადაიჭრას იმის გათვალისწინებით, თუ ლექსიკოგრაფიის საგნის რომელი თვისებები უნდა იქნას ასახული სიტყვა სტატიაში. ამ თვისებებს უწოდებენ, როგორც კულტურულად, ისე სოციალურად, ნიშნად ერთეულებს.

ტერმინის თარგმნისას შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მიდგომა: ეკვივალენტის შერჩევა; აღწერითი თარგმანი; ტრანსკრიფცია ან ტრანსლიტერაცია. განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს აღწერითი ეკვივალენტის კომენტარებით გამოყენება. კომენტარებში ხდება იმ ნიშნების შერჩევა, რომელთა ცოდნა საშუალებას იძლევა სწორად მოხდეს ამ ტერმინის გაგება მისი ტექსტში გამოყენებისას.

ამა თუ იმ ტერმინის სოციალური და კულტურული თავისებურებების გამოყენებაზე ინფორმაცია ტრადიციული სამენოვანი ლექსიკონისათვის დამატებით ინფორმაციას არ წარმოადგენს, ის არის სიტყვა სტატიის ბირთვი და ხელს უწყობს სოციალურად ნიშნადი, ლექსიკონის მომხმარებლის პროფესიული კომპეტენციის ჩამოყალიბებას. ასევე, მისი სოციოკულტურული ორიენტაციის ფორმირებას, აუმჯობესებს ლექსიკური მარაგის ფართო გაგებით აღქმას, რაც ხაზს უსვამს ლექსიკონის სასწავლო დანიშნულებას.

ბოლო დროს, საერთაშორისო ურთიერთობების მასშტაბური ხასიათიდან გამომდინარე სხვადასხვა ტიპის ორენოვანი ლექსიკონები გაჩნდა, რომელთაც სპეციალური დანიშნულება აქვთ. როგორც წესი, ასეთი ლექსიკონები ძირითადად, გვთავაზობენ სიტყვის დეფინიციას და თარგმნის შესაძლო ვარიანტებს. ასეთი ლექსიკონების თავისებურება ისაა, რომ ყურადღებას ამახვილებენ სპეციალური ტერმინოლოგიის სოციალურ ასპექტებზე. სწორედ, ამაშია მათი აქტუალურობა, როდესაც წარმატებული ურთიერთობისათვის საჭიროა სიტყვის სოციოკულტურული სიტუაციისა და კულტურული სპეციფიკის ცოდნა. სამწუხაროდ, ასეთი ლექსიკონები ძალზე ცოტაა საქართველოში.

საქართველოში გვაქვს ორენოვანი და ხუთენოვანი იურიდიული ლექსიკონები, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა ლექსიკა, თუმცა მათ უფრო ზოგადი ხასიათი გააჩნია და საოჯახო სამართლის ტერმინები საერთოდ არაა გათვალისწინებული, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ლექსიკონების მიზანი ეს არც ყოფილა.

2008 წელს TEMPUS-ის პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა გამომცემლობა „მწიგნობარში“ ქართულ-ფრანგულ-ინგლისურ-რუსულ-ნიდერლანდური იურიდიული ლექსიკა. ეს ლექსიკა გახლავთ ქართველი სპეციალისტების ევროპელ კოლეგებთან წარმატებული თანამშრომლობის ნაყოფი, რომლის მთავარი რედაქტორი პროფ. ქეთევან ჯაში იყო. ასეთი ტიპის ლექსიკონებზე მოთხოვნა დიდია, განსაკუთრებით იურისტების მხრიდან, რომლებიც საერთაშორისო პრაქტიკას ეწევიან, მთარგმნელების მხრიდან, რომლებიც სამართლის სფეროში

მოღვაწეობენ, ასევე იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც როგორც სამართალს, ისე უცხოურ ენას სწავლობენ, ანუ მსგავსი ლექსიკონი შეიძლება გამოყენებულ იქნას სასწავლო დანიშნულებით, როდესაც ადამიანს, რომელიც არაა გათვითცნობიერებული სამართლის სფეროში, ესაჭიროება გაეცნოს უცხოურ სამართლებრივ ტერმინოლოგიას და ამავდროულად, მისცეს მას უცხოური სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის შესახებ ცოდნის ელემენტები, ზოგჯერ საკუთარ სამართლებრივ სისტემასთან შედარება-შეპირისპირებით.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ქართულ-ინგლისურ-ფრანგული საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიის ლექსიკონი, რომელიც ჯერჯერობით მოიცავს მხოლოდ 460 სიტყვა-სტატიას, გათვლილი იქნება მკითხველთა დიდ წრეზე, კერძოდ, იმ ადამიანებზე, რომლებიც კარგად ფლობენ უცხოურ ენას და რომლებიც სამართალს სპეციალური იურიდიული ცოდნის არქონის გამო საყოფაცხოვრებო დონეზე აღიქვამენ. მოცემული ლექსიკონის პროექტის წყაროდ გამოყენებული იქნება არსებული ინგლისური, ფრანგული, განმარტებითი ლექსიკონები, როგორებიცაა: რობერის, ლარუსის, ოქსფორდის და კემბრიჯის, ასევე ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი, გამოვიყენებთ საქართველოს, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსებს და დიდი ბრიტანეთის საოჯახო სამართალში არსებულ ახალ ლიტერატურას, რომელშიც კოდექსიდან შესაბამისი მუხლებია წარმოდგენილი, რადგანაც ინგლისისა და უელსის სამოქალაქო კოდექსზე წვდომა მხოლოდ იურისტებს აქვთ. ასევე გამოვიყენებთ ინტერნეტწყაროებს.

ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ სოციოკულტურული კვლევა სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენს მიერ განხილული ქვეყნების სამართლებრივი სისტემები არაიდენტურია და საჭიროა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ინტერკულტურული კომუნიკაციის თვალსაზრისით მსგავსებისა და განსხვავების შესახებ იძლევა ცოდნას.

რაც შეეხება ასეთი ტიპის ლექსიკონის სტრუქტურას, ოპტიმალურად მიჩნეულია მისი აგება ანბანური პრინციპით, სადაც ნაწარმოები სიტყვები ან

სიტყვათა ჯგუფები ძირითადი სიტყვის ჯგუფშია განთავსებული. ამ შემთხვევაში ძირითად ტერმინს შეიძლება დავუსვათ ფიფქი და უფრო ვრცელი კომენტარი დავურთოთ ლექსიკონის ბოლოს, ხოლო სიტყვათა ჯგუფების შემთხვევაში მითითებული იქნება არსებითი ნიშნები, რომლებიც განსხვავდება ძირითადისაგან. ამას გარდა, ერთ სიტყვა სტატიაში საჭიროა მოვიყვანოთ შესაძლო ტერმინოლოგიური სინონიმები აუცილებელი კომენტარით ცნების მოცულობასთან შედარებით, მისი სემანტიკური, სტილისტური, კულტურული თვისებებურებით ან გამოყენების თავისებურებების გათვალისწინებით. სიტყვა სტატიის სტრუქტურა შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

- 1) სასათაურო სიტყვა;
- 2) სიტყვა-ეკვივალენტი სათარგმნ ენაში;
- 3) დეფინიცია ქართულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე;
- 4) ინფორმაცია სათარგმნ ენაზე სასათაურო ერთეულის შესახებ;
- 5) კომენტარები სამართლებრივი განსხვავების შესახებ;
- 6) სავარაუდო სინონიმები და მათი დახასიათება ცნების მოცულობის თვალსაზრისით;
- 7) მაგალითები ავთენტური წყაროებიდან, სადაც ესა თუ ის ტერმინი გამოიყენება, ანუ ტერმინი შესაბამის კონტექსტში იქნება ჩასმული.
- 8) ინფორმაციის წყარო.

ლექსიკონის შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ტერმინის *ქორწინება* თავისებურებები და ფორმები სამივე ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით. ქორწინება არ შეიძლება განხორციელდეს იმ პირებს შორის, რომელთაგან ერთი მაინც იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში, ამგვარად, გამორიცხულია *ბიგამია*, *bigamy*, *bigamie*, ნათესავებს შორის აღმავალი ხაზით ან დაღმავალი ხაზით, ღვიძლ დებსა და ძმებს შორის, მშვილებელსა და ნაშვილებს შორის; იმ პირებს შორის, რომელთაგანაც ერთი მიჩნეულია სასამართლოს მიერ არაქმედითუნარიანად სულიერი ავადმყოფობის ან გონებრივი სისუსტის გამო.

ინგლისური ტერმინი *limping marriage*, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს *კოჭლ ქორწინებას*, ისეთ ქორწინებას, როდესაც ერთ ქვეყანაში ის კანონიერია, სხვა

ქვეყანაში კი არა. როგორც იურიდიული ტერმინი ის ნეიტრალურია და არანაირ ემოციურ შეფასებას არ ატარებს. ქართულ ენაში ინგლისური ტერმინის *limping marriage* ეკვივალენტი არ გვაქვს, ამიტომ ლექსიკონში უნდა მოხდეს მისი ახსნა-განმარტება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის გაუგებარი იქნება ქართველებისათვის. ფრანგულში გვაქვს ტერმინი *mariage boiteux*, რომელიც ერთი შეხედვით ინგლისური გამოთქმის ეკვივალენტია, მაგრამ ის *უიღბლო ქორწინებას* ნიშნავს, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ტერმინები ქვემოთმოყვანილი სინონიმური რიგიდან. ესენია: *ფიქტიური ქორწინება- fictitious marriage, putative marriage- mariage blanc, mariage fictif, mariage putatif. ფიქტიური ქორწინება* ისეთი ქორწინებაა, რომლის მიზანი არაა ოჯახის შექმნა.

ჩვენი მიზანია საოჯახო სამართლის სფეროში ისეთი ახალი სამენოვანი ლექსიკონის შექმნა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველაფერი ის, რაც მოცემულ თავში ითქვა.

ინფორმაცია ტერმინების გამოყენების სოციალური და კულტურული თავისებურებების შესახებ ლექსიკონთან მიმართებით წარმოადგენს სწორედ, სიტყვა-სტატიის ბირთვის და ხელს უწყობს სოციალურად მნიშვნელოვან, მომხმარებლის პროფესიული კომპეტენციის და მისი სოციოკულტურული ორიენტაციის ჩამოყალიბებას. იმისათვის, რომ ჩვენი ნათქვამი უფრო თვალსაჩინო გახდეს, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ჩვენი მომავალი ლექსიკონის პროექტიდან. ტერმინები დალაგებულია ქართული ანბანის მიხედვით. ასო *ბანი* აერთიანებს 27 სიტყვა-სტატიას.

-ბ-

(Geo) ბავშვი

(Eng) child

(Fr) enfant (m)



(Geo) ბავშვის ავადმყოფობა

(Eng) the child's illness

(Fr) maladie (m) de l'enfant

(Geo) ბავშვის აღზრდასა და მოვლაში წვლილის შეტანა

(Eng) the contribution towards the maintenance and an education of the child

(Fr) contribution (f) à l'entretien et à l'éducation de l'enfant

(Geo) ბავშვის აღიარება მამის მიერ მშობიარობამდე

(Eng) prenatal paternal recognition

(Fr) reconnaissance paternelle prénatale

(Geo) ბავშვის გაშვილება

(Eng) to give up the child for adoption

(Fr) faire adopter son enfant

(Geo) ბავშვთან დაკავშირებული უფლებები

(Eng) the rights to a child

(Fr) droits afférents à un enfant

(Geo) ბავშვის დაბადების გაცხადება

(Eng) the child's birth registration

(Fr) déclaration de naissance de l'enfant

დისერტაციის ბოლოს წარმოდგენილია მომავალი სამენოვანი ლექსიკონის პროექტის მონახაზი, რომელიც მოითხოვს შემდგომ დამუშავებას სიტყვა- სტატიების ზემოჩამოთვლილი კომპონენტების გათვალისწინებით. დარწმუნებული ვართ, რომ

ის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ლექსიკოგრაფიულ საქმიანობაში, რადგანაც საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიის პირველი სამენოვანი ლექსიკონი იქნება საქართველოში.

## დასკვნები

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ საოჯახო სამართალი ყველგან არეგულირებს მოქალაქეობრივ-სამართლებრივ ურთიერთობებს ქორწინების თუ განქორწინების თვალსაზრისით. ადგენს როგორც პირად, ისე ცოლ-ქმრის ქონებრივ უფლებებს და მოვალეობებს. სამოქალაქო კოდექსის ძირითადი ინსტიტუტებია: ფიზიკური და იურიდიული პირები. ხელშეკრულებები, ვალდებულებები. ქონების უფლება და ფლობა (სანივთო სამართალი); ქორწინება და ოჯახი; სამემკვიდრეო სამართალი. დაწვრილებით განვიხილეთ სამოქალაქო კოდექსში ქორწინების და საოჯახო ურთიერთობებისადმი მიდგომა სამივე ქვეყანაში. საინტერესოა თავად ოჯახის იურიდიული განმარტება სამივე ქვეყანაში. ნებისმიერი სოციალური ცვლილება თავის ასახვას პოულობს სამართლის ენაში. მიმოვიხილეთ ერთსქესიანთა ქორწინების საკითხები. სამართლის ენაში ახალი ლექსიკური ერთეულები ჩნდება და გადადის კანონის ენაში, ზოგი განაგრძობს საერთო ენასა და სამართლის ენაში ფუნქციონირებას, ზოგი კი არა. ეს სიტუაცია შეიძლება იმით ავხსნათ, რომ კანონმდებლობა, რომელიც ოჯახურ-სამართლებრივ მიმართებებს ასახავს, ზოგჯერ ჩამორჩება დროში ამ სფეროში არსებულ საზოგადოებრივ ცვლილებებს. ჩატარებული ანალიზით გამოვყავით სიტყვათა ჯგუფები, რომლებიც ტერმინების შექმნაში მონაწილეობენ. ესენია:

1.წინდებულიანი არსებითი სახელებისაგან შემდგარი ტერმინები. 2.არსებითი სახელისა და ზედსართავისაგან შემდგარი ტერმინები. 3.იდენტური ტერმინები

4.იდენტური ტერმინები განსხვავებული ორთოგრაფიით. 5.ზმნისაგან და არსებითი სახელისგან შედგენილი ტერმინები. 6. აბრევიატურა. 7. მთარგმნელის “ცრუ მეგობრები“. 8. სპეციფიკური ტერმინები. 9.განსხვავებული სინტაგმის მქონე სტრუქტურები. 10. ფრანგულიდან ნასესხები სიტყვები.

ამგვარად, საოჯახო სამართლის ტერმინების ზოგადი მახასიათებლების სტრუქტურაში მოქმედებს ერთი მხრივ, შიდასისტემური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვარვენ, როგორც ზოგად, ისე საოჯახო სამართლის ტერმინების სპეციფიკურ თვისებებს. მეორე მხრივ, ამ მახასიათებლების ურთიერთქმედების დინამიკა, რომელიც ექსტრალინგვისტური მიზეზების ზემოქმედებითაა განპირობებული, სამივე ქვეყნის საზოგადოებებში ერთმანეთთან ოჯახის ინსტიტუტისა და ოჯახური ურთიერთობების სოციოკულტურული სიტუაციის განვითარების თავისებურებებითაა დაკავშირებული.

არსებობს ტერმინების მთელი რიგი, რომელიც პოლისემანტიკურობით ხასიათდება. მათი ინტერპრეტაცია ინტერკულტურულ კომუნიკაციაში დამოკიდებულია ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ხასიათის ფაქტორების კომპლექსზე, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს თარგმნის სხვადასხვა ვარიანტებთან. ინტერკულტურულ კომუნიკაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ტერმინის თარგმნის ადეკვატური ხერხების ძიებას აქვს, რამაც იურიდიულ დისკურსში მისი პოლისემანტიკურობა უნდა გაითვალისწინოს.

თუ გადავხედავთ სამივე ენის საოჯახო სამართლის ტერმინებს, განსაკუთრებულ როლს მათ კვლევაში ინტერკულტურული პერსპექტივის თვალსაზრისით სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების სოციოკულტურული კონტექსტი ასრულებს.

სამივე ქვეყნის საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიის ფუნქციურმა ანალიზმა მათში ნომინაციურ-დეფინიციური, სიგნიფიკატიური და გნოსეოლოგიური ფუნქციების არსებობა გამოავლინა. ტერმინების ფუნქციების გამოვლინების

მნიშვნელობა ისაა, რომ ტერმინი ამ თვალსაზრისით რამდენიმე დონეს მოიცავს. რაც უფრო ინფორმაციული დონისგან შედგება ტერმინი, მით უფრო მიმზიდველია და ხანგრძლივად ფუნქციონირებს.

წარმოშობის მიხედვით ტერმინები ლექსიკის ორ ჯგუფში შედიან-ტერმინირებული (საერთო ენიდან ტერმინების შემადგენლობაში გადასულები) და ტერმინოლოგიური წარმოშობის (ტერმინებიდან საერთო ენაში გადასული) ტერმინირებული ლექსიკა, როგორც წესი, არ კარგავს თავის ცოცხალ შინაგან ფორმას, არც ხატოვნებას, არ წყვეტს ურთიერთობას იმ კულტურულ-ისტორიულ ასოციაციებთან, რომლებიც საწყისს სიტყვას გააჩნია. საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სამივე ენის იურიდიული ტერმინების სისტემატური შედარება-შეპირისპირებისას თავს იჩენს ლაკუნები, რომელთა თარგმნაც შეუძლებელია სხვა ენაზე ერთი სიტყვით ან მყარი შესიტყვებით. თარგმანი ხორციელდება თავისუფალი შესიტყვებების მეშვეობით ან ახსნა-განმარტებით. ეთნოფსიქოლოგიაში ლაკუნების შემდეგ ტიპებს გამოყოფენ: ენობრივი, კულტუროლოგიური ლაკუნები და ტექსტური ლაკუნები.

ენობრივი ლაკუნებიდან ყველაზე მეტი და მრავალფეროვანი ლექსიკური ლაკუნებია. სხვა ენაში შეიძლება ისეთივე მოცულობის მნიშვნელობები ჰქონდეს, რაც საწყისს ენაში და ასევე სხვა სიტყვებთან ისეთივე კავშირების დამყარება შეეძლოს, რაც ერთ ენაში აქვს. კულტურული მოვლენის ერთი ენიდან მეორეში გადასატანად არ არსებობს ზოგადი და ერთადერთი გადაწყვეტა. მოცემულ შემთხვევაში რელევანტური გადაწყვეტა სათარგმნი ნაწყვეტის ფუნქცია იქნება.

სამივე ქვეყნის იურიდიული ტერმინების თავისებურებების აღწერისას გამოვყავით ტერმინების წარმოქმნის ძირითადი მოდელები როგორებიცაა: ექსპლიციტური დერივაცია და იმპლიციტური დერივაცია, აბრევიატურა, სიტყვათა ოჯახი, სიტყვათა ჯგუფები.

პარადიგმატული ურთიერთობის კვლევა სამივე ქვეყნის იურიდიულ ტერმინოლოგიაში საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საოჯახო სამართლის იურიდიულ ტერმინოლოგიაში ისეთი მოვლენები არსებობს, როგორებიცაა:

სინონიმია, ანტონიმია და პოლისემია. ქართულ ენაში გვაქვს ნასესხობები. უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ენაში ტერმინების უმეტესი ნაწილი, დაახლოებით სიტყვების 90% ეროვნული ენის სიტყვებისაგან შედგება, ხოლო ტერმინების 10% ნაწარმოებია ლათინური ფუძიდან, თუმცა პრაქტიკულად ნებისმიერი ლათინური ფუძის მქონე ტერმინისათვის ნაციონალური ეკვივალენტი არსებობს. პარადიგმატული ურთიერთობების სტრუქტურაში სინონიმია შეიძლება სინონიმის ხარისხის მიხედვით დავახასიათოთ, როდესაც ასხვავებენ აბსოლუტურ და ნაწილობრივ სინონიმებს, ხოლო ფუნქციური მახასიათებლების მიხედვით-იდეოგრაფიულ და სტილისტურ სინონიმებს.

კვლევის დროს გამოვლინდა ტერმინოლოგიური ლექსიკის პლასტი, რომელიც წარმოქმნილია ყოველდღიური სასაუბრო ლექსიკისაგან. ერთი მხრივ, ყოველდღიური სასაუბრო ლექსიკა ტერმინების სახით ამარტივებს კომუნიკაციას პროფესიულ სფეროში, რომელიც უფრო მოსახერხებელია საკუთარ სფეროში აღსაქმელად საკუთარი ფორმის და შინაგანი შინაარსის ექსპრესიულობის მიხედვით. თუმცა მეორე მხრივ, ტერმინოლოგიურმა ლექსიკამ, რომელიც ყოველდღიური სასაუბრო ლექსიკის საფუძველზე წარმოიქმნა, შეიძლება წარმოქმნას ასოციაციები, რომლებიც ინტერკულტურული კომუნიკაციური სიტუაციის დროს ხელს გვიშლის ტერმინის აღქმაში.

იურიდიული ტექსტის ლინგვისტური პრინციპების შემუშავება სამართლის ენაში სოციალური ცვლილებების დინამიკის, სამართლის ენის განვითარების კულტურულ-ისტორიული პერსპექტივების კვლევის და იურიდიული ტექსტების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზის გათვალისწინებით, საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ და აღვწეროთ სამივე ქვეყნის საოჯახო სამართლის ენობრივი ფაქტები, რომლებიც ლინგვისტური და სოციოკულტურული ასპექტების ურთიერთკავშირს იურიდიული ტერმინოლოგიის შესწავლისას გვიჩვენებენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ საოჯახო სამართლის ენაში გამოიყოფა სოციალური ცვლილებების დინამიკის ორი ასპექტი:

- აქსიოლოგიური ასპექტი, რომელიც ასახავს სამართლის ენაში და ტერმინოლოგიურ ერთეულებში სამართლებრივ ნორმებს (უკანონო შვილის მაგალითზე);
- სამართლის ენაში შიდა ოჯახური ურთიერთობის განვითარების ახსნა (მამის ბატონობიდან მშობლების მზრუნველობაზე გადასვლა).

## ზოგადი დასკვნა

იურიდიული ტერმინის კომპლექსური კვლევა თანამედროვე იურიდიული ლინგვისტიკის თვალსაზრისით საშუალებას იძლევა მოვახდინოთ მისი როლის კვალიფიცირება პროფესიული კომუნიკაციის საკვანძო ელემენტის ლინგვისტურ, სოციოლინგვისტურ და სოციოკულტურულ ასპექტებში. თანამედროვე ტერმინოლოგიის შესწავლა და განზოგადოება გვეხმარება განვიხილოთ იურიდიულ დისკურსში ტერმინის ფუნქციონირების თავისებურებები მათი განვითარების ძირითადი ტენდენციების პოზიციიდან, ინტეგრაციის, დიფერენციაციის, უნიფიკაციის, ინტერნაციონალიზაციის და ეკონომიის ფარგლებში.

სპეციალური დანიშნულების ტერმინის ცნება საკვანძო კომპონენტია, სპეციალური ენის საფუძველი და მთელ რიგ მახასიათებლებს ფლობს, რომლებიც ახალი ტერმინების შექმნისას უნდა იქნას გათვალისწინებული, ხოლო უკვე არსებული ტერმინები პროფესიულად სწორად უნდა იქნას გამოყენებული.

იურიდიული ტერმინი სამართლის ენის საფუძველია, როგორც ენისა, რომელიც სპეციალური დანიშნულებით გამოიყენება. იურიდიული ლინგვისტიკის ფარგლებში ტერმინი განიხილება როგორც განსაკუთრებული ლექსიკური ერთეული, რომელიც თავის სემანტიკურ სტრუქტურაში სოციალურად მნიშვნელოვან ინფორმაციას ატარებს.

იურიდიულ ტერმინში ენობრივი და სამართლებრივი მახასიათებლების ურთიერთკავშირი და ურთიერთზეგავლენა საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ მის განსაკუთრებულ სოციალურ როლსა და კომუნიკაციურ ღირებულებაზე. იურიდიული ტერმინის კვლევის პრინციპები, რომლებიც იურიდიული ლინგვისტიკის მიერაა შემუშავებული, საშუალებას გვაძლევს ტერმინის ლინგვისტური მახასიათებლები და სოციალური ფაქტორები ერთმანეთს დავუკავშიროთ. ეს ურთიერთზეგავლენა კარგად ჩანს საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიის მაგალითზე. ლინგვისტური ანალიზის პრინციპების გამოყენებით და იურიდიული ლინგვისტიკის მიერ შემუშავებული მეთოდიკით, საკვლევი მასალის საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ სამივე ქვეყნის საოჯახო სამართლის

ტერმინოლოგიის ძირითადი ელემენტი, რომელიც თანამედროვე იურიდიულ დისკურსში ფუნქციონირებს და მნიშვნელოვანი სემანტიკური წონით, ხშირი გამოყენებით ხასიათდება. სამივე ქვეყნის საოჯახო სამართლის ტერმინების კვლევის პროცესში, გავანალიზეთ ენის, სამართლის და საზოგადოების ურთიერთზეგავლენა, ანუ ინტერდისციპლინარული კვლევა, ტერმინოლოგიის როლი პროფესიულ კომუნიკაციაში და მისი სოციალური განპირობებულობა.

კვლევა ჩატარდა სამივე ენის სამართლის ენის მასალასა და მის სახესხვაობაზე-კანონის ენაზე. სამართლის ენისა და კანონის ენის ყველაზე თვალსაჩინო ასახვა ლექსიკასა და სინტაქსში მოხდა. იურიდიული ტერმინოლოგიის წარმოქმნის პროცესი ფრანგულ და ინგლისურ სამართალში დაკავშირებულია რამდენიმე სტადიასთან: საწყის ეტაპზე ფრანგული და ინგლისური ეროვნული სამართლის ტერმინები ნასესხებია რომაული სამართლიდან. დროთა განმავლობაში ზოგიერთმა მათგანმა სახე იცვალა, ზოგიერთმა კი ნაციონალური ენის ზეგავლენა განიცადა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დიდი ბრიტანეთის იურიდიულ ტერმინოლოგიაზე ფრანგულმა ენამ იქონია ზეგავლენა, რაც ისტორიული მოვლენებითაა განპირობებული, თუმცა გვაქვს ასევე ინგლისური ფუძეებისაგან წარმოქმნილი სიტყვებიც.

ქართულ ენაშიც გვაქვს უცხოური ენებიდან ნასესხობები, თუმცა ბევრია ქართული ტერმინი და ასევე ძველი ტერმინების გამოყენების ტენდენცია. გამოყენებულ ენებში არსებობს სპეციალური დანიშნულებისათვის განკუთვნილი ინტერნაციონალიზაციის ტენდენცია.

მეცნიერებაში არსებობს ინტეგრაციის ტენდენცია, რომელიც თავის ასახვას პოულობს სამართლის სფეროშიც, თუმცა ქართულ იურიდიულ კომუნიკაციაში ცდილობენ ეროვნული ენის უნიკალური ელემენტები შეინარჩუნონ.

საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის იურიდიულ ტერმინებში გაჩნდა სინონიმები. ჩატარებული ანალიზით შევძელით გამოგვეყო ტერმინოლოგიის ძირითადი მოდელები სამივე ქვეყნის საოჯახო სამართლის სფეროში: სიტყვათშეთანხმება, ექსპლიციტური დერივაცია, იმპლიციტური დერივაცია,



სიტყვათა ოჯახი, ნასესხობები, აბრევიატურა. ყველაზე პროდუქტიული სამივე ენისათვის სიტყვათშეთანხმებაა.

დღეს, სამოქალაქო სამართლის მრავალი წესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდთა მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ზოგად მდგომარეობაზე, საზოგადოების აწმყოსა და მომავალზე. იურიდიული ტერმინები არ შეიძლება ითარგმნოს ასი პროცენტით ერთი ენიდან მეორეზე, იურიდიული სისტემების შეუთავსებლობის გამო, საიდანაც ისინი სათავეს იღებენ. სამივე ქვეყნის იურიდიული სისტემისა და კონტექსტის კარგი ცოდნით, იურიდიული თარგმანი შესაძლებელი ხდება იმ პირობით, რომ თარგმნილი ტექსტის ადრესატმა უნდა გააცნობიეროს, რომ საქმე აქვს ტექსტთან, რომლის ტერმინოლოგია უცხოა და განსხვავდება მისი ქვეყნის იურიდიული სისტემის ტერმინოლოგიისაგან. იურიდიული თარგმანი მიახლოებითი ოპერაციაა, როგორც ნებისმიერი სამეტყველო აქტი და უფრო ხშირად მცდარი. უკეთეს შემთხვევაში ნათარგმნი ტექსტი მხოლოდ კომპრომისია, უბრალო ვარაუდი.

ოჯახისა და ქორწინების ცნებები წარმოადგენს არა მარტო ენობრივ, არამედ სოციოკულტურულ მოვლენას. მთლიანობაში, სამართლის ენაში სოციალური ცვლილებები ანტროპოცენტრისტულ ხასიათს ატარებს. სამართლის ენის განვითარების კულტურული და ისტორიული კვლევის პერსპექტივები და იურიდიული ტექსტების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ და აღვწეროთ სამივე ქვეყნის საოჯახო სამართალში ენობრივი ფაქტები, რომლებიც იურიდიული ტერმინოლოგიის შესწავლისას ლინგვისტური და სოციოკულტურული ასპექტების ურთიერთკავშირს გვიჩვენებენ. საოჯახო სამართლის ენაში გამოყოფილია სოციალური ცვლილებების დინამიკის ორი ასპექტი: სამართლის ენაში სამართლებრივი ნორმების აქსიოლოგიური ასპექტი და სამართლის ენაში შიდა ოჯახური ურთიერთობების განვითარების ექსპლიკაცია.

ამგვარად, საოჯახო სამართლის საერთო ლინგვისტურ მახასიათებელთა სტრუქტურაში მოქმედებს ერთი მხრივ, შიდა სისტემური რიგის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ სფეროს ტერმინების როგორც ზოგად, ისე სპეციფიკურ თვისებებს და მახასიათებლებს. მეორე მხრივ, ამ თვისებათა და მახასიათებელთა

ურთიერთქმედების დინამიკა განპირობებულია ექსტრალინგვისტური დონის მიზეზების ზეგავლენით, რომლებიც დაკავშირებულია ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობების ინსტიტუტის სოციოკულტურული სიტუაციის თავისებურებებთან სამივე ქვეყნის საზოგადოებებში.

იურიდიული ტერმინების ლინგვისტური და სოციოლინგვისტური პროცესების სისტემატიზაცია საშუალებას იძლევა შევთავაზოთ სამართლის ენის ტერმინოგრაფიული აღწერის მოდელი სოციოკულტურული კომპონენტის გათვალისწინებით.

ტერმინების გამოყენების სოციალურ და კულტურულ თავისებურებებზე ინფორმაცია ჩვენ მიერ შემუშავებული ლექსიკონის ტიპის მიხედვით შეადგენს სიტყვა-სტატიის ბირთვს და ხელს უწყობს სოციალურად მნიშვნელოვანი, მომხმარებლის პროფესიული კომპეტენციისა და მისი სოციოკულტურული ორიენტაციის ჩამოყალიბებას.

სამართლებრივი ტერმინოლოგიის კვლევის პრობლემატიკა საკმაოდ ფართოა. ჩვენი ნაშრომი მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ტერმინის, როგორც ენობრივი და კულტურული ფენომენის კვლევასა და სამივე ქვეყნის საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიური სისტემის ანალიზში. ეს კვლევა შეიძლება შემდგომში გაგრძელდეს სხვადასხვა მიმართულებით.

ტერმინის ფუნქციონირებაში ორი ტენდენციის ურთიერთქმედება და ურთიერთდამოკიდებულება (ინტერნაციონალიზაცია და უნიკალურობისაკენ სწრაფვა) არსებითია ინტერკულტურული კომუნიკაციის სიტუაციის ასაღწერად ხალხთა შორის კონტაქტების გასაფართოებლად, საზოგადოებრივ ცვლილებებთან მიმართებაში, რომლებიც მიგრაციის პროცესებთან, შერეული ქორწინების რაოდენობის გაზრდასთანა დაკავშირებული. ამან განსაზღვრა სამართლის სფეროში კულტურათაშორისი ურთიერთქმედების მოთხოვნები და სოციოკულტურული ცვლილებების დინამიკა, რამაც ტრადიციული სტრუქტურების ცვლილებამდე მიგვიყვანა. იურიდიული ტერმინის კონკრეტული მახასიათებლების შესწავლა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ხდება ღირებულებების გადაფასება,

რაც სინამდვილისადმი ახალი ურთიერთობების ფორმების გაჩენასა და პროფესიულ კომუნიკაციაში ვლინდება.

საოჯახო სამართალი ყველგან არეგულირებს მოქალაქეობრივ-სამართლებრივ ურთიერთობებს ქორწინების თუ განქორწინების თვალსაზრისით. ადგენს როგორც პირად, ისე ცოლ-ქმრის ქონებრივ უფლებებს და მოვალეობებს. სამოქალაქო კოდექსის ძირითადი ინსტიტუტებია: ფიზიკური და იურიდიული პირები. ხელშეკრულებები, ვალდებულებები. ქონების უფლება და ფლობა (სანივთო სამართალი); ქორწინება და ოჯახი; სამემკვიდრეო სამართალი. დაწვრილებით განვიხილეთ სამოქალაქო კოდექსში ქორწინების და საოჯახო ურთიერთობებისადმი მიდგომა სამივე ქვეყანაში. საინტერესოა თავად ოჯახის იურიდიული განმარტება სამივე ქვეყანაში. ნებისმიერი სოციალური ცვლილება თავის ასახვას პოულობს სამართლის ენაში. მიმოვიხილეთ ერთსქესიანთა ქორწინების საკითხები. სამართლის ენაში ახალი ლექსიკური ერთეულები ჩნდება და გადადის კანონის ენაში, ზოგი განაგრძობს საერთო ენასა და სამართლის ენაში ფუნქციონირებას, ზოგი კი არა. ეს სიტუაცია შეიძლება იმით ავხსნათ, რომ კანონმდებლობა, რომელიც ოჯახურ-სამართლებრივ მიმართებებს ასახავს, ზოგჯერ ჩამორჩება დროში ამ სფეროში არსებულ საზოგადოებრივ ცვლილებებს. ჩატარებული ანალიზით გამოვყავით სიტყვათა ჯგუფები, რომლებიც ტერმინების შექმნაში მონაწილეობენ. ესენია:

- 1.წინდებულებიანი არსებითი სახელებისაგან შემდგარი ტერმინები.
- 2.არსებითი სახელისა და ზედსართავისაგან შემდგარი ტერმინები.
- 3.იდენტური ტერმინები
- 4.იდენტური ტერმინები განსხვავებული ორთოგრაფიით.
- 5.ზმნისაგან და არსებითი სახელისგან შედგენილი ტერმინები.
6. აბრევიატურა.
7. მთარგმნელის “ცრუ მეგობრები“.
8. სპეციფიკური ტერმინები.
- 9.განსხვავებული სინტაგმის მქონე სტრუქტურები.
10. ფრანგულიდან ნასესხები სიტყვები.

არსებობს ტერმინების მთელი რიგი, რომელიც პოლისემანტიკურობით ხასიათდება. მათი ინტერპრეტაცია ინტერკულტურულ კომუნიკაციაში დამოკიდებულია ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ხასიათის ფაქტორების

კომპლექსზე, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს თარგმნის სხვადასხვა ვარიანტებთან. ინტერკულტურულ კომუნიკაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ტერმინის თარგმნის ადეკვატური ხერხების ძიებას აქვს, რამაც იურიდიულ დისკურსში მისი პოლისემანტურობა უნდა გაითვალისწინოს.

თუ გადავხედავთ სამივე ენის საოჯახო სამართლის ტერმინებს, განსაკუთრებულ როლს მათ კვლევაში ინტერკულტურული პერსპექტივის თვალსაზრისით სამართლებრივი ურთიერთობების განვითარების სოციოკულტურული კონტექსტი ასრულებს.

სამივე ქვეყნის საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიის ფუნქციურმა ანალიზმა გამოავლინა მათში ნომინაციურ-დეფინიციური, სიგნიფიკატიური და გნოსეოლოგიური ფუნქციების არსებობა. ტერმინების ფუნქციების გამოვლინების მნიშვნელობა ისაა, რომ ტერმინი ამ თვალსაზრისით რამდენიმე დონეს მოიცავს. რაც უფრო ინფორმაციული დონისგან შედგება ტერმინი, მით უფრო მიმზიდველია ის და ხანგრძლივად ფუნქციონირებს.

წარმოშობის მიხედვით ტერმინები ლექსიკის ორ ჯგუფში შედიან-ტერმინირებული (საერთო ენიდან ტერმინების შემადგენლობაში გადასულები) და ტერმინოლოგიური წარმოშობის (ტერმინებიდან საერთო ენაში გადასული) ტერმინირებული ლექსიკა როგორც წესი არ კარგავს თავის ცოცხალ შინაგან ფორმას, არც ხატოვნებას, არ წყვეტს ურთიერთობას იმ კულტურულ-ისტორიულ ასოციაციებთან, რომლებიც საწყისს სიტყვას გააჩნია. საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სამივე ენის იურიდიული ტერმინების სისტემატური შედარება-შეპირისპირებისას თავს იჩენს ლაკუნები, რომელთა თარგმნაც შეუძლებელია სხვა ენაზე ერთი სიტყვით ან მყარი შესიტყვებით. თარგმანი ხორციელდება თავისუფალი შესიტყვებების მეშვეობით ან ახსნა-განმარტებით. ეთნოფსიქოლოგიაში ლაკუნების შემდეგ ტიპებს გამოყოფენ: ენობრივი, კულტუროლოგიური ლაკუნები და ტექსტური ლაკუნები.

ენობრივი ლაკუნებიდან ყველაზე მეტი და მრავალფეროვანი ლექსიკური ლაკუნებია. პრაქტიკულად არ არსებობს არც ერთი სიტყვა, რომელსაც შეიძლება სხვა ენაში ისეთივე მოცულობის მნიშვნელობები ჰქონდეს, რაც საწყისს ენაში და ასევე სხვა სიტყვებთან ისეთივე კავშირების დამყარება შეეძლოს, რაც ერთ ენაში აქვს. კულტურული მოვლენის ერთი ენიდან მეორეში გადასატანად არ არსებობს ზოგადი და ერთადერთი გადაწყვეტა. მოცემულ შემთხვევაში რელევანტური გადაწყვეტა სათარგმნი ნაწყვეტის ფუნქცია იქნება.

საოჯახო სამართლის ტერმინთა საერთო ლინგვისტურ მახასიათებელთა სტრუქტურაში მოქმედებს ერთი მხრივ, შიდა სისტემური ხასიათის ფაქტორები, რომლებიც ამ სფეროს როგორც საერთო, ისე სპეციფიკურ თვისებებს და მახასიათებლებს განსაზღვრავენ, მეორე მხრივ, ამ თვისებათა და მახასიათებელთა ურთიერთქმედების დინამიკა განპირობებულია ექსტრალინგვისტური დონის მიზეზთა ზეგავლენით, რომლებიც სამივე ქვეყნის საზოგადოებებში ქორწინების ინსტიტუტის და ოჯახური ურთიერთობების სოციოკულტურული სიტუაციის თავისებურებებთანაა დაკავშირებული.

სამივე ქვეყნის იურიდიული ტერმინების თავისებურებების აღწერისას გამოვყავით ტერმინების წარმოქმნის ძირითადი მოდელები, ესენია: ექსპლიციტური დერივაცია და იმპლიციტური დერივაცია, აბრევიატურა, სიტყვათა ოჯახი, სიტყვათა ჯგუფები.

პარადიგმატული ურთიერთობის კვლევა სამივე ქვეყნის იურიდიულ ტერმინოლოგიაში საშუალებას გვაძლევს დასკვნა გავაკეთოთ საოჯახო სამართლის იურიდიულ ტერმინოლოგიაში ისეთი მოვლენების არსებობაზე, როგორებიცაა: სინონიმია, ანტონიმია და პოლისემია. ქართულ ენაში გვაქვს ნასესხობები. უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ენაში ტერმინების უმეტესი ნაწილი, დაახლოებით სიტყვების 90% ეროვნული ენის სიტყვებისაგან შედგება, ხოლო ტერმინების 10% ნაწარმოებია ლათინური ფუძიდან, თუმცა პრაქტიკულად ნებისმიერი ლათინური ფუძის მქონე ტერმინისათვის არსებობს ნაციონალური ეკვივალენტი. პარადიგმატული ურთიერთობების სტრუქტურაში სინონიმია შეიძლება დავახასიათოთ სინონიმის ხარისხის მიხედვით, როდესაც ასხვავებენ აბსოლუტურ და ნაწილობრივ

სინონიმებს, ხოლო ფუნქციური მახასიათებლების მიხედვით-იდეოგრაფიულ და სტილისტურ სინონიმებს.

კვლევის დროს გამოვლინდა ტერმინოლოგიური ლექსიკის პლასტი, რომელიც წარმოქმნილია ყოველდღიური სასაუბრო ლექსიკისაგან. ერთი მხრივ, ყოველდღიური სასაუბრო ლექსიკა ტერმინების სახით ამარტივებს კომუნიკაციას პროფესიულ სფეროში, რომელიც უფრო მოსახერხებელია საკუთარ სფეროში აღსაქმელად საკუთარი ფორმის და შინაგანი შინაარსის ექსპრესიულობის მიხედვით. თუმცა მეორე მხრივ, ტერმინოლოგიურმა ლექსიკამ, რომელიც ყოველდღიური სასაუბრო ლექსიკის საფუძველზე წარმოიქმნა, შეიძლება წარმოქმნას ასოციაციები, რომლებიც ინტერკულტურული კომუნიკაციური სიტუაციის დროს ხელს გვიშლის ტერმინის აღქმაში.

იურიდიული ტექსტის ლინგვისტური პრინციპების შემუშავება სამართლის ენაში სოციალური ცვლილებების დინამიკის, სამართლის ენის განვითარების კულტურულ-ისტორიული პერსპექტივების კვლევის და იურიდიული ტექსტების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზის გათვალისწინებით, საშუალებას იძლევა გამოავლინოთ და აღვწეროთ სამივე ქვეყნის საოჯახო სამართლის ენობრივი ფაქტები, რომლებიც ლინგვისტური და სოციოკულტურული ასპექტების ურთიერთკავშირს იურიდიული ტერმინოლოგიის შესწავლისას გვიჩვენებენ.

წარმოდგენილი დისერტაციით შევეცადეთ პირველი ნაბიჯი გადაგვედგა საოჯახო სამართლის ტერმინოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით ინტერდისციპლინარული კვლევის პრიზმაში, რომელიც ერთმანეთთან ლინგვისტიკას და სამართლის ენას აკავშირებს. ამ მიმართულებით კვლევა გაგრძელდება, რომლის საბოლოო შედეგი სამეცნიერო ქართულ-ინგლისურ-ფრანგული საოჯახო სამართლის ტერმინების ლექსიკონი იქნება.

## ბიბლიოგრაფია

ლიტერატურა ქართულ ენაზე:

1. გამყრელიძე 2004: გამყრელიძე, თ. და სხვ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა, 2008.
2. ლებანიძე 2004: ლებანიძე, გ., კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისი, „ენა და კულტურა“, 2004.
3. ლედერერი 2013: Lederer, M. La traduction aujourd’hui, le modèle interprétatif, nouvelle édition, Caen, lettres modernes minard, 2006, მარიან ლედერერი, თარგმანი, ინტერპრეტაციული მოდელი, ქართული თარგმანი ქ. ჯაშის, თბილისი, „მწიგნობარი“, 2013.
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1997: სსკ, [http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/samoqalaqo\\_kodeqsi.pdf](http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/samoqalaqo_kodeqsi.pdf), 1997.
5. სელესკოვიჩი...2008: Selescovitch, D. , Lederer, M., Interpréter pour traduire, 4<sup>e</sup> édition, Paris, Didier Érudition, 2001, სელესკოვიჩი, დ., ლედერერი, მ., თარგმნის ხელოვნება და სწავლების მეთოდი, ქართული თარგმანი ქ. ჯაშის, თბილისი, „ხირონი“, 2008.
6. შენგელია...2011: შენგელია, რ., შენგელია ევ., საოჯახო სამართალი (თეორია და პრაქტიკა), თბილისი, „მერიდიანი“, 2011.
7. შენგელია ...2000: შენგელია, რ. და სხვ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2000.
8. ჩიკვაშვილი 2004 : ჩიკვაშვილი, შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, „მერიდიანი“, 2004.
9. ჭანტურია...2000, ჭანტურია, ლ. და სხვ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, „სამართალი“, 2000.
10. ჯაში...2003: ჯაში, მ., ჯაში, ქ., თარგმნის ტექნიკა, თბილისი, „ლინგვა პლუსი“, 2003.

## ლიტერატურა რუსულ ენაზე:

1. Авербух 2004: Авербух, К. Я., Общая теория термина, Иваново, Изд-во Иван. гос. ун-та, 2004.
2. Алексеева 1990: Алексеева, Л. М. Деривационный аспект исследования термина и процессов терминообразования (на материале научно-технической терминологии русского и английского языков): Автореф. дис. ...канд. филол. наук, Пермь, 1990.
3. Алексеева... 2002: Алексеева, Л. М., Мишланова, С. Л. Медицинский дискурс: теоретические основы и принципы анализа, Пермь: Изд-во Перм. ун-та, 2002.
4. Бахтин 1998: Бахтин, М. М., Тетралогия, Москва: Прайм, 1998.
5. Болдырев 2000: Болдырев, Н. Н. Когнитивная семантика: Курс лекций по английской филологии, Тамбов: Изд-во Тамб. ун-та, 2000.
6. Будагов 1965: Будагов, Р. А., Введение в науку о языке: Учеб. пособие для филол. фак. ун-тов и пед. ин-тов, Москва: Просвещение, 1965.
7. Бурдин 1958: Бурдин, С. М., О терминологической лексике. Филологические науки, №54, Тамбов: Грамота, с. 57-65, 1958.
8. Верещагин...1977: Верещагин, Е. М., Костомаров, В. Г., Национально-культурный компонент семантики терминологической лексики и лингвострановедение, РЯЗР, №6, с.63-69, Москва: образование и наука, 1977.
9. Верещагин...2005: Верещагин, Е. М., Костомаров, В. Г., Язык и культура. Три лингвострановедческие концепции: лексического фона, рече-поведенческих тактик и сапиентемы, под редакцией и с послесловием академика Ю. С. Степанова, Москва: Индрик, 2005.
10. Виноградов 1977: Виноградов, В. В., Лексикология и лексикография, Москва: Наука, 1977.
11. Винокур 1939: Винокур, Г. О., «О некоторых явлениях словообразования в русской технической терминологии», Москва: Тр. МИИФЛ, т.5, с. 3-54, 1939.
12. Володина 2000 : Володина, М. Н., Когнитивно-информационная природа термина (на материале терминологии средств массовой коммуникации), Москва: Изд-во МГУ, 2000.



13. Герд 1980: Герд, А. С., «Еще раз о значении термина», Лингвистические аспекты терминологии, Воронеж: Вестник Воронежского государственного университета, с. 3-9, 1980.
14. Гришенкова 2006: Гришенкова Ю. А., Юридический термин как языковой и социокультурный феномен (на материале немецкого языка семейного права), Дис. ...канд. филол. наук: 10.02.19., 10.02.04., Ярославль: Ярославский государственный педагогический университет им. К. Д. Ушинского, 2006.
15. Гринев 1993 : Гринев, С. В., Введение в терминоведение, Москва: Московский лицей, 1993.
16. Даниленко 1971: Даниленко, В. П., Лексико-семантические и грамматические особенности слов-терминов, Исследования по русской терминологии. Москва: Русский язык, с.7-68, 1971.
17. Даниленко 1977 : Даниленко, В. П., Русская терминология, Москва: Наука, 1977.
18. Даниленко 1996 : Даниленко, В. П., Язык для специальных целей, Культура русской речи и эффективность общения. Москва: Наука, 1996.
19. Канделаки 1977: Канделаки, Т. Л., Семантика и мотивированность терминов, Москва: Наука, 1977.
20. Капанадзе 1965: Капанадзе, Л. А., Взаимодействие терминологической и общеупотребительной лексики, Развитие лексики современного русского языка, Москва: Русский язык, с. 16-29. 1965.
21. Кобрин 1969 : Кобрин, Р. Ю., Опыт лингвистического анализа терминологии: Автореф. дис. ...канд. филолог, наук, Горький: Горьковский гос. ун-т., 1969.
22. Кубрякова 1997: Кубрякова, Е. С. Части речи с когнитивной точки зрения, Москва: Люкс, 1997.
23. Кубрякова 2002: Кубрякова, Е. С. Когнитивная лингвистика и проблемы композиционной семантики в сфере словообразования, Известия АН. Сер. литературы и языка, № 1, с. 13-24, Москва: Наука, 2002.
24. Кутина 1970 : Кутина, Л. Л. , «Языковые процессы, возникающие при становлении научных терминологических систем», Лингвистические проблемы научно-технической терминологии. Москва: Наука, с. 82-95, 1970.

25. Лексикология. Терминоведение. Стилистика 2003: Лексикология. Терминоведение. Стилистика. Сб. науч. трудов. Посвящается юбилею В.М. Лейчика, Москва: Рязань, 2003.
26. Лейчик 1971: Лейчик, В. М., «Об относительности существования термина», Семиотические проблемы языков науки, терминологии и информатики: Материалы симпозиума. 4.2. Москва: Наука, с. 436-443. 1971.
27. Лейчик 1986: Лейчик, В. М., «О языковом субстрате термина», Вопросы языкознания, №5, с.87-97, Москва: Наука, 1986.
28. Лейчик 1989: Лейчик, В. М., Предмет, метод и структура терминоведения: Автореф. дис. доктора филол. наук, Москва: Институт Языкознания, 1989.
29. Лейчик 2003 : Лейчик, В. М., «Соотношение между культурой и языком: общие функции», Вестник МГУ. Сер 19 Лингвистика и межкультурная коммуникация, №2, с. 17-28, 2003.
30. Лотте 1961: Лотте, Д. С., Основы построения научно-технической терминологии. Вопросы теории и методики, Москва: АН СССР, 1961.
31. Лотте 1982 : Лотте, Д. С., Вопросы заимствования и упорядочения иноязычных терминов и терминологических элементов, Москва: Наука, 1982.
32. Любимов 2002: Любимов, Н. А., К вопросу о правовой коммуникации в законотворчестве, Юрислингвистика-3: Проблемы юрислингвистической экспертизы. ИРБИС. Сервер электронных публикаций ММЦ АГУ, 2002.
33. Манерко 2003: Манерко, Л. А., Истоки и основания когнитивно-коммуникативного терминоведения, Лексикология. Терминоведение. Стилистика. Сб. науч. трудов. Москва – Рязань: МГУ, 2003.
34. Моисеев 1970: Моисеев, А. И., «О языковой природе термина», Лингвистические проблемы научно-технической терминологии. Москва: Наука, с. 127-139, 1970.
35. Налимов 1974: Налимов, В. В. Вероятностная модель языка. Москва: Наука, 1974.
36. Общая теория права 1987 : Общая теория права, под ред. А. А. Алексеева. Москва: Юрид. лит., 1987.
37. Орлова 2002: Орлова, О. В. К вопросу о роли коммуникативного подхода в лингвистической экспертизе, Юрислингвистика-3: Проблемы юрислинг-

- вистической экспертизы, Ирбис. Сервер электронных публикаций ММЦ АГУ, Режим доступа -[www.irbis.asu.ru](http://www.irbis.asu.ru)., 2002.
38. Пиголкин 1968 : Пиголкин, А. С., «Язык советского закона и юридическая терминология», Правоведение, №5, с.45-48, Москва: Русский язык, 1968.
  39. Пиотровский 1952: Пиотровский, Р. Г., «К вопросу об изучении термина», Учен. зап. ЛГУ. Сер. филол. наук. Вып. 18, № 161. Ленинград: ЛГУ, с. 11-15, 1952.
  40. Прохорова 1981 : Прохорова, В. Н., Семантика термина, Вестник МГУ. Сер.9. Филология, Москва: МГУ, №3, с. 23- 32, 1981.
  41. Реформатский 1959: Реформатский, А. А., Что такое термин и терминология, Москва: Русский язык, 1959.
  42. Реформатский 1986 : Реформатский, А. А. Мысли о терминологии. Современные проблемы русской терминологии. Москва: Русский язык, с. 10-47, 1986.
  43. Суперанская...2003: Суперанская, А. В., Подольская, Н. В., Васильева, Н. В., Общая терминология. Вопросы теории, Москва; Едиториал УРСС. 2003.
  44. Татаринов 1996 : Татаринов, В. А. Теория терминоведения. Т.1. Теория термина: история и современное состояние, Москва: Высшая школа, 1996.
  45. Федоров 1983: Федоров, А. В., Основы общей теории перевода, (лингвистические проблемы), 4е издательство, Москва: Высшая школа, 1983.
  46. Швейцер 1973: Швейцер, А. Д., Перевод и лингвистика, Москва: Военное издательство, 1973.
  47. Этнопсихоллингвистика 1988 : Этнопсихоллингвистика, под ред. Ю. А. Сорокина, Москва: Высшая школа, 1988.
  48. Юрислингвистика 1999 : Юрислингвистика: Проблемы и перспективы / Межвуз. сб. науч. тр., Алт. Гос. ун-т., Барнаул: Алт. Гос. ун-т, 1999.
  49. Язык закона 1990 : Язык закона, под ред. А. С.Пиголкина, Москва: Юридическая литература, 1990.
  50. Якобсон 1975 : Якобсон, Р. О., Лингвистика и поэтика, Структурализм: «за» и «против». Москва: Русский язык, 1975.

## ლიტერატურა უცხოურ ენაზე:

1. Bassnett...1990: Bassnett, S., Lefevere, A. eds, Translation, History and Culture, London: Pinter, 1990.
2. Barthes 1970: Barthes, R., S/Z. Paris: Seuil, «Points», 1970.
3. Beaugrande (DE)... 1981: Beaugrande (DE), R.-A., Dresseler, W., Introduction to Text Linguistics, London, New York: Longman, 1981.
4. Black DBA...2015: Black DBA , J., alii., A practical approach to Familiy Law, Oxford: Oxford University Press, 2015.
5. Blum-Kulka 2000: Blum-Kulka, S., «Shifts of Cohesion and Coherence in Translation», pp. 298-313 in The Translation Studies Reader. L.Venuti ed, (London and New York, Routledge), 2000.
6. Bocquillon...1987 : Bocquillon, J.F., Villain, C., Droit Terminale G, Activités juridiques, Paris: Dunod, 1987.
7. Brown 1995: Brown, G., Speakers, listeners and communication; Explorations in discourse analysis, Cambridge: Cambridge University Press, 1995.
8. Busse 1992 : Busse, D. Recht als Text. Linguistische Untersuchungen zur Arbeit mit Sprache in einer gesellschaftlichen Institution, Tübingen: Max Niemeyer Verlag, 1992.
9. Catford 1965: Catford, J.C., A Linguistic Theory of Translation, Oxford: Oxford University Press, 1965.
10. Code Civil Français 2015: Code Civil Français, <http://droit-finances.commentcamarche.net/download/telecharger-198-code-civil-2015-pdf-en-ligne>, 2015.
11. Conway 2013: Conway, H. L. Family Law, Key Facts, Key Cases, Birmingham: Routledge, 2013.
12. Cornu 1982 : Cornu, G., « Les définitions dans la loi », pp. 5-19 in Langage du droit et traduction : essais de jurilinguistique (Montréal, Conseil de la langue française), 1982.
13. Côté 1999 : Côté, P.-A., Interprétation des lois, Montréal: Thémis, 1999.
14. Cotterill 2002: Cotterill, J., Language in the Legal Process, Hampshire: Palgrave Macmillan, 2002.
15. Crick 1989: Crick, Fr, «Neural Nets and the Brain », London: Nature, pp.129-32, 12 Janvier, 1989.

16. Dancette 1995 : Dancette, J., *Parcours de traduction*, Lille : Presses Universitaires de Lille, 1995.
17. David 1982 : David, A., « Les termes élémentaires du droit », pp. 31-38, in *Langage du droit et traduction*, J.-C. Gémar ed. (Montréal, Conseil de la langue française), 1982.
18. David 1974 : David, R., *Les Grands systèmes de droit contemporains*, Paris : Dalloz, 6<sup>e</sup> éd., 1974.
19. Delamare, Ch., Delamare, V. *Dossiers de droit*, 5<sup>e</sup> édition, Paris : Dalloz-Sirey, 1992.
20. Delisle 1999 : Delisle, J. et alii, eds, *Terminologie de la traduction*, Amsterdam: John Benjamins, 1999.
21. Delisle 1980 : Delisle, J., *L'analyse du discours comme méthode de traduction*, Ottawa : Presses de l'Université d'Ottawa. 1980.
22. Djachy 2012 : Djachy, K. *Les difficultés de la traduction du texte juridique et l'interculturel*, Actes du Colloque, in *Lexiques, Identités, Cultures*, Vérone : Quit Edit, pp. 389-402, 2012.
23. Djachy 2015 : Djachy, K., «Traduire le droit civil : sens et texte », in : *Revista Internacional liLETRAD*, N 1, Sevilla, Fénix editora, pp. 385-393, 2015.
24. Dolata-Zaród 2010 : Dolata-Zaród, A., *Le rôle de l'espace dans la langue de droit*, dans *Études romanes de Brno*, 31.1., pp. 41-48, 2010.
25. Eco 1992 : Eco, U., *Les limites de l'interprétation*, Trad. M. Bouzaher, Paris : Grasset, 1992.
26. Edelmann 2000: Edelmann, G.A., *Universe of Consciousness: How Matter Becomes Imagination*, New York: Basic Books, 2000.
27. Elliot...2009: Elliot C., Quinn, F., *English Legal System*, Tenth edition, Edinburgh Gate, Pearson- Longman, 2009.
28. Fauconnier 1994: Fauconnier, G., *Mental Spaces*, New York: Cambridge University Press, 1994.
29. Flotow 1997: Flottow, L. von, *Translation and Gender: Translating in the «Era of Feminism»*, Manchester: St. Jerome, 1997.
30. Focseanu 1971: Focseanu, L.: «Les langues comme moyen d'expression du droit international», in : *Annuaire français de droit international*, 16, Paris : Payot, 1971.
31. Fokart 1991 : Folkart, B., *Le conflit des énonciations*, Traduction et discours arpporté, Québec : Les éditions Balzac, 1991.
32. Fontenette 1988 : Fontenette, de F., *Vocabulaire juridique*, Paris : PUF, 1988.

33. Frankel 2004 : Frankel, J.-J., « Sentir/sens », LINX (Revue des linguistes de l'Université de Paris-X-Nanterre), n°50, pp. 103-134, 2004.
34. Gémar 1980 : Gémar, J.-C., « Le traducteur et la documentation juridique », in Meta (Montréal) : érudit, vol. 25, n°1, pp. 134-151, 1980.
35. Gémar 1981 : Gémar, J.-C., « Réflexions sur le langage du droit : problèmes de langue et de style », Meta (Montréal): érudit, vol. 26, n°4, pp. 338-349, 1981.
36. Gémar 1991 : Gémar, J.-C., «Terminologie, langue et discours juridiques. Sens et signification du langage du droit », Meta(Montréal): érudit, vol.36, n°1, pp.275-283, 1991.
37. Gémar 1995 : Gémar, J.-C., Traduire ou l'art d'interpréter, Québec : Presses de l'Université du Québec, 1995.
38. Gémar 1998 : Gémar, J.-C.: Les enjeux de la traduction juridique. Principes et nuances, Berne, in : <http://www.tradulex.com/Bern1998/Gemar.pdf>, 1998.
39. Gémar 2003 : Gémar, J.-C. «Le traducteur juridique et l'asymétrie culturelle. Langue, droit et culture», in : de la Fuente, E. (dir.), La Traduction certifiée et l'interprétation judiciaire, Paris : Fédération internationale des traducteurs, pp.231-243, 2003.
40. Gémar...2005 : Gémar, J.-C., Kasirer, N., eds, La Jurilinguistique: entre langues et droits. Jurilinguistics: Between Law and Language, Montréal : Thémis, 2005.
41. Gémar 2007 : Gémar, J.-C., «Traduire le droit ou le double langage de Thémis», in : Hermès 49, Paris : C. N. R. S. Éditions, pp.149- 155. 2007.
42. Gerver ...1978: Gerver, D., Wallace Sinaiko, H. ed. Language Interpretation and Communication, New York : Plenum Press, 1978.
43. Gilmore... 2016: Gilmore, St., Glenon, L., Family Law, Hayes & Williams, Fifth edition, online resource centre, Oxford: Oxford University Press, 2016.
44. Gormezano 2005: Gormezano, N., Traductologie et sémiostylistique comparée: interdisciplinarité implicite? in Actes du Colloque 50<sup>e</sup> anniversaire de Meta (Montréal), Version CDRom, 2005.
45. Gozzi 2001 : Gozzi, P., «Translation of the Acquis communautaire», pp. 23-34, in Šarcevic, S. ed., Legal Translation, Preparation for Accession to the European Union (Rijeka, Faculty of Law), 2001.
46. Granet-Lambrechts...2015 : Granet-Lambrechts, F., Hilt, P., Droit de la famille, 5<sup>e</sup> édition, Grenoble : Presse Universitaire de Grenoble, 2015.
47. Greenstein 2003 : Greenstein, R., ed, Langue, culture et code : regards croisés, Paris : L'Harmattan, 2003.

48. Hatim...1997: Hatim, B., Mason, I., *The Translator as Communicator*, London: Routledge, 1997.
49. Hassanova...2006 : Hassanova, A. et Abdoullayeva, Kh.: *Le français juridique*, Bakou : Nurlan, 2006.
50. Halley...2010: Halley, J. , Rittich, K., *Critical Directions in Comparative Family Law: Genealogies and Contemporary Studies of Family, Law Exceptionalism*, <http://www.law.harvard.edu/faculty/jhalley/plst/Halley.pdf>, 2010.
51. Hatim...1990: Hatim, B., Mason, I., *Discourse and the Translator*. London: Longman, 1990.
52. Herbots 1987 : Herbots, J.B., « La traduction juridique. Un point de vue belge », in *Cahiers de droit*, 28, Québec : Presses de l'Université du Québec, pp. 813-844, 1987.
53. Hermans 1999: Hermans, Th., *Translation in Systems*, Manchester: St. Jerome, 1999.
54. Herring 2013: Herring, J., *Family Law*, London: Pearson, 2013.
55. Herring 2015: Herring, J., *Family Law (Longman Law Series) Paperback*, London: Pearson, 2015.
56. Hoffmann 1987: Hoffmann, L., *Sprache in Wissenschaft und Technik: Ein Sammelband / L. Hoffmann / Hrsg. und red. Bearb. von L.H. , Leipzig: Enzyklopädie*, 1987.
57. Harris 2015: Harris, S., *Short & all, Family Law, Text, Cases and Materials*, Third edition, Oxford: onlikne resource centre, Oxford University Press, 2015.
58. Israël...2005 : Israël, F., Lederer, M., eds, *La théorie interprétative de la traduction, I. Genèse et développement*, Paris-Caen : Minard lettres Modernes, « Cahiers Champollion» 6, 2005.
59. Jackson... 2005: Jackson, H., Amvela, A., *Words, Meaning and Vocabulary 2nd Edition: An Introduction to Modern English Lexicology*, London: Printed and bound in Great Britain by Atheneum Press, Gateshead, 2005.
60. Jacques 2002: Jacques, F., *De la textualité. Pour une textologie générale et comparée*, Paris : Jean Maisonneuve, 2002.
61. Johnson-Laird ...2000: Johnson-Laird, P.N., Byrne, R.M.J., «Mental models and pragmatics», *Behavioural and Brain Sciences*, n° 23, pp. 284-286, Cambridge: Cambridge University Press, 2000.
62. Kasirer 2003: Kasirer, N., *Le Droit civil, avant tout un style ?* Montréal : Thémis, 2003.
63. Kintsch 1998: Kintsch, W., *Comprehension, a Paradigm for Cognition*, Cambridge: Cambridge University Press, 1998.

64. Kerbrat-Orecchioni 1986/1998: Kerbrat-Orecchioni, C., *L'implicite*, Paris: Armand Colin, 1968/1998.
65. Kuparadze...2012: Kuparadze, G., Kvantaliani, M., *Sociolinguistic Aspects of Professional Language Teaching: On the material of French, English and Georgian Languages*, Vol. 1, n 5, 2012, pp. 89-101,  
<http://www.universitypublications.net/jte/0105/html/PAR203.xml>.
66. Ladmiraal 1987: Ladmiraal, J.-R., «Traductologiques», *Le français dans le monde (Recherche et application)*, n° spécial : « Retour à la traduction », M.-J. Capelle, Fr. Debyser, J.-L., Goester eds, août-septembre, Paris : CLE International, pp. 18-25, 1987.
67. Ladmiraal...1989: Ladmiraal, J.-R., Lipinsky, E. M., *La communication interculturelle*, Paris : Armand Colin, « Bibliothèque européenne des sciences de l'éducation », 1989.
68. Ladmiraal 1991: Ladmiraal, J.-R., «Sémantique et traduction », pp.29-35 in Br. Lépinette, M.A. Olivares Pardo, E. Sopena Balordi eds, *Actas del Primer Coloquio Internacional de Traductología (2, 3, 4 de mayo de 1989)*, València: Universitat de València (Quaderns de Filología), 1991.
